ქართული სიტყვიერების განარკვი

დასაწყისიდან ჩვენს დროამდე

—— : ——

შედგენილი და გამოცემული

პეტრე მირიანიშვილის

მიერ

—— : ——

ტფილისი

1929

ტფილისი, 17/IV ს. ს. მ. უ. ს. პოლიგრ.-ტრ. 1-ლი სტ. პლ. პრ. № 91.

მთავარლიტი № 272 შეკვეთა № 1247 ტირაჟი 1000.

ქართული სიტყვიერების განარკვი.

თ ა ვ ი I

§ 1. ქართველები ისევე, როგორც აფხაზ ჩერქეზ ყაბარდოელები და ლეკებ-ჩაჩნები, ეკუთვნიან იაფეტიანთ რასას და შეუქმნიათ თავიანთი საკუთარი კულტურა მდიდარი და ყურადღების ღირსი, მაშინ, როცა დასახელებული მეზობელი ხალხები ჯერ კიდევ უწიგნო არიან, ეროვნული მწერლობის უქონელი და მხოლოდ ზოგიერთ მათგანს ეხლა გადაუდგამს ნაბიჯი ეროვნული მწერლობის შესაქმნელად.

ქართველი ხალხის ბინადრობა უძველეს დროში შუმერეთში, ანუ მესოპოტომიაში ყოფილა, მაგრამ ბევრია საბუთი მისი, რომ ეს ხალხი არც თუ ახალი მოსული უნდა იყვეს იმ სამკვიდროში, რომელიც დღეს უპირავს. ასე უნდა ითქვას განსაკუთრებით მესხ-ივერ-ჭანთათვის. ებრაელთა მწერლის მოსეს მიერ (XVII ს. ქ. წ.) ჩამოთვლილი სამი ტომი მესეხ თუბალ კაინ, რომელიც მესხ ივერ ჭანია, მაშინაც მკვიდრი უნდა ყოფილიყო იმ ქვეყნებისა, სადაც დღეს სცხოვრებენ.

ქართველი ერი ჰლაპარაკობს საზოგადოდ ქართულს (აღმოსავლეთ-სამხრეთი საქართველო და დასავლეთ საქართველოს თემები: იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი და გურია აჭარა; მეგრულ ჭანურ კილოს (ოდიშ-ჭანეთი), ხოლო სვანურს (სვანეთი). მაგრამ დედა ენა და დედა კულტურა ყველა ქართველი ტომებისთვის არის ქართული ენა და ქართული კულტურა, საზოგადოებრივ პოლიტიკური და გონებრივი განვითარებისთვის ერთად ერთი ბუნებრივი იარაღი.

§ 2. ქართველობა ვიდრე მწერლობას გაიჩენდა, ზეპირ გადმოცემა იყო მისი ერთადერთი საშუალება, რომ ღირს შესანიშნავი ამბავი, თუ თქმულება არ დავიწყებულიყო უკვალოდ. ოჯახის მამა შვილს, შვილი კიდევ თავისს შვილს უამბობდა ამა, თუ იმ გმირის თავგადასავალს და რამდენიც ხანი გადიოდა, ნაამბობიც იცვლებოდა, ივსებოდა, თუ კლებულობდა, რაიც ხელს უწყობდა, რომ ეს,

თუ ის ვარიანტი გაჩენილიყო ამა, თუ იმ თქმულებისა. ნაამბობი ზოგი ლექსად შენახულა, ზოგი პროზად, ზოგი კიდეე ჭრელად, ე. ი. ლექსადაც არის და პროზადაც, რაიც ჰმოწმობს, რომ თქმულება პირველად ლექსად ყოფილა, მაგრამ ზოგი რამ დავიწყებულა და ისეთი ადგილი შემდეგ პროზად აღუდგენიათ.

ამგვარად გაჩენილა მითოლოგიური, გმირული და ისტორიული ლექსები. მითოლოგიური და გმირული თქმულება ზოგჯერ რეულია. ასეთია ამირანის თქმულება. ამირანი მზის ღმერთია, ფრთებიანი ყურშა ძაღლი, რომელიც გმირს ულოკავს ჯაჭვს, ყორნის კვერცხიდან არის გამოჩეკილი. ამგვარ თქმულებაში არიან ეგრეთვე მდევები და ქაჯები. მდევები კაცი ჭამია ძაღლთა პირები არიან, მახინჯი სულიერები, რომელთაც ზოგჯერ სამ სამი, ცხრა ცხრა და მეტი თავი აქვთ. ქაჯები კიდეე გრძნეული ხალხია, მტრის მავნებელი, ხოლო თვით უვნებელი. ისტორიული ლექსები დარჩენილა ვახტანგ გორგასლის, დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის და პატარა კახის საქმეთა მოსაგონებელი. ლირიკული ლექსების საგანი უმთავრესად სიყვარულია, რაც გაუჩენია სილამაზეს. სილამაზეს კიდეე ამშვენებს თეთრი კბილები, რასაც რუსთველიც დიდ მნიშვნელობას აძლევს, ხალხის არ იყვეს, რომელიც დასტირის დაღუპულ გმირს, ვინ ამოგტეხა კბილები, თეთრები ბროლივითაო. ხალხური პოეზიით სიყვარულის გრძნობა საიდუმლოა. ნათქვამია სიყვარულსა მალვა უნდა, ვითა ცხენსა ნაპარევსა, თუ გამოჩნდა, გლოვა უნდა, ვითა ძმასა ხაყვარელსაო. ასეეე განმარტებს სიყვარულის გრძნობას შოთა რუსთველიც. ხალხს არ დაუტოვებია შეუმკობელი ყოფაცხოვრების არც ერთი სფერო. მინდვრად მუშაობა, მგზავრობა, ქორწილი, პურის ჭამა, ერთი სიტყვით ჭირი და ლხინი გამხდარა საგანი ამ გვარი პოეზიისთვის. განსაკუთრებით მდიდარია ცხოველთ ეპოსი, ანუ ცხოველთ თავგადასავალი, რომელიც სადა ზღაპრად არის დამუშავებული. მელია სივერაგის, მგელი მტაცებლობის, ვირი სირეგვნის სიმბოლოდ დაუსახავს ხალხს. რაც შეეხება ანდაზებს, გამოცანებს და შელოცვებს, რაიც ეგრეთვე მრავალია და უფრო ლექსად შეწყობილი, მათ შორის, ორი პირველი გვიხატავს ხალხის გონება მახვილობის ერთგვარ სავარჯიშოს, ხოლო მესამე ცრუ მორწმუნეობას, როცა ხალხს სწამდა, მაგალითად მავნე სული, რომელიც ვითომც გვამში ჩაუძვრებოდა კაცს და მისი განძევება შეიძლებოდა მხოლოდ შელოცვით, ე. ი. თუ შერისხავ-

დენ ჯვრის, სახარების, ან რომლისამე წმინდანის, უფრო კი წმინდა გიორგის სახელით.

ზეპირსიტყვაობაში უდიდესი ადგილი უჭირავს მაინც საგმირო ეპოსს, რომლისაც საფუძველია სამი თქმულება ამირანის, როსტომის და აბესალომ და ეთერისა.

ამირანის თქმულება, ვიდრე ქართველობა ჯერ არ იყო თემთემად დაყოფილი და ერთ ოჯახს წარმოადგენდა, მთლიანი უნდა ყოფილიყო, ერთი დიდი ამბავი. დღეს კი ამირანის თქმულება ვარიანტებად შეუნახავს ჩვენი ერის სხვა და სხვა თემსა და რაც ერთი თემის თქმულებას აკლია, ის მეორისაში იპოვება. ამირანი არც არიშანია, ირანის ღმერთი, რომელიც იყო ბოროტი, სიბნელის წყარო და ებრძოდა ირანელთაევ აჰურამაზდას, ანუ ორმუზდს (არმაზს), სინათლის ღმერთსა, არც კიდევ ბერძნების ღმერთი პრომეთე არის, რომელმაც ღმერთებს ცეცხლი მოჰპარა და ასწავლა ხალხს მისი ხმარება, რისთვისაც მილურსმნულ იქმნა კავკასიონის კლდეზე. ამირანი განგებისაგან დალოცვილი, ხალხის მოკეთეა, ებრძვის მდევებს, რომელნიც კაცს მკვდარსაც კი სჯამენ, არა თუ ცოცხალსა. ეეშაპი გადაყლაპავს აძირანს, მაგრამ მისი გვერდიდან გამოვა. მერმე გვერდში ჩაუყენებს ხის ლასტს, ვითომდა როცა მზეს ეეშაპი გადაყლაპავს, მზემ ადვილად დასწვას ის ლასტი და დაიბადოს ქვეყნის კვლავ გასანათებლადაო, გვეუბნება თქმულება. მაშასადამე ამირანი თვით მზე, მზის ღმერთი ყოფილა, როგორც ზემოთ შევნიშნეთ. მართალია, ამირანმა პირის შეშლა იცოდა, მაგრამ დაჩაგრული ხალხის სიკეთე ამოქმედებდა. რა კი განგებისაგან დალოცვილი იყო, რომ შომრევი არავინ ჰყოლოდა, ფრთხილობდა, არაფერი მიხიმანონო. მოჰკლა მდევის და, რომელმაც ასწავლა ძმის მოკვლის ხერხი. ზღვაში ჩაარჩო დედა მდევი, რომელმაც თავისი ნაწნავი ბეწვის ხიდად გასდო ზღვაზე, რომ ამირან თავისი ძმობილებით გასულიყო. მოჰკლა პატარა ბიჭი, აღსაზრდელად აყვანილი, რომელსაც დიდი ირემი მოეკლა. არც მეფეებს და ბატონებს აყრიდა ხეირსა. როცა გველეეშაპის მუცლიდან გამოვიდა თმა წვერ ულვაშ გაცვივნული, ძმობილებმა ანუგეშეს, რას სწუხარ, წადი იგრი ბატონთან, ჯადო წყარო აქვს, თმის ამოსაყვანი, მხოლოდ იგრი ბატონო უნდა დაუძახოო. ამირანი წავიდა, მაგრამ იგრიმ გამოაგდო, რადგანაც ბატონობით არ მოიხსენა. იგრიმ უთხრა, მეფის ფირმანი მოქიტანე, ვერ გიცნობ, ვინ ხარო. მეფემ კიდევ ამირანს გაგდება ბრძანა. მაშინ

ამირანმა თავი წააწყვიტა მეფეს და მიუტანა იგრის, აჰა მეფის ბრძანებაო. იგრის შეეშინდა და ჯადო წყაროს წყალი გადააავლო თავზე ამირანს, რამაც თმა წვერ ულვაში ისეთივე ამოუყვანა, როგორიც ჰქონდა. ბერძნულ თქმულებაში პრომეთე, როგორც ესთქვით, კლდეზეა მილურსმნული, ქართულში კი ამირანი მთის მღვიმეშია რკინის პალოზე ლურჯი ჯაჭვით დაბმული. პირველმა ის დააშავა, რომ ღმერთებს ცეცხლი მოპპარა, მეორემ კი ის, რომ არსებობისთვის ბრძოლაში გამარჯვებულს მოერია პატივმოყვარეობა, თავს გავიდა. აღარ უნდოდა, კიდევ ვინმე დაჰრჩენოდა დაუმარცხებელი და განგებას, მას, ვინც ძალა მიანიჭა, გაუბედა ბრძოლა. ზღაპარში მოხსენებულია ეგრეთვე, წადილი ჰქონდა მშრომელი ხალხისთვის ეჭმია პური რძიანი, არ სისხლიანიო, მაგრამ არა სჩანს, თუ ეს იყო კიდევ ამირანის სასჯელის მიზეზი. ყორანი იქ გულს უკორტნიდა მილურსმნულ პრომეთეს, აქ კი ემსახურებოდა მიჯაჭულ ამირანს და საზრდოდ ხელადა ღვინოს და ერთ პურს აწვდიდა. მართალია, პრომეთეც, ამირანიც კავკასის მთებში იხდიან სასჯელს, მაგრამ ბერძნების და ქართველების კავკასი შეიძლება ერთი და იგივე არ იყვეს.

ამირანი ეთნარქია (მოგონილი ერის მთავარი) იმერის, ძველი ივერის, როგორც ქართლი (ძველი ქართნი) ეთნარქია ქართლისა. ივერი წარმოებული სახეა ურ სიტყვისა, შემდეგში იმერად ქცეული, ხოლო ამირანი მრავლობითი რიცხვის სახელია, წარმომდგარი ხმოვანის ჩართვით. იხმარებოდა სახელ კრებულად, როგორც ქართნი, შემდეგ ქართლი და მიუღია ეთნარქის მნიშვნელობა, როგორც ქართლს და სომეხთ ჰაიკსა. ამირანის თქმულება ჰხატავს იმ დროს, როცა ხალხი ახალგამოსული იყო ველურობაში და ახალ ბინა დადებული ებძოდა გარეულ ტახებს და მდევებს, რომელნიც მას აწუხებდნენ. თქმულებაში ბევრი ადგილია, უთუოდ თანდათანობით შეტანილი, რომელიც ხალხის კულტურულ ვითარებას მოასწავებს. ამირანის თქმულება პირველად იმერის, იმავ ივერის თემის ყოფილა, მაგრამ შემდეგ აღმოსავლეთ საქართველოშიაც გადასულა, სადაც უფრო დაცულა, ვიდრე აწინდელ იმერეთში. გარდა სვანეთისა. ქართლის თავგადასავალი კი ხალხს აღარ ახსოვს და მხოლოდ მემატიანეს შეუტანია ქართლის ცხოვრებაში, რაც გაგონილი ჰქონია. ეს დრო ისეთია, როცა ქვეყანა უფრო მოსვენებულია და ხალხს დაუწყია ქალაქების და ციხეების შენება, თავის და ქვეყნის

დასაცავად მდევთა და ტახთაგან კი არა, არამედ სხვა ხალხისაგან, რომელიც ჰმტრობდა. ამირანის თქმულება თუმცა ძირითადად ნამდვილ ქართულია, მაინც ამჩნეევია სხვადასხვა ერის თქმულების კვალი, როგორც მაგალითად ბერძნების, ებრაელების, სპარსელების და არაბების, — **ბერძნების** იქ, სადაც მოსჩანს ერთობა ამირანის და პრომეთეს სასჯლის ადგილისა, სახელით მაინც; იქ, სადაც ამირანს წადილი ჰქონდა, მშრომელი ხალხისთვის ეშმია რძიანი პური; იქ, სადაც თავმოკლული ამირანის გვამს ისევე, როგორც ყვავყორანი პრომეთესას, შეაძღება თეთრი ყორანი და თეთრი ყვავი, ხოლო მოკრილ ნეკში მდინარე სისხლს შესვამს წრუწუნა, — **ებრაელების** იქ, სადაც ახალ დაბადებულ ყრმას ამირანს სულკალმახი აკვნით წაიღებს და დასდგამს იამან კაცის წყაროს თავს ისევე, როგორც ახალ დაბადებული მოსე კალათით წაიღეს და დასდვეს ნილის მდინარის ნაპირს ფარაოს სასახლესთან ახლოს; იქ, სადაც ამირანი, როგორც იაკობ, ებრძვის განგებას; იქ, სადაც განგებამ ამირანი უწოდა ყრმას, როგორც ისრაელი იაკობსა; იქ, სადაც ამირანს ყორანი საზრდოდ აწვდიდა ერთ ხელადა ღვინოს და ერთ პურსა, როგორც ელია წინასწარმეტყველს ყორანი ასარზდოებდა უდაბნოში, — **სპარსელების** იქ, სადაც ამირანს ცხრა თვის ყრმას სულკალმახი ცეცხლის ალში გაატარებს განსაწმენდელად, გამოსაწრთობელად, თანახმად ცეცხლის რჯულისა, — **არაბების** იქ, სადაც ყრმა ამირანს იპოვის იამან კაცი (ირმენელი კაცი); იქ, სადაც იამანის შვილები უსუპ და ბადრი გამოდიან თანამებრძოლ ფალავნებად; იქ, სადაც სულკალმახი ყურშა გოშიას ასაზრდოებს ქაბაბით, ქადით და ბადაგით.

როსტომის მასთან ერთად ზურაბის და ბეჟანის თქმულება შესაძლებელია ირანიდან გადმოსულიყვეს ჩვენში, რადგანაც ფირდუსს თავისს მეფეთა წიგნში, ქართულად **როსტომიანში**, მოთხრობილი აქვს ხსენებული გმირების თავგადასავალი, როგორიც არის მაგალითად პირშავი მდევის ბრძოლა პირ წითელთან წითელ ზღვით აღმოსავლელი მზეთ უნახავის ხურომანის წასართმევად და მერმე როსტომის ბრძოლა პირშავ მდევთან და მისი მოკვლა იმავ ხურომანის გულისთვის. როსტომი თქმულებაში მოხსენებულია თუ რანელ ფალავნად, თუმცა ირანელი ფალავანია. ამის მიზეზი კი პროფ. ალ ხახანაშვილის აზრით, ის არის, რომ სპარსელები საქართველოს ჰმტრობდნენ და ქართველები სცდილან, თავიანთი მტრებისთვის წაერთმიათ საერთო გმირი.

აბესალომ და ეთერის თქმულება ძირითადად ქართულია. მისი უმთავრესი კილო მოძულე დედინაცვლის და გერის ურთიერთობა არის, რაიც ასე ხშირია ქართულ ზღაპრებში. თუმცა ასეა, ურიული მწერლობის, ე. ი. ბიბლიის გავლენა მაინც გამოჰკრთის. მთელი ორი ამბავია, რომელიც მოგვაგონებს ურიების ცხოვრებას. დავით წინასწარმეტყველს და მეფეს ჰყვანდა ერთი მხედართ მთავარი სახელად ურია, რომელიც იყო ქმარი ბეთსაბე მშვენიერისა. მეფეს მოსწონდა ბეთსაბე და რაკი ძალად წართმეა არ იქნებოდა, ურია მხედართ მთავარი მეფემ გაჰგზავნა ომში, სადაც მოკლულ იქმნა ურია, ხოლო დაქვრივებული ბეთსაბე მოყვარულმა მეფემ შინ მიიყვანა ცოლად, რომლისაგანაც გაუჩნდა სოლომონ ბრძენი. ასევე მოიქცა აბესალომ. რაკი დაინახა, ეთერი მოკეთდა მურმან ვეზირის ხელში და ვარდიეთ გაიფურჩქნა, სწორედ ისევე, როგორც სულ პირველად იყო მის ხელში, განიზრახა უკანვე მოყვანა, მაგრამ ძალადობას მოერიდა. მურმან ვეზირი ჯარით გაჰგზავნა დასახმარებლად ინდოეთის მეფისა, რომელიც იმ ხანებში მტერთან იყო ომში გართული, მაგრამ ვიდრე მურმან დაბრუნდებოდა, ეთერმა დაიცა დანა მარცხენა ძუძუსთან და თავი დააკლა სულთ მობრძავ აბესალომს, რომელმაც თავის სატრფოსთან ერთად სული დალია.

ურიების თქმულებით ევა ჩაესახა ადამს გვერდში, საიდანაც დაიბადა. ასევე ეთერიც ჩაესახა ერთ მეწისქვილეს კანჭში. მაშინ მეწისქვილემ კანჭი მოიკრა და გადააგდო შარა გზასა. მაგრამ განგებამ პატრონობა გაუწია, როგორც ამირანს. ორბი მოფრინდა და კანჭი ბრუყალებით აიტანა ხეზე თავისს ბუდეში, ხოლო როცა ეთერ დაიბადა, საზრდოს უზიდავდა. რაც შეეხება იმ გარემოებას, რომ მურმანმა თავისი დედის სული მიჰყიდა ბელიარ ეშმაკს, ოღონდ მიეღო რამ ჯადო მისგან და ეთერი შეეძულებინა აბესალომისთვის, ასეთი თქმულება სხვა ხალხებსაცა აქვთ, მაგალითად გერმანელებს, რომელთა თქმულებაც გამოიყენა გოეთემ ფაუსტისათვის და შეიძლება, როგორც ქართული, ისე გერმანული თქმულება გაჩენილიყვეს ბიბლიური კულტურის გავლენით.

§ 3. ქართველი ხალხის კულტურულ პოლიტიკური ცხოვრების ისტორია შეიძლება გაიყვეს სამ პერიოდად. პირველია უძველესი, როცა ქართველი ხალხის წინაპართა სამკვიდრო, როგორც ვსთქვით (§ 1), ყოფილა შუმერეთი, რომელსაც ჩაუდის ორი დიდი ხევი ტიგრის და ევფრატისა. მისი კულტურულ პოლიტიკური

ცხოვრების ისტორია იწყება უხსოვარი დროიდან და თავდება ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილით (356 — 323 წ.). შუმერეთის მრავალ სხვა ხალხთა შორის უნდა ვახსენოთ სამი დიდი ტომი ხეთი, ური და ხალდუ ერთმანერთის მონათესავე. დღეს ხეთის სახელი ისჩის მეხეთის, ურის გურიის, ეგრისის და ივერის, აწინდელი იმერის, ხოლო ხალდუსი ქართუს სახელწოდებაში. იმ დროს ხალხი მისდევდა კერპთ თაყვანის მცემლობას, მაგრამ ხეთებს კულტი ჰქონიათ მთვარისა, რომელიც მამაკაცად წარმოდგენილი ჰყვანდათ. წერა ყცოდნიათ ჰალისებური, ისე, როგორც ასურთ, მაგრამ ხეთებს კერძოდ სცოდნიათ სურათისებური ასოებით წერა, რომლისაც ძეგლების გასაღები ჯერ ნაპოვნი არ არის. ჰალისებური წანაწერები მრავლად იპოვება ვანის ტბის მიდამოებში კლდეებზე. მათი წაკითხვა სცადა ფრანგის მეცნიერმა ლენორმანმა და აღმოაჩინა მათი ენის მსგავსება ქართულთან. უძველესი ძეგლი, ხეთური სურათისებური მწერლობისა ამოკრილი ყოფილა ვერცხლის ფიცარზე და მისი ეგვიპტური თარგმანის შინაარსია სამეგობრო ხელშეკრულება, რომელიც ხეთების და ეგვიპტის მეფეებს დაუდვიათ მეცამეტე საუკუნის მიწურულში ქ. წ. ქართველი ხალხის კულტურული ცხოვრების უფრო ძველი ცნობა დაუტოვებია ჩვენთვის ებრეალების მეისტორიეს მოსეს (XVII ს. ქ. წ.), რომელიც გვაუწყებს, თუბალკაინმა, ძმავ ივერჰანმა რკინის და რვალისაგან სხვადასხვა იარაღის ჭედვა იცისო.

ხალხის პოლიტიკურ ცხოვრებაში შესანიშნავია ორი დიდი ამბავი. პირველია ომი ასურეთთან, როცა, სხვათა შორის მუსხების ოცდახუთ მეფეს მიუღია ბრძოლაში მონაწილეობა, მაგრამ გამარჯვება ბოლოს მაინც ასურეთს დაჰრჩენია. მეორე ამბავია შემოსევა ნადირ არიელ ხალხთა, რომელთაც ბოლო მოუღიათ ხეთი-ურ-ხალდუს კულტურულ პოლიტიკური ცხოვრებისათვის. შემოსევის დროს ყველაზე უფრო დაზარალებულა ხეთის ერთი ნაწილი, რომლისაგანაც სისხლის შერევის გზით გაჩენილა ახალი ეთნოგრაფიული ჯგუფი სომხობა. ხეთის გადაგვარებულ ნაწილს წაუღია თავისი სახელი, რადგანაც სომხები თავიანთ თავს ხაის ეძახიან, ხოლო ჩვენთვის გამხდარან მეხი (ახალი სომეხი), რაიც მე თავსართის შემწეობით გამოთქმულა, მაგრამ არის იგივ ხაი ქართულ გამოთქმით ხე.

§ 4. მეორე პერიოდია ძველი, რომელიც იწყება ალექსანდრე მაკედონელის სიკვდილის შემდეგ ქართველი ხალხის მიერ სახელ-

მწიფოს დაარსებით, როცა ქართველი ხალხის სამკვიდრო ყოფილა ის მიწაწყალი, რომელიც დღეს უჭირავს, ხოლო მცხეთა ყოფილა მესხეთის სამამასახლისოს დედაქალაქი. ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის და სიკვდილის დროს დასავლეთ-აღმოსავლეთი საქართველო ყოფილა ივერია, ხოლო სამხრეთი საქართველო მესხეთი, რომელიც აღმოსავლეთ ივერიაზედაც ბატონობდა. რაც შეეხება ქართუს ტომს, მისი მოძრაობა მესხეთის სამამასახლისოსკენ იწყება სწორედ ალ. მაკედონელის ლაშქრობის დროს, როცა მესხეთიც მოეკცა მის მიერ აღმოსავლეთის დაპყრობილი ქვეყნების წრეში. ალ. მაკედონელის ჯარს, რომელმაც დაიპყრო მესხეთის სამამასახლისო და მისი დედა ქალაქი მცხეთა, წინ მოუძღოდა არან ქართლის მეფე აზო მამამძეძეთა თვრამეტი სახლით. მცხეთის დაპყრობისთანავე აზომ უწოდა მცხეთას ქართლი და დაასვენა თაყვანსაცემად ორი საგვარეულო კერპი გაც და გაიმ, რომელიც თან ჩამოეტანა. ამ გვარად ქართუს გაეხსნა გზა მოძრაობისათვის მესხეთ ივერიისკენ, რომელიც თანდათან გაქართველდა, ხოლო შემდეგ კორტხს იქითაც გავრცელდა ქართუს ენა. ეს რომ ასეა, ის გარემოება ამტკიცებს, რომ ქართულად მოლაპარაკე თემების სამკვიდროს შეჰრჩენია არა ერთი სიტყვა და სიტყვის ფორმა, რომელიც აიხსნება სვანურ მეგრულ ჭანური ენის შემწეობით, როგორც მაგ. ართვინი, ოძრხე, ოპიზა (მესხეთი), ოძიხი, ბორჯომი, გურჯაანი, ჰერეთი, იორი (ივრის), ვერის ხევი (ქართლი), ძმანები, დანები (იმერეთი). სახელმწიფოს დაარსება შემკულია ზღაპრული ამბებით. მცხეთის დაპყრობის დროს სამარა მამასახლისის ძმისწული ფარნავაზ გაუხიზნიათ კავკასიონის მთებში, სადაც დარჩენილა დაუბეკებამდე, ხოლო მერმე ჩამოსულა და ნადირობის დროს უპოვნია საგანძური, რომელიც გამოუყენებია მაკედონელთა წინააღმდეგ ბრძოლაში. იმ დროს აზო დაღუპულა და ფარნავაზ გამეფებულა. ნამდვილად კი ქართველი ხალხის განთავისუფლებას მაკედონწულთა უღლიდან ხელი შეუწყო თვით ალექსანდრეს სიკვდილმა, რამაც დაჰშალა მისი უზარმაზარი სახელმწიფო, რომლის საზღვარშიაც შედიოდა მესხეთიც, ხოლო მეორე იყო ეკონომიური მოღონიერება მესხებისა. მცხეთა სავაჭრო ცენტრი იყო იმ საქონლისა, რომელიც აზიიდან ევროპაში და ევროპიდან აზიაში გადაჰქონდათ ბაეის გადახდის შემდეგ, ასე, რომ მესხეთის სამამასახლისოს დიდი შემოსავალი ჰქონდა. ბერძნული იმპერიალიზმის დამხობის შემდეგ ცეცხლის თაყვანისმცემლობის შემოღება ამ-

ტკიცებს აღდგენილი სპარსეთის პოლიტიკური ძლიერების გავლენას, მაგრამ არც თუ ძირითადი უნდა ყოფილიყვეს ის გავლენა, რადგანაც მესხეთში თუ ბერძნული არა, ადგილობრივი კერპთაყვანის მცემლობის კულტი ყოფილა. ძეგლები არ დაუგმიათ და მომხდარა ძველი და ახალი სარწმუნოების ერთმანერთთან შეგუება, ასე, რომ ცეცხლის, სინათლის ღმრთის აჰურამაზდას, ქართველთ არმაზისთვის აუმართნიათ ძეგლი სპილენძის ვაეკაცისა, რომელსაც ცალ ხელში ამოწვდილი მახვილი სჭერია. ამ გვარად სპარსული ცეცხლის თაყვანისმცემლობის სარწმუნოებამ დარჩდილა და ბოლოს სრულიად ღასცა თაყვანისცემა ქართველთ ძველის ძველი კერპის ბოჩისა, რომელსაც შვიდი ხელი ჰქონია ნიშნად ბატონობისა კავკასიონის შვიდ ქედზე. მართალია ცეცხლის კულტი შეიქმნა სახელმწიფო სარწმუნოება, მაგრამ ხალხს ჰქონდა კიდევ მუხისა, ნაძვის და სხვა დიდ ხეთა სარწმუნოება. მეფეს რევ მართალს (II ს. ქ. შ.) აუკრძალავს ყრმათა შეწირვა კერპთათვის, მაგრამ ასეთი მსხვერპლი იცოდნენ ეგრეთვე ხის თაყვანისმცემლებმა, ანუ დრიუდებმა, რასაც ჰმოწმობს მათი ისტორია: შესაძლებელია ზემოხსენებული აკრძალვა მიმართული იყო ქართველი დრუიდების წინააღმდეგ, რომელნიც, ალბად, როგორც გალიის დრუიდები, ფარულად განაგრძობდნენ ყრმათა შეწირვას. მეორე პერიოდში, რომელიც თავდება ქრისტიანობის შემოღებით მეოთხე საუკუნის მეორე ნახევარში, ქართველ ხალხს, უფრო მის მაღალ წოდებას თუ ეცოდინებოდა წერაკითხვა, ის იქმნებოდა სპარსული, რადგანაც ცეცხლის თაყვანისმცემლობასთან ერთად გადმოვიდოდა ცეცხლის რჯულის წიგნი ზედნავესტა, რომელიც დასწერა სპარსეთის ბრძენმა ზარატუშტრამ, ხოლო იყო, თუ არა მეორე პერიოდში ქართული წიგნი, არავითარი ცნობა არა გვაქვს, არც იმდროინდელ ნაწერ ძეგლს მოუწეევია ჩვენამდე.

მესამე პერიოდი ახალია, რომელიც იწყება ქრისტიანობის შემოღებით მეოთხე საუკუნეში დაახლოვებით სამოციან წლებში. რა კი ეს პერიოდი მეტად გრძელია მწერლობის განვითარების მიხედვით, შეიძლება გაიყოს რამდენსამე პერიოდად, რომელთაგანაც პირველია მოსამზადებელი (IV — IX ს.), მეორეა თავისუფალი შემოქმედების, ანუ ოქროს საუკუნე (X — XIII ს.), მესამეა დავარდნილობის (XIV — XV ს.), მეოთხეა აღორძინების, ანუ ვერცხლის საუკუნე (XVI — XVIII ს.), მეხუთეა ახალი (XIX ს.), ხოლო მეექვსე უახლესი პერიოდი (XX ს), რომელიც განვითარების გზაზე დგას.

რევოლუციის ქარტეხილმა დიდი გარდაქმნა მოახდინა ამ მწერლობისა, როგორც ფორმის, ისე შინაარსის მხრით.

§ 5. ქრისტიანობის შემოღებისთანავე შემოღებულ იქმნა ქართული ანბანი. ვაგრამ ვინ იყო შემომღები და საჭიროება მისი შემოღებული ანბანი, ჯერ არ არის დაკვშმარიტებით გამოკვლეული. ანბანი იყო ხუცური, სახმარებელი უთუოდ ხუცებისათვის, ხელი ჰქონდა ჯერ ასომთავრული, მსხვილი ასოებით საწერი და ნუსხა ხუცური, წკირისებური წვრილი ასოებით საწერი, ხოლო მასუკან შემოვიდა ხმარებაში მრგვალი ხელი, რომელიც ბუნებრივ განვითარებულა წინა ხელისაგან და ხელის ასეთი განვითარება უნდა დაწყებულიყო არა უადრეს მეცამეტე საუკუნის დასაწყისისა. მრგვალ ხელს უსაფუძვლოდ ეძახიან მხედრულს. მხედრულის, ანუ სპარსულად ფალაურის ხელით იყო დაწერილი რაინდთა წოდებისთვის ზარატუშტრას ცეცხლის რჯულის წიგნი ზენდავესტა, რომელიც, როგორც ვიცით, უნდა გავრცელებულიყო ჩვენში მეორე პერიოდში ცეცხლის რჯულის შემოღებისთანავე. თქმულება მისი, ვითომც ხსენებული კულტის შემოღების დროს მხედრული წიგნი გავრცელებულიყვეს, მხოლოდ ასე თუ აიხსნება, თორემ ცალკე მხედრული ქართული ანბანი არასოდეს არ ყოფილა, არც ეხლა არის.

მონასტერი საზღვარ გარეთ მრავალი ჰქონია ქართველობას. მათ შორის უნდა აღვნიშნოთ მეთერთმეტე საუკუნემდე ორი, ორივე იერუსალემში აშენებული. ერთი ჯვარიხა, სადაც შოთა რუსთველს დაულიეია თავისი დღენი და მისი სურათიც ყოფილა კედელზე გამოხატული, მაგრამ დიდი ომების დროს ბერძნებს, რომელნიც იმ თაეიდანვე დაეპატრონნენ საქართველოს გარეშე თითქმის ყველა ქართულ მონასტრებს, წაუშლიათ, რომ ქართველთ საკუთრების საბუთი არაფერი დარჩენილიყო. საბედნიეროდ ის სურათი პროფ. ალექსანდრე ცაგარელმა გადმოიღო ოთხმოციანი წლების დამდეგს. სურათი წარმოადგენს პოეტს უკვე მოხუცებულს, რომელსაც წელამდე წვერი სცემს, ხოლო აცვია, უნდა ვიფიქროთ, დიდებულის ტანისამოსი. მეორეა ხაბა წმინდის მონასტერი, რომელიც აუშენებია პეტრე ივერს, ერისკაცობაში მურვანოს. აღმშენებლის მამა ყოფილა ნამეფარი. ვარაზბაქარ, რომელიც წმინდა ადგილებში ბიზანტიის კეისრის ნაცვლად ითვლებოდა. იმდენი ქართული მონასტრის არსებობა წმინდა ადგილებში ამ კაცის მფარველობით თუ აიხსნება. თქმულება არის, საბა წმინდის მონასტერში დაბადებულა პირვე-

ლად აზრი საეკლესიო წიგნების ქართულად თარგმნისა. ვინ იყო ის ბედნიერი, რომელმაც პირველად აიღო კალამი და გამოსწერა ქართული სიტყვა, არ ვიცით ისევე, როგორც არ ვიცით ვინაობა ქართული ანბანის შემომღებისა.

§ 6. მონასტრები საქართველოს სამზღვრებში მცხეთის და ჯვარის გარდა იყო განსაკუთრებით მესხეთჯავახეთში, ანუ ძველ ტაოკლარჯეთში, რომელიც მეშვიდე საუკუნემდე განიცდიდა სომხური ეკლესიებრიობის გავლენას, მაგრამ ამ საუკუნიდან ტაოკლარჯეთი საქართველოს სხვა თემებთან ერთად დარჩა ერთგული ბერძნული ხალკედონიტური ეკლესიისა, რის გამოც ტაოკლარჯეთშიაც დაეცა სომხური ეკლესიებრიობაც, როგორც ბერძნის ეკლესიისაგან მომწყდარი ხალკედონის მსოფლიო კრების დადგენილებასთან შეუთანხმებლობის მიზეზით. ტაოკლარჯეთის მონასტრები, რომელთა შორისაც ზოგიერთი, როგორც შატბერდი, იშხანი და სხვები, აღორძინებულიყო სომხური ეკლესიებრიობის ნანგრევებზე, კერად იქცა ქართული საეკლესიო სწავლა განათლების და კულტურისა, რომელიც ქართველი ხალხის გონებას ასაზრდოებდა მეთხუთმეტე საუკუნემდე, ე. ი. ხსენებული პროვინციის ოსმალთა მიერ დაპყრობამდე.

მწერლობა მეათე საუკუნემდე მოსამზადებელი იყო, რადგანაც ამზადებდა თარგმნით, თუ თხზვით უმთავრესად ეკლესიისთვის საჭირო წიგნებსა. მონასტრებში მცხოვრები ძმობის ერთი ჯგუფი სთარგმნიდა საეკლესიო წიგნებს, ან სთხზავდა, მაგრამ მონასტერი სხვა საკულტურო საქმესაც ეწყობოდა. აკეთებდა ხბოს ტყავისაგან ეტრატს, ანუ პერგამენტს, რომელიც პირველად მცირე აზიის პერგამის ქალაქში შემოღებულ იქმნა. მაგრამ არ უწყით, თუ პაპირუსის კეთებაც იცოდნენ, თუმცა პაპირუსზე ნაწერი ქართული ძეგლი იპოება. პაპირუსი მცენარე იყო, რომელიც ეგვიპტეში მოდიოდა. ძველად სწერდნენ მის ქერქზე, ეგრეთვე ქერქისაგან გაკეთებულ ფურცლებზე. უფრო საფიქრებელია, პაპირუსი საზღვარგარეთიდან შემოდიოდა. ეტრატი ალბათ რვა ფურცლისაგან შესდგებოდა, რომ დარჩენილა სიტყვა რვეული. აკინძული და სპილოს ძვლით დახაზული ეტრატი გადადიოდა გადამწერთ ხელში. გადამწერს ეძახდნენ კალიგრაფს, რაიც ჰნიშნავს ლამაზად გადამწერელს. გადამწერელი ხარვეზებსაც დასტოვებდა ხოლმე, ე. ი. ცალიერ ადგილებს, როცა საჭირო იყო ნახატის დატანება. ამ გვარად გადაწერილი, მჩხრეკლისაგან დედანთან შემოწმებული, გადაეცემოდა მხატვარს. დღეს მრა-

ვალია ხელნაწერი ხარეეზებიანი, რომელიც მოუხატავი დარჩენილა, ეგრეთვე ნახატებიანი, სადაც ზოგჯერ ნახატი ამოკრილია ბოროტი ხელის მიერ. დანარჩენი ძმობა, რომელიც ვერ ეწყობოდა მონასტრის ვერც აკადემიურ, ვერც ტეხნიკურ მუშაობას, მონასტრის მამულს უვლიდა, ფეოდალების და მეფეთაგან შეწირულს სწორედ ხსენებული კულტურულ განმანათლებელი მოღვაწეობისათვის. ამას გარდა დიდი მონასტერი ზოგჯერ საკარგავი, ე. ი. მართვა-გამგეობის პუნქტიც იყო, სადაც მთავრობის მოხელე სცხოვრებდა და გადასახადს ჰკრეფდა, თუ სხვა რამ მის განკარგულებას ასრულებდა.

მეხუთე მეექვსე საუკუნეში დასრულებული უნდა ყოფილიყო თარგმანი საეკლესიო წიგნებისა, უმთავრესის მაინც, რადგანაც იმ დროს ქართული სახარება იხსენიება. სახარება ქრისტიანეთა რჯულის წიგნია, რომელიც შეიცავს რჯულის დამაარსებლის, გადმოცემით, იესო ნაზარეველის ცხოვრებას და მოძღვრებას, აპრლებულს გონებისთვის დაუჯერებელი სხვა და სხვა სასწაულით, რომელიც ვითომც უნდა მოეხდინოს იესოს. მაგრამ კომუნო ანარქისტული ელემენტი, ეგრეთვე თანაგრძნობა ჩაგრულთა და ზიზღი მჩაგვრელ ბატონთადმი, რაიც გამჯდარია მოძღვრებაში, პირველ საუკუნეთა ქრისტიანების პრაქტიკაში მოსჩანდა, ვიდრე დევნილნი აკლდამებში იმალებოდნენ, ხოლო ქრიატიანობის გაბატონების შემდეგ თანდათან მიიჩქმალა და ხელახლა შესაძლებელი გახდა წარმოშობა მონებისა, რის მოსასპობადაც პირველი ქრისტიანები იბრძოდნენ.

§ 7. იმ დროინდელი ქართული მწერლობის ენა გრამატიკულ ფორმათა განვითარების მხრით უკვე დასრლებული ყოფილა. ამ შემთხვევაში ქართული მწერლობის ისტორია არ ჩამოგავს ზოგიერთი სხვა ხალხის, მაგ. ფრანგების და რუსების მწერლობისას, რომლისაც უძველესი ნაწერი ძეგლები დღეს გაუგებარია, თუ კაცმა განგებ არ ისწავლა მათი ენა. უძველეს ქართულ ნაწერს ახასიათებს ხმარება ზმნათა ულელილების დროს ხ სახელნაცვალი თავსართი ძირისა, რომელიც დღესაც ძალაშია მდაბიოთა ლაპარაკის დროს, მაგრამ X—XI საუკუნეში მაშინდელ მწიგნობრებს უფრო რბილ ჰ ხმად შეუცვლიათ. მაგალითად ხპოა მდაბირური გამოთქმის ნაცვლად შემოუღლიათ წერა ჰპოა ფორმისა, რაიც უფრო კეთილ ხმოვანად მიუჩნევიათ და აღმოსავლეთის ქართულსაც ეტყობა მისწრაფება ჰ—აესაკენ, დასავლეთის ქართულში აღარ ისმის ზმნათა ულელილების დროს აღარც ხ, აღარც ჰ, ხანდახან კი ისმის ს, რომელიც იგივ ჰ არის და

იხმარება, როცა ზმნა არის დ, თ, ტ, ც, ჩ, ძ, წ, ჭ, ჯ ხმებით დაწყებული. დღეანდელ ქართულში სამი ზმნის ფორმა არის, სადაც ხ დარჩენილა ცხოელად, მაგ. ხარ, ხვალ (მო-ხვალ) და ხვედი (მო-ხვედი). ხევსური დღესაც ზმნათა უღელილების დროს ხ-ანს ჰხმარობს ჰ-აეს ნაცვლად. მდაბიოს ლაპარაკში ყველგან საქართველოში უფრო ისმის ხ, ვიდრე ჰ, მაგ.: დახკრა, ხავა, ხაერი. მაშასადამე ჰ-აეც ზმნის თავსართი სახელნაცვალი ძირია. მისი სრული ფორმა პირველი პირისთვის იყო ვჰ, მეორე და მესამე პირისთვის ჰ, მაგ.: ვჰკრავ, ჰკრავ, ჰკრავს. შემდეგი სახელნაცვალი ძირებია ვა, ვი, ვე და უ, რომელიც უცვლელი რჩება და მით ისე, როგორც ვა, ვი, ვე ძირებით, იხატება მიმართობა მესამე პირისადმი, მაგ. უკეთებ, უყვარვარ. სახელნაცვალი ძირები ვჰ, ვა, ვი, ვე მრავლობით რიცხვში არ იცვლება, მაგრამ მათდამი მისამართი მ, მა, მი, მე ძირების მრავლობითი რიცხვი იქნება გვ, გვა, გვი, გვე, მაგ. გვცნობს, გვაცნობს, გვიცნობს, გვეცნობა.

ქართულ ენას ამას გარდა ახასიათებს უსქესობა, ე. ი. არ არსებობს სიტყვის სქესი მამრობითი, მდედრობითი და საშუალო, როგორც ზოგიერთ სხვა ენაშია, ძველად კი უნდა ყოფილიყო. მეგრელებს როცა უნდათ დადიანის ქალი აღნიშნონ, უნდა სთქვან დადიხე, რომლისაც ხე ძველი სიტყვა არის, ჰნიშნავს ქალს და მისგან წარმოებულა მხევალი. ერთი სიტყვა ქართულშიაც დარჩენილა ზროხა, ახალი ძროხა, რომლისაც ხა არის იგივე ხე. მაშასადამე ზროხა უნდა ითარგმნოს ფური მოზვერი ისე, როგორც კურო მოზვერია. მოზვერი კი, მეფის არ იყვეს, საერთო სახელი ყოფილა ორთავე სქესისათვის სახმარებელი. არც არტიკლები უყვარს ქართულ ენას, როგორც მაგ. ფრანგულსა. მაგრამ ძველად ჰქონია. ამას ჰმოწმობს სვანური, სადაც იხმარება ლი, მაგ. ლიტაბ, ფიცარი, ლიკუნე, აკვანი. სიტყვის წარმოებაც თავისებური აქვს თავბოლსართიანი. მაგალითად კაცისაგან იქნება კაცური, საკაცე, თქმისაგან — თქმული, სათქმელი, ნათქვამი მაშინ როცა არიულ ენებს სიტყვის წარმოება მხოლოდ ბოლო სართიანი აქვს. შემდეგი დამახასიათებელი თავსართია მ (მა, მე, მო, მი, მუ), რომელიც ქართულ ენას აახლოვებს სემიტურ ენებთან, მაგ. მსწავლული, მოსწავლე, მასწავლელი, მეტყველი, მიწა, მუსრი.

თ ა ვ ი II

§ 8. ქრისტიანობის გავრცელებით საქართველოში მასთანერთად ახლობელ აღმოსავლეთში გაიმარჯვა ბერძნულმა იმპერიალიზმმა და სწორედ აქედან იწყება ცეცხლის თაყვანისმცემელი სპარსეთის ჯერ ჩუმი წინააღმდეგობა, ხოლო მეექვსე საუკუნეში აშკარა გამოსვლა ბიზანტიის წინააღმდეგ, რომ საქართველოში მისი გავლენის დამარცხებით ქრისტიანობაც დაემარცხებინა და აღედგინა ცეცხლის თაყვანისცემა, სახელმწიფო სარწმუნოებად ყოფილი მეორე პერიოდის განმავლობაში. ბერძენ სპარსთა ომების დროს საქართველო ორ ნაწილად იყო გაყოფილი. აღმოსავლეთ სამხრეთი შეადგენდა ცალკე სამეფოს, რომლისაც დედაქალაქად იყო ტფილისი, ახლად გათავადებული ვახტანგ გორგასლის მიერ, ხოლო დასავლეთით იყო ჭანეთი, ევროპელთათვის ლაზიკა, რომლისაც დედაქალაქად ითვლებოდა ქუთაისი და სადაც თავთავისი გავლენის დამყარება ჰსურდათ ბერძნებსაც, სპარსელებსაც. ბერძენ სპარსთა ომების დროს ტფილისი პირველად აოხრდა, სპარსეთი დამარცხდა და ქრისტიანობა გამარჯვებული დარჩა. ქრისტიანობის გამარჯვებას ხელი შეუწყო ცამეტმა სირიელმა მამამ, რომელნიც მოეფინნენ ქართლსა და თავიანთი მოციქულებრივი მოღვაწეობით საფუძვლიანად აღმოფხვრეს ცეცხლის თაყვანის ცემა. ხსენებული მამები იწოდებიან თეთრსირიელებად და ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ისინი ქართველები ჭანები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ბერძნები ჭანებს თეთრ სირიელებს ეძახდნენ (გლავკო სირიოი).

მეოთე საუკუნეში საქართველო წარმოადგენდა რამდენსამე დამოუკიდებელ ცენტრსა. დასავლეთით იყო აფხაზეთი, აღმოსავლეთში ქართლი და კახეთი, ხოლო სამხრეთში ტაოკლარჯეთი. ტფილისი გადაქცეულიყო ბაღდადის ხალიფას ზეხელმწიფების ცენტრად, სადაც მერვე საუკუნიდან იჯდა მისი წარმომადგენელი ამირა, სანამ 1122 წელს ქართველი ხალხი არ დაეუფლა თავის დედა ქალაქს, ოთხასი წლის განმავლობაში ტყვედ ყოფილს. მაგრამ ხალიფას ზეხელმწიფება სრულიად ხელს არ უშლიდა, რომ საქართველო პოლიტიკურად თანდათან გაერთიანებულ და კულტურულად განვითარებულიყო. საეკლესიო წიგნების თარგმნის დასრულებით ქართული მწერლობისთვის დადგა მოცლილობის დრო, რომელიც ნიჭიერმა კალმოსნებმა გამოიყენეს თავისუფალი მწერლობის განსაკუთარე-

ბლად. ასეთი მწერლობა პირველი იყო აგიოგრაფია, ანუ წმინდათა ცხოვრების აღწერა. ქრისტიანობისთვის ვინც წამებულ იქმნა, ვინც მის გასამტკიცებლად კალმით მოღვაწეობდა, ან ქონებას სწირავდ., მათი ცხოვრების აღწერას მოითხოვდა მადლობის გრძნობა. საქრისტიანო ეკლესიას ამით ეძლეოდა ეროვნული ხორცშესხმულება და ერთგვარი თავმომწონეობის აღმძერელიც იყო, როცა ჰხედავდნენ, რომ საქართველოში ქრისტიანობისთვის თავსა სდებდნენ მაჰმადიანი უცხო ტომელები, როგორც რაჟდენ და აბო, ორნიეე დიდგვარიშვილნი. მაგრამ პირველი ქართველი მოღვაწე, რომლის ცხოვრებაც ღირსი გამხდარა აღწერისა, ყოფილა პეტრე ივერი, ერისკაცობაში მურვანოს, იერუსალემში საბაწმინდის მონასტრის დამაარსებელი, შემდეგ ქალაქის მაიუმის ეპისკოპოსი. მისი ცხოვრება აუწერიათ ქალდეურად, ხოლო მერმე უთარგმნიათ ქართულად. აი ამ კაცის ცხოვრების აღწერა გამხდარა შაბლონად, რომ მისი მიხედვით შემდეგ აეწერათ წმინდათა ცხოვრება. აგიოგრაფიული ძეგლის დამახასიათებელია უმთავრესად სასწაულები, რაც საჭირო იყო მაშინდელ მორწმუნე ქრისტიანეთათვის. აგიოგრაფებს უნებურად შეჰქონდათ აგიოგრაფიაში სხვა და სხვა ელემენტი, როგორც მაგალითად სოციალ-პოლიტიკური და სხვა. დღეს კი აგიოგრაფიულ ძეგლებს ჩვენთვისა აქვსთ მხოლოდ სამეცნიერო ინტერესი. მით ვსწავლობთ ძეგლის ენას, ხოლო ‘ეიხაარსს ვიკვლევთ სოციალ-პოლიტიკური თვალსაზრისით. შემდეგში აგიოგრაფია გაიცხრილა და გაჩნდა დამოუკიდებელი სამწერლო დარგები, როგორც იხტორიოგრაფია, გეოგრაფია და სხვა.

§ 9. აგიოგრაფიული ძეგლები შეიძლება უფრო ადრე იყვეს შედგენილი, ვიდრე მეათე საუკუნე, რომელსაც უნდა ეკუთვნოდეს მათი გადაწერის დრო. ასეთი ძეგლი რამდენადაც ძველია, იმდენად ენა უფრო მარტივი აქვს და შინაარსით ღარიბია. ქართული აგიოგრაფია საკმაოდ მდიდარია, მაგრამ ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ სამ ძეგლსა ნინოს, შუშანიკის და გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებას. ნინოს ცხოვრება მოთავსებულია შატბერდის კრებულში, რომელსაც ეწოდება მოქცევა ქართლისა. შიგ მოთხრობილია ამბავი ნინოს მიერ ქართლის მოქცევის, ანუ მოქრისტიანებისა. სიძველე ეტყობა მით, რომ ენით მარტივი, ხოლო შინაარსით ღარიბია. მეათე საუკუნეში ნინოს ცხოვრება აუწერია არსენ კათალიკოზს მეტად ვრცლად, ასე, რომ ენა მაღალფარდოვანი აქვს და შეიცავს ნინოს ცხოვრების ზოგიერთი

სასწაულის ლეგენდას, რაც ქართლის მოქცევას არ ეპოება, ზოგიერთი ლეგენდა კიდევ წარმოადგენს გაპიანურებულად იმ ლეგენდას, რომელიც ქართლის მოქცევაშია. ამბობენ, სახარება, ეს უდიდესი აგიოგრაფიული ძეგლი თანდათან ითხზებოდა, ე. ი. ივსებოდა ახალ-ახალი სასწაულის ლეგენდით და მხოლოდ მეოთხე საუკუნეში შეწყდა მისი შევსებაო. სახარების ბედი, როგორც სჩანს, სწევია საერთოდ აგიოგრაფიასაც. მაგრამ ნინოს ცხოვრება ჩვენთვის საინტერესოა ფორმის შემდეგ ისტორიულ პოლიტიკურად. ქართლის მოქცევის თანახმად არან ქართლის მეფეს აზოს, რომელიც მესხეთში შეკრილი მაკედონელი ჯარის წინამძღოლი ყოფილა, თან ჩამოუყვანია მამამძუძეთა თვრამეტი სახლი მცხეთას, რომლისთვისაც უწოდებია ქართლი და იქვე დაუსვენებია თაყვანსაცემად ორი საგვარეულო ღმერთი გაც და გაიმ. მაშასადამე ქართუს ტომის პირველ ახალშენს მაშინ დაუდვია ბინა მცხეთაში, ხოლო დაუარსებიათ სამეფო მაკედონელთ ჯარის განდეგნის და აზოს დაღუპვის შემდეგ.

§ 10. შუშანიკის ცხოვრება აუწერია მისვე მოძღვარს იაკობ ხუცესს. შუშანიკ იყო სომხეთის მხედართმთავრის ვარდან მამიკონიანის ქალი და მეუღლე ჰერეთის მთავრის ვარსქენ პიტიაშხისა, ცოლი ერთგული ქრისტიანე, ხოლო ქმარი ქრისტიანე ყოფილი და ეხლა ცეცხლის თაყვანის მცემელი. საქართველოში იმ დროს იბრძოდა ორი გავლენა ბიზანტიის, ანუ ქრისტიანე საბერძნეთის, და სპარსეთისა, რომელიც სცდილობდა ცეცხლის თაყვანისმცემლობის აღდგენას, ხოლო ბიზანტია ნებას არ აძლევდა. ჰერეთის სამთავრო შეიცავდა აწინდელ გარეკახეთს, ქიზიყს, საინგილოს, რომელსაც ეხლა აზერბეიჯანი ჰფლობს, და შესაძლებელია, თვით კახეთსაც. ჰერეთის სამთავრო ექვემდებარებოდა სპარსეთის ზეხელმწიფებას. ვარსქენს ჰქონდა წოდება პიტიაშხისა, რაც ჰნიშნავს მეფის მოადგილე მთავარს. ცოლქმარშუა სარწმუნოებრივ ნიადაგზე დრამა იყო. აუტანელი შეიქმნა შუშანიკისთვის ძალმომრეობა ქმრისა მას შემდეგ, რაც ქრისტიანობა ჰგმო და ცეცხლის თაყვანისმცემელი გახდა. (466 წ.). რაკი შუშანიკასაგანაც მოითხოვდა ქრისტიანობის გმობას, სიცოცხლე გამწარებული შუშანიკ გაუდგა თავისს ქმარს, რომელიც იმ ჟამად სპარსეთს წასულიყო, და სამი ვაჟით და ერთი ქალით თავი შეაფარა ეკლესიის მახლობლად ერთ დაბას. მაგრამ როცა ვარსქენ დაბრუნდა და შინ მეუღლე არ დაჰხვდა, განრისხდა და ცემა რომ არ აკმარა, სასჯელად კიდევ ეკალნარი გაშალა ეკლესიიდან სასახლემდე და ზედ გა-

ტარებით მოიყვანა შინ. სასულიერო წოდების მდგომარეობას ახასიათებს ეპისკოპოსთა ცოლიანობა. ნათესაობა კიდევ ისეთი სცოდნიათ, რომ ორ ძმას შეეძლო ცოლებად დები მოეყვანათ. მამაკაცებთან ერთად პურის ჭამას ქალები ერიდებოდნენ. ერთხელ შუშანიკ ძალით შეიყვანეს დარბაზში, მაგრამ გემო არაფრის უხილავს, ხოლო როცა მაზლის ჯოჯიკის ცოლმა, მისმავე დამ, ღვინო დააძალა, შუშანიკმა რისხვით უთხრა, ოდეს ყოფილ არს აქამომდე, თუმცა მამათა და დედათა ერთად ეჭამა პური და ჭიქა პირში შეალეწა. საინტერესოა ერთი სპარსელის შეხედულება დედაკაცის ბუნებაზე. სპარსელმა ფარულად უთხრა ვარსქენს, როგორც შემიტყვია, შენი ცოლი შენ გაგყრია და ნურაფერ ფიცხელ სიტყვას ნუ ეტყვი, რამეთუ დედათა-ბუნება იწრო არსო.

იაკობ ხუცესს არ დავიწყებია ქვეყნის ბუნებისა და ხალხის ჯან-მრთელობისთვის ცნობა მოეწვდინა ჩვენთვის. ჟამსა ზაფხულისასა, ამბობს იაკობ ხუცესი, ცეცხლებრ შემწველი იგი მხურვალება მზისა, ქარნი ხორშაკნი და წყალ მავნებელნი, რომლისა მკიდრნიცა მის ადგილისანი სავსენი სენითა, წყლითა განსივებულნი და განყვითლებულნი დაწერტილნი და დამშრალნი და დამღიერებულნი, ჩარადოვანნი, პირმხივანნი და დღემოკლედ ცხორებულნი, და მოხუცებული არავინ არს მათ ქვეყანათა. შუშანიკის ცხოვრება საერთოდ მშვენიერი ქართულით არის დაწერილი. აღნაქვსის დამახასიათებელია, სომხური ენის მსგავსად, ხმარება კ ქვესართისა სახელარსთათვის, როგორიც არის მაგალითად სახლაკი, გალიაკი, წვენაკი, ალიზაკი, ხასთაულაკი, და არქაიზმებისა, როგორიც არის მაგალითად ტაძარი (დარბაზი), კუბასტი (პერანგი), აპნიხი (იანვარი).

§ 11. **გრიგოლ ხანძთელის** ცხოვრება მრავალ მხრივ შესანიშნავი ძეგლია, რომელიც დაუწერია გიორგი მერჩულს 951 წელს, თვით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება კი ეკუთვნის 759 — 861 წელს. გრ. ხანძთელი ყოფილა მაშენებელი ხანძთის და შატბერდის მონასტრებისა. იმ დროს კლარჯეთის მონასტრები მტკიცედ შეკრულ აგებულებას წარმოადგენდა და იცავდა თავისს დამოუკიდებლობას საერო ძალა უფლებისაგან. გრ. ხანძთელი ხათაველში უდგა ალეთ მოძრაობას. მის მიმდევართა შორის შესანიშნავია საბან იშხნელი, იშხნის ეპისკოპოსი, და დედა ფებრონია, მერეს დედათ მონასტრის წინამძღვარი. მაშინდელმა მეფემ აშოტ კურაპალატმა დაიბარა ერთხელ თავისთთან საბან იშხნელი, მაგრამ არ წავიდა. ბოლოს

გრ. ხანძთელის ჩაგონებით წარუდგა მეფეს და მოახსენა, ჩვენ ესცნობთ მეუფედ მხოლოდ იესო ქრისტესაო. მეორე შემთხვევა, რომელმაც გამოაშკარაავა სამეფო კარის საიდუმლო, შემდეგი იყო. აშოტ კურაპალატს ჰყვანდა თავისს დარბაზშივე მეპურეკლედ ვინმე დედაკაცი, ნამდვილად კი ის ქალი საყვარელი იყო მეფისა. როცა აშოტ შინ არ იყო, გრიგოლ ხანძთელმა მეფის საყვარელი ქალი დაითათბირა და რა წაიყვანა, ჩაბარა დედა ფებრონიას. მეფემ როცა შეიტყო, იწყინა. დედა ფებრონიასთან წავიდა და სთხოვა, გაეოეშვა პატარა ხანს, განძეულის ჩასაბარებლად, მაგრამ დედა ფებრონია ციცი უარით შეჰხვდა ძლიერ მეფეს. ცოდვა კაცთან არს უსჯულოებაო, უთხრა დედა წინამძღვარმა აშოტს. მეფე იმდენად გააწბილა უძლური დედაკაცის გაბედულმა სიტყვამ, რომ სიკვდილი ინატრა, რა სთქვა, ნეტარ მახ კაცსა, ვინ არღარა ცოცხალ არსო. აშოტ კურაპალატს ტრაგიკული ბოლო ჰქონდა. მეგრელნი ოროზმოროზის ძენი, შესაძლებელია, მისი საყვარლის ძმები, მიუხტნენ არაბთა ჯარის ხალილ მხედართ მთავართან პირ შეკრულნი და არტანუჯის ტაძრის საკურთხეველზე დაჰკლეს, როგორც ცხვარი, ფარავნის ტბასთან ბრძოლაში ხალილზე სახელოვნად გამარჯვებული.

ეს რომანული ამბავი, რომელიც გიორგი მერჩულმა შეიტანა გრ. ხანძთელის ცხოვრებაში, მაჩვენებელია ჯერ ერთი იმის, რომ ქართული რომანის გაჩენას ჰქონია წყარო ქართულ და არა სპარსულ არაბულ მწერლობაში, მეორე კიდევ იმისი, რომ ავტორის წადილი აშოტის რომანის დაწერა კი არ ყოფილა, არამედ ამ რომანის გამოქვეყნებით იგი ისწრაფდა, აემაღლებინა ზნეობრივი ავტორიტეტი გრ. ხანძთელისა. გიორგი მერჩულის დროს გეოგრაფიული ტერმინი საქართველო ჯერ არ ყოფილა. მის ნაცვლად სრულიად ქართველთა სამკვიდროს სახელად იხმარებოდა ქართლი. ავტორის ოქმით, ქართლად ფრიადი ქვეყანა აღირიცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ყამი შეიწირვის და ლოცვა ყოველი აღესრულების. მონასტრის შენების ვითარებასაც დაჰკვირებია ავტორი. როკორც შეჰნიშნავს, ქვა და კირი ფრიად შორით მოაქვნდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა და ყოველი სისწორით იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.

ადგილ გარემოს აღწერაშიაც ჩვენი ავტორი, იაკობ ხუცესივით, სიტყვა ხელოვანია. სამონასტრო ადგილ გარემოს და მის ჰავას ასე

ახასიათებს: რამეთუ ბუნებით ერთგვამ არს ქვეყანა უდაბნოთა მათ და კეთილად შეზავებულ მზისაგან და მაერისა. რამეთუ არცა ფრიად სიცხე შესწვავს მათ და არც გარდარეული სიცივე შეაურვებს მყოფთა მისთა. არამედ განწესებით დგას თვისსა ხაზღვარსა უნოტიო, უხორშაკო და უმიწო მზუარე, რამეთუ კაცთა ნახვნი ფერხთანი არაოდეს თიხიან ექმნებიან ხვლასა მათსა.

§ 12. იურიდიული ძეგლები. წერილობით სჯულმდებლობას დასაწყისი ეძლევა ზოგჯერ სახელმწიფოს დაარსებისათანავე, რომ სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მოქალაქეთა შორის ურთიერთობა რაიმე განსაზღვრულ წესრიგს ემორჩილებოდეს. მაგრამ უფრო ძველია ზენ ჩვეულება, რომელსაც შეუმუშავებია ერთგვარი ნორმები სახმარებლად, როცა ჯერ კიდევ არ ჩამოყალიბებულა სახელმწიფოებრივი წყობილება. სჯული, სხვათაშორის, იყო სამოქალაქო ცხოვრების, ხოლო კანონი სასულიერო ცხოვრების გამწესრიგებელი. სჯულმდებლობის აკტს ეწოდებოდა სიგელი, კანონ მდებლობისას გუჯარი. თეოკრატიული რეჟიმის დროს, მაგალითად ძველ ურიასტანში სამოქალაქო ცხოვრების და სარწმუნოების საქმეთა წესრიგზე მოსაყვანად იყო მხოლოდ სჯული. ქართველი ხალხის ცხოვრებაში რჯული, იგივ სჯული, დაეკუთვნა სარწმუნოებად მოცემულ წესს, ხოლო კანონი სამოქალაქო ცხოვრების წესრიგის გამომხატველი შეიქმნა. მოხდა საგანთა არევა მაშინ, როცა სჯულის მეცნიერებს მიუშვებლად მიაჩნიათ სჯულის და კანონის ერთმანეთში არევა და ამბობენ, ეკლესიის კანონი როდია სახელმწიფოს სჯულიო.

სჯულმდებლობის უძველესი აკტი ეკუთვნის მეთერთმეტე საუკუნეს, როცა ბაგრატ მეოთხეს სიგელი გამოუცია სადაო ადგილ მამულის თაობაზე. მეთორმეტე საუკუნის დამდეგის, სახელდობრ 1103 წლის არის ძეგლის წერა რუის ურბნისის საეკლესიო კრებისა. ფეოდალები არ ემორჩილებოდნენ ერთ ხელმწიფეებას და ყოველი მათგანი სცდილობდა ხელი ერია იმ მონასტრის ჭონებაში, მისი მამულის საზღვრებში რო შედიოდა. ამის გამო თავისს ნათესავს, ან ბროტეეეს აკურთხებინებდა ეპარქიის მმართველად. ერთ დღეში შეიძლებოდა კანდიდატს მთავარ დიაკვნობა, მღვდლობა და ეპისკოპოსობა მიეღო. საეკლესიო საზოგადოებრივ ცხოვრებაში წესრიგის ჩამოსაგდებად საჭირო შეიქნა საეკლესიო კრების მოწვევა, მაგრამ რა კი კრების ადგილი განსაზღვრული არ არის და მომხდარა რუისის და ურბნისის ეპარქიების სამზღვრებში, თვით კრებასაც

ამის მიზეზით ეწოდა რუის ურბნისისა. კრების დადგენილება თხუთმეტ მუხლად აუწერია არსენ იყალთოელს, მაგრამ ჩვენთვის უაღრესი მნიშვნელობა აქვს მეშვიდე მუხლს, როგორც სამოქალაქო საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველსა. ამ მუხლით აკრძალულია ქალის გათხოვება თორმეტ წელზე უფრო ადრე. მაშასადამე ცხოვრებაში ხშირი უნდა ყოფილიყო უფრო ახალგაზრდა ქალის გათხოვება. ამგვარად ქორწინებისთვის სჯულდება აღმოცენებულა ადგილობგივ ნიადაგზე და გამოუწვეევია ერის ჯანმრთელობისთვის მზრუნველობას. მეთოთხმეტე საუკუნეს ეკუთვნის ძეგლის დება ორმოცდა ექვს მუხლად აღწერილი მთიულთათვის საქართველოდან მეღალთა განდევნის შემდგომ გიორგი ბრწყინვალის დროს. ძეგლის დება ჰსაზღვრავს უმთავრესად სისხლის ფასს, ე. ი. ბრალის ღირებულებას. მეთხუთმეტე საუკუნეში სამცხე საათაბაგოსთვის შედგენილ იქმნა სჯულდება ას სამოცდა თექვსმეტ მუხლად ადგილობრივ მთავართა აღბუღასა და ბექას დროს. სჯულდება შეეხება ცხოვრების, როგორც საპოლიტიკო, ისევე სამოქალაქო მხარეს. მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწერა ოცდა სამ მუხლად კათალიკოზთა-კანონები. ამ კანონების ძალით იდევნებოდა ტყვეთა ვაჭრობის მიმდეეარი და სარწმუნოების მოღალატე. მასუკან გადმოღებულ იქმნა ხომხური კანონები მხითარ გოშისა (XII — XIII ს.) ოთხას ოცდა თერთმეტ მუხლად აღწერილი სახელმძღვანელოდ ვაჭრობის დროს. იყო ეგრეთვე ებრაული კანონები მოსეს მეორე სჯულის წიგნზე დამყარებული და ბიზანტიური, რომელსაც საფუძვლად დასდებია ბერძნის მწერალთა არმენოპულოს და ელასტარის ნაწერები. მეთვრამეტე საუკუნეში ვახტანგ სჯულმდებელმა შეადგინა სამართლის წიგნი, ე. ი. სჯულთა და კანონთა კრებული. ვახტანგის სამართლის მიხედვით სული იყო კათალიკოზის, ხოლო სხეული მეფის ხელის უფლების ქვეშ. მაშასადამე სახელმწიფოში არსებობდა სასულიერო და სახორციელო, ანუ საერო ძალა უფლება. როგორც ენახეთ აგიოგრაფიული ძეგლების განხილვის დროს გრიგოლ ხანძთელიც ორ ძალაუფლებას ჰქადაგებდა. პატარა კახის დროს კი ერთლხელმწიფების იდეამ ისევ მოიკიდა ფეხი. მოსარჩლედ ჰყვანდა ანტონ პირველი კათოლიკოზი, რომელიც რუსეთიდან ჩამოსვლის შემდეგ პეტრე დიდის და თეოფანე პროკოპოვიჩის პოლიტიკით მოქმედებდა.

§ 13. ისტორიული ძეგლები. ისტორიის წერა გვიმტკიცებს იმას, რომ ხალხს დაპბადებია სურვილი, შეეტყო თავისი ვინაობა, სადაურობა, მეზობელ ხალხებთან ურთიერთობის ამბავი, ერთი სიტყვით თაგვადასავალი, რომელიც გამოუვლია ზღაპრულ ისტორიული ცხოვრების საუკუნეთა მანძილზე. პირველად იწერებოდა ამბავი დრო და დრო, შეტად მოკლე და სადად ნასიტყვი, რასაც ეწოდებოდა მატიანე სიტყვისაგან ატენ, რაც ჰნიშნავს დროს. მემატიანე იყო დრო და დრო აღმწერელი ამბისა. მოქცევას ქართლისას, როგორც ზემოთ მოვიხსენეთ, ჩვენთვის მნიშვნელობა აქვს უფრო როგორც ისეთ ისტორიულ ძეგლს, რომელსაც შესწორება შეაქვს ოფიციალ ისტორიოგრაფიაში, ანუ ქართლის ცხოვრებაში. ძეგლის გადაწერა მეათე საუკუნეს ეკუთვნის, მისი შედგენა კი უფრო ძველ დროინდელი უნდა იყვეს. მეთერთმეტე საუკუნის არის ხუმბათის ქრონიკა, ანუ მატიანე, სადაც ავტორს სუმბათ ერისთავთ ერისთავს აუწერია ამბავი მისი თუ, საიდან მოსულა და როგორ გამეფებულა ტაოკლარჯეთში ბაგრატუნიანთ გვარეულობა, რომლისაც დამაარსებელი ყოფილა გვარამ ერისთავი. ქართული ქრონიკა უთარგმნიათ სომხურად მეთორმეტე საუკუნეში. დედანი არა სჩანს, მაგრამ ქრონიკა უნდა იყვეს ძველი ქართლის ცხოვრება. ქართლის ცხოვრება, რომელიც შევსებულ და გამოცემულ იქმნა ვახტანგ მეექვსის მიერ მეთვრამეტე საუკუნეში, ჩვენთვის ყურადღების ღირსია ორის მხრით. მემატიანეს წადილი ჰქონია კავკასთ გადაგადმოღმა ყოველი ტომი ერთმანერთის მონათესავე ყოფილიყო და მათგან თვითეულისათვის ცალკე გაუჩენია ეთნარქი, ვითომც ტომის წინაპართ მთავარი, ასე, რომ ეთნარქები ძმები, ერთი დედმამის შვილები გამოდიან და ვითომც მათგან შთამომავლობენ ხსენებული ტომები. მაგალითად ქართლის ეთნარქად გამოუგონია ქართლი, რომელიც მატიანეში ისმის ბერძნული ისტორიოგრაფიის გავლენით ბერძნულად დაბოლოებული ქართლოს, ლეკეთის ლეკან — ლეკოს და სხვა, რომელთაც მამა ყოფილა თოგარმა — თარგამოს ნოეს ძის იაფეტის შთამომავალი. მემატიანის კეთილშობილური განზრახვა მეცნიერებამ გაამართლა და კავკასიონის მკვიდრნი ოსებს, სომხებს და თათრებს გარდა აღიარა იაფეტიანთ თესლტომის, ანუ მოდგმის ხალხად. ეთნარქების ამბავი იმ დროინდელია, როცა ციხექალაქებს აშენებს ხალხი შემოსეული მტრებისაგან დასაცავად. საერო პოეზიის კვალი მოსჩანს უცილობ-

ლად ფარსმან ქველის ცხოვრების აღწერაში. ფარსმან, რომელიც ქველობით გათქმულ იყო და სცხოვრებდა მეორე საუკუნეში ქ. შ., მოუკლავთ ღალატით. ამ ამბავს გლოვა ტირილი გამოუწვეია საყოველთაო. ქალაქთა და დაბაშებთა დასხდიანო, ამბობს ქართლის ცხოვრება, მგოსანნი გლოვისანი, ახსენებდიან სამსახურსა და სიქველესა, სიმშვენიერესა და სახიერებასა ფარსმან ქველისასო. მგოსანი უდრის დღეევანდელ აშუღსა. მგოსანთ გოდებაში, რომელიც სადა ნასიტყვად მოუთავსებია მემატიანეს, ეგრეთვე ნათქვამია, თავისუფლების შემდეგ უცხო ნათესავთა დასაპყრობი შეეიქენითო. ქართლის ცხოვრება ისე, როგორც ურიასტანის და ელადის ისტორია, ემყარება ხალხურ თქმულებას, ზღაპრულ ამბებს და თანდათან გადადის სინამდვილის აღწერაზე, რაც დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს.

რა კი ქართული წელთა აღრიცხვა განირჩევა ევროპულში, საჭიროა ვიცოდეთ მისი გამოანგარიშების წესიც. 284 წ. ქრისტიანობის ერამდე პონტოს მეფემ მიტრიდათ II დიდმა დაამარცხა მაკედონიის მეფე ლიზიმახო და გამარჯვების წელი დასდო წელთა აღრიცხვის დასაწყისად, ანუ ერად, რომელიც მიღებულ იქმნა, როგორც ბოსფორის სამეფოში, ეგრეთვე კოლხეთში, მასუკან საქართველოს სხვა ნაწილებშიაც. ასე მოხდა იმისთვის, რომ კოლხეთი მაშინ დამოკიდებული იყო პონტოს სამეფოზე და ორთავე ქვეყანას მისელა მოსცლა ხშირი ჰქონდათ. ქართული წელთა აღრიცხვა, ანუ ქრონიკონი შეიცავს 532 წლიან მოქცევსა. ქვეყნის გაჩენიდან ქრისტიანობის ერამდე ჩვენ, ქართველები ვითვლით ათ ქრონიკონს და 284 წელს, ანუ 5604 წ. და არა 5508 წ., როგორც მიღებულია. რიცხვი 532 წარმოებულია 28 რიცხვის გამრავლებით 19-ჯერ. რიცხვი 28 მზის მოქცევია, ხოლო რიცხვი 19 არის მთვარის მოქცევი. რადგანაც ქართული ქრონიკონის დასაწყისად მიღებულია 284 წ. ქრისტიანობის ერამდე, უნდა შესრულებულიყო პირველი ქრონიკონი 248 წ. ქ. შ., მეორე ქრონიკონი 780 წ. ქ. შ. მესამე ქრონიკონი 1312 წ. ქ. შ., მეოთხე ქრონიკონი 1844 წ. ქ. შ. ქართულ მატიანეში დათარიღებულია მხოლოდ დასაწყისი მესამე და მეოთხე ქრონიკონისა (ანუ ქვეყნის გაჩენიდან დასაწყისი მეცამეტე და მეთოთხმეტე ქრონიკონისა). მაგალითად მატიანეში ნათქვამია, რომ ტაოკლარჯეთის მეფე აშოტ მოჰკვდა 46 წ. ქრონიკონისას. თუ გვსურს, შეეიტყოთ, რომელ წელს ქ. შ. მოჰკვდა აშოტ მეფე, უნდა ავიღოთ

780 წ., ე. ი. დასაწყისი მესამე ქრონიკონისა და მიუმატოთ 46 წ. ამ გვარად მივიღებთ 826 წელს, რომელიც უნდა ჩაითვალოს აშოტ მეფის სიკვდილის წლად. ტაოკლაჯეთის მეფე დავით კურაპალატი, მატიანის თქმით, მოჰკვდა ქრონიკონის 221 წელს, ე. ი. 1001 წ. (780+221=1001). კიდევ ავიღოთ მაგალითი. თემურლენგმა დაარბია საქართველო ქრონიკონის 90 წელს. თუ გვსურს შევიტყოთ, რომელ წელს დაატყდა საქართველოს ის საშინელი უბედურება, უნდა ავიღოთ 1312 წ. ე. ი. დასაწყისი მეოთხე ქრონიკონისა და მიუმატოთ 90 წ. მივიღებთ ამგვარად 1402 წელს, რომელიც უნდა ჩაითვალოს თემურლენგის მიერ საქართველოს დარბევის წლად. ერეკლე მეფემ ხელშეკრულება დასდო ეკატერინე მეორესთან ქრონოკონის 471 წელს, ანუ 1783 წ. (1312+471).

თ ა ვ ი III

§ 14. მეათე საუკუნეში ქართველთ დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრების თანდათან მოსპობისა და მათ ნაცვლად ეთხელმწიფებისადმი მისწრაფებას, რისაც სულის ჩამდგმელი იყო ქართლის ერისთავი ივანე მარუშიძე, მოჰყვა ხელოვნების და მწერლობის აყვავება ეროვნული მოტივების შემოღებით. ძველად სალოცავს ისე, როგორც დარბაზს, ტაძარი ერქვა. ეკლესია ჰნიშნავდა მორწმუნეთა კრებულსა. პირველ ხანებში ტაძარი შენდებოდა უგუმბათო, ხოლო შემდეგ გუმბათიანი. ზოგიერთმა ერმა გუმბათი თავისებური შეუქმნა ტაძარსა. ბერძნებმა ზარფუშის, რუსებმა ხახვის თავის, ხოლო ქართველებმა პირქვე გიდლის მსგავსი. ასეთივე გუმბათი აქვს სომხის ეკლესიასაც. ეს გარემოება იმას უნდა ამტკიცებდეს, რომ ერთნაირი თავწვეტიანი გუმბათის იდეა უნდა დაბადებულიყო, როცა საქართველო და სომხეთი ჯერ კიდევ გაყრილი არ იყო სარწმუნოებრივად. გიდლის ხმარება საერო ხუროთმოძღვრებაშიაც იყო, მხოლოდ არა გუმბათად, არამედ შენობის ზემო კუთხეთათვის, ისიც პირზემო გიდლისა, უფრო კი სამკაულად. ამგვარი გიდლებით შემკული ხის პავილიონი 1889 წელს ამშეენებდა ქუთაისის ქალაქის ბაღს, მაგრამ მოკლე ხნით, რადგანაც ცეცხლმა იმსხვერპლა. ძველი საერო ხუროთმოძღვრების ნაშთები იპოება უფრო კახეთში. ფეოდალები, რომელთაც აუშენებიათ ისეთი დიდებული ძეგლები საეკლესიო ხუროთმოძღვრებისა, როგორიც არის მცხეთის, გელათის,

ტბეთის, ბანის და სხვა ტაძრები, პატივ მოყვარეობით თუ არ უკეთეს, არა ნაკლებ პალატ ციხე დარბაზებს აიშენებდენ საცხოვრებლად, მაგრამ საერთოდ ასეთი ძეგლები მეტად მცირედია ნანგრევებადაც კი. ამის მიზეზი ის არის, რომ შემოსეულ მტერს პირველი იერიში მიჰქონდა ფეოდალთ პალატ ციხე დარბაზზე, სადაც ეგულებოდათ მდიდარი საგანძური, კიდეც ჰპოებდნენ. ტაძრის ზღუდეთა ზემო სარტყლის, გუმბათის და ტანის კარსარკმელთა შემკობა იცოდნენ აშიად ჩუქურთმით, რასაც ეწოდება გრეხილი, ასე, რომ გრეხილი ძლიერ ხშირად არა თუ კარის სარკმლისას, არამედ ერთი კარის და ერთი სარკმლის არ ჰგვანდა მეორე კარის და მეორე სარკმლისას. ასეთი გრეხილი ხშირად სხვა და სხვა ყაიდის იყო და ოსტატობაც იმაში გამოიხატებოდა. იცოდნენ ეგრეთვე ტაძრის ზემო კუთხეზე მოჩუქურთმება ვაზის მტევნიან ფოთლიანი რტოისა. ორნამენტიკის შემუშავებაში ი. ტოლსტოის და ნ. კონდაკოვის სიტყვით, ქართულმა ხელოვნებამ აჯობა საკუთრივ ბიზანტიურ ხელოვნებასაც, და იტალიურ, სერბიულ და სხვა მის შტოებსაც. ქართული გრეხილის ფორმები ირლანდიულსაც სჯობია. მათი ხასიათი უფრო წესიერია, ორნამენტების სურათი უფრო ცხადი, დანიშნულება და აზრი სურათისა შეესაბამება ხუროთმოძღვრების მიზნებს და არასოდეს არ ემორჩილება ზმნობის ქაოტიურ ნებაყოფლობას და ფორმების თამაშსა.

გაეროვნება მხატვრობაში მოხდა მადონისა სწორედ ისევე, როგორც საზღვარ გარეთ. ბეთანიის და ბაგრატის ვედრების მადონა ძლიერ ჩამოგვაგს ქართველ ქალს. თუ არ მეტი არა ნაკლები ყურადღების ღირსია მადონის მოხატულობა ათონის ივერიის მონასტრის საკურთხეველში ტრაპეზის უკან სარკმლებ ზემო. ე. პორფირის თქმით, ქართული სახეობა მადონისა მოგრძო, ქალწულებრივი, ნაზი, არ მიწიერი წმინდა პირისახით, შავი თვალებით და პატარა ბაგითა ფრიად კეთილ სახიერია და წარმოადგენს ქართული სილამაზის ნიმუშსა. ქართული ნახატებიანი დავითნიც საინტერესოა. ბიბლიური ტიპების აღდგენა შეუძლებელი, ხოლო სპარსული ეანრის შემოტანა წმინდა საქრისტიანო წიგნში შეურაცხყოფა იქმნებოდა ქრისტიანობრივი გრძნობისა. ამის გამო მხატვარი გვაძლევს ისეთ ტიპებს, თითქოს ჩვენებური იყვეს. ქართულ მინიატიურებს, რომელიც მრავლად მოიპოება, სხვა და სხვა მოხატულ ქართულ სახარებაში მეცნიერი ხალხი დიდ ყურადღებას აქცევს.

ოქრო მეფედლობის უფრო შემდეგი დროის ხელოვნების საუცხოო ნაშთებია ხახულის მადონის, გურიის მიქელ გაბრიელის და ანჩის ხატის ოქრო მეფედლობა, განსაკუთრებით ჯვრების და მედალიონების, რომელიც ეპოება ხახულის მადონის მოქედილობას. განთქმული ოქრომეფედელი, ანუ ოქრომქანდაკებელი ყოფილა, სხვათაშორის, ბექა ოპიზარი.

მუსიკასაც ჰყრლია. თავისი მესვეურები, მაგრამ მათი ხმა შეწყობილია მხოლოდ საეკლესიო საგალობლები, რომელიც მეათე საუკუნეში შეუკრებია **მიქელ მოდრეკილს** შატბერდის მონასტერში. საგალობლები, რომელიც შეაქებს როგორც ქართველ, ისევე საერთო საქრისტიანო მოღვაწეებს, შემკულია სამუსიკო ნიშნებით. სამწუხაროდ ჯერ ნაპოვნი არ არის ნიშნების გასაღები. ავტორის თქმით კრებულში მოჰყოლია, რაც სიტყვა **კეთილ** ყოფილა, მაშასადამე ბევრი კიდევ დარჩენილა კრებულში მოუთავსებელი. საგალობლები სამნაირია მეხური, ბერძული და ქართული. საცილებელი გამხდარა მეხური, რომელიც ზოგიერთს ჰგონია სომხური, ზოგს კიდევ მესხური. საკითხი შეიძლება გადაწყდეს, თუ შედარებულ იქმნა მეხური და სომხური საგალობლები, მაგრამ არც ამას სცდილან ჯერ. დღევანდელი საეკლესიო გალობა ისევე სამხმოვანია, როგორც სახალხო სიმღერა. ორთავე მუსიკის საფუძველი ერთი და იგივეა, მაშასადამე მეათე საუკუნის საეკლესიო მუსიკაც სამხმოვანი უნდა ყოფილიყო. ბერძნული გალობა, რომელიც ერთხმოვანია, და სამ ხმოვანი ქართული გალობა საეკლესიო, თუ საერო, შეუძლებელია, ჩაეაყენოთ ისეთ ურთიერთობაში, რომ ქართული გალობის ძირად აღვიაროთ ბერძნული გალობა. **გალობა** ძველად ჰნიშნავდა ხმის შეწყობას, ხოლო **ხიმღერა** — ცეკვას. თუ ეხლა სიმღერა ხმის შეწყობად გვესმის, იმას ჰნიშნავს, რომ ძველად ცეკვა ხმის შეწყობით იყო, ხმის შეწყობა კიდევ ცეკვითა. ეხლა გალობა ეკლესიას დაჰრჩენია, სიმღერას საერო ხმის შეწყობის ადგილი დაუჭერია, ხოლო ცეკვის სინონიმად შემოსულა თათრული სიტყვა თამაში. მიქელ მოდრეკილის საგალობელთა კრებული შესანიშნავია ეგრეთვე, როგორც მეათე საუკუნის ძვირფასი ძეგლი საეკლესიო პოეზიისა, რომელიც, როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, შეიძლება ჩაითვალოს ოქროს საუკუნის ნაწარმოებად. როგორც სჩანს კრებულში, ხმის შემწყობი ხშირად სიტყვის შემწყობიც ყოფილა, კომპოზიტორი და პოეტი ერთსა და იმავე დროს. ასეთნი იყვნენ თვითონ მიქელ მოდრე-

კილი, იოანე მტბევარი და სხვები. პოეზიასთან ერთად განვითარებული ყოფილა ეგრეთვე მეცნიერება. ამის საბუთია იმავე შატბერდის მონასტერში იოანე ბერაის მიერ გადაწერილი სამეცნიერო წერილების კრებული. კრებულშია საისტორიო და სხვა წერილები, მაშასადამე იმდენი ყოფილა თარგმნილი, თუ ორიგინალი სამეცნიერო წიგნი, რომ შესაძლებელი გამხდარა წერილების გამოკრეფა და შედგენა დღევანდელი ჟურნალისებური კრებულისა, უთუოდ საკითხავად მოსწავლე ახალგაზდობისა.

§ 15. მეთერთმეტე საუკუნეში ორი ცენტრია საზღვარ ჯარეთ, ორივე მაკედონიაში, ერთი ათონის კონცხზე ივერიის ლავრა, ხოლო მეორე ბარად პეტრიწონის მონასტერი, სადაც გაჩაღებული იყო მწერლობა პირველში საისტორიო საღვთისმეტყველო, მეორეში კი სამეცნიერო.

ათონის ივერიის ლავრა დაარსებულ იყო თორნიკე ერისთავის მიერ იმ ნადავლით, რომელიც ჰხვდა ბარდა სკლიაროსზე გამარჯვების დროს. ვინც ყველაზე მეტი სახელი მოუპოვა ლავრას, იყვნენ ექვთიმე მესხეთიდას და გიორგი თრიალეთიდან მოსული. ამათ დროს ათონის ივერიის ლავრა წარმოადგენდა რიცხვ მრავალ ძმათა კრებულს, რომელიც ბერძნულ საისტორიო საღვთისმეტყველო ლიტერატურას სთარგმნიდა და ავრცელებდა საქართველოში. ამას გარდა ყოფილა ლავრის მახლობლად ერთგვარი ინტერნატისებური დაწესებულება, სადაც ახალგაზრდა მრავლად უნდა ყოფილიყო. სწავლის დასრულების შემდეგ გადმოდიოდნენ ძმათა კრებულში, რომ ისინიც ჩაბმულიყვნენ საგანმანათლებლო მოღვაწეობაში. ამას გვაფიქრებინებს გიორგი მთაწმინდელის ექსკურსიები მოწაფეებით, რომელიც ათონს მიჰყვანდა.

ექვთიმე მთაწმინდელი შვილი ბყო ტაოკლარჯეთის მეფის დავით კურაპალატის მხედართ მთავართ უხუცესის იოანესი. მამა განსაკუთრებული ყურადღებით ჰზრდიდა ექვთიმეს და ამზადებდა ქართველ მწერლად. მაგრამ მომავალი ქართველი მწერალი ისე გაიტაცა ბერძნულმა მწერლობამ, რომ მთლად გადავიდა ბერძნულ კულტურაზე, ასე, რომ ქართული აღარ ემარჯვებოდა. მამას სწყინდა, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. ექვთიმე ერთი მძიმე ავადმყოფობის შემდეგ სულიერად გარდაიქმნა, მოჰკიდა ხელი ქართული ენის შესწავლას და ისე დაწინაურდა ქართულში, რომ სამაგალითო მწერალი დადგა, როგორც მთარგმნელი და მთხზველი სხვა და სხვა საისტო-

რიო და საღვთისმეტყველო წიგნისა. ექვთიმეს თავმოყვარეობა და მტკიცე ნებისყოფა, რამაც შეასწავლა ქართული, მისი ცხოვრების აღმწერელმა სასწაულის ნაყოფად აქცია. ვითომც მძიმე ავადმყოფობის დროს სიზმარში გამოეცხადა ღვთისმშობელი და უთხრა, ექვთიმე, ადეგ და ქართულად ენა ხწნილად ილაპარაკეო. სასწაულები ამ გვარად ითხზებოდა აგიოგრაფთა მიერ. ექვთიმე, როგორც მმართველი ათონის ივერიის ლავრისა, მკაცრი იყო, რის გამოც საჩივრებიც კი იგზავნებოდა კონსტანტინოპოლს, მაგრამ ექვთიმე მართალი გამოდიოდა. ბოლოს მეგობრების რჩევით ივერიის ლავრის გამგეობას თავი გაანება და მწერლობას მოჰკიდა ხელი. მისი მწერლობის ნაყოფიერებას ამტკიცებს ის ორმოცდათორმეტი სხვა და სხვა ნაწერი, რომელმაც მოაწია ჩვენამდე.

გიორგი მთაწმინდელი პატარაობისას იზრდებოდა თავის დასთან ერთად თრიალეთის ერთ ერთ დედათა მონასტერში, ხოლო მასუკან გადასულა ხახულის მონასტერში სასწავლელად. უმაღლესი სწავლა მიუღია კონსტანტინოპოლში. გიორგი პოლიტიკური მოღვაწეც კი არის, არა თუ მწერალი და პედაგოგი — მუსიკის მასწავლებელი. საქართველოს ეკლესიამ დამოუკიდებლობა უფრო იმისი შემწეობით მოიპოვა. ათონის ივერიის ლავრის მართვა გამგეობა ექვთიმეს შემდეგ იმას ებარა, მაგრამ მალე დასტოვა ლავრის წინამძღვრობა და მწერლობას შეუდგა. მისი ნაწერ-ნათარგმნი ჯერჯერობით აღმოჩენილია ჩვიდმეტამდე. გიორგი მთაწმინდელი ნამდვილი მზრუნველი იყო ობოლთა და საწყალთათვის. სასწავლო ჰქონდა გახსნილი, სადაც პირველად ოთხმოცამდე მოწაფე ითვლებოდა. ბევრი შვილის პატრონი მშობლები სასყიდელს არ იხდიდნენ. თავიანთ შვილთა სწავლებისათვის. სასწავლოს დანიშნულება იყო, მომავალი მთარგმნელები აღეზარდა. სასწავლო ბერძნული ტიპის იყო და მოსწავლენი, სხვათა შორის, გალობასაც სწავლობდნენ, როგორც ქართულს, ისევე ბერძნულს. ამას გარდა გიორგის მიჰყვანდა ობლები აღსაზრდელად საბერძნეთს და სწორედ ერთი ასეთი ექსკურსიის დროს გამოესალმა წუთისოფელსა, მაგრამ მოასწრო დაწერა წერილისა, რომლითაც სთხოვდა ბიზანტიის კეისარს ობლების დაბინავებას მთაწმინდის მონასტერში და მათ აღზრდას, რაც კეისრისაგან ებრძანა პროტონოტარს აღსასრულებლად.

სხვათა შორის ექვთიმე და გიორგი მთაწმინდელები შეუდგნენ ბერძნულისაგან ხელახლა თარგმნას, თუ ბერძნულთან შედარებას სახა-

რებისას, რადგანაც ეგულებოდათ ძველ სახარებაში სომხური მწვალებლობის ღვარძლი. საქართველო საბერძნეთის ეკლესიის ორთოდოქსიას — მართლმადიდებლობას, ხალკიდონის მსოფლიო კრების მიერ დაკანონებულს, თავიდანვე, ე. ი. მეშვიდე საუკუნიდანვე შეუდგა, მაგრამ საეკლესიო პრაკტიკით ჯერ დაახლოებული არ იყო ბერძნის ეკლესიასთან. ამის გამო ბერძნების თვალში ქართველები ითვლებოდნენ, როგორც ერეტიკოსები, ანუ მწვალებლები. მთაწმინდელი მოღვაწეები საგონებელში იყვნენ ეგრეთვე მის გამო, რომ პოლიტიკურად მაშინდელ კვალობაზე საკმაოდ ძლიერი საქართველო ეკლესიებრივ ქვემდებარე იყო, ე. ი. ეხელქვეითებოდა ანტიოქიის პატრიარქს. როცა დაუმტკიცეს, თანახმად ბერძნული საბუთებისა, რომ ივერიაში ქრისტიანობა მოციქულებმა იქადაგეს, ქართული სახარება ბერძნულის კვალობაზე იყო გამართული და საქართველოს ეკლესია სეფისკვერს ჰხმარობდა მფუანს და არა ხმიადს, როგორც სომხეთის ეკლესია, მხოლოდ მაშინ მოიპოვეს ეკლესიის ავტოკეფალია, ე. ი. თავის თავადობა.

პეტრიწონის მონასტრის ძმობა უფრო სამეცნიერო მოღვაწეობას ბისდეედა. მათი სწავლის საგანი იყო ახალ პლატონიანთ ფილოსოფია, რომელიც პირველად ალექსანდრიაში დაარსდა და რომლისაც მიმდევრები პლატონ ფილოსოფოსის იდეებში მისტიურ იდეებს ურევდნენ. მონასტრის ძმათა შორის ბრწყინავდა თავისი მსწავლულობით იოანე პეტრიწი, გათქმული ეგრეთვე პირქიმელობით, რომელმაც სთარგმნა ქართულად ახალ პლატონიანი ფილოსოფოსის ნემესიოს თხზულება ბუნებისათვის კაცისა, ნეოპლატონიზმის ისტორიისთვის მქონე დედნის მნიშვნელობისა. სახელწოდებას პეტრიწს ჰხსნიან ორნაირად. პირქიმელს ბერად შედგომამდე ჰქონია პატრიკის, ანუ პატრიცის სახელწოდებაო, სხვების აზრით კი პეტრიწი შეჰრქმევია ქ. პეტრიჩის ახლოს ბულგარეთში პეტრიწონის მონასტრისაგან, სადაც იოანე პირქიმელი მოღვაწეობდა.

როგორც ათონის ივერიის ლავრის, ისევე პეტრიწონის მონასტრის ძმათა შორის ყოფილან ზოგიერთები ტომით რუსები, რომელთაც კარგად სცნობიათ ქართული მწერლობა და კულტურა. ე. კირიონის და სხვათა აზრით, ამით თუ აიხსნება ის, რომ ნესტორის მატიანის ვლადიმირის მოქცევის მოთხრობას და სლაურ ანბანს, ზოგჯერ გუმბათებსაც, ეგრეთვე ქართლის ცხოვრების მირიანის მოქცე-

ვის მოთხრობას, ხუცურ ანბანს და ქართულ გუმბათს მსგავსება ეტყობათ.

თ ა ვ ი IV

§ 16. პირველი ხოტბა, ანუ ქება დაიწერა პროზად. მისი ავტორია არსენ იყალთოელი, ხოლო ქების საგანი დავით აღმაშენებელი. დავითის მამა გიორგი სუსტი მმართველი იყო, ასე, რომ ურჩი ფეოდალების წინააღმდეგ ვერაფერს გამხდარიყო. თითქმის გაერთიანებულ საქართველოს — კახეთის სამეფო ჯერ კიდევ განზე იდგა — საფრთხე მოელოდა, როგორც გარეშე მტერთაგან, ისე შინაგანი არეულობით, რასაც ხშირად აქეზებდა ბიზანტიელთ და თურქარაბთ მოცილეობა საქართველოში თავიანთი გავლენის დასამყარებლად. ამბობენ, დავით სათავეში ჩაუდგა მეფის მოწინააღმდეგეთა დასს, ტახტზე ჩამოაგდო თავისი მამა, რომელიც ბერად შედგა, და თვითონ გამეფდაო. თავზარი დასცა და განამტკიცა ერთხელმწიფება, რომელიც ასე საჭირო იყო ქვეყნისათვის. მეისტორიენი ყველანი თანახმანი არიან, რომ ქართველი ხალხის ნამდვილ პოლიტიკურ კულტურულ ეკონომიური ძლიერება შეიქმნა დავითის დროს. ვინც მოსპო ბაღდადის ხალიფას ზეხელმწიფება საქართველოზე და ტფილისი დაუბრუნა ქართველ ხალხს, ვინც მატიანის თქმით, ბრძენ იყო ცნობით, უბრძნეს გამორჩევით, მაღალ უმაღლესთათვის და მდაბალ მდაბალთათვის, ვინც გასდო ხიდები სასტიკ ხევებზე, ძნელად სავალი გზები ქვაფენილ ჰყო და ვის დროსაც იყო სახელო ხაბუოთა სჯა, საჭურჭლეთა შემოსვლა, შემცოდეთა წყალობით წვრთნა და მოჩივართა მართალი გამოძიება, ისეთი კაცის მოღვაწეობა საქები უნდა გამხდარიყო და პირველი მისი მეხოტბე გამოვიდა მისივე თანამედროვე არსენ იყალთოელი. ქება მით არის შესანიშნავი, რომ ავტორს დავით აღმაშენებელი შეუდარებია მსოფლიო ისტორიის სახელოვან გმირთათვის. ეს გარემოება კი იმას გვიჩვენებს, რომ არსენ განათლებული კაცი ყოფილა და მკითხველი საზოგადოებაც იმდენად მომზადებული, რომ ეპითეტები, რომლითაც ავტორს თავისი გმირი შეუმკია, საზოგადოებისათვის გაუგებარი არ ყოფილა.

ხოტბას მიეცა სოციალ პოლიტიკური მნიშვნელობა განსაკუთრებით მაშინ, როცა იქცა პოეზიის ერთგვარ დარგად. ლექსად შე-

ქება გამოჩენილ მოღვაწეთა, მეცნიერების და ხელოვნების მფარველთა ჯერ კიდევ ძველ ელადსა და რომში იცოდნენ, მაგრამ რაკი ხოტბა არაბული სიტყვაა, შესაძლებელია, არაბულ სპარსულ ხოტბით პოეზიასაც რაიმე გავლენა ჰქონოდეს. ერთხელმწიფებას უპოვეს ღვთაებრიობის იდეა, მაშასადამე ვინც იქმნებოდა ერთხელმწიფების მატარებელი, ხელშეუხებელი უნდა ყოფილიყო, როგორც ღვთისცხებული. ურიასტანიდან ასეთი იდეა გადმოვიდა ბიზანტიაში, საიდანაც მერმე ფეხი მოიკიდა საქართველოშიაც. ყველაფერი ეს მოგონილ იქმნა ფეოდალთ ასალაგმავად და მართალი უნდა ითქვას, იმ დროს კაცი გაბედული უნდა ყოფილიყო, რომ ექადაგებინა ურჩ და ძლიერ ფეოდალთათვის ერთხელმწიფებისადმი მორჩილება. ორი ხოტბა გვაქვს იმდროინდელი აბდულ მესია **იოანე შავთელის** და **თამარიანი ჩახრუხაძისა.** იოანე **შავთელი, აბდულ მესიის** ავტორი აღმოსავლეთის შავი მთიდან უნდა ყოფილიყო, კაცი მეტად განსწავლული საისტორიო საღვთისმეტყველო მეცნიერებაში. მისი ხოტბა წარმოადგენს მაღალი აღნაქვსით დაწერილ ოცმარცვლოვან ლექსთა წყობას, რომლის ტაეპისაც მეხუთე და მეათე მარცვალი, ეგრეთვე იმავ და შემდეგი ტაეპის უკანასკნელი მარცვლები ირითმება. აბდულ მესია არაბული სიტყვა არის და ითარგმნება მონა მესიისა. ქების საგანი იხსენიება ეგრეთვე, როგორც მხედარი მესიისა, მაშასადამე ყოველად შეუძლებელია ქალი იყვეს შექებული. აკად. ნ. მარის მოსაზრებით აბდულ მესიად იგულისხმება დავით აღმაშენებელი. პოეტს დავით აღმაშენებელი დაუხასიათებია, როგორც მაღალი ზნეობის და გონების კაცი, რაზმთა მწყობელი, ერთგული მეუღლე, ქვრივობოლთ შემბრალე, სწავლა განათლების დარაჯი, შეუქია მისი თვალტანადობა, დარბაზი ფიქლით შეძერწილი და ძვირფასი თვლებით მოჭიქული, ბურთის ოდენი მარგალიტებით სავსე ზარდახჩები. ასეთი სრული დახასიათება გმირისა ხანდახან მეისტორიესაც არ მოეპოება. პოეტს უსიტყველი გულის თქმა მოერია, ენა დაეება, ამის გამო სთხოვდა, რომ ხოტბა, რომელიც შესაფერად ვერ უძღვნა, ისე შეეწირა, როგორც წვლილი.

ჩახრუხაძის თამარიანი რამდენიმე ხოტბის კრებულია, შესაძლებელია, სხვადასხვა ავტორისაც, მაგრამ ხოტბის საგანი თამარია. ლექსთა წყობა აქაც ოც მარცვლოვანია, აბდულ მესიისებური, თუმცა ერთი ხოტბა ურევია თექვსმეტ მარცვლოვანი ლექსად დაწერილი, რომელიც შესდგება მთლად სახელსართებისაგან. თამარ მეფის

მართვა გამგეობის დროს დაშურებული ბრწყინვალებით იფეთქა ქართველი ხალხის პოლიტიკურ კულტურულ ეკონომიურმა ძლიერებამ, რომელიც თანდათან უნდა მოდუნებულიყო და ბოლოს სულ მოსპობილიყო, რადგანაც ის ძლიერება იყო წინაპართ ნაამაგდარი, ახალი ენერგია კი იმ ძლიერების გამგრძობი სახელმწიფოებრიეი ცხოვრების არც ერთ დარგში არ მოიპოებოდა. სახელმწიფოებრივ ცხოვრებას ფეოდალთა გახრწნილების მიზეზით წყალი შესდგომოდა, რამაც იჩინა თავი თამარის ქალ-ვაჟის დროს. მართალია, ყველაფერი, რაც ძველი კულტურის დარჩენილა, ტაძარი, ციხე დარბაზი, თუ სხვა რამ თამარის სახელს ატარებს, მაგრამ მისი მიზეზია, თამარის სიკვდილის შემდეგ, მუღალთა რამდენჯერმე შემოსევით დატრიალებული კატასტროფიული უბედურება, რომელმაც ყველაფერი დავიყწებას მისცა სადიდხნოდ, ასე, რომ თამარის სახელიღა დარჩენილა დღეს ხალხის მეხსიერებაში იმ ძველ ეპოქათა ბრწყინვალების მოსაგონებლად. იოანე შავთელის არ იყვეს, ჩახრუხაძეც მაღალი აღნაქვსის მოტრფიალეა და განსწავლული საისტორიო საღეთისმეტყველო მეცნიერებაში. თამარის არა თუ თანამედროვე, მეტიც არის. ეგონა, მის დანახვაზე სამოთხის ხესთან იყო. ღონე ილონა, მაგრამ თვალი ვერ შეადგა მის შუქს და მოერიდა. მისი გული თავისად მიაჩრდა, მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა, თავზარი დაეცემოდა, რის გამოც სიცოცხლე გასცუდებოდა. აქ უკვე მოსჩანს მიჯნურობის ტრფობა, რომელიც გამქვალული ჰქონია. მისი თქმით თამარ თუმცა მიწიერი ნაყოფი იყო, სისრულით ეტლთა ასულიყო. არა თუ ღვთის დარი, არამედ ღვთად საგონებელი იყო. დახარკულ ძტერთაგან ოქროს იძღვნიდა ის, ვისაც იპატრონებდა კლდის ვეფხი და შამპის ლომი. გაელენა იმდენად დიდი ჰ ონდა, რომ თათბირის დროს ვეზირებს ძალას აძლევდა და დიდ მხედრობას წინ უძღოდა. ორთავ ხოტბას დიდი მნიშვნელობა აქვს. მათი ტექსტი აღადგინა და მეცნიერულად გამოიკვლია აკად. ნ. მარმა. მისი თქმით ეროიც და მეორეც ფას დაუდებელია ქართველი ხალხის სოციალ პოლიტიკური ცხოვრების და ნივთიერი კულტურის ისტორიის გასაშუქებლად.

§ 17. **მოხე ხონელის** თქმული ამირან დარეჯანიანი საგმირო მოთხრობა არის პროზად დაწერილი და შეიცავს ამირან დარეჯანის ძის თავგადასავალს. ვეფხის ტყაოსნის ბოლოს ნათქვამია, ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსაო. ვინაობა ავტორისა არ უწ-

ყით, ხოლო რაც შეეხება ფსეედონიმს ხონელს, გადაკრით მაინც ვერ ვიტყვით ავტორის იმერლობას, რადგანაც მესხეთშიაც არის სოფელი ხონა. ყოველ შემთხვევაში მოსე ხონელი დიდ მწერლად ჰყოლია მიჩნეული იმ ხანის ავტორს, რომელსაც სარგის თმოგველის, შავთელის და რუსთველის წრეში მოსე ხონელიც მოუთავსებია. ხსენებული ხანის არსებობა ჰმოწმობს საერთო პატივისცემას, რომელიც ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს მოსე ხონელის მიმართ. მართალია **ვეფხის ტაყაოსანიც, ამირან დარეჯანიანიც** ორივე საგმირო მოთხრობა არის, მაგრამ განსხვავება მათ შორის დიდია, მათი სხვა და სხვანაირი ფორმაც რომ არ ჩავაგდოთ სათვალავში. მაშინ როცა რუსთველს კარგად ესმის თუ, რა მნიშვნელობა აქვს შემოქმედებისთვის ენას, გულს და ხელოვნებას და ჩინებულადაც აკმაყოფილებს ხსენებულ მოთხოვნილებას, მოსე ხონელს ან არ სცოდნია რა ასეთი მოთხოვნილებისა, ან ვერ შესძლებია, რომ ნიჭით და განჭვრეტით ამაღლებულიყო ისეთ შემოქმედებამდე, რომელსაც ამშვენებს სამივე თვისება. **ვეფხის ტყაოსანს** მით ჩამოგაცს **ამირან დარეჯანიანი,** რომ ამირან დარეჯანის ძის მოქმედების ასპარეზი ისევე, როგორც ტარიელისა, გადატანილია უცხო მაჰმადიან სახელმწიფოში, ანუ ეხლანდელ ერაყში. რამდენადაც მოსე ხონელის ამირანს გაცლილი აქვს საქრისტიანო ელფერი, იმდენად სახალხო ამირანს ასეთი ელფერი ამჩნევია. თუმც ერთიც და მეორეც ნაყოფია პირველი სამაჰმადიანო, ხოლო მეორე საქრისტიანო კულტურის გავლენისა, თავისთავად კი ამირანის თქმულება ძირითადად ქართულია, როგორც განმარტებული გვაქვს (§ 2).

მოსე ხონელი თავისს **ამირან დარეჯანიანს** უწოდებს **საკაცობო და სამხედრო ამბავს,** რომელიც ნაკრთომია ქართველი ხალხის ცხოვრებისა ზღაპრად თქმული და პატრონყმობა—ერთხელმწიფების პატივისცემით აღბეჭდილი ისევე, როგორც **ვეფხის ტყაოსანი,** მაგრამ ერთ იდეა გამჭვალული ამბის მთლიანობა არ უჩანს და უფრო წარმოადგენს სამხედრო ამბავს ამა, თუ იმ გმირისას, თითქმის ერთგვარად აღწერილს. ასე, რომ კმარა, კაცმა წაიკითხოს ერთი ამბავი განსაკუთრებით ფალავანთ ბრძოლისა, რომ იქონიოს წარმოდგენა ამბავის და ენის აღნაქვსის ეითარებისა. მიმზიდველი რომანული სეიეეტი, დრამატიზმი, ხასიათების შეხლა, რაიც ამკობს **ვეფხის ტყაოსანს,** არ მოეპოება ამირან დარეჯანიანს, რომელიც, სიმართლე უნდა ითქვას, ჩინებული სადანასიტყვი ენით არის დაწერილი, უფ-

რო ადვილით, ვიდრე **ვისრამიანის** ენა არის. უმთავრესი გმირია ამირან დარეჯანის ძე, სვანური თქმულებით დალის ძე, რომელსაც მზარს უმშვენებენ ფალავნობით სეფე დაელე დარისპანიძე და მზე ჭაბუკი. მათი გმირობის მაგალითებს ამირანის ყმა სავარსამიძე თორმეტ ამბად უამბობს ინდოეთის აბესალომ მეფესა. სავარსამიძე თან ახლავს ამირანს და მის თანაფალავნებს ყოველი ლაშქრობის დროს. პატრონყმობა — ერთხელმწიფეების გარდა ამირან დარეჯანის ძის და მის თანაფალავანთ მოქმედებას ახასიათებს ეგრეთვე სატრფოსთვის ბრძოლა. ისეთი მეტამორფოზებით არის აპრელებული ბრძოლა, რომ **ვეფხის ტყაოსნის** მდევებს და ქაჯებს გადააკარბებს. მაგალითად მფრინველი კაცად იქცევა, კაცი მფრინველად. ბრძოლაში მონაწილეობს სპილენძის კაცი, ეგრეთვე ლომკაცი, რომელიც ტანად ლომია, ხოლო პირისახე კაცისა აქვს. ქურციკიც კი, რომელსაც აბესალომ მეფე გამოუდგება მოსაკლავად, უცნაური ნადირია. ოქროსფერი რქები, შაეშავი თვალი და ეკლიკი. თეთრი მუცელი და წითელი ზურგი აქვს. ორიგინალობა **ამირან დარეჯანიანისა** აშკარადა სჩანს არა მარტო იქ, რომ ზოგჯერ ქართულ ხალხურ თქმულებასაც ემყარება, არამედ იმითაც, რომ მრავალი ნაკრთომია ქართველი ხალხის ზნე ჩვეულებისა. მაგ. მზე ჭაბუკ დაქორწინებულ იქმნა გვირგვინის დადგმით, ხოლო მისი სიკვდილის გამო დიდი ტირილი გაჰმართეს და გლოვის ნიშნად შაეი ჩაიცვეს. **ამირან დარეჯანიანი**, როგორც ხელოვნური ნაწარმოები, გაცილებით უფრო დაბლა დგას, ვიდრე **ვეფხის ტყაოსანი**, ვიდრე თვით ხალხური ამირანის თქმულება, რადგანაც უკანასკნელს ახასიათებს, როგორც მაგ. ამირანის მისწრაფება, რომ მშრომელი ხალხისთვის ეშმია რძიანი პური ნაცვლად სისხლიანი პურისა, რომელსაც შქამდა.

§ 18. **შოთა რუსთველის** (1169 — 1245) **ვეფხის ტყაოსანი** ლოგიკურად გაგრძელება არის ხოტბითი პოეზიისა, რადგანაც თამარის საქებრად არის დაწერილი და ერთ ხელმწიფებას და მის ღვთაებრიობას აღიარებს. ამას ცხადჰყოფს თავგადასავალი, რომელსაც ტარიელ მოუყვა ავთანდილს, რა უთხრა, როსტევანის მოკვლაც მინდო

როგორც უმსგავსო სინტაქსურად გატყლარჭული. მას გარდა უმაღ-ლესი არსების ვითარება მეორე ხანაში უფრო პოეტურად და უფ-რო სადად არის გამოთქმული.

ვეფხის ტყაოსანი საგმირო მოთხრობა არის, დიდი ეპოპეა, რომ-ლისაც უმთავრეს გმირს ტარიელს ვეფხვის ტყავი აცვია. პოეტი მიჰმართავს უმაღლეს არსებას, როგორც ერთს, და სთხოვს მფარვე-ლობას. მეხოტბე პოეტები შავთელი და ჩახრუხაძე კი ღმერთს, რო-გორც სამპიროვანს მიჰმართავენ, ე. ი. ქრისტიანულად განსაზღვრუ-ლსა. მაგრამ ამ გვარი მიმართვა შეურაცხჰყოფდა გრძნობას მუსლი-მანობისას, რომელსაც აღიარებენ ვეფხის ტყაოსნის გმირები, და პოეტმა ღმერთი ახსენა ერთობით და არა სამპიროვანი.

პოემის შესავალში ორჯერ არის მოხსენებული, რომ რუს-თველს თამარ უქია. პოეტი არ ჰმალავს, რომ თამარის ტრფობაცა აქვს. ამასგარდა თვით პოემაში თამარიანის ბევრი ტაეპია შეტანი-ლი და არც თამარიანის ავტორი ჩახრუხაძე ჰმალავს, რომ იგიც მოტრფიალეა თამარისა. აი ამის გამო დაიბადა აზრი, ვითომც ჩახ-რეხაძე და რუსთველი ერთი და იგივე პიროვნება იყვეს, მაგრამ რუსთველ ჩახრუხაძის ერთი და იგივეობის საკითხი ისევ საკითხად დგას.

წინასიტყვაობის მეექვსე ხანაში **პოეტი გვეუბნება, მათ სამთა გმირთა მნათობთა სჯირთ ერთმანერთის მონებაო,** მაგრამ წინა ხანებ-ში მათ სახელებს არსად იხსენიებს. იმავ მეექვსე ხანაში კი ტარიელს ასსენებს და **შემდეგ** მეშვიდე ხანაში **მოგვიწვევს, მო, დავსხდეთ ტარიელისთვისაო.** ცხადია, უნდა აკლდეს ის ხანა, სადაც სამთავ გმირთა სახელები იქმნებოდა მოხსენებული.

შემდეგ მიჯნურობის, შაირობის, ამბის წარმოშობის და სატრ-ფოსადმი პოეტის განწყობილების ტაეპები ეგრეთვე არეულია და ყველაფერი იმას ჰმოწმობს, რომ წინასიტყვაობა, რომელიც შეი-ცავს რამდენიმე საკითხს, საერთოდ დაულაგებელია და უნდა წარ-მოადგენდეს ზოგიერთი ახალი ხანის ჩართვით საჩქაროდ აღდგენილ ტექსტს, რომელიც დაღუპული ყოფილა.

მიჯნურობა განსაზღვრულია, როგორც **ტომი გვართა ზენათა,** როგორც **საქმე ხაზეო,** მაშასადამე მიჯნურობა, ანუ სიყვარული ორი ლამაზი სულის კავშირი ყოფილა, როგორც ნ. ბარათაშვილი იტ-ყვის, და უკვდავი. ასეთ შეხედულებას თვით პოემაც ეთანხმება. ნესტან სწერს ტარიელს, თავს ნუ მოიკლავ, და თუ საქაოს ვერ

ვნახავთ ერთმანერთს, საიქიოს შევიყრებითო. პოეტი გვაფრთხილებს. მიჯნურობა და სიძეა ერთმანერთში არ გაურიოთო. აქ საქმე გვაქვს უკვე სიყვარულის რომანტიულ განსაზღვრასთან, ანუ რომანტიზმთან. მაგრამ რუსთველი ხომ უფრო ადრე სცხოვრებდა, ვიდრე მეჩვიდმეტე საუკუნე, როცა რომანტიზმი შემოვიდა ევროპულ მწერლობაში. მაშასადამე ვეფხის ტყაოსნის რომანტიზმი აზიური ყოფილა და შემოსულა საქართველოში არაბული კულტურის გზით, რადგანაც მიჯნური, საიდანაც წარმოსდგა მიჯნურობა, და შმაგი ორნივ არაბული სინონიმი სიტყვებია. მიჯნურს, სხვათა შორის, ჰმართებს თვალად სიტურფე და სიყმე. უნდა იყვეს ამაყი ასე, რომ დასთმოს წყრომა მეფეთაგან, სიყვარულს არ იმჩნევდეს და გული ერთს დააჯეროს.

შაორობას რუსთველი ისე უცქერის, როგორც სიბრძნის ერთ დარგს. როგორც შინაარსით, ისევე ფორმით შაირობა სიღმრთო უნდა იყვეს, ე. ი. დიადი. მართალია მოშაირე, პოეტის აზრით, ის არის. ვინც გრძელ რასმე დასწერს, მაგრამ სხვა გვარი მელექსეობაც მოსწონს. მეორე გვარი მელექსე შეადარა ყმაწვილს, რომელსაც ხელობათა აქვს პატარა ნადირის ხოცვა, მესამე გვარი მელექსე სწერს სანადიმო, სამღერელ, საშიკო, სალალობო, ამხანაგთა სათრეველ ლექსებს. ისინიც კარგია, თუ ნათლად არის თქმულიო, დასძენს. ენა გული და ხელოვნება მიაჩნია პოეტს უმთავრეს თუობად, რომ ლექსი ტკბილი და გულის გასაგმირალი იყვეს. განსაკუთრებით ენის ცოდნა ისეთი უნდა ჰქონდეს მოშაირეს, რომ ხელ მარჯვედ სცემდეს ჩოგანსა, ლექსმა ლევა არ დაუწყოს, არ ჰქმნას სიტყვა მცირობა.

პოეტი თავის ვინაობას გვიმალავს და თავისთავს რუსთველს უწოდებს. შოთა სახელი უნდა გაჩენილიყო ჯერ იმის გავლენით, რომ ქართლის ცხოვრება რუსუდანის მეფობის აღწერაში იხსენიებს შოთა კუპრსა, მერმე მეჩვიდმეტე საუკუნის ტრადიციით. არჩილ პოეტის ლექსებში მოხსენებულია, რომ შოთას გაულექსავს სპარსული ჟორი, რასაც შოთას მაძაგებელნი უწოდებდნენ ვეფხის ტყაოსნის ამბავსა. იმავ არჩილის ლექსებში, იგივე მაძაგებელნი ამბობდნენ, ვეფხის ტყაოსანი დაწერილია მძიმე ჯავახური ენით. მაშასადამე ბოლოს მინაწერი რომ გვაუწყებს, ვსწერ ვინმე მესხი მელექსეო, ეს ტაეპი რუსთველის ნათქვამად ჰქონიათ მიჩნეული. მესხი და ჯავახი ხომ ერთი და იგივეა. ეხლა ჰფიქრობენ, შოთა რუსთველი ჰერეთიდან იყოო. სულ უკანასკნელ ხანს შოთა რუსთველის რა-

ქველობამაც კი წამოჰყო თავი. ილიანის მთქმელ ჰომიროს იჩემებდა ელადის ყოველი თემი. რუსთველსაც ასე დაემართა. განათლებულ მუსლიმან ქართველებს კიდევ რუსთველი არათუ მესხი, არამედ მუსლიმანიც კი ჰგონიათ, უთუოდ იმის მიხედვით, რომ პოემის ხალხი მუსლიმანია.

წინასიტყვაობაში არის ეგრეთვე ერთი ხანა, რომელიც შეიცავს ვეფხის ტყაოსნის სადაურობის საკითხსა. პოეტს უპოვნია სპარსული ტმბავი ქართულად ნათარგმანები. ისე მოსწონებია თვით ამბავი, რომ ორბოლ ხელისხელ საგოგმანებელ მარგალიტად მიუჩნევია, ხოლო მერმე ლექსად გადაუთქვამს. ასეთი აღსარება მართლიც რომ იყვეს, მაშინაც თავისუფალი შემოქმედების ნაყოფად უნდა ჩაითვალოს ვეფხის ტყაოსანი, რადგანაც სარომანო ფაბულის სესხება პოეტს არ ეძრახვის. შექსპირის დრამა არა ერთია ნასესხები ფაბულით დაწერილი, მაგრამ კრიტიკას ნაკლად არ ჩაუთვლია. აქ სულ სხვა საქმეა. ვეფხის ტყაოსანი ნაკრთომია ქართველი ხალხის სოციალ პოლიტიკური ცხოვრებისა და რაკი პოეტს არ ჰსურდა, რომ თავი ეცნო მაშინდელ საზოგადოებას, ფაბულა გადაუტანია სამაჰმადიანო არაბეთ ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში, შეუთხზავს უცხონი ამბავნი უცხოთა ხელმწიფეთანი. მარგამ ღონე ვერ შესწევს პოეტის ქადილსა. თინათინის დაგვირგვინება ქრისტიანურ ბიზანტიური წესით აუწერია, პოეტი დამსწრეა ზოგიერთი ეპიზოდის, როგორც მაგ. როსტევანის და ავთანდილის ნადირობისა, და მისი გმირები თუმცა მაჰმადიანები არიან, ღვინოს ქრისტიანებზე უფრო შეექცევიან.

§ 19. ვეფხის ტყაოსანს შეადგენს ორი რომანი, ერთია არაბეთის, ხოლო მეორე ინდოეთის, რომლისაც მოქმედებას დასასრული აქვს ფანტასტიურ ქაჯეთში. რომანებს ამკობს ეპიზოდები, რომელთაც მოქმედება სწარმოებს გულანშაროს და მულღაზანზარის ქვეყნებში. პირველშია შეყრა ფატმან დიდ ვაჭრის ცოლის და ავთანდილისა, ეგრეთვე ნესტანის ჩავარდნა ჯერ ფატმანის, მერმე მელიქ სურხავ მეფის ხელში, ხოლო მეორეშია შეხვედრა ტარიელის და ავთანდილისა ფრიდონთან. ძირითადია ინდოეთის რომანი, რომლისაც უმთავრესი გმირები არიან ფარსადან მეფე, ეგრეთვე მისი ქალი ნესტან და ამირბარი ტარიელ, ნესტანის მიჯნური. არაბეთის რომანი ხელოვნურად გაჩენილია ერთგვარ ღონედ, რომ გამოხსნილიყო ნესტან ტარიელის მიჯნურობის ნასკვი. არაბეთის რომანის გმირებია არაბთ მეფე როსტევან, ეგრეთვე მისი ქალი თინათინ და სპასპეტი

ავთანდილ, თინათინის მიჯნური. როგორც როსტევან, ისევე ფარსადან დიდი საქმისთვის მოიწვევენ ვეზირებს სათათბიროდ, თუმცა თავიანთი გადაწყვეტილება მიღებული აქვთ. ასე მოიქცა როსტევან, როცა სიბერის გამო გადასწყვიტა გადადგომა და თინათინის გამოცხადება არაბთ ხელმწიფედ, და ფარსადან, როცა გადასწყვიტა, ნესტანის გახელმწიფების შემდეგ, ხვარაზმშას მოყვანა მისთვის მეუღლედ. მაშასადამე ორნივე მმართველნი სიცოცხლეშივე მემკვიდრეებს ამოირჩევენ, რომ მათი სიკვდილის შემდეგ ტახტისთვის ცილობას ადგილი აღარ ექმნეს. შესანიშნავია, რომ ორთავე შემთხვევაში ქალები ინიშნებიან მემკვიდრედ, მაგრამ არა იმისთვის, რომ ქალები არიან და მათ მამებს ვაჟები არ ჰყვანან. არა, ორნივე სწორედ სამეფოდ იყვნენ მომზადებულნი. ნესტან აღუზრდია დავარ მაშიდას, ხოლო თინათინის მართვაგამგეობის ცოდნას თვით ვეზირები ადასტურებენ, რა მოახსენებენ მეფეს, **არ გათნევთ, იცის მეფობა, უთქვენოდ გვითქვამს კვლავ დია.** მაშასადამე **ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია** ნათქვამი არის უფრო როსტევან მეფის ქათინაურად და სრულებით არ ჰხატავს ქალვაჟთა მარტივ თანასწორუფლებიანობას, აქაო და რაკი მეფის შვილია, კიდეც უნდა იქმნეს მეფედაო. საქმის, ამ შემთხვევაში ქვეყნის მართვა გამგეობის ცოდნა იყო ქალვაჟთ გამათანასწორებელი. ქვეყნის მმართველის იდეალი გამოიხატა იმ სიტყვით, რომელიც როსტევანმა წარმოსთქვა საჯაროდ თინათინის დასარიგებლად მისი გახელმწიფების დღეს. იმ სიტყვის თანახმად სახელმწიფოს მართვა გამგეობა უნდა ემყარებოდეს სიუხვეს და თანასწორობას. გამართლება ორთავე იდეას ბუნებაში აქვს. მზე თანასწორად მოეფინება ვარდსა და ნეხვსა. ისევე ქვეყნის მმართველი დიდსა და პატარას წყალობას არ უნდა აკლებდეს. "გულუხვი ახსნილს დაბამს, ე. ი. გაიერთგულებს. გულუხვობა ხელმწიფებას ამშვენებს, როგორც ალვის ხე ბაღსა და არც საზარალოა, რადგანაც გაცემული სიუხვე უკანვე დაუბრუნდება, როგორც ზღვას მდინარე, რომელსაც ასაზრდოებს. გულუხვობა ისევე შესარგია, როგორც საკმელ სასმელი. მათი დება არ ვარგა, მაშასადამე რაც გაიცემა, არ დაიკარგება.

თუმცა როსტევან და ფარსადან მაჰმადიანები არიან, არა სჩანს მათი მრავალცოლიანობა. როსტევან ქერივია, ხოლო ფარსადან ერთი ცოლის პატრონი. მიუხედავად ამისა ქალები მაინც ცალკე საქალებოში სცხოვრებენ და დარბაზში გამოდიან ზეიმის დროს ხადუშთ

ამალა ხლებული. ფარსადანმა ნესტანს ცალკე დარბაზი აუგო საცხოვრებლად, ხოლო თინათინ ცალკე სცხოვრებდა და როცა ნადირობიდან დაბრუნებული მამის ნახვა მოუნდა, მივიდა და ჰკითხა მეკარეს, ძილია, თუ ღვიძილიო. დაუკითხავად შეილი არ შედის მამის ოთახში. მოკრძალებაც ასეთი უნდა! პოემის გმირები აღზრდით ქალები არ ჩამოჰრჩებიან ვაჟებსა. ნესტანის განათლებას ჰმოწმობს მისი წერილები, ეგრეთვე ის გარმოება, რომ შთამომავლობით ინდოელი ქალი მცოდნეა არაბული ენისა, ასე, რომ სჯულის წიგნი მუსაფი (ყურანი) გაშლით მდებარე აქვს სასთუნალზე. თინათინ იმდენად განათლებულია, რომ მამას განუმარტებს შეწუხებული გულის დასაშოშმინებლად, ბედს ნუ ემდური, განგება ტკბილად მხედია, კეთილის შემოქმედია და ბოროტს არ შეჰქმნიდა, მაშასადამე ის მოყმე, რომელსაც მონები დაუხოცნია შენთვის ნადირობის დროს, ხორციელი, ხმელთა მვლელია და კაცი გაჰგზავნე მისი ამბის შესატყობადო. ტარიელ თვითონ მოუთხრობს ავთანდილს, სასწავლელად ბრძენ ხალხს მიმცესო. ანდერძი, რომელიც ავთანდილმა შერმადინს ჩააბარა როსტევან მეფისთვის გადასაცემად ტარიელთან წასასვლელად გაპარვის წინ, ცხად ჰყოფს ავთანდილის მაღალ განათლებას. პლატონის ფილოსოფია უსწავლია თუმცა ისიც ისევე უწვერული ახალგაზდა არის, როგორც ტარიელ. მაშასადამე ახალთაობის გონების განვითარებას ადრითვე შესდგომიან. მათი მშობლები. ავთანდილის აზრით სწავლა განათლება იმისთვის არის საჭირო, რომ მაღალი იდეალები განახორციელოს კაცმა ცხოვრებაში. მით ვისწავებით, მოგვეცეს შერთვა ზესი მწყობრთა წყობისაო, ამბობს იგი. ერთი ასეთი მაღალი იდეალი მისთვის მეგობრობა, რასაც თავგამოდებით ემსახურება. ამას მოჰყვება გმირთა აღზრდის ზნეობრივ სარწმუნოებრივი მხარე. თინათინმა იცის, რომ კეთილის და ბოროტის შეთავსება, მით უმეტეს კეთილი დასაბამისაგან ბოროტის წარმოშობა შეუძლებელია, ხეს ტახ კიდევ მართლმორწმუნე მუსლიმანი და რჯულის წიგნს ყურანს ჰკითხულობს, მისი სიწმინდე იმდენად სწამს, რომ ტარიელის ერთგულებას არ დარწმუნდება, სანამ ტარიელ არ დაიფიცავს ყურანსა ავთანდილ გაპარვის წინ მიზგითში ილოცავს, რა ალიარებს უფლებათა უფალს, უცნაურს და უთქმელსა. როგორც მორწმუნე ევედრება, ღამით მავსე განარინოს, ხოლო თუ ცოცხალი დარჩა, მსხვეპლი შეესწიროს. ანდერძით ხომ სულიც შეავედრა როსტევან მეფეს

ალბად ეხადა, რაც დაწესებულიყო. ესთეტიური აღზრდა აუცილებელი უნდა ყოფილიყო ახალთაობისათვის, რასაც კარგად ადასტურებს ვითარება ავთანდილისა, რომელიც ჩანგის კარგი დამკვრელია, მომღერალი კიდევ უკეთესი, ასე, რომ მისი სიმღერის ყურის დასაგდებად თავს იყრიან ფრინველები და ბუნების სხვა წარმომადგენლები. სამამაცო ზნეთა სწავლა, არა სჩანს, თუ იყო ქალთათვისაც სავალდებულო, მაგრამ ვაჟების აღზრდას უიმისოდ აზრი არ ჰქონდა. როსტევან მეფის საწუხარი ის იყო, რომ თვითონ გათქმული მშვილდოსან მობურთალი იყო და მას შემდეგ აღარავინ რჩებოდა მისი ბადალი. ამის გამო ვეზირებსაც კი ასმინა, კაცი არ არის ჩემს საბრძანებელში, **რომე მას ჩემგან ესწავლნეს სამამაცონი ზნენია,** ხოლო ავთანდილ ცოტასა შემწევსო. მაგრამ ავთანდილმა ნადირობის დროს სანაძლეო მოუგო მოჭადულ მეფეს და დაუმტკიცა, რომ თუ არ მეტი, არც ის იყო ნაკლები მშვილდოსანი. კარგი არის ნავთა ბრძოლაში, რითაც თავი ისახელა, როცა ვაჭრებს გამოეჭომაგა და შეება მეკობრეებს. ტარიელ კიდევ საოცარი მშვილდოსანია. ლომს კატასავით ნადირობს, მასთანვე სახელოვანი მეომარია. ხატაეთი დ:იპყრო და ნათესავებისაგან დაჩაგრულ ფრიდონს ძმური დახმარება აღმოუჩინა მათთან შებმითა. კერძოდ ფრიდონიც ჩინებული მშვილდოსანი და ჯამბაზია. თოკზე ისევე ადვილად გაივლის, როგორც ველსა.

§ 20. მიჯნური მოვალე იყო სატრფოს დავალებით საგმირო საქმე ჩაედინა. თინათინმა ავთანდილს დაავალა უცხო მოყმის პოვნა, რაც შეასრულა ავთანდილმა, ხოლო ნესტანმა ტარიელს დაავალა ორი საგმირო საქმე. პირველი იყო დაპყრობა ხატაეთისა, რომელიც ინდოეთს ხარკს აღარ აძლევდა, მეორე იყო თავის საქმროს ხვარაზმშას მოკვლა, ორივე დავალება პოლიტიკური ხასიათისა, რაიც ტარიელმა შეასრულა, მაგრამ უკანასკნელი დავალების შესრულებას მოჰყვა ის, რომ ნაცემი ნესტან ზანგებს მისცა დავარ მამიდამ გადასაკარგავად, ხოლო ტარიელ გადაიხვეწა, რა გაიყოლა აღმზრდელი ასმათ. ტარიელის არ იყვეს, ავთანდილიც კაცის მკვლელია, კიდეი მეტი, იმავ დროს სატრფოს მოლალატეც არის. იგი იყო ძმად ფიცი ტარიელისა, რომლისთვისაც სიტყვა ჰქონდა მიცემული, რომ უსათუოდ იპოვნიდა მის სატრფოს ნესტანსა. ნესტანის ძებნაში როცა იყო, შესვდა გულანშაროს ფატმან ქალს, რომელმაც იცოდა ნესტან დარეჯანის ამბავი. გულშეყრდნილი ფატმან უარზე დაუდგა

ავთანდილს, ვიდრე არ დაიყოლია, მაგრამ საყვარელმა ჩაჩნაგირმა შეისწრო ავთანდილთან ლაღობაში და რომ არც თვითონ და არც ავთანდილ არ დაღუპულიყვნენ, ფატმანმა ურჩია საყვარლის მოკვლა ავთანდილს, რომელმაც არათუ მოჰკლა ჩაჩნაგირი, არამედ ჯერ ჩაასაკლავა ორი მისი მხლებელი და მერმე ბეჭდიანი' თითი მოაჭრა და მოუტანა საბუთად. ასე მოიქცა ავთანდილ, რომ საქმე არ გახმაურებულიყო და ჩაჩნაგირთან ფატმანის კავშირის კვალი წარხოცილიყო. ფატმან თუმცა ასეთია, ნესტანისათვის დედის უმჯობესი დედა გამოდგა. ნესტან რომ ხელში ჩაეგდო, მისი მომგვრელი მენავე ზანგებიც კი ამოახოცვინა თავის კაცებს. უვლიდა, როგორც თვალის ჩინს, მაგრამ მეტ ხანს მისი დამალვა რომ შეუძლებელი შეიქნა, თავისს ქმარს უსენს საიდუმლო გაანდო ფიცით, რომ მელიქ სურხავ მეფისთვის არაფერი ეთქვა ნესტანისა. მეფის სუფრაზე გამობრუჟულ უსენს კი, რაც გულში ჰქონდა, ენაზე მოადგა და გასცა საიდუმლო. მელიქ სურხავმა დაიბარა ნესტან. შორმხედველმა ფატმანმა უარი ვერ გაუბედა მეფეს, რომელსაც ნესტან უნდოდა საცოლოდ თავისი ვაჟისთვის, და ნესტანს გაატანა აუარებელი თვალმარგალიტი, სხვათა შორის, ერთობილი ლალის გვირგვინიც. ხოლო როცა ნესტანმა დაჰქრთამა იმ თვალმარგალიტით მეფის ხადუმები — მოახლე ქალები, მათთან ერთად გაიპარა ქათებურად ჩაცმული და ისევ ფატმანს მიაშურა, მაგრამ ფატმანმა ვერ მიიღო შიშით, მეფეს არ აეკლო და სამაგიეროდ გამოუყვანა საუკეთესო ცხენი, ზედ შესვა და გაისტუმრა. ნესტან არა თუ ანგარიშიანი და მაჯანყებელი, არამედ უშიშარი რაინდიც იყო. მას შემდეგაც არ შეუწყვეტია ფატმანს ურთიერთობა ნესტანთან, რომელიც ქაჯეთის დულარ დედოფლის მეკობრეებმა დაატყვევეს გზად მიმავალი და თავიანთ დედოფალს არმაღლანად მიართვეს. ავთანდილის ამბავი ქაჯის ხელით აცნობა ქაჯეთის ციხეში მყოფ ნესტანსა.

პოეტი გვეუბნება, ნესტანს ასპიტის (შხამიანი გველია) თვალები ჰქონდაო. რა კი აღმოსავლეთში გველი სიბრძნის ნიშანია, ნესტან უნდა წარმოვიდგინოთ არა ჩვეულებრივ ქალად, რომელიც გრძნობა ჭარბი, გულის ამყოლია, არამედ ვაჟთა კატეგორიის ქალად, რომელიც გონების დამკითხველია, ვიდრე რამ გზას დაადგებოდეს. ასეთი თვისება მოსჩანს ყოველ მის მოქმედებაში. როგორც მელიქ სურხავ მეფისას, ისევე ქაჯეთის დულარ დედოფლისას ყოფნის დროს, მისი რძლად მოკიდება მოინდომეს, მაგრამ ნეს-

ტან წუთითაც არ შერყეულა. მაგ. როცა დულარ დედოფალმა უბრძანა, ტყვე ახდები ტახტსა, ბედგმის თავს გვირგვინი მნათობარიო, ნესტანმა მიუგო, ყოველი კაცთა დიდება ჩემთვის არს მოსაწყენია, ცრემლია ჩემი ნუგეში და ჩემი მოსალხენია. მტკიცე იყო მისი ნება, მისი საწამებელი. თუ ამ ქვეყნად არა, საიქიოს მაინც შეეხვდებოდა თავისს მიჯნურსა. ასმათ ქალი ერთგული და აღმზრდელია, როგორც ნესტანის, ისე ტარიელისა, მათი შუამავალი, მათი შემახვედრებელი და წიგნის მიმტან მომტანი, ერთი სიტყვით მათ ორთავ მფარველი და კეთილი სული. დამახასიათებელია სცენა მის და ავთანდილის შორის. ავთანდილს უარი უთხრა, ვერ გეტყვი, ვინ მკვიდრობს ამ ქვაბშიო. მაშინ ავთანდილს ბრაზი მოერია და მახვილით მოკვლა დაუპირა. მაგრამ ასმათმა მოახერხა, რა ეთქვა პასუხად. ჩემი მოკვლითაც ვერაფერს გაეხდები, რადგანაც მთხრობელი აღარავინ გეყოლებაო. მაშინ ავთანდილმა მიჯნურობით შეაბრალა თავი. ასმათმა მხოლოდ მას შემდეგ უამბო ტარიელის ამბავი და დაეპირდა გაცნობებას. ქვაბში დაემალა ავთანდილ და როცა ტარიელ დაბრუნდა, სიტყვა ჩამოუგდო მეგობრობაზე, სამეგობრო კაცი რომ გიძოვნო, აღმითქვი, არაფერი დაუშაო იმასაო. როცა სიტყვა ჩამოართვა, მხოლოდ მაშინ გამოიყვანა დამალული ავთანდილ და წარუდგინა ტარიელს, რომელმაც შეიტკბო.

ავთანდილ წინდახედული კაცია. თუმცა ღონე შესწევს, მაგრამ ხშირად ხერხს ამჯობინებს. მეორედ წასვლას რომ აპირებდა ტარიელთან, მაშინ ვეზირის დაქრთამვას მიეჰმართა, მაგრამ ბოლოს იძულებული გახდა გაპარულიყო. გულანშაროსაც, სადაც იცოდა ტყვექალვაჟთა დიდი ვაჭრობა, ვაჭრულად ჩაცმული წავიდა და კაცებმა ფატმანსაც ისე მოახსენეს, ვიღაც ლამაზი ვაჟი მოსულა ვაჭრულად ჩაცმულიო. ქაჯეთის ციხის საიერიშო თათბირის დროსაც, ტარიელს და ფრიდონს განუცხადა, ვაჭრულად ჩაცმული შევიპარები და სისხლის რუს ვადენო. თუმცა ჰგრძნობს თავის საოცარ სილამაზეს, რასაც ყველა შესტრფის, ჩვეულებად არა აქვს, თავი იქოს თავისი სილამაზით, გაგვიმეღავნოს, რა გვარად მოქმედებს სხვაზე მისი მშვენიერება. ტარიელ უმთავრესი გმირია, იგია მხოლოდ ვეფხის ტყაოსანი და პოეტისთვის ყველაზე უფრო საყვარელი. კიდეც ჰგრძნობს თავის სილამაზეს, კიდეც ისწრაფვის, გვიამბოს თუ, სხვებს როგორ მოეწონა, როგორ გაუხარდათ მოსვლა მისი ტურფის და ლამაზისა, როგორ შვენოდა ფერმიხდილი ვარდი, ცრე-

მლით ნაბანი და ვინც უქვრეტდა, როგორ იბნიდებოდა. ტარიელ თუმცა ასეთი არის, გულმაგარია, როგორც სალიკლდე და არ უყვარს ანგარიშიანობა. მისი გეზი ყოველთვის პირდაპირია. ხატაეთის დაპყრობაში, ხვარაზმშას მოკვლაში და ქაჯეთის ციხის აღებაში ხანი არ დაუყოვნებია. მაგრამ ორ პირველ საქმეს აკეთებს ნესტანის ჩაგონებით. პოლიტიკური ტეროორი ნესტანმა უკარნახა ტარიელს. მხოლოდ მაშინ მიხედა ტარიელ, რომ ხვარაზმშას შესვლა ზედ სიძედ ინდოეთს დაღუპავდა, რადგანაც სპარსელები მოჰყვებოდენ და ინდოეთს ჭამას დაუწყებდენ, მაშინ, როცა ინდოეთი მათ ორთავ სამშობლო იყო. ზოგიერთები სისუსტედ უთვლიან ტარიელს, რომ თათბირს დაესწრო და ნესტანის დედმამას ხვარაზმშა უქო, როგორც სასიძო. პირველი ამ აზრის იყო თვით ნესტან, რომელიც მოლბა და დაუტკბა კიდეც, როცა ფიცით დაამტკიცებინა ტარიელს ერთგულება, მაგრამ თვალთა ხედვა ისევ უცვლელია. ტარიელ დაესწრო თათბირს არა როგორც კერძო კაცი, თუნდაც მათი გვარიშვილი, არამედ როგორც ამირსპარსალარი და ამირბარი და როგორ შეიძლებოდა დაეწუნებინა სასიძო, როცა ფარსადანს და მის მეუღლეს უკვე დაესკვნათ ხვარაზმშას ქმრად მოყვანა ნესტანისთვის და თანახმა არ გამხდარიყო მეფის გარდაწვეტილებისა. ისეთი საქციელი ერთგვარი გმირობაც იყო. სიყვარულის არ დაჩნევას მიჯნურობის წესი მოითხოვდა, ხოლო როცა ჟამი მოიწია, მეფის წყრომაც დასთმო ტარიელმა, როგორც იგივ მიჯნურობა მოითხოვდა.

§ 21. ვეფხის ტყაოსნის ხალხის სარწმუნოება ისლამია, რაიც განგებაზე მინდობას ჰნიშნავს და რასაც გმირთა ცხოვრებაში დიდი ადგილი უპირავს. მაგრამ აქაოდა გმირები ისლამის წესების მიმდევარი არიანო, შეუძლებელია, ვიფიქროთ, რომ თვით პოეტიც მართლმორწმუნე მუსლიმანი იყვეს, პირიქით დასცინის კიდეც სასულიერო პირებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ამა, თუ იმ წესის შესრულებით შეიძლება ადამიანის გვამიდან ბოროტი სულის განძევება. მაგალითად, როცა ტარიელს ნესტანის ტრფობისაგან ბნედა და ბოდვა დასჩემდა, ნესტანის დედმამამ იფიქრეს, მაენე თუ ჩაუძვრა პირშიო და მოიყვანეს მუყრ-მულიმები, რომელნიც მუსაფს (ყურანს) უკითხავდნენ მწოლარე ტარიელს ყველანი გულუბრყვილოდ დარწმუნებულნი, რომ ყურნის კითხვა გასჭრიდა. ისლამთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული შეხედულება ბედის წერაზე, ე. ი. გმი-

რები, როგორც მუსლიმანები, უნდა მინდობილ ყოფილიყვნენ განგებაზე, გულხელ დაკრეფილნი და რაც, ესე ვსთქვათ, შუბლზე ეწერათ, ის გადაჰხდებოდათ და ისევე იქმნებოდა იმათი ბედის წერაც. მაგრამ ასე როდია. არა თუ გულ ხელდაკრეფილნი არ მინდობიან განგებას, პირიქით შავბედს ებრძვიან და ჭირში ქვიტკირივით გამაკრებულან. ასე ვსთქვათ, რასაც ბრძოლით სწევიან, ის გამხდარა მათი ბედის წერაც. **მაშინ ლხინი ამო არის, რა გადიხდის კაცი ჭირსაო,** ნათქვამია. ნამდვილი მამაცობა ჭირთა გაძლება, მასთან ბრძოლა არის, ხოლო გაჭირების დროს თავის მოკვლა სულმოკლეობა. **ვეფხის ტყაოსანი** შავბედთან მედგარ ბრძოლას ურჩევს კაცსა, აფხიზლებს, რომ სულით არ დაეცეს.

ვეფხის ტყაოსნის სიბრძნე უფსკრულია. ჯერ კიდევ პირველი ანტონ კათალიკოზი ამბობდა, **ვეფხის ტყაოსანი** სიბრძნის ტბა არისო, თუმცა ამაო შრომად სთვლიდა. მაგრამ ეს სიბრძნე უადგილოდ ჩართული კი არ არის, როგორც ერთგვარი სამოძღვრებელი მასალა, არამედ გამომდინარეობს გმირის მოქმედებისაგან. როცა, მაგალითად, ტარიელ ებრძოდა ხატაეთის მეფეს რამაზ ხანს, უკანასკნელი სცდილობდა მოტყუებით შეპყრობას ტარიელისას, მაგრამ რამაზ ხანის ამალის ერთი წევრი, რომელიც ტარიელის მამის სარიდან მეფის ნაამაგდარი ყოფილიყო, ჩუმად მივიდა და უთხრა ტარიელს, მამიშენისაგან სიკეთე მახსოვს და თავს გაუფრთხილდი, რაზაზ ხანს არ ენდოო. ამაზე არის ნათქვამი, **კარგი საქმე კაცსა ზედა აზომ თურე არ წახდებაო.** როცა ნადირობის შემდეგ ავთანდილ პერანგის ამარა იჯდა თავის საწოლში და ჩანგს უკრავდა, თინათინის ზანგი მონა მოვიდა და უთხრა, თინათინ გიბარებსო. ავთანდილს გაუხარდა. ამაზე არის ნათქვამი, **ამოა ჭვრეტა ტურფისა, სიახლე სიყვარულისაო.**

ვეფხის ტყაოსნის ლექსთა წყობა შაირსიტყვითია, ე. ი. ყოველ ტაეპში თექვსმეტი მარცვალია, მარცვალთა ხევა კიდევ ხან ოთხოთხი, ხან კიდევ ხუთი და სამია. ხშირად ტაეპი შესდგება ერთი მთავარი წინადადებისაგან და თუ სადმეა დამატებითი წინადადება, ე. ი. ტაეპს, ან ხანას იწყებს რომელი, ის ტაეპი და ის ხანა უნდა იყვეს უთუოდ ყალბი. აი, ამის მიხედვით **ვეფხის ტყაოსნის** წინასიტყვაობის პირველი ხანა მთლად ყალბია. მისი სამი ტაეპი წარმოადგენს დამატებით განმსაზღვრელ წინადადებას, ხოლო მთავარი წინადადება, რაზედაც ჰკიდია სამი წინა ტაეპი, მეოთხე ტაეპად

არის მოქცეული, ასე, რომ მრთელი ხანა წარმოადგენს ერთს პერიოდს, მაშინ როცა, რუსთველის ხანა ძლიერ ხშირად შეიცავს ოთხ მთავარ წინადადებას, ისევე, როგორც ტაეპი, სადაც ძლიერ ხშირია ერთი მთავარი წინადადება. შაირ სიტყვით ვინ შემოიღო პირველად ლექსთა წერა, არ ვიცით. მართალია ხალხურ საგმირო ეპოსს უფრო შაირი ახასიათებს, მაგრამ შეიძლებოდა წიგნის გზითაც გავრცელებულიყო. ძველი დაწერილი შაირია, ისიც რვა რვა მარცვლოვან ტაეპად დაყოფილი ვსრეთ წოდებული ნუზლა საყდრის ლექსი (სოფ. ნარი), რომელიც 1324 წელს ეკუთვნის და მოგვითხრობს ოს ქართველთ შეტაკებას, ოსთა დამარცხებით გათავებულს. კედლის ლექსს ძეგლის ხასიათი აქვს, ირითმება. ანი და არი ხმები, იწყება ასე: **ჩვენ ვიყავით ცხრანი ძმანი ჩარჯონიძე ჭარხიხილანი.** შაირი ვეფხის ტყაოსანში იხმარება ლექსის აზრით. რაკი რუსთველს შაირს თექვსმეტი მარცვალი აქვს, შესაძლოა, მას შემდეგ დაჰრქმეოდეს შაირი თექვსმეტ მარცვლოვან ლექსთა წყობასა.

§ 22. ფანტასტიური ელემენტი ყოველ ზღაპარს თან ახლავს. ვეფხის ტყაოსანიც ზღაპარია, როგორც მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეთა მწერლები იტყოდნენ, სპარსული ჟორი, რომელიც ავტორს ქართულად ნათარგმნი უპოვია, თუ თვალის ასახვევად არ ამბობს, როგორც ზემოთ ვსთქვით, და გაულექსავს. პოემა ზღაპრის ფანტასტიურ ელემენტს, სხვათა შორის, შეადგენენ მდევები და ქაჯები. არა სჩანს, თუ მდევები მრავალთაეიანები არიან ისე, როგორც ხალხურ ზღაპრებშია. მდევები დასდასად სცხოვრებენ გამოქვაბულებში და მოეპოვებათ ძვირფასი საუნჯე, საკურკლე, რომელიც ბლომად წაართვა ტარიელმა, როცა შეება. ქაჯების ვითარება მოსჩანს იმ განმარტებაში, რომელიც ფატმანმა მისცა ავთანდილს. მისი სიტყვით, ქაჯები კრებულად სცხოვრებენ, გრძნეული ხალხია. უჩინრად მიდიმოდიან, კაცს ავნებენ, თვითონ კი ვერავისგან ივნებიან. ვინც შეებმის, დაბრმავებულ დაწყლულებული წამოვა. საკვირველ საქმეს სჩადიან. საშინელ ქარს ამოაგდებენ, ნავს ზღვაზღვა დაამხობენ, როგორც ხმელეთს გაირბენენ, წყალს წმინდად დაამრობენ. დღეს აბნელებენ, ბნელს ანათებენ. მოლ წამოსსხმულნი ბანი ბანს გადაფრინდებიან. თითქოს პოეტი ფატმანის პირით, როგორც შეუგნებელი შემოქმედი, წინასწარეტყველებდეს ტეხნიკის განვითარებას, რამაც იჩინა თავი დიდი ომების დროს. ლექსად გადათქმა რომ ვეფხის ტყაოსანში თავისუფალ შემოქმედ-

ბად გადაქცეულა, ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ შიგ შეტანილია ქართული ზღაპრის მოტივები. ზღაპრის მზეთ უნახავები მდევებს და ქაჯებს ჰყვანან ტყვედ ცხრა კლიტულ ციხეში. ნესტანიც ქაჯეთის ციხეშია. მის გამოსახსნელად ტარიელ, ავთანდილ და ფრიდონ იერიშით აიღებენ ციხესა. როცა ყამარ ქალი გაჰყვა ამირანსა, ქალის მამას ქაჯთ ბატონს და ამირანს ბრძოლა მოუხდათ. რაკი ამირანი სცემდა ხმალს ქაჯთბატონის მუზარადსა, ყამარმა უსაყვედურა ამირანს, **რა უთხრა, ამირან ცოლ დედა ბოზო, ომი ვერ იცი კილოსა, ზევით რასა სცემ სპილოსა, ქვევით შემოჰკარ რბილოსაო.** დამარცხებული ქაჯთ ბატონი სიკვდილის წინ ეტყვის თავის ქალს ყამარსა, **აი შე კახპა ყამარავ, კურო ირჩიე მამასაო.** მკვდარი ამირანის სისხლს წრუწუნა სვამდა. ყამარ ქალმა ფეხთ გაიხადა ფლოსტი, ესროლა და მოჰკლა წრუწუნა. დედა თაგვი გამოვარდა და ყამარ ქალს შეუკურთხა, **მეტი რა მოგეთხოვება, კურო ირჩიე მამასაო.** ასეთივე კილოა ვეფხის ტყაოსანშიაც. როცა ტარიელმა თავის სატრფო ნესტანის საქმრო მოჰკლა, ნესტანის მამა გაუჯავრდა თავის დას დავარს, როგორც ნესტანის აღმზრდელსა, **მათ ბოზ-კუროთა ასეთი რა მისცეს, რა უქადესაო.** დავარ კიდევ მოსდგა ნესტანს, **ბოზო, შენ ბოზო, რად მოჰკალ; როსკიპო, ბოზო, დიაცო, ქმარი რად მოაკვლევინეო.** ფატმან როცა მოუყვება ავთანდილს მელიქ სურხავის სახლიდან ნესტანის გაპარვის ამბავსა, დაბოლოს დასძენს, **დარჩა მთვარე გავსებული გველისაგან ჩაუნთქელიო.** ხოლო მეკობრეთა მიერ ნესტანის შეპყრობისათვის ანიშნებს იმავ ავთანდილსა, **რა საბრალოა გავსილი მთვარე, ჩანთქული გველისაო.** ზღაპრებშიაც ასეა. გველი მთვარეს გადაპყლაპავს, ვეშაპი კი მზესა. მთვარისა და მზის დაბნელება ხალხს ძველად ასე აუხსნია.

§ 23. ზღაპრული მოტივების გარდა ვეფხის ტყაოსანშია ეგრეთვე საისტორიო ანალოგიის ნასახები, რომელიც პირველად აღმოაჩინა პროფ. დავით ჩუბინაშვილმა. აი როგორ. გიორგი მეფემ თავის სიცოცხლეშივე გაახელმწიფა თავისი ერთად ერთი ასული თამარ. მერმე მოჰგვარა ქმრად ყიჟჩაყთა ქვეყნიდან რუსეთის მთავრის ანდრია ბოგოლიუბსკის ძმის სავალთის ძე გიორგი რუსი, რომელიც სამი წლის შემდეგ განდევნილ იქმნა საქართველოდან უშვილობის და უზნეობისათვის. თამარმა მეორედ იქორწინა დავით სოსლანზე, რომ სრულებით უძეოდ არ გადასულიყო. თამარს და დავით სოსლანს სიყვარული გამოჰყოლოდათ ქვრივი რუსუდან დე-

დოფლის, თამარის მამიდის დარბაზიდანვე, სადაც ერთად შეზრდილიყვნენ. ამ ამბავს მოჰყვა სამოქალაქო ომი, რადგანაც ქართველობა ორ ბანაკად გაიყო და ერთი მათგანი სახელდობრ იმერეთის თავადაზნაურობა ემხრობოდა გიორგი რუსსა. დავით სოსლანის გამარჯვებით დასრულდა ბრძოლა, რომელსაც ჰქონდა ეროვნულ პოლიტიკური ხასიათი.

ამ საისტორიო ამბის მსგავსება ამნაირად გამოჰკრთის ვეფხის ტყაოსანში. ინდოეთის მეფეს ძე არ ჰყვანდა. შვილობილად და მემკვიდრედ აიყვანა ინდოეთის ერთი ნაწილის მეფის სარიდანის ვაჟი ტარიელ, როგორც შორეული ნათესავი. მაგრამ მერმე შეეძინა ქალი ნესტან, როცა ტარიელ ხუთი წლის იყო. ორივენი მეფემ აღსაზრდელად მიაბარა თავისს დას დავარს, რომელიც ქვრივობის გამო დაბრუნებულიყო ქაჯეთიდან, სადაც დედოფლად იყო. თექვსმეტი წლის ტარიელ უკვე ეხმარებოდა ფარსადან მეფეს ქვეყნის გაძგეობაში, როგორც ამირბარი. ნესტანს და ტარიელს გამოჰყოლოდათ სიყვარული, როგორც თანშეზრდილებსა. ფარსადანმა ნესტან გაახელმწიფა სიცოცხლეშივე და ხვარაზმშას ზედ სიძედ მოწვევის თათბირზე ტარიელიც დაესწრო, სადაც გადაწყდა კიდეც ეს საქმე. ნესტანს არ ენახა, მაშასადამე არც უყვარდა ხვარაზმშა, იცოდა კი, რომ მისი ზედ სიძობა ძვირად დაუჯდებოდა ინდოეთს და ამის გამო არწმუნებდა ტარიელს, ეგე ამბად არ ეგების, რომე სპარსნი დაგვიხასდენ, ე. ი. გაგვიბატონდენო. ამისათვის კიდეც უბრძანა, რა მოვიდეს სიძე მოჰკალ, ჰკადრე თუ, სპარსთა ვერა ვიქმ ინდოეთისა ჭამასა, ჩემია მკვიდრი მამული არ მივსცემ არცა დრამასაო. ტარიელ დარწმუნდა. საკორწილოდ მოსული ხვარაზმშა მოჰკლა და გადაიხვეწა, ხოლო დავარმა გულს დანა დაიცა და მოჰკვდა, რომ ძმისაგან არ მოკლულიყო.

რადგანაც თამარის ცხოვრებაში მისი გახელმწიფება დიდ მნიშვნელოვანი ამბავი იყო, პოეტმა ერთგვარი დრამატიული ღონე იხმარა და თამარის პიროვნება გააორა და გახელმწიფებისთვის გამოიყვანა თინათინად. იმავ ღონით მის მიჯნურად შეჰქმნა ავთანდილ, რომელიც ისე საპირო შეიქნა დრამის ნასკვის გამოსახსნელად. ეხლა ვინ იტყვის ფარსადან მეფე არ იყვეს გიორგი, ნესტან — თამარ. ტარელ — დავით სოსლანი, რომელიც შორეული ნათესავი იყო თამარის მამის ისევე, როგორც ტარიელ ფარსადანისა, ქვრივი მამიდა რუსუდან — ქვრივი მამიდა დავარ, რომელიც ეგებ გვითხრობ-

დეს, დაი ვარო. თუ ნესტანმა უბრძანა ტარიელს ხვარაზმშას მოკვლა, მისივე ტრაგიზმის და პოლიტიკური მისწრაფების ბრალი იყო. ხვარაზმშას ზედსიძობა ინდოეთისათვის დამღუპველი იქმნებოდა, სპარსელები მოჰყვებოდენ, გაბატონდებოდენ და ჰამას დაუწყებდენ ინდოეთს. ნესტან ხვარაზმშას მოკვლას სთვლიდა მართალი სამართლის ქმნად. ასე რომ პოლიტიკურ იდეალს, მშობელი ხალხის, მშობელი ქვეყნის ბედნიერების იდეას სიყვარულის უმაღლეს აყენებდა, როცა სწადდა თავისი ბედი გადაეწყვიტა. გულის თქმის ზღვამ ვერ ჩაუნთქა სიბრძნე, სულ ხორცის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდა და რა დასთრგუნა ხორცის ნდომა, საგმირო საქმედ გამოიწვია თავისი მიჯნური ტარიელ. პოეტს შეეძლო ასეთი სულისკვეთება ეპოვა იმ ჟამისთვის, როცა სიკვდილ სიცოცხლის ბრძოლა იყო გამართული გიორგი რუსის და დავით სოსლანის და ვათ მომხრე ქართველთა შორის.

§ 24. ფეოდალიზმის ეპოქის საზოგადოება ისეთი არ ყოფილა, როგორსაც დღეს ვხედავთ. ფეოდალთ განცხრომა ფუფუნებით ცხოვრებას ასულდგმულებდა ყველფა გაძვალტყავებული მონებისა, რომელნიც ასაღებ მისაცემი გამხდარიყვნენ, როგორც სავაჭრო ფართალი. დღევანდელ საზოგადოებას კი ამოძრავებს კაპიტალიზმი, რომლისაც უღელქვეშ იზნიქება პროლეტარიატი, მაგრამ კაპიტალის წინააღმდეგ იბრძვის კომუნიზმი, რომელსაც ქვეყნიერების მეექვსედი ნაწილი მოუქცევია თავისი გავლენის სფეროში. მაშასადამე ვეფხის ტყაოსანი, რომელიც გვიხატავს XII — XIII საუკუნის რაინდფეოდალთ ცხოვრებას, არ უნდა შეიცავდეს სოციალ იდეათა განვითარებას ისეთს, როგორიც შეეფერება დღევანდლ მომენტსა. რუსთველი, როგორც გენია, ადამიანურ ცხოვრებას მისწრაფების საგნად უსახავდა სიტურფის, სიკეთის და სიმართლის იდეალებსა, რაიც იმ დროსვე იყო მისივ სულისკვეთება, რომელიც ჩვენთვის პოეტიურ ფიგურად ჩამოუყალიბებია. ამის გამო დაჰგმო კიდეც მონების ინსტიტუტი, როგორც ბატონთ ძალმომრეობის ნაყოფი, და ავთანდილის პირით ამცნო მათ მონათა განთავისუფლება. მონებთან ერთად იყვნენ გლახაკნი, რომელთათვისაც უნდა გაენაწილებინათ საჴურჴლე, ე. ი. ჭონება; იყვნენ ეგრეთვე ობლები და არასმქონები, რომელიც უნდა დაემდიდრებინათ. მონები, გლახაკები, ობლები და არასმქონები მაშინდელი საზოგადოების დაჩაგრული ნა-

წილი იყო, ფეოდალთა საპურპლის შესაქმნელად მრავალჯერ და. მაშვრალი, ვისთვისაც ხმის ამოღება, ვისი ბედისთვისაც ზრუნვა უწმინდეს მოვალეობად უნდა გადაჰქცეოდა საზოგადოების ყოველ შეგნებულ წევრსა. საზოგადოებრივი მოღვაწეობის დარგი იყო ეგრეთვე ხიდების გადება და ხანაგების, ე. ი. სამადლო სახლების აგება. აი ასეთი სულისკვეთება ამოძრავებდა ავთანდილს, როცა, გაპარვის წინ ტარიელთან წასასვლელად, როსტევან მეფისთვის გადასაცემად ანდერძი დაუგდო შერმადინს, თავის მეგობარს და თანაშემწესა.

ჩვენ გაცნობილი გვაქვს ავთანდილისვე შეხედულება სწავლაზე. როგორც თვითონ ამბობს, ფილოსოფოსთა ცოდნაზე. კაცი, რომელიც სწავლა განათლებას უცქერის ისე, როგორც ერთგვარ იარაღს მაღალი იდეალების განსახორციელებლად, ეგოიზმით არ გამოსთქვამდა თავისს სურვილებს, რომ სიკვდილის შემდეგ მისი სახელი უკვდავი ყოფილიყო, როგორც კეთილად მოსახსენებელი. მართალია, ავთანდილ ამბობს, მომიგონებენ, დამლოცვენო, მაგრამ, თუ გნებავთ, ეს იქნებოდა შედეგი მისი ქველმოქმედებითი მოღვაწეობის და არა მიზანი. თითქმის ასევე უცქერის ტარიელ ცოდნას და ხელოვნებას. როცა ავთანდილ მიუგზავნა როსტევან მეფეს დასათხოვნელად, სხვათა შორის, უთვლიდა, მტრებსა აქვთ ჩემი სამეფოო და ის მტერნი იყვნენ უცებნი, ე. ი. უმეცარნი, რომელთაც, ტარიელის ფიქრით, მოსპობდა მცოდნეთა ცოდნა და ხელოვნება. მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის ბედნიერებისთვის ზრუნვა ხომ ნესტანს გადაქცევია უდიდეს გრძნობად, რის გასამარჯვებლადაც ყოველი ღონე მისაღები ჰგონია თვით სისხლის აღებაც კი. ამის გამო სცდილობს, იგივე გრძნობა გაუღვიძოს თავისს მეჯნურს ტარიელს, რომელიც დაუყოვნებლივ მიემხრობა, ასე, რომ მაშინ როცა ნესტან მოაგონებს ხვარზმშას მოსაკლავად წასვლას, სათაკილოდაც კი მიიჩნევს, რა იტყვის, ქალი ომსა რაგვარ მაწვევს, ისე ვითა დავძაბუნდიო.

ვეფხის ტყაოსანი უკვდავია თავისი სოციალ-პოლიტიკური იდეით, რომელიც ავტორს განუვითარებია საოცარი დრამატიული ხლართით. ვისრამიანის, აბდულ მესიის, თამარიანის და ამირანდარეჯანიანის პარალელების ქონება ხელს არ უშლის პოემის ორიგინალო-

ბას, რომელიც ბენიის იშვიათ შემოქმედებას გვიხატავს საუკეთესო საკაცობრიო იდეალების მატარებელსა.

თ ა ვ ი V

§ 25. მარტო ბიზანტიის საკეისროსთვის არ ყოფილა საბედისწერო 1453 წელი, არამედ საქართველოსთვისაც. ბარბაროსმა ოსმალეთმა, რომელმაც იმ წელს დაიპყრო კონსტანტინოპოლი, საქართველოზედაც მოიტანა ცეცხლი და მახვილი. საუკეთესო პროვინციები ჭანეთი და სამცხე (მესხეთჯავახეთი) დაიპირა და შეუდგა ხალხის გამაჰმადიანებას ძალმომრეობით, ხოლო ნაყოფიერი რომ ყოფილიყო მისი მტარვალობა, უწყალოდ ანადგურებდა ყველაფერს ქართულს ხსენებულ ქვეყანაში, რომელიც მანამდე ქართული კულტურის კერად ითვლებოდა. იმ ხანებშივე მუღალთა ბატონობის ნაგრეგებზე კვლავ აღორძინდა სპარსეთი და თავისი იმპერიალისტური პოლიტიკის გავლენა დაამყარა აღმოსავლეთ საქართველოში ქართლისა და კახეთის სამეფოებში. სპარსეთი არ მოქცეულა ველური ოსმალეთივით და თავისი ზეხელმწიფება უფრო მოხერხებულად ჩამოაყალიბა. ქართლისა და კახეთის სამეფოები დასტოვა, მაგრამ მეფეს დაავალა ისლამის აღსარება, რომ მეფის სახელწოდებით დამტკიცებულიყვნენ და თავიანთი მემკვიდრეები კიდევ აღეზარდათ იმავე სარწმუნოების წიაღში. კათალიკოზსაც კი შაინშა ამტკიცებდა. ამ გარემოებას მოჰყვა კარიერიზმი. ზოგიერთი ფეოდალები მაჰმადიანობაზე გადადიოდნენ და მით საქართველოს ჰღალატობდნენ, რადგანაც იმ დროს ქართველობა და ქრისტიანობა ერთ და იმავე ცნებად ითვლებოდა. ამ გვარად ჩამოვარდა მტრობა და შუღლი ძმათა შორის, რომელთაგანაც ზოგი ემხრობოდა სპარსეთის ორიენტაციას, ზოგი კიდევ ჰმტრობდა. მაგრამ მეთექვსმეტე საუკუნიდან მესამე გარეშე ძალაც შეეცადა გავლენის მოპოვებას აღმოსავლეთ საქართველოზე. ძალა იგი იყო საქრისტიანო მოსკოვი. კერძო ხასიათის და შემთხვევით, არა უშუალო დაახლოვება მოხდა XII საუკუნეში, როცა თამარის საქმროდ გიორგი რუსი მოიყვანეს ყივჩაყთა ოქროს ურდოდან, რომელთანაც საქართველო ურთიერთობაში იყო. მაგრამ იმ დაახლოვებას სამი წლის ისტორია ჰქონდა. რუსეთთან ოფიციალი

ურთიერთობის დამჭერი იყო ლევან, კახთ ბატონი (XVI ს.) რომელიც აღზრდილ იყო მოსკოვში და ასი ყაზახის თანხლებით ჩამოსულიყო კახეთს, დავით მეფე დაემარცხებინა და თვითონ გამეფებულიყო. ლევანის მაგალითს მიჰბაძეს შემდეგ ქართლის მეფეებმაც და გაჩაღდა პოლიტიკური შეჯიბრება ოსმალეთ-სპარსეთ-რუსეთს შორის. სამივე სახელმწიფო ერთნაირად დაინტერესებულიყო, რომ თავთავისი გავლენა გაებატონებინათ საქართველოში. ამის გამო მათი წარმომადგენლები, უფრო ხშირად მათი მომხრე ქართველი ფეოდალები აღმოსავლეთ დასავლეთ საქართველოში ამღვრევდნენ წყალს, რომ მათ წამქეზებლებს თევზი ადვილად ეჭირათ. ამ დროს საქართველო იმ გარეშე ძალთა მოცილეობის გავლენით დაქუცმაცებულიყო და მის მიწაწყალზე ითვლებოდა სამი სამეფო (ქართლი, კახეთი და იმერეთი) და ხუთი სამთავრო (სამცხე, აფხაზეთი, გურია, ოდიში და სვანეთი). გარედან მაყურებელი ვერ იფიქრებდა, თუ ჩამოთვლილი ქვეყნების ხალხი სულ ქართველობა იყო. ერთმანერთის ისეთი მტრობა ჰქონდათ ფეოდალებს, რომ შემოსავლიანი „სასწაულმოქმედი" ხატების, მონების, თუ გლეხების წარსატაცებლად და სხვა ეკონომიურ-პოლიტიკური ანგარიშების გასასწორებლად, მებრძოლებს შემოჰყვანდათ უცხო ძალა, რომ მოწინააღმდეგე დაემარცხებინათ. ცხადია, საქმეში ჩარევით უცხო ძალა უფრო მეტს სარგებლობდა. ისეთი გამწვავებული მდგომარეობა იყო, რომ ნათესაობრივი გრძნობაც დაჩლუნგებულიყო. კახეთის ერთმა მეფემ თავისი სიძე ქართლის მეფე რომ დაამარცხა, თავისი დის ნივხაცი დროშად ააფრიალა. ამ გვარი იყო ფეოდალთ გარყვნილება და ზნეობრივი დაცემულება. ამბების ისეთი ლაბირინთო შექმნილიყო, კაცი ვერ გაარჩევდა, ერთი სად იწყებოდა და მეორე სად თავდებოდა, ამბავი ამბავზე გადახლართულიყო ისე, რომ გამოსახსნელი მარყუჟი არსად უჩანდა, მაგრამ, რუსეთის გავლენა რომ ბოლოს და ბოლოს უნდა გამარჯვებული დარჩენილიყო, მისი ნიშნები მრავლად იყო. სამღვდელოებამ ბანი მისცა მეფეთა რუსულ ორიენტაციას და მოიწადინეს დაახლოვება რუსეთის ეკლესიასთან. იმ დროს, როცა ქართველი მეფეები მოსკოვის მეფეებს ქამხა ატლასს და სხვა აღმოსავლურ ფარჩეულობას უგზავნიდნენ ძღვნად, კახეთის ეპისკოპოსმა ზებედე ალავერდელმა მოსკოვის პატრიარქს იობს ბედაური უძღვნა. სამაგიეროდ მოსკოვის მეფეები ქართველ მეფეებს უგზავნიდნენ ბეწვეულობას, ხოლო სამღვდელოებას ხატებს და საეკლესიო ხელოსნებს. მოსკოვის

მეფის ელჩი იოსებ არქიმანდრიტი საქართველოს ეკლესიას არ სთვლიდა მართლმადიდებლად და მოითხოვდა მის ხელახლა კურთხევას. მაგრამ ზებედე ალაევრდელი კალთებს ახევდა, უთუოდ უნდა სწერო ალაევრდის ტაძარშიო. შიშის ფსიქოლოგიას შეექმნა სიყვარული მოსკოვისადმი, რომლისაგანაც მოელოდნენ ხსნას სულ ხორციანად დამღუპველი სპარსეთის გავლენისაგან. ამის წყალობით ფეოდალთა შორის თავი ეჩინა მეუღლეობის კავშირის დარღვევას და რაკი შეუძლებული იყო აშკრად მოყვანა მეორე ცოლისა, სიყვარულ მოიეფე თავადი გარბოდა ხასასთან, როგორც ჰმოწმობს პოეტი დავით გურამიშვილი. საუკეთესო ქალაენი ოსმალეთ სპარსეთს მიჰყვანდა ზოგჯერ ხარკის სახედ, ზოგჯერ კიდევ თხოვნით, რაც ბრძანებას აღემატებოდა. თქმულებად დარჩენილა, გივი ამილახვარს თავისი მშვენიერი ქალი თამარ, რომელიც დანიშნული ჰყოლია თეიმურაზ ბატონიშვილს, შემდეგ პირველ ანტონ კათალიკოზს, შაინშასთვის გაუგზავნია. პატარა კახს დაუგმია ყეენის მფარველობა და ქართლის ბედი გადაუწყვეტია რუსთ ხელმწიფის მფარველად მოწვეეთ ერთი შემთსვეეის შემდეგ. როცა ყაბახზე მოდენილა თავისი ამალით, შემოჰხვედრია ქართველი ქალებთან დატვირთული ურემი, რომელსაც მოუძღოდა სპარსელი ხელისუფალი. ერთ ქალს მოუხდია მანდილი და უსროლია პატარა კახისათვის, მაგის ღირსი ხარ, შენ რო ეაეკაცი იყვე, ასეთ მდგომარეობაშიაც არ ჩავცეივდებოდითო. საერთოდ შენიშნულია, რომ ოსმალეთ სპარსეთის და ზოგჯერ თათრის დიდგვარიშვილების ტიპი გალამაზებულა ქართველი ხალხის სისხლით. ქართული კულტურა ისევე, როგორც ქრისტიანობა, დაეცა. მათ ადგილს ცხოვრებაში იქერდა თანდათან სპარსული კულტურა, ენა, ზნეჩვეულება, მაჰმადიანობა. ამ გარემოებას რომ უკვირდებოდნენ მაშინდელი შეგნებული ქართველები, ზოგჯერ შეიარალებულ აჯანყებას მიჰმართავდნენ, როგორც მოხდა XVII საუკუნეში ეამსა შალვა-ბიძინა ელიზბარისას, რომელნიც შეპყრობილ და წამებულ იქმნენ სპარსთაგან, ზოგჯერ კიდევ აშკარა რუსოფილური მიმართულებით იმსახურებდნენ ყეენის რისხვას და მოწამეობის გვირგვინს იდგამდნენ თავსა, როგორც მაგ. თეიმურაზ პოეტის დედა ქეთევან, კახეთის დედოფალი, პირველი და მეორე ლუარსაბ ქართლის მეფენი, ხოლო სხვები ფარულად მოქმედებდნენ, როგორც თეიმურაზ. და არჩილ პოეტები, რომელთაც, როგორც ქვეყნის მმართველებს, საკუთარ სამშობლოში ბედმწირობა ჰრგებიათ ხვედრად.

ასეთი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების ნიადაგზე აღმოცენდა საჭიროება ქართველი ერის აღორძინებისა, რომელიც საგნად ისახავდა თავის დახრწვევას სპარსეთისაგან პოლიტიკაში რუსთ ხელმწიფის მოწვევით საქართველოს მფარველად ნაცვლად სპარსეთის ყეენისა, ხოლო კულტურის საქმეში ქართული კლასიკური ლიტერატურის მაშინდელი ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვრების შესწავლით, მიბაძვით და ხალხში გავრცელებით. პირველი საქმე უფრო თავის თავად კეთდებოდა, მეორეს კი, ქართული კლასიციზმის შესწავლას მეჩვიდმეტე საუკუნის ქართველი მწერლები სრულის შეგნებით შეუდგნენ და ჩინებულადაც მიჰყვანდათ საქმე, მაგრამ ცარიზმის აგენტების ხელით დაგორებული ქვა აღორძინების აღმართში ეწეოდა მის მოღვაწე ქართველობას, რომ ბოლოს მათი ჭირნახული ნაღვაწი დასაღუპავში ჩაეტანა. უნდა ითქვას, აღორძინება საკუთრივ მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყება, მაგრამ ორიგინალი ნაწარმოები, ყურადღების ღირსი, არ მოიპოება ისევე, როგორც მეთოთხმეტე-მეთსუთმეტე საუკუნის მწერლობაში ვერ ვხვდებით ვერც ერთ რიგიან ნაწარმოებს თუ არ ჩავთვლით მოთხრობას რუსუდანიანს და პოემას ალღუზიანს, რომელთაც, მდაბიო ქართულის მეტი სხვა სახელოვნო ღირსება არ გააჩნიათ. პირველი მოგვითხრობს მწუხარებას რუსუდანისას, რომლის ქმარიც მანუჩარ ტყვედ იმყოფება სპარსეთში და რომელსაც თორმეტი ძმანი უამბობენ გასართობად თორმეტ ზღაპარსა, პოემა ალღუზიანი კი გადმოგვცემს თავგადასავალს ოსთა მეფის ალღუზონისას, რომელიც ღალატით მოკლულ იქმნა და რომლის გვამსაც დასტირის იმისი სატრფო ესთერი.

§ 26. მეჩვიდმეტე საუკუნის საერო მწერლობას ახასიათებს თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორის და იოსებ თბილელის პოეტური მოღვაწეობა, აღბეჭდილი სხვა და სხვა ეროვნული მოტივით. **თეიმურაზ პირველი** (1591 — 1663), როგორც ქვეყნის მმართველი, როგორც ოჯახის მამა უბედური იყო. მის დროს სპარსელებმა ააოხრეს კახეთი, რომლისაც დედაქალაქი გრემი ბაღებით და მოსარკული დარბაზებით შემკული მიწასთან გასწორებულ იქმნა. ცხრამეტი წლის იყო პოეტი, როცა დაქვრივდა და დარჩა ორი ობოლი ვაჟით და დედით ქეთევან დედოფლით, რომელნიც ემსხვერპლნენ სპარსთა მტარვალობას. მიუხედავად ამისა თეიმურაზს კალმისთვის ხელი არ უშვია და შეიძლება ითქვას მწერლობა ღა იყო ერთადერთი მისი ნუგეში, რაიც, როგორც ბაგრატიანს, გვარად მოსდგამდა. ზედმიწევნით

მცოდნე სპარსული ენის და პოეზიისა ჯანლონეს არ ჰზოგავდა, რომ სპარსული პოეზიის შედევრები გადმოეღო ქართულად მშვენიერ ლექსად, რომლის აღნაქვსიც ისე მოგვაგონებს შოთას წერის მანერას. მაგრამ შისი თარგმანები თუმცა ზოჯერ თავისუფალიც არის და ზოგი რამ ჩართულიცა აქვს, მაინც ვერ ჩაითვლება ორიგინალად, რომლის შესწავლასაც უფრო დასდევს სიტყვიერების ისტორია. პოეტის ორიგინალი ნაწარმოები და ყურადღების ღირსი არის ხოტბა მაჯამა, სატრფოსადმი მიძღვნილი. მაჯამა ორნაირი აზრით უხმარია პოეტსა. პირველი აზრით მაჯამა ისეთი ლექსთა წყობაა ,რომ ერთი ხანის ოთხივ ტაეპი ერთნაირი ხმებით არის დაბოლოებული, მაგრამ სხვა და სხვა ნაირად გასაგებია, როგორც მაგალითად რითმი ისარა, რომელიც ოთხნაირ აზრს შეიცავს. პირველია ის არა, მეორე სარა, იგივე სრა, მესამე ხარი და მეოთხე ისარი. მეორე ნაირი აზრი, რომელიც პოეტს მიუცია მაჯამისთვის, არის გამოკრეფილად რისამე დაწერა. ხოტბის სატრფო ქვეყნის ბედია, რომელიც, როგორც დაღუპული. სევდის გრძნობით მოსაგონებელი გაეხდომია. შიში ჰქონია პოეტს. თუ უსაქმურად დარჩებოდა, პირუტყვის მშვინვა (სუნთქვა) მოერეოდა და შეუწუხებდა სულს, რომელსაც ჯოჯოხეთის ცეცხლი მოებოლებოდა. ამის გამო ხელი მიუყვია კალმისთვის და დაუწერია არა სასულიერო რამე, რასაც თურმე აღარავინ ჰკითხულობდა, არამედ უბრალო ლაყაფი, ანუ სალაყბო რამ, მაგრამ გონიერი მკითხველისთვის გონების მოსალხენი. პოეტის თქმით თვით სატრფო ასეთია. ეტლზე მზე კი არა, სატრფო ჰზის. როცა ბრძენი ხალხი მოსულა მის საქებრად, მზე დარცხვენილა და პირისახეზე ხელები მიუფარებია. მასაქეთია მზის ლაქები. ვარდს სიტურფე შეეძინება, თუ ხანი დაჰყო სატრფოსთან. სატრფოს ბაგეთა სიწითლე პოეტის დაწყლულებული გულის მონასხამი სისხლისაგან არის. მხოლოდ იმ სატრფოს შეუძლია ასვას უკვდავება პოეტსა. იმასთან შეყრა მრთელ ქვეყნად ღირს. როგორც ვხედავთ, თეიმურაზ არათუ მარჯვედ ჰბაძავს შოთას ენით და სიტურფის აღწერის მანერით, არამედ თავისებურობასაც იჩენს მზის ლაქების, ბაგეთა სიწითლის და სხვათა პოეტურ ფიგურებად განმარტებითა.

პოეტის აზრით ეამთა ვითარება დაუნდობელი, გაუტანელია. ხმელეთის მფლობელებსაც არ ასცდება ბოლოს მეხის დაცემა. ეს ქვეყანა დაუბადებია კაცისთვის არსთა დამბადებელს, მაშასადამე კაცი კიდეც უნდა დასტკბეს ცხოვრებით, მაგრამ არა ისე, რომ პი-

რუტყვს დაემსგავსოს, რადგანაც ადამიანს არ უდგია მოკვდავი სული, რომელიც პირუტყვებრ გასაქარვებელია. თეიმურაზ ასკეტი არა სჩანს, რომ დაჰგმოს ცხოვრება, მაგრამ, როგორც მორალისტი, ურჩევს ადამიანს, ცხოვრებას არ აჰყვეს და თავი არ გაიპირუტყვოს. მისი თვალთახედვით, ადამიანს სული უკვდავი აქვს, ხოლო ჰირუტყვს მოკვდავი. ენის აღნაქვსის ღირსებაც ესმის **მაჯამის** ავტორსა. მისი თქმით, მელექსემ სიტყვა უნდა ახალისოს, წმინდად ჰვერცხლოს თანახმად რუსთველისა, რომელსაც არ მოსწონს მელექსისაგან ცუდი სიტყვა. ლაყაფის დაწერა პოეტს თითქოს სანანელად გადაჰქცეოდეს, როგორც მორწმუნეს და კვალად ადასტურებს **გაზაფხულის და შემოდგომის შედარებაში**, სახარება და მოციქულთა წიგნი აღარავის უნდაო, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველი ხალხის ცხოვრების ისტორიისთვის. რუსთ ხელმწიფის მფარველად მოწვევის მისწრაფება უთუოდ იმედს უღვიძებდა ქვეყნის მესვეურებს, რომ ქრისტიანი ხელმწიფე მაშინდელ გადარჯულებულ საზოგადოებას სახარებას და სამოციქულოს შეაყვარებდა, როგორც ქრისტიანობის დამცველი.

§ 27. თეიმურაზ პირველის არ იყვეს, **არჩილ მეორეც** (1647 — 1712), როგორც ქვეყნის მმართველი, უბედური გამოდგა. მისი პოლიტიკური კარიერა დაახლოვებულია უფრო იმერეთთან, რომლის საზოგადოებაც მისდევდა, მისი თქმით, ფიცის ტეხას. ტყვეთა ყიდვას და დაცემა წაგლეჯას. როგორც პოეტი, არჩილ დიდმნიშვნელოვანია მით, რომ მან პირველმა შემოიტანა მწერლობაში სალიტერატურო კრიტიკის ელემენტი. ქართველ მწერალთა ნიჭის შეფასებას არჩილის დროინდელი საზოგადოება ძლიერ ეტანებოდა. განსაკუთრებით იპკრობდნენ მის ყურადღებას თანამედროვე პოეტი თეიმურაზ პირველი და შოთა რუსთველი, მაგრამ არჩილმა ერთგვარი ვალი მოიხადა თეიმურაზის წინაშე მით, რომ სატრფო იმანაც შეამკო მაჯამით.

პოეტს უნახავს ედემს რგული ალვა, რომელიც მზისებრ მშუქარებდა, მაგრამ ალვას არ მიუშვია, რის გამოც გულაჩუყებული უკან გამობრუნებულა. დილის ნიავს მთიების ამოსვლა უხარებია პოეტისთვის, რომელიც შეჰხვეწნია მუხლ მოყრით, მიჩვენე, სად ნათობსო. მონას მიუგია, ვაეო, ძნელია ნახვა იმ სათუთის, რომელსაც სხვა მნათობნი ემონებიან. ხოლო თუ ჰნახავ, გული უმალ დაგიდნება, წადილს ვერ ეწევი ასე, რომ სიკვდილი მოგინდება, ბოლოს გაწყრება და გამოგაძევებსო. თვით სატრფო ასეთია: წარბ მონაზევი წამწამი მიჯნურისთვის გულის ლახვრათა აქვს. კეკლუცთა სული და მშვენე-

ბა მას დაჰრჩენია. იმას აქვს მთვარისუზესთაესობა და უკეთესობა მზის, რომელიც ღრუბელს ამოჰფარებია და პირის გამოჩენა ვერ მოუხერხებია. ზილფს უფუშავს ნიავი, რომელიც წამისწამ წაშოუქროლებს, ღაწვი იქით აქით უბრწყინავს ხან მინასავით, ხან ბროლივით. მისი ენა თაფლს აწვეთებს, ხელ ქმნილს ხელ მქმნელის საძებრად არბენინებს, მიჯნურს მხეცსავით აგარეულებს და ძლიერ შებრძოლს ალაშქრებს მდევეთ სამუსრავად. პოეტი სთხოვს შეპრალებას მისი ჰვრეტით ძრწოლაში მყოფი. რომ ცოტა ხანს იცოცხლოს და ობოლ მწირი არ იქმნეს. არჩილის სატრფოც ქვეყნის დაღუპული ბედია. ყოველი საქმის ქარი ჩემთვის კეთილად ჰქროდა, მაგრამ სოფელი გაუმწარებელს არავის გაუშვებსო, ამბობს პოეტი სატრფოს ქების დასასრულ.

ვიდრე გაგვიზიარებდეს შინაარსს იმ ბაასისას, რომელიც მაშინდელ საზოგადოებას ჰქონდა გამართული მის თაობაზე თუ, ვინ იყო უმჯობესი შოთა რუსთველი, თუ თეიმურაზ პირველი, არჩილ პოეტი თავის საკუთარ შეხედულებას გვაწვდის ზოგიერთი მისდროინდელი პოეტისთვის და ეს საქმე თავს უდგია, რომ სევდა დაეცა და ეოჰრეოდა. ჩამოთვლილი ჰყავს რამდენიმე პოეტი, რომელიც პოეტურადვე გაუკრიტიკებია. მაგალითად **ფავლენიშვილს** ვერცხლი დაუმსხვრევია და ვეღარ დაუყურსავს. **ჯაგლაგი** რომ ვერ მოჰყვეს ბედაურს (რუსთველს), **რა** მისი ბრალიაო. **ქაიხოსროს** თქმული **ომანიანი** კარგია, მაგრამ ყვავილშიაც გამოერევა სუნით ქუფრი რიანი. **ნოდარ ფარსადანიძეს** უთქვამს ქება **ბარამ** გურისა. მოფრქვეულ თლილ ოელებში აგური არ გაურევია და მისი ლექსის სასმენლად კარგად უნდა ყურის მოპყრობაო. **გარსევან ჩოლაყაშვილს** რამე რამეები უთქვამს. კიტრი ხილად რაღას ვარგა, **რა** კი ვაშლი შემოვაო. **სულხან თანიაშვილს** სწამებენ ჩემობას (პლაგიატორობას). თუმცა ამირან დარეჯანის ძეს კარგა შეუქო გამომჩენობა, ნუ ფიქრობს რუსთველის ოდენი იყვესო. **ბარძიმ ვაჩნაძეს** გაულექსნია **საამის წიგნი**. სხვა მელექსესთან ჯდომისთვის ბოდიშს უნდა ისდიდესო. **იაკობ სამებელი** სუცური ენით მელექსობს, საერო კი დაუგმიაო. **ფაშანგი ფაშვი ბერტყაძეს ფირმანიანი** უთქვამს. მარილიანი ვერ არის, მძიმეა, მაგრამ სომხისაგან კარგად ჩააგდეთო. როგორც ვხედავთ, არჩილს არ მოსწონს, რომ იოსებ სამებელს დაუგმია საერო ენა. მაშასადამე საერო ენით წერის საჭიროება ჩვენს წინაპრებსაც ჰქონიათ შეგნებული და

მათ შორის არჩილის აღნაქესი პირდაპირ შესანიშნავია თავისი სიმსუბუქით.

შოთა რუსთველის და თეიმურაზ პირველის გაბაასებით არჩილმა მოგვცა შეხედულება XVII საუკუნის ქართველი საზოგადოებისა იმ დროინდელ და კლასიკურ პოეზიაზე. ორთავე პოეტს მაქებელიც და მაძაგებელიც ჰყოლია. მაგრამ საინტერესოა, რომ ქებაც და ძაგებაც საზოგადოებას გამართული ჰქონია, არჩილისვე თქმით, როგორც თეატრონში, ისე ასპარეზ-ველზე.

ვინც რუსთველს აქებს, მათი აზრით, თეიმურაზ თავის თავს იქებს, საქმე კი ის არის, სხვა მელექსემ აქოს. მელექსეობა არ შეშვენის, შოთას ქართული თუ ემძიმა, მაშ არაბულით ჰბრძანოს. ქმნილება ბნელი აქვს, რადგანაც მზის შუქი არ უნათებს. ვეფხის ტყაოსანი ვერ მიერთმევა, თუ შოთას ძალადობით წამწამ თმას არ დააგლეჯს, როგორ უნდა გადააგდოს ყველასგან რჩეული შოთა. მისი ხმალი ვერ გასჭრის შოთაზე, ვერც ნაძლევს მოიგებს. როგორც დავითის (ურიასტანის მეფის) შთამომავალს, მოსდგამს წართმევა (ვითომც სხვისი ლექსის დაჩემება). შოთასთან საცილობელი არაფერი აქვს. არა უთქვამს რა ისეთი, რომ შოთას უკეთესი არ ეთქვას.

ვინც რუსთველს აძაგებს, მათი აზრით, თეიმურაზს სხვისი ბრძანებით კი არა, თავისი ნებით უთქვამს, არც თავის მოსაწონებლად. შეუდარებელია. ლექსისთვის არ ეცალა ჭირში გულგატეხილს. მის ოდენი განსაცდელი სხვას არ გადაჰხდომია თავს. არავისთვის არაფერი წაურთმეია. შოთას წიგნს მისი დააჭარბებს. საღვთო სწავლაში აუვალია. მორწმუნეა. საღვთო სწავლის მოსურნენი იმას ეახლებიან. მაღალი საროა, შოთა ეურ შესწვდება.

ვინც თეიმურაზს აქებს, მათი აზრით, რუსთველს თამარის ბრძანებით უთქვამს. ჩახრუხაძის თქმულს იპარავს. სომხურ მეგრული ერთმანერთში აურევია. ლექსის ყანა წაჰხდომია და უჯობს, მთაში ახო ჰკაფოს. ღაზოდ უთქვამს. შემოუღია მძიმე ჯავახური ენა. ბრიყვი მესხია, ამაყი, შეუპოვარი, ღარიბი ჯავახი, მძოვრის მჭამელი ტურა, ბალახის მძოვარი ძროხა, მომჩხიენე კაკკაკი, ხმა ავად მყივარი ჩხია.

ვინც თეიმურაზს აძაგებს, მათი აზრით, რუსთველისთანას ვერსად ჰპოვებენ, ხმელეთიც რომ შემოიარონ, მაშინაც კი, გრძნება რომ ჰქმნან და ღრუბლიანი ცა გამოადარონ. მას უთქვამს უწინ არ თქმული. საქართველო საყსეა მისი წიგნით, რომელიც ყველგან გაჰქუხს.

ლხინში, თუ ჭირში მას უბნობენ მხიარულად, ჰკითხულობენ თვალშეუწუხებლივ. იგი ძირია ლექსის თქმის. მელექსეობა იმაზე აშენებულა. მისი ლექსი საამოა, სიხარულის მომგვრელია. არც მძიმეა მისი ენა. ხელოვანია, რადგანაც უნახავად შეუქმნია. საქმის პირველ ხელ ყოფა შემდგომზე უფრო ძნელია. სრულად და უკლებლად მთქმელი მხოლოდ იგია. მისი ნათქვამი ტკბილ გასაგონი წინწილ ებანია და მელექსეებს მაღლა მოსძახის. არსად უთქვამს უშვერი და შეუფერებელი. მისი ლექსი თავად და ტანად გაწყობილია. ავად რომ ეთქვა, თამარ ჯილდოს არ მისცემდა. მის ლექსში ნაყიშს ვერსად ჰპოებენ, თუმც სჩხრეკენ. ბრძენი უქებს ენის სიტკბოს. მსგავსია ვარდის ჩირგვში მჯდომარე ბულბულისა, რომლის გალობასაც ყველა სიხარულით ყურს უგდებს. ხარბად ენა მეტყველია ისე, როგორც ტკბილი სდის რთველსა.

ასეთია კრიტიკა, ორთავ ბანაკის მიერ ნაწარმოები. მართალი, დღეს დიდი ფასი არა აქვს, მაგრამ მაშინდელი საზოგადოების დასახასიათებლად დაუფასებელია. არჩილს რომ არ გადმოეცა ჩვენთვის იმ კრიტიკის მოკლე შინაარსი, მიუტეეებელ დანაშაულს ჩადენდა. რადგანაც კამათი დარბაზის ზღუდეს გასცილებია და შეკრილა თეატრონში, რასაც, ალბათ, საკვერტის დანიშნულება ჰქონდა, და, როგორც რუსთველი იტყვის. ცა გაუდარბაზებია. **არჩილიანი**, სადაც მოთავსებულია ხსენებული გაბაასება რუსთველ თეიმურაზის, შეიცავს ეგრეთვე თვით თეიმურაზის ცხოვრებას, რაც ჰმოწმობს აეტორის პატივის ცემას თეიმურაზის მიმართ, დიდ მოურავის გიორგი საკაძის თავგადასავალს, თამარ მეფის ომებს და ამბებსა. ამით არჩილ პოეტმა ისტორიული მოტივიც შეიტანა თავის დროინდელ მწერლობაში. ერთგვარი რეალიზმი, რომელიც ისტორიულ პირთა სიკვდილის და სიმამაცის აღწერით საზოგადოებას მისაბაძ მაგალითებს აძლევდა. რომ თავის ბედისთვის ზრუნვას თვითვე შესდგომოდენ. პოეტი დუმილს მოჰრიდებია და **არჩილიანი** დაუწერია, რადგანაც მცონარს, მისი აზრით, წაწყმედა მოელის. სწორედ ისევე მოქცეულა, როგორც თეიმურაზ, რომელსაც უქმად ყოფნა მიაჩნდა ეგრეთვე წამწყმედელად კაცისა.

თეიმურაზის მსგავსად, არჩილიც აღნაქვსის მოტრფიალე არის. ასეთნიც უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც ორნივე აღორძინების ეპოქის მწერლები იყვნენ, რუსთველს ჰბაძეედნენ და რუსთველი ხომ ენას, გულს და ხელოვნებას აღიარებს მცნებად, რომელიც მხოლოდ

ჰქმნის ნაწარმოებს შედეგრად. არჩილის თქმით, ლექსი სწორად უნდა სთქვას, ვინც იტყვის, თავი კარგად ამოუღოს, ბოლო გვამს ზე მოაკრას, როგორც გამართულ სუთ ძალს, ქვეიდან ხელი აპკრას, რომ ტკბილი გასაგონი იყვეს. ასეთმა ლექსმა ზოგჯერ წასასვლელი კაცი უნდა დაბალს ისე, როგორც კაპანმა. გული ისე უნდა დაუყენოს, ეგოხოს თუ, თოკი უპერს, ზედ ერთი რამე ლაღობა და ხუმრობა წამოაბას, მერმე კიდევ ძნელი რამე შეჰქმნას, კიდევ ვისმე დიდება მისცეს და აამაღლოს, კვლავ სოფლისაგან ნაღვლიანი მიწამდის დაამდაბლოს, დედამამას აყოლებდეს, უდროოდ მათგან დაობლოს და ლხინი ჭირად შეუცვალოს. ასე ესმის არჩილს ხელოვნება პოეზიისა, მასადამე მამუკა ბარათაშვილის **ჭაშნიკს** უსწრებს არჩილ, რომელიც პოეტებს დარიგებას აძლევს თუ, რა არის საჭირო, რომ ლექსი, როგორც ფორმით, ისე შინაარსით მიმზიდველი იყვეს.

ზნეობრივი აღორძინება ჰნიშნავდა სულის აღორძინებას. მაგრამ უკანასკნელი უნაყოფო იქმნებოდა, რომ აღორძინებულ სულს სადგურად მაგარი ტანი არ ჰქონოდა. არჩილ პიონერი იყო ეგრეთვე ქართველი ახალთაობის გონებრივ ზნეობრივ ესთეტიური და ფიზიკური განახლებისა, რისთვისაც დასწერა **საქართველოს ზნეობა**. ეს თხზულება შეიცავს ერთგვარ პროგრამას სასწავლო მასალისას, სადაც სხვათაშორის, აღნიშნულია მელექსეობა ანგარიშ სამართალი, მხატვრობა გალობა, თავის დაჭერა სიტყვა პასუხი და ცურვაბურთი, სროლა ცხენოსნობა. არჩილის უბედურება, როგორც ქვეყნის მმართველისა, შედეგი იყო ფეოდალთ ზნედაცემულების, თავკერძობის, ანგაარ და პატივ მოყვარეობის, გულძვირობის და ერთმანერთის გაუტანლობისა. როგორც იმერეთის, ისე ქართლ კახეთის ფეოდალებს ემჩნეოდათ ასეთი თვისება. ამის გამო თავისი არჩილიანის მეორმოცე და ერთე კარში, რომელიც ეხება დიდ მოურავის აღზრდილ სიძე ცოლის ძმის ზურაბ და შიოშვილის უზომო ქიშპობას, ჩვენი პოეტი ამბობს:

ასე სჯირს საქართველოსას დიდებულთ, გინა მცირეთა,
აზვავდებიან, იტყვიან, უჩემოდ ვინ იმღერეთა,
დაბალ კაცს არ ახსენებენ, ბრძანებენ დამიჭირეთა,
კაცი სჯობს საქმე კეთილი ანგაართ მოგულძვირეთა.

სამწუხაროდ გულზვაობა შემდეგ დროთა ქართველ საზოგადოებასაც დაეტყო, განსაკუთრებით შის ნასწავლ კაცობას, რომელთა რიცხვშიაც მშრომელთა კლასიდან გამოსული ინტელიგენციაც თავს

ჩენილობდა პირველად სუსტად, შემდეგ ხანებში კი მათი რიცხვი თანდათან მრავლდებოდა. უჩემოდ ვინ იმღერეთო, იყო უმთავრესი მიზეზი საზოგადოებრივი საქმის უბედობისა, რაც ეგრე აღონებდა აჩრდილის ავტორს. საქმიანობა ვითომც იყო, მაგრამ ერთობილი მოქმედება და მისი ნაყოფი არსად სჩანდა ერთმანერთის შურით და მტრობით, თითქოს ისმოდა ძველ ებრაელთა წინასწარმეტყველის მაყვედრებელი ხმა, შემქამა შურმან სახლისა შენისამანო. ასეთი იყო მდგომარეობა ჩვენი საზოგადოების მოაზროვნე ნაწილისა სამოცდაათიან წლებამდე, ვიდრე ეს, თუ ის სოციალ-პოლიტიკური მიმდინარეობა ჩამოყალიბდებოდა სხვა და სხვა პოლიტიკურ პარტიად.

კალმისათვის არჩილ მეორეს ხელი არ უშვია რუსეთშიაც, სადაც გადასტყორცნა იგი პოლიტიკურმა ბედუკუღმართობამ. მოსკოვში ქართული სტამბაც კი დააარსა 1705 წ. და სხვადასხვა წიგნი დაბეჭდა. ეგრეთვე მოწადინებულ იყო, ქართული ბიბლიაც დაებეჭდა, მაგრამ არ დასცალდა და მისი წადილი სრულ ჰყო ბაქარ ბატონიშვილმა, რომელმაც მოსკოვში 1743 წ. დაბეჭდა ბიბლია. ბაქარ ჰბრძანებს, სხვა ხალხთა ბიბლიებს არ ჩამოუვარდებაო, მაგრამ უნდა ითქვას, რომ აკადემიური გამართულობით ძლიერ მოიკოჭლებს და მის ახლად ნათარგმნ წიგნებს: კიდეე მძიმე და უშნო ქართული ახასიათებს.

§ 28. იოსებ თბილელის (1662 წ.) პოემა დიდ მოურავიანი გვიხატავს ცხოვრებას დიდ მოურავის გიორგი სააკაძისას, რომელიც უდიდესი პიროვნება არის მეჩვიდმეტე საუკუნის პოლიტიკურ მოღვაწეთა შორის. გიორგი სააკაძე ჯერ კიდეე ლუარსაბ მეორის გამეფებამდე დაწინაურდა თავისი ნიჭის წყალობით. ლუარსაბ მეორე დიდ ფასსა სდებდა გიორგი სააკაძის თანამშრომლობას და კიდეც დაიახლოვა. ერთი მოხსენება, რომელიც მაშინდელ მისიონერ პატრებს რომისთვის გაუგზავნიათ, შეიცავს გიორგი სააკაძის სურათს. შემდეგი ლათინური წარწერილობის მქონებელს დუქს მაქსიმუს ეკზერციტუს გეორგიანორუმ, ქართულად უდიდესი წინამძღოლი ქართველთ ჯარისა. მაშასადამე, დიდ მოურავი ყოფილა საქართველოს მსეღართ მთავართ უხუცესი. ასეთ კაცთან დანათესაეება არ უნდა ყოფილიყო დამამცირებელი თუნდ ლუარსაბ მეფისთვის, მაგრამ გიორგის და ლუარსაბის დამოყვრება მოჰყვა ლუარსაბის თავხედურ საქციელს დიდ მოურავის ოჯახში ნოსტეს, სადაც ახალგაზდა მეფეს გიორგი სააკაძემ წვეულება გაუმართა. ლუარსაბ მეფეს

გული შეუვარდა დიდ მოურავის მშვენიერ დაზე და მოინდომა მასთან მრუშობა, რადგანაც ეგონა ფლიდური ლაღობა შეჰრჩებოდა. მაგრამ გიორგი სააკაძემ მეფის ასეთი ქცევა ჩასთვალა შერცხვენად და მეფეს კაცი მიუგზავნა, ჩემს დას არ გავაბოზებ, ჩემს სახლს საბოზველად არ გაეხდი, ამ საქმეს ჩამომეხსენ, დიდ წყალობად მივიღებო. მეფემ ფიცით შეუთვალა, მაგას არ გკადრებ, მწადია შენი დის შერთვაო. მიუხედავად შადიმანის ქიშპობისა, ქორწინება მოხდა და კიდეც აირია საქმე. აზნაურიშვილის ქალის დედოფლობა ქართლის გულ ზვიადმა ფეოდალებმა ითაკილეს და ახალგაზდა მეფეს მოსთხოვეს ცოლთან გაყრა და მოურავის მოკვლა. საიდუმლო თათბირზე გადაწყდა სამეფო ნადირობის გამართვა ყარაიაზს და დიდ-მოურავის მოწვევა, რომ იქ ღალატით მოეკლათ, მაგრამ დიდ მოურავის ერთმა მეგობარმა ბაკა ხერხეულიძემ, რომელიც თათბირს დასწრებოდა, ყველაფერი შეატყობინა გიორგი სააკაძეს. გიორგიმ თავს უშველა და ცოლშვილით ილტეოდა ნოსტედან. ბაკა ხერხეულიძეს კი სასჯელად ცხვირი მოაჭრეს. დიდ მოურავი თავის სიმამრთან, ძლიერ ნუგზარ არაგვის ერისთავთან ავიდა და იქედან სპარსეთს გადავიდა. სპარსეთის ყეენმა შაჰაბაზმა პატივით მიიღო და სცადა მისი გამოყენება, რისთვისაც სრული ნდობით მოექცა. როცა შაჰაბაზმა კახეთის დედოფალი ქეთევან წაიყვანა და ქართლის ფეოდალებმა იმასვე ჩააბარეს იმერეთიდან ღალატით ჩამოყვანილი ლუარსაბ მეორე, გიორგი სააკაძეს შაჰაბაზმა სპარსთა ჯარი გამოატანა ქართლ კახეთის გასანადგურებლად, მაგრამ მძეევლად ვაიტოვა მისი ვაჟი პაატა. ამას არ დასჯერდა მტარეალი და უნდობლობით შეპყრობილმა შიკრიკი აფრინა ფირმანით ყორჩიხანთან, რომელიც ქართლ კახეთში დაბანაკებული სპარსელი ჯარის სარდალი იყო. გიორგი სააკაძემ ცხენოსან შიკრიკს დადგომა უბრძანა, მაგრამ არ დაჰმორჩილდა. მაშინ მოურავმა შიკრიკი მოჰკლა და წაართვა ფირმანი, რომლითაც ებრძანებოდა ყორჩიხანს მოურავის მოკვლა და ქართველობაზე თავდასხმა. მოურავმა ერთგულ ქართველთა დახმარებით ყორჩიხანი მოჰკლა და მის ჯარს მუსრი გაავლო. მოურავის გამარჯვებამ თეიმურაზ მეფეს ტახტი დაუბრუნა. მაგრამ შემდეგ მაბეზღარმა და შურიანმა ფეოდალებმა გადაჰკიდეს მეფე და დიდ მოურავი, რომელიც განძევებულ იქმნა ქართლიდან. მოურავი გადავიდა იმერეთს, დაითათბირა იმერეთის მეფე გიორგი და მისი ჯარით ჩამოვიდა ქართლში, რომ გადამტერებული ფეო-

დალებისათვის სამაგიერო გადაეხადა. ბაზალეთის ტბასთან ქართლ კასეთის ჯარმა დაამარცხა იმერეთის ჯარი და გიორგი საკაძემ პატარა ხანს რა დაჰყო იმერეთში, მერმე გადაიხვეწა ოსმალეთს. ხონთქარმაც პატივით მიიღო და მიანდო საომარი საქმეები, რაც მოურავმა სასახელოდ შეასრულა. რა ბოლო ჰქონია მოურავს ოსმალეთ'ში, პოემა არ გვაუწყებს, მაგრამ ვიცით, რომ მოურავმა დიდ ვეზირის სასელი დასჩრდილა ასე, რომ ბოლოს დიდვეზირის ცოლმა, რომელიც იყო დაი ხონთკრისა, შურით ჩააგონა თავის ქმარს გიორგი საკაძის ღალატით მოკვლა. თქმულება არის, დიდვეზირმა გიორგი საკაძე და მასთან ერთად ორმოციოდე ქართველი ჯალათებს ამოახოცვინა იმ დროს, როცა ეძინათო.

გიორგი საკაძის პოლიტიკური მოღვაწეობის თაობაზე ორნაირი აზრი ტრიალებს ჩვენი საზოგადოების დაინტერესებულ წრეებ'ში, მაშინ, როცა ერთ ბანაკს მიაჩნია დიდ მამულიშვილად, რომელსაც, როგორც მეათე საკუნეში ქართლის ერისთავს ივანე მარუშიძეს, აზრად ჰქონია წვრილ პოლიტიკურ ერთეულებად დაქუცმაცებული საქართველო გააერთიანებინა და მით ერთხელმწიფეების ურჩ ფეოდალთათვის მოესპო ქიშპობის ყოველი ღონე, მოწინააღმდეგენი გიორგი საკაძის მოქმედებას ჰხსნიან პირადი სარგებლობით, ქვეყნის ღალატით. პირველ აზრს იცავენ რუსის სამხედრო მწერალი პოტტო და ქართველი მწერალი ანტონ ფურცელაძე, რომლის თქმითაც გიორგი საკაძეს საქართველო სამჯერ უხსნია მოსპობისაგან. ანტონ პირველი კათალიკოზი, რომელმაც თავის წყობილ ხიტყვაობაში გამოსთქვა, როგორც არჩილ პოეტმა, თავისი შეხედულება ამა, თუ იმ მწერალთა და მოღვაწეთათვის იოსებ თბილელს კიდევ უსაყვედურებს გიორგი საკაძის ქებას, დაჰ შვრა ამაოთათვის, ვითარმედ ესე არა თანაედვაო. მარი ბროსე, გამოჩენილი ევერისტი ფრანგი ადასტურებს, მოურავმა ორჯერ გამოიცვალა რჯულიო. პროფ. დავით ჩუბინაშვილის აზრითაც დიდ მოურავიანი იოსებ თბილელს დაწერილი აქვს მიკერძვით, მაშასადამე ჩებინაშვილსაც მოურავი მოღალატედ მიაჩნია.

ჰქონდა თუ არა უფლება იოსებ თბილელს თავისი შესანიშნავი პაპის ცხოვრება გაიდეალიზებულად დაეხატა ჩვენთვის? ჯერჯერობით ის უნდა ვსთქვათ, რომ ისტორიით გიორგი საკაძის ვითარება საკამათოა, პოემით კი უნაკლულო ტიპია. ჩვენის აზრით იოსებ თბილელს ისევე, როგორც სხვებს, უფლება ჰქონდა დამოუ-

კიდებელი შეხედულება ჰქონოდა თავისი პაპის მოღვაწეობის ავ-
კარგზე, ხოლო თუ მოურავის მოქმედების მისაბაძი მაგალითები და-
უსტატა თანამედროვე ქართველობას, ისიც დროების ერთგვარი ვა-
ლის მოხდა იყო. ერის სულიერი აღორძინების ინტერესი მოითხოვ-
და მბრძანებლობით. იოსებ თბილელმა **დიდმოურავიანის** დაწერით
არა თუ გააღრმავა პოეზიის ისტორიული მოტივი, არამედ შეჰქმნა
სამდვილი პოეზია და მით ქართლის პარნასზე მტკიცე ბორცი
დაიმტკიცა სადგურად. იმავ ანტონ კათალიკოზის თქმით, იოსებ
თბილელი გამოცდილი პიიტიკოს სელოვანი, ხალხის საყვარელი ყო-
ფილა ასე, რომ ყველა უქებდა სიბრძნის მოყვარეობას. დიდმოურა-
ვი, პოემის მიხედვით, მორწმუნე კაცია, ოჯახის სახელის და პატი-
ოსნების დამცველი, სტუმართ მოყვარე, ქვეყნის და ერთხელმწი-
ფების ერთგული, უებრო მეომარი, ვაჟკაცობით და მხედრობით გან-
თქმული ჯომარდი. ქვა არსად იყო ქართლში, რომ ჩემი სისხლი არ
სცხებოდა, გალავანი, რომელიც ქართლს შემოვაევლე, ჩემმა მტრებ-
მა მოარღვიესო, ათქმევინებს მოურავს ავტორი. პოემის საუკეთესო
ადგილი უეჭველად არის ის სიტყვა, რომელსაც დიდმოურავი ამ-
ბობს ხონთქართან წასელის წინ და გულწრფელობით და მაღალ
გრძნობით აღბეჭდილია. სიტყვის აზრი ის არის, რომ სიკეთე ხალ-
ხის და სახელმწიფოს წინაშე არ გაუვიდა, ამაგი მტრებმა წყალში
ჩაეყარეს და ბოლოს უცხოეთს გადახვეწილი უნდა მოჰკვდეს თეი-
სთა და მოყვასთა დამტოვებელი.

პოეტს ლექსის სიკეთის ეჭვი შეჰპარვია და გვაუწყებს, ეგე
ვერ მეთქვას გაწყობით, **მაშინც ნურვინ ხართ მწყრალევადო.** რ
საკვირველია. მორცხვობით ამბობს, თორემ ლექსიც და მისი გაწ-
ყობაც ჩინებული აქვს, განსაკუთრებით პოემის უკანასკნელი თავ
თითქმის უბადლოც არის ქართულ პოეზიაში. იოსებ თუმც სასუ-
ლიერო პირია თბილისის მიტროპოლიტი, საერო ქართულ საპარ-
სული პოეზიის დიდი მცოდნეა. მიბაძვა შოთა რუსთველის აღნა-
ქვსის და ლექსის გაწყობა მაჯამად ძლიერ ემარჯვება. დიდმოუ-
რავიანის დაწერა პოეტს, რომელიც თავის თავს გიორგი საააკაძ
ძის ძეს უწოდებს, სოფლის ზღაპრის წერად მიუჩნევია და თავ
დანნაშაევედ სთვლის, თავი ენაყბედი ჰგონია, წესიერ ბერს ასეთ
სიტყვა არ ეკადრება. შეშინია, ამის წერით ვაი თუ ვაების ხმ
მომესმასო.

თბილელობის დროს სიონის ტაძრის წიგნთ საცავი გაუმდიდრებია მრავალი ხელნაწერით. მისი ცხოვრების და მოღვაწეობის მხოლოდ ეს დროა აღნიშნული თარიღით, რომელიც კიდეც შეგვიტანეთ ამ პარაგრაფის დასაწყისშიეე.

თ ა ვ ი VI

§ 29. მეთვრამეტე საუკუნე დროა ქართველი ხალხის პოლიტიკური ტრაგიზმისა, რომელიც, სამწუხაროდ, დასრულდა მისი პოლიტიკური სიკვდილით, მაგრამ როგორც სჩვევია სიკვდილს, რომელიც სულთ მობრძავე ავადმყოფს უკანასკნელად მოახედებს, ისეეე უკანასკნელად მოიხედა საქართველომ კულტურულ პოლიტიკური ცხოვრების ფრონტზე. კულტურული მოღვაწეობა გაჩაღდა ვახტანგ მეექვსის, ხოლო პოლიტიკური ძლიერება შეიქმნა პატარა კახის დროს, როცა ქართლ კახეთი უკვე ერთ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს წარმოადგენდა. ვახტანგ სჯულმდებელმა პოლიტიკური ურთიერთობა ვერ მოაგვარა სპარსეთთან, მაგრამ ისეთი ბედუკუღმართობის დროსაც იპოეა დრო, რომ კულტურული მოღვაწეობა განევითარებინა დაშურებული ტემპით. შემოიღო ტფილისში სტამბა, სადაც დაბეჭდა უსაჭიროესი ქართული წიგნები. შინი სახლობა, სადაც ის და მისი ვაჟები ყველანი განათლებულნი იყვნენ, ნამდვილ აკადემიას წარმოადგენდა. ვახტანგმა შეადგინა კომისიები მოწვეულ მეცნიერ კაცთაგან მწერლობის უმთავრეს დარგთათვის და ამგვარად გამოსცა **ქართლის ცხოვრება, სამართლის წიგნი, ვეფხის ტყაოსანი** და სხვა. ვახტანგის მიზანი იყო ქართლის ტახტის დაუფლება ისე, რომ ქრისტიანად დარჩენილიყო, რაც განაც ბუნებით ბრძენი იყო და არ უყვარდა სვინიდისთან კომპრომისი, როგორც მის წინა მმართველებს. სპარსეთი კი თავის პოლიტიკურ გეზს მტკიცედ აღვა, როგორც წინასწარ მგრძნობელი ჩრდილოეთის საფრთხისა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა. ამის გამო ვახტანგიც ქართლის ბედისთვის ზრუნვას დამოუკიდებლივ შეუდგა. გაცნობილი ჰქონდა რუსეთის ორიენტაციის ისტორია, რომელიც მეთექვსმეტე საუკუნიდან იწყებოდა, მაგრამ რაკი რუსთ ხელმწიფისაგან დახმარება გასულ საუკუნეთა მანძილზე ჯერ არ ნახულ იყო, გულ გატეხილი ვახტანგ დაადგა ახალ გზას. რუსეთის ორიენტაცია მიატოვა, უთუოდ კათოლიკე მისიონერი პატრების გაელენით, საქართველო-

შიაც და სპარსეთშიაც რომ იყვნენ და შიპმართა სვინიდისისგან ნაკ-ლებად ქენჯნილმა თუმც არა მართლმადიდებელ, მაგრამ მაინც ქრისტიან საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV-ს, რომელიც გათ-ქმული იყო მაშინ პოლიტიკური ძლიერებით და კათოლიკეთა მფა-რველობით. როგორი მიწერ-მოწერა ჰქონია საფრანგეთის და სა-ქართველოს ორ ხსენებულ მეფეს, არ ვიცით. უწყებულია მხოლოდ საბა სულხან ორბელიანის გაგზავნის ამბავი წერილით, რომლითაც ვახტანგ მეფე ლუდოვიკო XIV-ს ჰპირდებოდა კათოლიკობის მიღე-ბას, მფარველობას და გავრცელებას, საფრანგეთის ელჩისთვის კი-დევ ტფილისში ბინის შოვნას, ხოლო სამაგიეროდ სთხოვდა საქმე-ში დახმარებას სპარსეთის ყენთან. საბა ორბელიანი ინახულა ლუ-დოვიკო მეფემ ვერსალში და დაიმედებული გამოუშვა. რა კი საფ-რანგეთის მეფისაგან ვახტანგმა დახმარება ვერავითარი მიიღო, რუ-სეთის მხარეზე გადავიდა აშკარად პეტრე დიდთან მიწერ-მოწერის გამართვით და მით სპარსეთის მთავრობა უარესად გადაიკიდა. მა-შინ კახეთში იჯდა მაჰმადიანი კოსტანტინე მეფე, რომელიც სპარ-სეთს ჰმეგობრობდა. კონსტანტინემ სპარსეთის ყენისაგან ბრძანება მიიღო, ვახტანგისთვის ტახტი ჩამოერთმია და კახეთისთვის შემოე-ერთებინა. რაკი ვახტანგ დიდ უარზე იდგა, ქართლსა და კახეთს შო-რის მოხდა სისხლის მღვრელი ომი და კოსტანტინემ ლეკების დახ-მარებით დაიპყრო ქართლი, ხოლო ვახტანგ გადაიხვეწა რუსეთს თავისი თანამოაზრე ქართველებით, რომელსაც შემდეგ გამოუდგა ეგრეთვე პოეტი დავით გურამიშვილი, ქართველ კახთ შეტაკების პო-ეტურად აღმწერელი.

პატარა კახის ურთიერთობა სპარსეთთან პირველ ხანებში კა-რგიც იყო. ნადირშას კარზე ახალგაზრდობაში ნამყოფი პატარა კახი მამის სიკვდილის შემდეგ დამტკიცებულ იქმნა ქართლ კახე-თის მეფედ. პატარა კახმა განჯის და ერევნის სახანოები დახარკა, ასპინძის ომში ოსმალეთზე გაიმარჯვა, რითაც ევროპაშიაც კი გა-ითქვა მამაცობის სახელი. შინ კიდევ შეუდგა სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. სკოლის, თეატრის, ფულის მოჭრის, ჯარის და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმე მოაწყო ევროპულად ასე, როგ სამხედრო ფორმასაც კი ევროპულს ატარებდა. მშვიდობიანი და კულტურული ცხოვრება, რომელიც მან დაამყარა, თანამედროვე ქართველობას მოაგონებდა ქართველი ხალხის ისტორიული ცხოვ-რების საუკეთესო ეპოქებსა, მაგრამ რამდენიც დრო გადიოდა, სპარ-

სეთთან ურთიერთობა პატარა ქახსაც უფუძდებოდა. ეახტანგის არ იყვეს, პატარა ქახსაც ორიენტაციის ძებნაში რაყეეა დაეტყო. ამბობენ, ვიდრე ქართლის ბედს გადასწყვეტდა რუსთ ხელმწიფის მფარველად მოწვეევით, ავსტრიას მიჰმართა, მაშინ ევროპის უძლიერეს სახელმწიფოსაო, მაგრამ საკითხი ჯერ გამორკვეული არ არის. 1783 წელს რუსთ ხელმწიფესთან ეკატერინე მეორესთან ხელშეკრულების დადებით პატარა ქახმა დაჰგმო სპარსეთის ზე ხელმწიფება, მაგრამ სასტიკად დასჯილ იქმნა სპარსეთის ყეენის აღამაჰმად ხანისაგან, რომელიც აუარებელი ჯარით შემოესია საქართველოს და კრწანისის ბრძოლის შემდეგ პატარა ქახი იძულებული გახდა ლტოლვილიყო მთიულეთისაკენ. შეთქმულება ეახტანგის ძის პაატა ბატონიშვილისა პატარა ქახის წინააღმდეგ, ეგრეთვე პოლიტიკური მოძრაობა საქართველოს რესპუბლიკის დასაარსებლად ჰმოწმობდა, რომ რუსთ ხელმწიფის მფარველობა, 1783 წლის ხელშეკრულებით აღთქმული, უნდა ქცეულიყო რუსთ ხალმწიფის ბატონობად საქართველოს შეგვამებით მის საბრძანებელთან, რადგანაც ზედ დაერთო კიდევ ეკონომიური სარგებლობა იმ ბუნებრივი სიმდიდრისა, რომელიც საქართველოში ეგულებოდა ცარიზმის აგენტებს და რომელსაც მიუთითებდა ცენტრს გრაფი მუსინ პუშკინი თავისი მოხსენებით საქართველოს შემოერთების პოლიტიკის გასამარჯვებლად.

მეთვრამეტე საუკუნის საერო მწერლობას ახასიათებს დავით გურამიშვილის, საბა ორბელიანის და ბესიკის შემოქმედება, აღბეჭდილი სხვადასხვა მოტივით.

დავით გურამიშვილის (1705 — 1787) დრო ლეკთა თარეშობის დროა. ეკლესიები დაკეტილიყო და წიგნები იშვიათად იშოვებოდა. მაშასადამე ქაცვია მწყემსის სახელოვან ავტორს, რაც ხელთ მოჰხვედრია, ის შეუთვისებია და სიმართლე უნდა ითქვას, ბუნებრივ ნიჭთან შრომის უნარიც დიდი უნდა ჰქონოდეს, რომ ყოველ გვარი სიძნელე დაუძლეევია თავისი გონების განსავითარებლად. ქართლ კახეთი იმ დროს ხელ ჩართულ ომს აწარმოებდა, ძმა ძმის სისხლს ჰღვრიდა, რომ მით მტრები გაეხარებინა. დავით გურამიშვილი მოესწრო ეახტანგის ვადახვეწას რუსეთს და ბოლოს თვითონაც გაეზიარა იმისი ბედი, მაგრამ სხვანაირად და სხვა გზით. იგი შეიქმნა ლეკთა თარეშობის მსხვერპლი. როცა ქსნის ხეგზე ლამის ყანაში მოყვრის მუშას ადგა და ყანას მკას უპირებდა, ლეკები ირტოზის გორით თავს დაესხმიან, შეუპყრიათ და წაუყვანიათ. ტყვეობა და-

ვითს აუწერია გულწრფელად, მაგრამ ხუმრობა გაჭირვებაშიაც არ ავიწყდება. ერთ ხევში როცა სიცხით დამჭკნარ საზამთროს გარეცსას უპირებდა, კიტრი უბიდან გასცვივდა, უკან დაედევნა, მაგრამ ვერ დაიჭირა. ღმერთს შესჩივლა, თუ მომეც, რაღად წამართვიო. ტკვეობიდან როცა გაპარულა თერგით, სოლაღს წასულა, იქიდან აშტარხანს, ხოლო აშტარხანით მოსკოვს ვახტანგ მეფესთან მისულა. ტყვეობის აღწერაში მეტად საინტერესოა პოეტის ხშირი მიმართვა მ'ხისადმი. მზე იყო მისი სავედრებელი, რომ სიცივეს არ მოეკლა ან სწუხდა, როცა სციოდა და მზე ღრუბლის გამო თვალთ არ უჩანდა. უკეთესი ღიღინი მზის მიმართ იშვიათია თვით მზის კულტის მწერლობაში.

დავით გურამიშვილს თვით გამოცდილი ჰქონდა თუ, უცოდინარობის გამო როგორ სტანჯავდა წუთისოფელი. ავი და კარგი ერთმანერთში ვერ გაერჩია. მისი აზრით, მშობელს ურჩევნია ძაღლის ყოლა უწერთნელი შვილის ყოლასა, რადგანაც ძაღლი სახლის ერთგული მაინც არის. მაგრამ გაურჯელად, უშრომლად შეუძლებლად მიაჩნდა სწავლის მიღება. დავით არიგებს ყრმას, **ჯერ მწარე ჭაშე, კვლავ ტკბილი, თუ ეძებ გემოვნებასაო.** ჭკვიან ბრიყვ კაცს უხორთუმო სპილოდ. უკლანჭო ვეფხვად ჰსახავს. სწავლა ისეთი საუნჯეა, რომელსაც ვერავინ შეეცილება კაცსაო, ამბობს პოეტი. ერის კეთილდღეობა მისი ახალთაობის აღზრდაზე და შრომის უნაოზე ჰკიდია. დავით გურიმიშვილი, როგორც ქართველი ხალხის აღორძინების მესვეური, ხალხის გასაბედნიერებლად შრომის პრინციპს ჰქადაგებს. მაშინდელი ქართველებისთვის, რომელნიც შრომად ძმის წინააღმდეგ ხმლის მოქნევას სთვლიდნენ, დავით გურამიშვილის ლოზუნგი უცნაური უნდა ყოფილიყო.

იმ დროინდელი საქართველოს უბედურება კალმით არ აიწერებოდა, ენით არ გამოითქმოდა, დავით გურამიშვილი ყველაზედ უფრო ჰგრძნობდა იმ უბედურებას და ამბობდა, **ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის, თუ არ ბრძენი, ენა მჭევრიო.** ხოლო იმ ჭირის მოთვლით ბრწყინვალედ დაამტკიცა, რომ ის ბრძენი და ის ენა მჭევრი თვითონ იყო. ქართლის და კახეთის გადაკიდების გამომეღაენება ჭირველად პოეტს არ ჰსურვებია, მაგრამ ბოლოს სიჩუმე საზარალოდ მიუჩნეია, რადგანაც სიავის ფარვა ქვეყანას არ მოუხდებაო, ამბობს. თავის დროინდელი ხალხის საზოგადოებრივი მდგომარეობა არა თუ შეგნებული აქვს, არამედ ისიც იცის თუ,

რა მიზეზს გამოუწვევია და რა შედეგი უნდა მოჰყვეს. ერთის ხნულს მეორე უკულმა ჰფარცხავდა. ქართველები და კახელები ისე გადაკიდებულიყვნენ ერთმანერთზე, როგორც მამლები. როგორც ბოლოს მამლებს ძალმა პირი ჰკიდოს, ისევე ქართლი და კახეთი საწეწად დაჰრჩათ თურქებს, ლეკებს და სხვებსაო.

ვახტანგ მეფემ პეტრე დიდისაგან მიიღო წერილი. რუსთ ხელმწიფე სწერდა, მოდი, მამად მიგიჩნევ, ქრისტეს მიენდევ, მაჰმადმა არ მოგატყუოსო. ვახტანგ დარჩა მეტად ნასიამოვნები და თავის მომხრე თაკადაზნაურობას ვახშამი გაუმართა წინწილ ვახით. ამის გამო პოეტი ამბობს, ყველაფრად შეეტყობოდათ განთიად ჩაცმა სწადდათ თალხისა, ეგონათ სწორედ ტრიალი მრუდის საწუთროს ჩალხისა. მეორე დღეს თათბირი გაჰმართა და სადილიც მოაყოლა. ვინც ბოლოს საქმეს ჰხედავდა, იმათ საწყენად დაურჩათ და ამბობდნენ, უფრო წაეხდებითო, მაგრამ მოწინააღმდეგენი უპასუხებდნენ. ქრისტიანი ხელმწიფის ხელდებულნი შეეიქნებით, წაეხდებით კი არა, გაეკეთდებითო. ამათ კიდევ პასუხი მიიღეს, ჩვენი უპკუობა ბოლოს გამოჩნდება, არც ჩვენ ვსწუნობთ, კარგია, თუ ეგ საქმე მალე მოხდებაო, მაგრამ მტრები შეგვიტყობენ და ჩვენ ჩვენი გადაგვხდება, ვიდრე რუსები გვიშველიანო. რა კი შეატყვეს, მეფე გულით მოწადინებულ იყო, მოახსენეს, რადგანაც არ იშლით, ჩაფრად წაბრძანდით, არვინ შეიტყოსო. ვახტანგ მეფემ ითაკილა, ჭურდულად ეერ წაეალ, ჯერ განჯისკენ გაეილაშქრებ მოწინააღმდეგეთა დასასჯელადო. ვინც ბოლოს ჰხედავდა, ტირილით ამბობდა, მესამე კიდევ მოიბა, ორი საბელი თავს ება, სამი ვეშაპი ერთ ლომსა აწ ვით არ მოეთავსებაო. მეფეს სძრახავდნენ და იტყოდნენ, სამ დიდ ხელმწიფეს პირს აძლევს, სამგან იკეთებს ყმობასა, ყეენის სპასალარია, თავს ირჰვამს მის რაყმობასა, რუსთ ხელმწიფესთან მამობს. ხვანთქართან ჩემობს ძმობასაო. იმ სამი ვეშაპის ერთმანერთისაგან აშლას მოჰყვებოდა საქართველოს აკლება და გარს მუხრუჭის შემოჭერა. ამის გამო დაასკვნიდნენ, ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოსაგონარნიო. ვახტანგ მეფემ დიდი ლაშქრით მიჰმართა განჯის მიდამოს და სისხლი დაჰღვარა. მტრებმა ვახტანგ მეფე დაასმინეს ყეენს, რომელმაც ვახტანგს ქართლი წაართვა და მისცა კახთ ბატონს კონსტანტინეს. ისეთი საზოგადოებრივი მდგომარეობა შეიქმნა, რომ მამა რუსეთს იზიდევდა, შვილი ყეენისა კარა, ვერც მამამ და ვერცა შვილმა მოსახმარი ვერ იხმარა.

კახთ ბატონიც დაჯდა სარჩევად მდიავან ვეზირთ თანახლებით. ეძნელებოდა, გაეტეხა ძმობის პირობა, რომელიც ვახტანგისთვის მიეცა, მაგრამ კახნი ურჩევდნენ, რომ უკან არ გაებრუნებინა კარზე მომდგარი წყალობა. ამის გამო კახთ ბატონმა წიგნი მისწერა ვახტანგს და მეგობრობას სთხოვდა, გეწადია თქვენთან ხლება, თუ ნება დაგვერთვისო. ვახტანგ მეფეს სამშვიდობოდ და საკეთილოდ მიაჩნდა კახთ ბატონის წიგნი, მაგრამ ზოგიერთნი წინააღმდეგნი იყვნენ განსაკუთრებით ვახტანგის ძმა მაჰმადიანი იასე მეფე. რომელმაც ჯავრისგან წარბები შეჰკრა და გულში ამბობდა დალახვრულ დაღრეჯილი, ჩემი ძმა ჩემი მტერია, პატიმრობით დამაბერა, რად უნდა შეეათვისო ისინი, მე კი ოხერივით დავრჩეო და ჩაშალა კარგად დაწყებული საქმე. ეპიფანე ბერს წიგნი გაატანა კახთ ბატონისთვის გადასაცემად. უთვლიდა, მე ძმა ვარ, არ დამინდო, არ მოსვიდე, თორემ არც შენ დაგინდობსო. ბერს შემოჰხედა გზაში მომავალი კახთ ბატონი და როგორც წაიკითხა იასე მეფის წიგნი, გაბრუნდა. ქართველებმა კი ხელი დაჰრიეს მის უკან ბარგს და დაუძარცვეს კიდებული ჯორ აქლემები, დაუკრეს ზანდუკ მაფრაშები და შიგ რაც იყო, ამოიღეს. კახთ ბატონმა მერმე ბერები გაუგზავნა ვახტანგ მეფეს მოციქულად, ქართლი მოსთხოვა მასთანვე დაბრუნება წართმეული საქონლისა, მაგრამ ვახტანგისაგან უარი მიიღო. ჩვენს კაცს მაგისთანა არაფერი დაუშავებია და თქვენში რაც მგლებმა ღორები დასჭამონ, ჩვენ როგორ გიზღათო. კახთ ბატონს ეწყინა და მოსწერა, შენს ხუნდებს უფრთხილდი, თორემ არწივი კლანჭს გიკრავს, ქირნახულს გაგიფუჭებს, ყეენს უმტყუვნე, გაგიწწყრა, მე თუ არ უსმინე. მეც გამიწყრება, წადი, ყეენსვე ეევედრე. დაეხსენ ბორგვას. ნუ ეშულლები, თორემ რუსეთისკენ გაგზავნის. ვინც გვირგვინი მოგხადა, იმისგანვე დაიხურეო. კახთ ბატონის მოციქულები ვახტანგ მეფემ დაიკირა და საკანში ჩაჰყარა. გაჩაფრულ დიაკვნებს ჩაჰშხამდათ ოცნება, რომ ქართველები აწირვინებდენ, მრავალ ფულს იშოვიდენ და საქონლით სავსე ჯორ აქლემს მოასხამდენ. კახთ ბატონნა რო შეიტყო ბერების დაკრა, გამოილაშქრა და ქარელი ლეკების დახმარებით ქართველთ ჯარი დაამარცხა. ვახტანგ მეფე რუსეთს გადაიხვეწა, ხოლო ქართლი დაიკირა ოსმალეთმა. კახთ ბატონმა რაკი წინააღმდეგობა ვერ შესძლო, ოსმალოს ჯარს მიეგება და ციხისკარის კლიტე მიართვა. ოსმალო ტფილისს შემოვი

და. იასე მეფე მათ შეჰრჩა, კახთ ბატონმა კი ფშაველესურეთის კიდეს მიჰმართა.

კახ ქართველები ეხლა საერთო გაჭირვებაში ჩაცვივდნენ და შეითქვნენ ოსმალთ წინააღმდეგ. მაჰმადიანმა იასე მეფემ როცა შეიტყო, შეიყარა ოსმალოს ჯარი და შეჰხვდნენ ერთმანერთს გორის ციხესთან, მაგრამ ბოლოს კახქართველები დამარცხდნენ შინათვე ღალატის წყალობით. მუშა კაცს, გლახა მწირსაც კი არ ჰზოგავდნენ. დამმარხველი რომ არვინ იყო, გვამებს მელა ტურა ჰხრავდა. პოეტი დასასრულ ამბობს, რაც იმ დღეს სისხლი დაიღვარა, ბევრ წისქვილს ააბრუნებდა, ღარი რო სდებოდაო. შემდეგ პოეტი აგვიწერს თუ, რა ბედი ჰქონია ვახტანგ მეფეს, ან თვითონ იმას რუსეთში ცხოვრების დროს. ვახტანგ ექვსი წლით ადრე წასულა, ვიდრე პოეტი. პეტრეს ქალაქში წამდგარა ანნა დედოფლის წინაშე და თავისი ქვეყნის შველა უთხოვნია. დედოფალს მოწყალედ მიუღია და გზა დაუღოცნია სამშრად. ვახტანგ სხვა ქართველებთან ერთად ნავით წასულა დარუბანდს, მაგრამ ცუდი ამბავი შეუტყვიათ. თამაზ ხანს იმ დროს შემახია და განჯა აეღო, ხოლო ოსმალოს ტფილისი დაეცალა. მასთანავე თამაზ ხანს რუსთ ხელმწიფისთვის ეთხოვნა თავისი ქვეყნები. რუსებს კიდევ გაღმა მხარი დაეცალათ. ამის გამო ვახტანგ მეფე გასულა აშტარხანს, სადაც გადაცვლილა, ხოლო მისი მხლებელი ქართველები რუსთ ხელმწიფის სამსახურში გაუმწესებიათ. პოეტს კიდევ მიუღია მონაწილეობა პრუსიის ომში და ტყვედ ჩაჰვარდნიათ მტრებსა. დავით გურამიშვილი მიუხედავად იმისა, რომ გულწრფელად მოსთქვამს ვახტანგ მეფის პოლიტიკის დაღუპვას, იმ დაღუპვას კიდევ აბრალებს წუთი სოფლის ბორტებას. პეტრე დიდის წიგნის მიღების გამო ვახტანგისა და მის თანამოაზრეთა სიხარულს ეკვით შესცქერის, თითქმის დარწმუნებული, რომ საქმე წაგებული იყო, სამხიარულო ვახშამი წინწილ ვახით გაპართული უნდა დაჰმწარებოდათ, განთიად თალხი უნდა ჩაეცვათ, რადგანაც საწუთროს ჩალხი განაგრძნობდა მრუდე ტრიალსა. აქედან გამომდინარეობს პესიმიზმის გრძნობაც. მრთელი მუხლი (მბ) უძღვნია წუთისოფლის სამდურავისათვის. მეტადრე მის გამო ემდურის წუთისოფელს, რომ უშვილოდ დაუგდია. მე მსურდა, ერთი არ მომცა, ვის არ ჰსურს, მისცა ტყუბია, თესლ აშრეტით გამახმო და უნაყოფოდ დამაბერაო, ამბობს პოეტი. ამით თუ აიხსნება ის გარეკოება, რომ პოეტს ყრმებისთვის ლანდერძებია თავისი დავითიანი.

როგორც მოწრმუნე, ქვეყნის წახდენას, ბედუკუღმართობას აბრალებს ეგრეთვე ზნეობის დაცემას, ცოდვის მორევში ჩაცვივნას, რადგანაც **გვირგვინის ცოლი გაუშვეს, ხარჯასთან შეკნეს წოლანი,** ყმად წაუვიდსენ ისასა, იქმნენ მაჰმადის ქოლანი.

მაგრამ პოეტის აზრით აღორძინება ხალხისა უნდა მომხდარიყო სარწმუნოებრივ ნიადაგზე, რადგანაც იმ დროს, როგორც შენიშნული გვაქვს, ქრისტიანობა და ქართველობა ერთ მცნებად იყო მიჩნეული. მაშასადამე სარწმუნოებრივი მოტივი დავით გურამიშვილის პოეზიისა ბერული კი არა, ცხოველ მყოფელია და გამოუწვდენია ქართველი ხალხის დამოუკიდებელი ცხოვრების ინტერესსა. დღეს რა საკვირველია, სხვა დრო არის. არა თუ შეიძლება, ქართველი სხვა და სხვა რჯულის, არამედ ურჯულოც იყვეს, ე. ი. არ ეკუთვნოდეს არც ერთ სარწმუნოებრივ კულტს. **ჯვარცმის ამბავი** და ტირილი ღვთის **მშობლისა** საქრისტიანო პოეზიის შედეევრია.

მაღალი წოდების ზნეობრივი დაცემა რომ ბოლოს და ბოლოს მშრომელთა კლასზედაც უნდა გავრცელებულიყო, კარკად ჰმოწმობს ჩვენი პოეტის უდიდესი ნაწარმოები ქაცვია მწყემსი, რომელიც გვიხატავს მწყემსი ქალვაეის რომანსა. მწყემს ქალვაეთა ცხოვრება დღესაც კი ბედზეა მიგდებული და მაშინ ხომ სულ უპატრონოდ უნდა ყოფილიყვნენ, დილიდან საღამომდე ბუნების წიაღად ცხვრის მაძოვებელნი. რომანი ასეთია. ერთ ქალს მოსწონდა ერთი მწყემსი ვაეი, რომელსაც სთხოვდა, დაუქორწინებლად ეიცხოვროთ ერთადო. მწყემსი უარზე იდგა, რადგანაც შიში ჰქონდა, არ შერცხვენილიყო ისევე, როგორც მისი დედმამა. მაშინ ქალმა ჰკითხა, აბა მოჰყევ, როგორ ყოფილაო. ვაეი მოუყვა. ვაეის დედმამა ერთად შეზრდილიყვნენ, მათი მშობლებისაგან საქმრო საცოლოდ დანიშნულნი. მაგრამ გულის თქმამ როცა ბრძოლა დაუწყო, ვაემა მოიწადინა ქალთან ლაღობა, ქალი ჯერ უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს ვაემა დაიყოლია. დილა ადრიან ცხვარი წაასხეს საძოვრად ჭალაში, თვითონ კი შეეიდნენ ტყეში, სადაც ბევრი ეკალა იყო, და დაიწყეს ლაღობა. იმ დროს თურმე მახლობლად შეშას შეკრიდა მათი მეზობელი და ახლო ნათესავი. შეშის მეკრელი მოლაღობე ქალვაეთ წაადგა თავსა და დაემუქრა მშობლებთან დაბეზღებას. მაგრამ სწუხდა ქალვაეის უზნეობას დ მოწადინებული იყო, როგორმე ქალვაეი დაექორწინებინა საეკლესიო წესით. რა კი ქორწინებას პურისკამაც უნდა მოჰყოლოდა და ცოლი ნებას არ მისცემდა ქმარს სხვისთვის უზომო ხარჯის გაწევისას,

ქმარმა ხერხს მიჰმართა. დინჯად მოუყვა თავის ცოლს ერთი სიზმრის ამბავსა. შენი დედამთილ მამათილი დამესიზმრა და მითხრეს, დიდი ხანია ჩვენთვის წირვა არ გადაგიხდიათ და თუ ეხლავ არ აწირვინეთ მღვდელს და კარგი ალაპი არ გადაგვიხადეთ, უსათუოდ დაეიბარებთო. წამოვა სიკვდილი, ჯერ შენ მოგაპრის თავს, მასუკან მეო. ცოლს თავზარი დაეცა და ქმარს ნება მისცა, ალაპისათვის მზადებას შესდგომოდა. შეშის მჭრელი დაფაცურდა. პური დააცხო შინა, ცხვარი და ბატკანი დაჰკლა, ქათამი ზედ დააკლა და საუკეთესო ღვინიან ქვევრს თავს მოჰხადა. იმავ დროს სარძლოს და ბიჭის მშობლები დაპატიჟა, მღვდელს შეატყობინა ყველაფერი და სთხოვა ქადაგებაც წარმოეთქვა ქალვაჟის ჯვრის წერის დროს. მღვდელმა იმ გოგო ბიჭს ლოცვა წაუკითხა იქ, სადაც შეშის მჭრელი შესწრებოდა და მერმე უბრძანა საყდარში წასვლა. მღვდელი ეკითხება მშობლებს, მშიერ მგელს რომ წინ ედოს ლეში, ნუ თუ იქნება, პირი არ მოჰკიდოსო? მუგეს, არაო. ცეცხლზე რომ თივა იდოს, ნუ თუ იქნება, თივას ცეცხლი არ წაეკიდოსო? მიუგეს, არაო. თუ კი ეს იცით, შვილების ყურის გდებაც უნდა იცოდეთო. იმ დროს შეშის მჭრელის ცოლი ატირდა, ეგონა თუ, რაკი ალაპი მოიშალა, ორნივ ცოლქმარნი დაიხოცებოდენ. მღვდელმა ანუგეშა, ეგ ჭორი გსმენია და რაც შენმა ქმარმა დღეს საქმე ქნა, სულს ის უფრო წაადგებაო. ქმარიც ეფიცებოდა ცოლს, სიზმარი ტყუილად გითხარ, ადექ წავიდეთ. წავიდნენ, მაგრამ ქალმა რომ თვალი მოჰკრა ხმალ ამოწვდილ მაყარს, ეგერ სიკვდილიო, დაიძახა და გაექცა ქმარსა. მერმე სიდედრი გამოუყენა და მხოლოდ მაშინ დაჰყვა ქალი ნებას თავის დედასა. გაიმართა ქორწილი. კარგა მოილხინეს. კაცი ფარულად წავიდა, გათიბა მოლი, სადაც ქალვაჟთ ლაღობის დროს ქაცვი შერეკმოდათ და გაამზადა მათი საწოლი. როცა დრო მოვიდა, წაუძღვა წინ ქალვაჟს და იქ მოასვენა, სხვები კი მცველად გვერდით უდგნენ. ის ქალი ჩემზე დაორსულდა და როცა დავიბადე, ქაცვია დამარქვეს. მწყემსი მორჩა თუ არა თავისი დედმამის თავგადასავალის მოყოლას, ის ქალი უკანვე გააბრუნა. გაყრისთვის სწუხდა და სტიროდა. ქალი მივიდა მშვიდობით ამხანაგ გოგოებთან და ნაპოვნზე წილი ჰყარეს. ქაცვია მწყემსს შეჰხვდა სწორედ ის ქალი. მერმე ქაცვიამ მამასთან მოციქული გაჰგზავნა და ცოლის შერთვის დასტური და მამობრივი დალოცვა სთხოვა. მამამ დალოცა, მაგრამ მაინც რჩევა და დარიგება მისცა თუ, როგორი ცოლი შეირთოს, თვალის ნდომას გული არ მიაყოლოს. ამისგამო მოუყვა

ბოლოს ებრაელთა ადამ და ევას, ბაბილონის გოდლ'ის შენების, წარღვნის და ნოეს კიდობნის ლეგენდებს, რადგანაც შვილი სწუხდა თავის უვიცობას და მამას სთხოვდა, რამე ესწავლებიანა მისთვის. როგორც ვხედავთ, ქაცვია მწყემსი არსებითად გვიხატავს მოძღვრებას. აფრთხილებს მშობლებს, რომ თავიანთი შვილების ზნეობრივ აღზრდას თვალყური ადევნონ და დაუქორწინებელნი არ დასტოონ, თორემ შერცხვებიან ისე, როგორც შერცხვენილან ქაცვიას მშობლებიო.

დავით გურამიშვილიც ისე, როგორც არჩილ, თავის ლექსებს უწოდებს **დავითიანს**, სახელისაგან წარმოებულს, და ამბობს **ყრმათ შეავედრე ეს წიგნი, არ შექნან დასახევლადო**, პოეტს დაუწერია ქაცვია მწყემსი, როცა ცალი თვალით ბრმა და უკვე დაბერებული ყოფილა, რასაც ამტკიცებს ამ პოემაშიე შვილის მიმართვა მამისადმი. არც თუ დიდად უნდა მოსწონდეს პოეტს თავისი ლექსი. როგორც წკეპლაზე მჯდომი მხედარს, ისევე ამ ჩემი ლექსით ვერ ვემსგავსები შოთა რუსთველსო. ამასაც თავმდაბლობით ამბობს, რადგანაც შოთას ლექსი ქართული აკადემიის ქურაში გამობრძმედილი პიტალო ოქროა, დავით გურამიშვილის ლექსი კი ბუნებრივად მოჩუხჩუხე ანკარა წყარო. ლექსთა წყობა აქვს მრავალ ფეროვანი, მაჯამებით და მდიდარი რითმებით შემკული. მსგავს ხმათა ხევა არა ნაკლებია შოთა რუსთველის ლექსებზე. მოშაირეც კარგი ყოფილა. მოსკოვს რა ჩასულა ვახტანგთან, გაუჯიბრებიათ ისა და ვინმე ჯავახიშვილი.

§ 29. **ხაბა სულხან ორბელიანის** (1658 — 1725) საზოგადოებრივ პოლიტიკური მოღვაწეობა დაკავშირებულია ვახტანგ მეექვსის პოლიტიკურ ბედუკუღმართობასთან. ვახტანგის მინდობილებით ს. ს. ორბელიანი დესპანადაც კი გაემგზავრა 1713 წ. საფრანგეთს ლუდოვიკო მეთოთხმეტესთან, როგორმე საფრანგეთის შუამდგომლობით ჰშველებოდა რამე ვახტანგს და ქართლის მეფედ დამტკიცებულიყო ყეენის მიერ ისე, რომ მუსლიმანობა არ მიეღო. მაგრამ ვერც საფრანკეთი, რომლის მეფეც ბრძანებდა, სახელმწიფო მე ვარო, ვერც პაპი კლიმენტი მეთერთმეტე, რომელმაც ს. ს. ორბლიანს განუცხადა, ვახტანგისთვის თავს არ დაეზოგაო, ვერ გამოდგნენ იმდენად შემძლენი. რომ საქართველოს და სპარსეთს შორის საქმის მოწესრიგება თავს ედოთ სადიდებლად მაინც კათოლიკობისა, რომლისაც არა თუ მფარველობას და. გავრცელებას, არამედ მიღებასაც კი ჰპირდებოდა ვახტანგ მეფე. როგორც ბუნებით ჭკვიანმა და კარგად განათლებულმა კაცმა, ს. ს. ორბელიანმა თავისი დიპლომატიური მისია სხვაფრივ გა-

მოიყენა. გაეცნო ფრანგის შესანიშნავ მეარაკეს ლაფონტენს, რომელსაც, ეგვე კიდეც ჰქონოდეს გავლენა ჩვენს ავტორზე, ასწერა თავისი სამზღვარგარეთ მგზავრობა და კათოლიკედ დაბრუნდა რომიდან, რომლისაც ისტორიული ძეგლები და საზოგადოებრივი დაწესებულებანი დაათვალიერა საფუძვლიანად, რომ ჩვენთვისაც გაეზიარებინა თავისი შთაბეჭდილებანი. მაგრამ ს. ს. ორბელიანი ყოველის უწინარეს ხელოვანი მწერალია, პოეტიც კი, რადგანაც იმას ეკუთვნის უფროს ერთი გალექსილი ნაწილი ქილილა და დამანასი, რომელიც ეახტანგ მეფეს უთარგმნია. ს. ს. ორბელიანი მთლად აღორძინების პერიოდში ერთად ერთი მწერალია, როგორც უბადლო პროზაიკოსი, ანუ სადა მსიტყველი, რომელმაც ქართული პროზა განავითარა, გაამდიბერა თავის თხზულებაში, რომელსაც უწოდა სიბრძნე სიცრუისა. უეჭველი გავლენა ქილილა და დამანას მაინც ჰქონია სიბრძნე სიცრუის წიგნზე, რადგანაც ორთავე თხზულებას მოძღვრებითი ხასიათი აქვს და რაიმე აზრის დასადასტურებლად მოლაპარაკეს, როგორც აღმოსავლეთის ხალხს სჩვევია, არაკი მოჰყავს, ასე, რომ სიცრუისაგან სიბრძნე იბადება. მაგრამ იმ დროს, როცა ქილილა და დამანას თოთხმეტი შემთხვევა დაუსახელებია ბრძნული ცხოვრებისთვის გამოსაყენებელი, სიბრძნე სიცრუისა უფრო მთლიან მოძღვრებას წარმოადგენს და გვიხატავს სპარტულად აღზრდილი ქვეყნის მმართველის იდეალსა. რამდენიმე საუკუნის მანძილზე ქართლ კახეთი განიცდიდა ოსმალეთ სპარსეთის ძლიერ პოლიტიკურ გავლენას, ზედმეტად კიდევ სპარსული კულტურისას. ქართველი მაჰმადიანი მეფეები, რომელნიც ქრისტიანობას ჰგმობდნენ და ქართლ კახეთს განაგებდნენ ყველნის წყალობით, ეგრეთვე მათთან ერთად ბრწყინვალე ფეოდალები ისე მოდუნებულ იყვნენ სულითაც და ხორცითაც, ფუფუნება განცხრომისაგან გახრწნილების მორევში ჩაცვივნულნი, რომ სიკეთე და სიმართლე მათ სამშობლოში სანთელით საძებნი გამხდარიყო, ხოლო ბოროტება ცხოვრების ყოველ დარგში ქცეულიყო პარაზიტად. რომელიც მშრომელი ხალხის ორგანიზმს სისხლს სწოვდა. აღარავის ახსოვდა ჭირი და ლხინი მშრომელი ხალხის, რომელიც თავისი ნაოფლარით შეამდა პურს და თავის მეამელებსაც ასაზრდოებდა, განსაკუთებით ღარიბ ღატაკი. ავთანდილ აღარ სწერდა ანდერძს, რომ საპურეელე მიეცათ გლახაკთათვის, მონები გაენთავისუფლებინათ და ობლები და არასმქონები დაემდიდრებინათ, სხვისი ჭირი ღობის ჩხირად მიაჩნდათ, პირადი სიამოვნება და ბედნიერება ყველაფერს ერ-

ჩიათ. ასეთ დროს ცხოვრებაზე დაკვირვებული ხელოვანი მწერალი, რომელიც ხალხის აღორძინებას შესაძლებლად ჰხდიდა მხოლოდ ქართული კლასიციზმის გავრცელებით, უსათუოდ მოიგონებდა ვეფხის ტყაოსნის გმირს როსტევანს, თავის ახლად გახელმწიფებულ ქალს თინათინს რომ ბრძნული დარიგება მისცა, ვარდთა და ნეხვთა ვინადგან მზე სწორად მოეფინების, დიდთა და მცირთა წყალობა შენმცა ნუ მოგეწყინებისო. ს. ს. ორბელიანის ხიბრძნე სიცრუისა მოგვითხრობს ერთი უშვილო მეფის ფინეზის თავგადასავალს. მეფეს ჰყვანდა ბრძენი ვეზირი სედრაქ და საკურისი რუქა. მეფე ძლიერ სწუხდა უშვილობას, მაგრამ ბოლოს განგებამ წყალობის თეალით მოჰხედა და შეეძინა მეფეს ვაჟი, რომელსაც სახელად უწოდეს ჯუმბერ. ნადირობის დროს მეფემ ჰნახა ახალგაზდა ლეონ, რომელსაც სთხოვა თავისი ვაჟის აღზრდა, ლეონ უარზე იდგა, რადგანაც სამეფო კარის სამსახური ეძნელებოდა, რუქა კიდევ წინააღმდეგი იყო. ბოლოს მეფემ დაიყოლია ლეონ, რომელიც შეუდგა ჯუმბერის აღზრდას თავისებურად. როცა თვითონ ცხენით სადმე წავიდოდა, ჯუმბერს ფეხშიშველას გაიყოლებდა, მოამშევდა, მოაწყურებდა, ხანდახან კიდეც გასწკეპლავდა. ყველაფერს სჩადიოდა, განზრახ, როცა ჯუმბერ ქვეყნის მართვა გამგეობას ჩაიბარებდა, ადვილად ეგრძნო ღარიბლატაკის გაჭირვება და გაეგო თუ, რა ძნელია ადამიანის სხეულის ტანჯვა. ამ გვარად გაწვრთნილ ჯუმბერს მამა ხელმწიფობას გადასცემს და ლეონს გამოჰკითხავს თავგადასაელს. რუქა მართალია პირველად წინააღმდეგი იყო, რომ ლეონ ჯუმბერის მწვრთნელად მოწვეულ ყოფილიყო, ხოლო როცა ყურს დაუგდებს მის თავგადასავალს, დარწმუნდება, რომ იგი ნამდვილი ბრძენია, და სთხოვს მეფეს მის დატოვებას, მაგრამ კარის კაცთა შორის უთანხმოება ჩამოვარდება, რაიც ფინეზს საგონებელში ჩააგდებს.

ს. ს. ორბელიანს ლექსიკონიც შეუდგენია იმ მიზნით, რომ დაკარგულის ნაცვალი ყოფილიყო. მის ლექსიკონს დღესაც არ დაჰკარგვია მნიშვნელობა, თუმც შემდეგ პროფ. დ. ჩუბინაშვილსაც შეუდგენია ხუნჯე ქართული ენისა (ქართულ რუსული ლექსიკონი). ეს თერამეტი წლის განმავლობაში ქართველი ხალხისთვის აკრძალული იყო ქართული სწავლა განათლება, რის გამოისობითაც მრავალი ტეხნიკური სიტყვა დავიწყებულ იქნა. ქართული თავისუფალი წერა ლაპარაკი მეცნიერულ ფილოსოფიურად შეუძლებელი იყო რუსულად ნასწავლი ახალთაობისათვის. ჯერაც კი არ ვიცით ყოველნაი-

როზა, ვსთქვათ, წულისა, ნავისა, ბადის, ფრინველის, შინაურ, თუ გარეულ ცხოველთა და მათი შვილებისა. ს. ს. ორბელიანს კი დაწვრილებითა აქვს ყველაფერი ჩამოთვლილი, თუმც ფილოსოფიური განმარტება ზოგიერთი სიტყვის, ვსთქვათ სულისა, რა კი ამოღებული აქვს სხვა თხზულებაში, შეუცვლელად დაუტოვებია, რის მიზეზითაც ძნელი გასაგები გამოდის.

როგორც ვიცით, ს. ს. ორბელიანი რომიდან ერთგულ კათოლიკედ დაბრუნდა. კათოლიკობის გავრცელებას იგი კალმითაც ეწეოდა, ასე, რომ დაუწერია ერთი წიგნი სახელად სამოთხის კარი. ანტონ კათოლიკოზი ამ წიგნის გამო ამბობს, ვინც ს. ს. ორბელიანის სამოთხის კარს წაიკითხავს, ჯოჯოხეთის კარს დაებმისო. ცხადია მის გაკათოლიკებას ცუდი შთაბეჭდილება დაუტოვებია მაშინდელ მაღალ საზოგადოებაზე. ბოლოს დ. გურამიშვილის არ იყვეს, ვიც ვახტანგ მეფეს გამოდგომია, მოსკოვს ჩასულა არჩილ პოეტი, რომელიც ბიძად მოჰხვდებოდა, იქ დაუგდია კათოლიკობა, იქვე გადაცვლილა.

§ 31. ძნელი სათქმელია, ბესიკი (1751 — 1791) სად სწავლობდა ტფილისის საკათალიკოზო სკოლაში, თუ თელავის სემინარიაში, რომელიც პატარა კახმა დააარსა. ბესიკი შვილი იყო ზაქარია გაბაშვილისა, რომელიც პატარა კახის კერის მოძღვარი ყოფილა და რომელსაც დიდი მონაწილეობა მიუღია ანტონ კათალიკოზის დამხობაში კათოლიკობაზე მიდრეკილებისთვის. ამ გარემოებას მიუცია ჩვენი პოეტის მამისათვის საბაბი, რომ ლექსად დაეწერა პირველი პოლიტიკური სატირა კატის ომი, სადაც კატას (ე. ი. კათალიკოზს) აუჯანყდებიან თაგვები, ვირთაგვები, თრითინები და სხვა მხეცელი ცხოველები და კუდს მოაგლეჯენ. კუდ მოგლეჯილი კატა მიდის ჭაბას ცოდვის მოსანანიებლად და თან ამბობს, ვაი რა კუდი დავკარგე, მრთელ საფრანგეთად მიღირდაო. ავტორი გადაპკრავს, რომ გადაყენებული ანტონ კათალიკოზი რუსეთს წავიდა და იქ აღიარა ბერძნული ორდოდოქსიის მრწამსი. ბესიკი არაჩვეულებრივი ახალგაზდა ყოფილა. თვალ ტანად უბადლო ლამაზი, მოქეიფე, დამკვრელი და მომღერალი ბესიკი მთელ ქალაქში გათქმული ყოფილა. ჯერ კიდევ მოწაფეობის დროს დაუწყია ლექსების წერა და ბერებს თურმე დასცინოდა, მაგრამ მაშინდელი მისი ლექსები ჯერ არ აღმოჩენილა, ნაცვლად კი დარჩენილა ბერების შეთხ-

ზული ერთი ლექსი, რომელიც ცხად ჰყოფს თუ, პოეტი რამდენად სჯავრებიათ. ლექსი იწყება ასე:

გაბაანთგან აღმობრწყინდა ახლად ჟამად ანტე ქრისტე,
შე დალოცვილო უფალო, ეს რა გამოგვიქოფიტე.
ჯოჯოხეთი აღუშენე, ხელთა მიე მისი კლიტე
და დაგვიხსენი მისგან, უფალო იესო ქრისტე.

ბესიკის ლექსებს სშირად სათაურად უზის სპარსული სხვადასხვა სიტყვა, როგორც მაგ. მუხამბაზი, თეჯლისი, გაფი, ბაიათი და ს

თავის უბედურ სიყვარულს პოეტი ასეთ ალეგორიად გვიხატავს. სუვდის ბაღს შევიდა სიყვარულის ისარ გამშვალური. დაღონებულს ჰსურდა ვარდის კონების მოკრეფა, მაგრამ გამოძეებულ იქმნა. მერმე იას მიჰმართა და ჰკითხა ვარდის გულის წყრომის მიზეზი. მაგრამ იამაც გამოაგდო. ბოლოს ნარგიზს შეეხვეწა ვარდთან შუამდგომლობას, რომ მის შავ გულს მოლხენა ჰქონოდა. ნარგიზს პოეტი შეებრალა და უთხრა, ვარდი მისთვის გიწყრება, რომ იგი შენთვის თავდადებული იყო, შენ კი დასთმე და სხვას ეახელიო. გამობრუნდა პოეტი და ბაღის კართან დაჯდა თვალ ცრემლიანი. წუთი სოფლის ბასრი ბრეშყალები იმასაც მოჰხვდა, მაგრამ სიკვდილს არ ემალებოდა. უცხოეთში მყოფი ყარიბად დაიარებოდა და სწუხდა. რომ სიყმის მეგობრებთან ერთად ვერ მხიარულებდა. იგონებდა სატრფოს, მის უებრო მშვენიერებას, რისი ნახვითაც სიცოცხლის ძალა ემატებოდა. დათმობა მაინც არ შეეძლო, რადგანაც სხვას ვერვის ჰპოვებდა მისთანას. მისი გონებით მსგავს იყო მილეული მთვარის და მწარე სიკვდილი სანატრელი გაჰხდომოდა. უბედური სიყვარული და წუთი სოფლის სამდურავი არის უმთავრესი გრძნობა, რომელიც ახასიათებს ბესიკის ლირიკას, აშუღურ ელფერ გადაკრულს. შესაძლებელია, პატარა კახის კარის აშუღის საათნოვას გავლენითაც.

მაგრამ ბესიკის პოეზია შეიცავს ეგრეთვე, როგორც ისტორიულ მოტივს, ისე სატირულ ელემენტსა. ისტორიული პოემა დაუწერია ორი. ერთია ასპინძის ომი, როცა პატარა კახმა გაიმარჯვა ოსმალეთზე, ხოლო მეორე რუხის ბრძოლა, რომელიც მეგრელებსა და აფხაზებს შორის მოხდა. ასპინძის ომი ერთგვარი მიმართვა არის დავით სარდლისადმი, რომელმაც გამარჯვება მოაპოებინა პატარა კახს, რუსთაგან მიტოვებულსა. დავით სარდალმა დაჰფრიწა ლეკთა და ოსმალთ წყობანი და დაატოვებინა აუარებელი ვალა. რასაც შეადგენდა ოქრო ცურვილი რახტები, ძვირფასი ცხენები და ყაწიმ ძეწკვებით შეკრული თოფები და ხმლები. რუხის ბრძოლა ოდიშ აფხაზეთ შორის იყო. მეგრელები ხრესილის ომში დაეხმარნენ იმერლებს ოსმალთ წინააღმდეგ, ეხლა სთხოვდნენ იმერლებს დახმარებას აფხაზთ წინააღმდეგ. პოეტს შეუჭია გამარჯვება სოლომონისა, რომლისაც

ლეკურსა დრო ჰხვდა. მიჰკაფდა,
ვით ნახა ზურგი ჯაბანი,

ჰაერსა შინა ფრინავდა
სმალი სისხლითა ნაბანი;
ორნი ძმანი დადიანნი, რომელნიც
ოთხთა ძმათა შერვაშიძეთ,
გაქცეულთა განარეხმიდეს,
ვით ქორის ქვეშ მცირე ლამპნი;
სარდალი წერთელი, რომელიც
ჰგაკდის მეხის ტეხას,
ჯგუფთა რაზმთა დამბნეველი.
გიორგი წულუკიძე, რომელიც
ცეცხლ ანაგზომი
ჰხოცდა მიმწდომი;
ელაზბარ ერისთავი, რომელიც
შუა რაზმთა შევლის ფრეწად,
წინამდგომთა დამამწარობს;
რომან ჩიჩოა, რომელიც
კისკისი და მკლავ უებრო
მისდევს ხმლისა ხლაჩი ხლუჩით.

რუხის ბრძოლა აღდგომა დღეს მომხდარა. აფხაზთ დამარცხებას პოეტი სთვლის ქრიატიანობის გამარჯვებად მაჰმადიანობაზე. ქება გმირთა ისეთი მანერით უთქვამს, როგორც სჩვევია ჰომიროს ტროეთის ომის აღწერის დროს ამა, თუ იმ აქეებლი გმირის მამაცობის შექება.

საზოგადოებრივი ხასიათის სატირას წარმოადგენს ჩვენი პოეტის რძალდედამთილიანი, რომელიც მოგვითხრობს მოძულე რძალ დედამთილის თავგადასავალს. როგორც რუსეთში სიძე სიდედრის, ისე საქართველოსა და სომხეთში რძალ დედამთილის სიძულვილი გადაქცეულა საარაკოდ. მომხდარა ამბავი სამარყანდს. ერთ დილას დედამთილს უცემია რძლისთვის, რომელიც ყელ დაკაწრული გამორბოდა. უკან მოსდევდა დედამთილი. ქალს როცა მოესმა დედაბრის კივილი, გრიგალივით დაბრუნდა და მივარდა დედამთილს. ერთმანეერთი თმებით ათრიეს. მათ შუღლზე მოვიდა ქმარი. დედამ შვილს შეშჩივლა, შენმა ცოლმა მცემაო. შვილმა კიდევ თავის ცოლს სცემა. შეიყვანეს, მაგარ ბოძს მიაკრეს. მაგრამ ცოლმა ქმარს გული მოულბო და ქმარმა ჩამოხსნა. ბოლოს ქალმა თავი მოიმკვდარუნა,

ქმარს შეეცოდა და ატირდა. ქალმა სთხოვა, ტერტერა მომიყვანე, სულის შემამკობელიო. ქმარი წავიდა ტერტერას მოსაყვანად. მაშინვე ქალი წამოდგა, საჩქაროდ შეჰკრა დედამთილი, თოკით ჰერში ჩამოკიდა და ცემა დაუწყო, ვიდრე სული არ ამოახდინა, ხოლო თვითონ ფეხაკრეფით გაიპარა და წავიდა თავის მშობლებთან და მოალერსა, ლაშქარი თავს დაგვესხა და რაც გექონდა, წაგვართვესო. მშობლებმა დაიჯერეს. ქმარმა ტერტერა მოიყვანა. შვილმა ჩამოხსნა თავისი დედა. ტერტერამ ანდერძი შეუტმასნა და დამარხა დედაბერი. კაცმა გულის წყრომის წიგნი მისწერა თავისი ცოლის მშობლებს და ყველაფერი შეატყობინა. მშობლებმა შვილი დასტუქსეს და დაემუქრნენ, ხელშეკრულს მიგცემთ შენს ქმარსაო. კაცი გაიპარა სიდედრთან, რომელმაც განუცხადა, ჩემს ქალს შენს წინაშე დანაშაული აქვს და გთხოვ, არ მოჰკლაო. კაცი ხმალ ამოწვდილი ეცა თავის ცოლს მოსაკლავად, მაგრამ ბერები და ტერტერები მოვიდნენ და შეარიგეს ცოლქმარი. შინ როცა მივიდნენ, ქალმა უთხრა ქმარს, დედა შენს რომ კარგი საჩაღრე დაჰრჩა, ის შე მჭონდეს მისი სულის მოსახსენებლადო. პოეტი რძალ დედამთილიანს უწოდებს შესაქცევარ ამბავს, მაგრამ ისეთს, რომ იმ სიცილის დროს კაცი თვალთაგან ნელ ცრემლს აფრქვევდეს.

§ 32. **პეტრე ლარაძე (+1837)** აღმადგენელია ხარგის თმოგველის დილარგეთისა, რომელიც დაკარგულად ითვლება. სარგის თმოგველი ვეფხის ტყაოსნის ბოლოს მინაწერ ერთ ხანაშია მოხსენებული მოსე ხონელისა და შაეთელის შემდეგ, როგორც ენა დაუშრომელი, მაგრამ დილარის თავგადასავალი დაუწერია ლექსად და არა პროზად, სადა ნასიტყვად, როგორც ზოგიერთს ჰგონია. ამას ამტკიცებს ჯერ ის, რომ სარგის თმოგველი მოხსენებული ჰყავს იმ ხანის ავტორს, როგორც ენა დაუშრომელი. ჩახრუხაძე მას უწოდებს მდუღარე მოუბარს, ხოლო ანტონ კათალიკოზი ამბობს, ხარგისი... ესეცა შოთაებრი კაცი არსო. დაბოლოს კიდევ იმის პოეტობას ამტკიცებს ის გარემოება, რომ პეტრე ლარაძის მიერ ლექსნარევ პროზად აღდგენილი დილარიანის ერთი ადგილი, სახელდობრ 178 გვერდზე, რომელიც პროზად მოყოლებულია, ლექსად იკითხება. აი რას და როგორ უგალობს ნუშრევან თავისს ხატრფოს როადაშსა:

რაცა მისთვის ჭირი ვნახე, ყველა ლხინად შემიცვალა,
ყოველი სენი, გულს ნაქონი, განმიშორა, ვაჰშილალა;

ბროლ ხადაფსა შეხვეული ლალი არღა განმისალა,
კოკობისა ვარდის გაშლა, ვითა მსურდა, არ მიშალა.

ასეთ ლექსს მხოლოდ დიდი პოეტი თუ დასწერდა და არა პეტრე ლარაძე. რომელიც ენის გარდაქმნასაც კი სცდილობდა მდედრობითი სქესის შემოღებით, როგორიც არის მაგ. **ხელმწიფა** დედოფლის მაგიერ (გვ. 237). როგორც ვიცით ვეფხის ტყაოსნის ზემოხსენებულ ხანაში დილარგეთ იკითხება და არა მარტო დილარ, რომელიც არის პოემის გმირის სახელი. ამის გამო თეიმურაზ ბატონიშვილი სიტყვის გეთ ნაწილს ჰხსნიდა, როგორც გვარს და ბაეისს მოსაზრებას ასაბუთებდა იმით, რომ მესხეთში **გეტიშვილები** არიანო. ალ. ხახანიშვილი **დილარგეთს** ჰხსნიდა სპარსული სიტყვებით. **დილ** ჰნიშნავს გულს, ხოლო **გეტ** ღარიბსაო. მაშინ **გეტ** უნდა დაუახლოოთ ღატ ძირსა, საიდანაც სწარმოებს ღატაკი, რომლისაც ფარდად არაბული ღარიბი შემოსულა. ღარიბი ხომ იგივ ყარიბია. მაშინ **დილარ** **გეთ** უნდა ითარგმნოს **დილარ** ყარიბად, საკვირველია, რომ **დილარიანის** აღმადგენელი პეტრე ლარაძე თავისს თავს უწოდებს **პეტრე** ყარიბსა.

დილარიანი მოგვითხრობს **დილარ** მძლეველის საგმირო თავგადასავალს, თორმეტ კარად დაწერილს. **პეტრე** ლარაძეს **დილარიანი** მეორედ დაუწერია. პირველისთვის, რომელიც დაუსრულებელი ჰქონია, ამბობს, ეცნა **მეფის ქეს ითნეს**, იგ **მან მომტაცაო**, მაგრამ **იგი მას არა შგავს, ვით ვარდსა გოგშო თავ მხხვილ ეკლიანთო.**

თ ა ვ ი VII.

§ 33. ჩვენი წინაპრები მოსამზადებელ პერიოდშიაც მისდევდნენ თარგმნას. რადგანაც საეკლესიო [illegible] საჭიროება [illegible]ითხოვდა. მაგრამ როგორც სხვა ერთა, ისევე ქართველი ერის საქრისტიანო კულტურა გამდიდრდა მას აქეთ, რაც ითარგმნა ესრე წოდებული საღვთო წერილი, რომელიც არის იგივ ებრაული კლასიკური მწერლობა, მოსე წინასწარმეტყველით დაწყებული მალაქიამდე ჩათვლით (1700 — 408 ქ. წ.). საღვთო წერილი მრავალ გვარ ნაწარმოებს შეიცავს, მათ შორის, ისტორიულს, საკანონმდებლოს, სიტყვაკაზმულს, საწინასწარმეტყველოს, ფილოსოფიურს და სხვას. შემდეგ კულტურის განვითარებასთან ერთად თანდათან გაძლიერდა ინტერესი, რომ მეზობელ ერთა მწერლობაც გაეცნოთ. ამგვა-

რად შემოდიოდა ჩვენში მეთერთმეტე საკუნიდანვე თარგმნილი შედევრები უცხო მწერლობისა. დავასახელოთ უმთავრესები.

სიბრძნე ბალვარისა ვის, ან რომელი ენისაგან უთარგმნია, არ უწყით. ბოგვითხრობს თავგადასავალს იოდასაფისას, რომელიც ყოფილა ინდოეთის მეფის იაბენესის შვილი და მოუქრისტიანებია ერთ ბეუდაბნოე ბრძენს, სახელად ბალვარსა, თუმც იოდასაფის მამა წინააღმდეგი ყოფილა. სიბრძნე იხატება იმ რამდენიმე იგავში, რომელიც ბალვარს უთქვამს იოდაისაფისათვის. **სიბრძნე ბალვარისა** მეთერთმეტე საუკენეში უკვე ქაროულად თარგმნილი უნდა ყოფილიყო, რადგანაც ქართული ტექსტის ბერძნულად თარგმნას მიაწერენ ექვთიმე მთაწმინდელსა. ენა ქართული **სიბრძნე ბალვარის** წიგნისა მარტივი და გასაგებია, მაგრამ შეიცავს საქრისტიანო ელემენტს და ეტყობა საღვთო წერილის სტილის გავლენა. მაშასადამე თავისუფალი თარგმანი უნდა იყვეს უცნობი დედნისა, რომელიც ეგებ ინდურ ჩინური კულტურის ნიადგაზე აღმოცენებულ იყვეს. ალ. ბა სანაშვილის თქმით, ხსენებული თავგადასავალი ყოფილა ბუდდას ცხოვრებად მიჩნეული და ზეპირ თქმულებით გავრცელებული ქრისტიანთა შორის, რომელთაც ასკეტიზმის კეალობაზე შეუმუშავებიათ.

ვისრამიანი სპარსულისაგან პროზად თარგმნილია XI საუკუნეში. მთარგმნელის ვინაობა არა სჩანს, თუმცა ზოგიერთებს ჰგონიათ სარგის თმოგველი. სპარსელი პოეტი **ფაჰრუდდინ გურგან** მოგვითხრობს ვისის და რამინის სამოკნურო თავგადასავალს. რამინ იყო ახალგაზდა ძმა მოხუცის შაჰმოაბადის და მოკნური ვასისა, რომელიც მოაბადის ცოლი იყო. ენა **ვისრამიანისა** სადა ნასიტყვია, უმაღლესად განვითარებული და საეკლესიო ენის აღნაქვსი, როგორც **სიბრძნე ბალვარისა** წიგნს, ისე არ ეტყობა. **ვისრამიანის** ნიკიერი მთარგმნელი ისევე, როგორც შოთა რუსთველი, აღზრდილან დარბაზში, სადაც შეუძენიათ ეგრეთვე ცოდნა არაბულ სპარსული კულტურისა. რუსთველი მცნობია ვისრამიანისა, რადგანაც იგონებს ვისს და რამინსა.

ლეილ მეჯნუნიანი ნიზამ განჯელს დაუწერია სპარსულად. უთარგმნია ლექსად XVII საუკუნეში თეიმურაზ პირველს **მაჯამის** ავტორსა. პოემა მოგვითხრობს ლეილა და მეჯნუნის საუბვდურო სიყვარულის ამბავსა. მეჯნუნი მასწავლებელმა მოლამ დაარქვა, როცა იმასა და ლეილას ერთად ასწავლიდა და შეამჩნია, ქალვაეთ

ერთმანერთზე გული შეჰვარდნოდათ. მაშინ გაუწყია ეაეს, რომელსაც ყაისი ერქო, და მეჯნუნი უწოდა, ქართულად მიჯნური, ანუ შმაგი.

როსტომიანი, სპარსულად შაჰნამე (მეფეთა წიგნი), რომელიც უთქვამს **ფირდუსს**, საგმირო პოემა არის. მისი უმთავრესი გმირია როსტომ. როსტომის თავგადასავალი ისეა განთქმული საქართველოში, რომ ხალხურ თქმულებადაც კი გადაქცეულა, სადაც შეტანილია ეგრეთვე ზურაბის და ბეჟანის თავგადასავალი. მთარგმნელებად ითვლებიან **ხოსრო თურმანიძე** (სპანდიარ ბაზუს ამბავი 972 ტაეპი), **სოკრატ საბაშვილი** (ზაალიდან ლორასპამდე) და **ფარსადან მელექსე** (მანუჩარიდან ბაამანამდე), რომელნიც თავიანთი ცხოვრებით ეკუთვნიან მეჩვიდმეტე საუკუნეს. ქართული **როსტომიანი** სპარსული პოემის შემოკლებული თარგმანია და საქართველოში გათქმული ყოფილა ჯერ კიდევ XII საუკუნეში.

ქილილა და დამანა მეთვრამეტე საუკუნეში უთარგმნია **ვახტანგ მეექვსეს**. თანამშრომლად ჰყოლია **საბა სულხან ორბელიანი**, რომელსაც ეკუთვნის მეტ წილად **ქილილა და დამანას** ლექსები. შეიცავს თოთხმეტ შემთხვევას, ბრძნული ცხოვრებისათვის გამოსაყენებელს. ქილილა და დამანა სახელებია ტურების, რომელნიც მოქმედებენ პირველ ორთაეში. აეტორად ამბობენ ინდოთ ბრძენს ბარამსა.

ყარამანიანი დაუწერია **სპარსელ პოეტს აბუ ტაჰირს**, რომელიც ძოგვითხრობს ყარამან გმირის ფანტასტიურ თავგადასავალს. პროზად ნათარგმნია **დავით ორბელიანის** მიერ XVIII საუკუნეში. შეიცავს თექვსმეტ კარს. ყარამანიანი ხალხის საყვარელ წიგნად გადაქცეულა ენის სიკეთის გარდა გმირთა მისწრაფების წყალობითაც. რომ სძლიონ ყოველ გვარი ბუნებრივი და ზესთაბუნებრივი დაბრკოლება, რომელიც გმირებს გადაჰლობებიათ.

§ 34. იმ ურთიერთობის დროს ბიზანტიასა და საქართველოს შორის რომ იყო, **ბერძნული თეატრონი**, რომელსაც მეჩვიდმეტე საუკუნის პოეტი არჩილ იხსენიებს, საქართველოსაც უნდა ჰქონოდა. ფეოდალიზმის ეპოქაში დიდი ყურადღება იყო მიქცეული არა მარტო ფიზიკურ გონებრივ, არამედ ესთეტიურ გენვითარებაზედაც. რასაც ცხად ჰყოფს **ვეფხის ტყაოსანი**. ფეოდალთა ზნეჩვეულების დასახასიათებლად კმარა, სხვათა შორის, აეიღოთ სიტყვა **სანოვაგე**, რომელიც დღეს ხორაგად, პროვიზიად გვესმის, მაგრამ **ნოვაგ**,

საიდანაც სანოვაგე სწარმოებს, ჰნიშნავს მუსიკას. მაშასადამე ჭამა და მუსიკა განუყრელი ყოფილა. იოანე შეეთელის **აბდულ მეხია ჰპოწშობს, რომ დავით აღმაშენებლისას ისმის მგოსანთა, ვით საფირონთა ხმანი ებნისა და წინწილისა.** გასართობი მაშინდელ ლაშქარს უთუოდ ზომაზე მეტიც ჰქონია, რადგანაც დავით აღმაშენებელს მოუხდენია განკარგულება, რომ ლაშქრობაში მოსპობილიყო **სიმღერა, სახიობა და განცხრომა.** სიმღერა ცეკვას ჰნიშნავდა ხმის შეწყობით, ხოლო განცხრომა იგივ შექცევა, ლხინი იყო. მაგრამ თუ სახიობა დ. ჩუბინაშვილის აზრით დაკვრა იყო ხმა შეწყობილი, მაშინ იგი უნდა წარმოებული ყოფილიყო ეგრეთვე სახის მოძრაობითაც, რადგანაც იყო და ეხლაც არის ხმარებაში სიტყვა **მსახიობი,** რასაც უწოდებთ არტისტს, პიესის ერთერთი მოქმედის როლის შემსრულებელს. მსახიობს უახლოვდება ძველი **მიმოსი,** აქედან **მიმიკა** მიბაძვა.

ვეფხის ტყაოსნის ცხოვრების სურათები პოეტს იმ დროინდელი სინამდვილისაგან უნდა ჰქონდეს ნასესხები. მაგალითად მშვილდოსნობა, ჩოგან ბურთი, ჯამბაზობა (თოკზე გავლა) სპორტის ერთ ერთი სახე იყო. ქაჯეთის ციხის ასაღებად გამართულ თათბირზე ფრიდონ განუცხადებს ტარიელს და ავთანდილს, **მას ერთსა ბურჯსა გარდვაგდოთ წვერი საბლისა გრძელისა, მასზედ გავლა ადვილად მიჩანს მართ ვითა ველისაო.** არსებობა მუტრიბთ, ანუ იმ ქალთა, რომელნიც სიმღერას, ე. ი. ხმის შეწყობას, დაკვრას და ცეკვას ეწყობოდნენ, ეგრეთვე ჯარის სამუსიკო საკრავებისა, როგორიც **იყო ბარბითი, ბუკი, ქოს დაბდაბი, წინწილი, ეფვანი, ჩანგი** და სხვა კმარა საბუთად იმისა, რომ ფეოდალიზმის დროს გასართობი საკმაოდ განვითარებული ყოფილა. საჯარო გასართობი იყო **ჯამბაზობა, ბერიკაობა** და **ყეენობა,** რასაც ხალხი ძლიერ ეტანებოდა. ჯამბაზობა იგივ მუშაოთობა, როგორც ვსთქვით, თოკზე გავლა იყო. ჯამბაზობასთან განუყრელი იყო მასხრების გამოსვლაც დაირ ზურნითა. თოკი საკმაო დიდ სიმაღლეზე იყო გაბმული. ზედ გამველელ ჯამბაზს ეჭირა ხელთ გრძელი ჭოკი, ჭოკს კიდევ თავსა და ბოლოს სილით გატენილი პარკები ჰქონდა გამობმული, რომ წონასწორობა არ დარღვეულიყო გავლის დროს. მასხარა უთუოდ ბერიკა აღ.არებული უნდა ყოფილიყო (მასკარა, მასკარად, მასკა). ბერიკაობა გაზაფხულის დღესასწაული იყო. იმართებოდა ყველიერში. ერთი გაიკეთებდა ქალის ბერიკას, ქალურად გამოეწყობოდა, მეორე ვი-

რის, ან ღორის თავს ჩამოიფხუტავდა და ტანთ შესაფერ ტყაპუჭს ჩაცვამდა, ვითომც მეფე დედოფალი იყვნენ. მესტვირე თან ახლდა. ერთი კაცი წინ მიუძღოდა ხანჯალ ამოწვდილი და კარდაკარ ჩამოიარ-ლიდა, რომ მოეკრიფა შაბაში. მეფე დედოფალი ცეკვავდა, მესტვირე სტვირს უკრავდა. მეფე დედოფალთან იყო ეგრეთვე ერთი კაცი, რომელსაც თხის ბერიკა ჰქონდა აფარებული, ხშირად მიდიოდა, რაღაცას ეჩურჩულებოდა იმათ, მაგრამ იმავე დროს ხანჯლიან წინამძღოლს ერიდებოდა. ყველნაბაც თითქმის ყველიერში იმართებოდა ისევე, როგორც ბერიკაობა, მხოლოდ ბერიკა და მეფე დედოფალი საეალდებულო არ იყო. შეიძლებოდა. ყველნი უდედოფლოდაც ყოფილიყო, მხოლოდ უთუოდ ვირზე, ან აქლემზე უნდა ჯდარიყო პირ შემურული, რომელსაც ტყაპუჭი ეცვა და თავს ჩიჩი ეხურა. ამალა ახლდა სხვადასხვა ნაირად ჩაცმული. ყველნაბაც ჩამოატარებდნენ კარდაკარ დიდქუჩებში და მისი ამალის ზოგიერთი წევრები მოჰკრეფდნენ შაბაშს ფულადაც და ხორაგადაც. ბოლოს ყველნს წაიყვანდნენ და ყიენის დაცემით ჩააგდებდნენ წყალში, მაგრამ ყველნი დროს იხელთებდა და პირს დაიბანდა. საღამოს გაიმართებოდა ნადიმი, რომელსაც მოჰყვებოდა მუშტი კრივი. ყველნობაც არსებითად ზამთარზე გამარჯვებული გაზაფხულის ღღესასწაულია, ისევე, როგორც ბერიკაობა, მაგრამ რაკი ყველნის სახელით მოინათლა, უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოსა და სპარსეთის ურთიერთობის რაიმე დიდ ისტორიულ ამბავს უნდა ჰქონდეს გაელენა. ქართველი ხალხის, ან გამარჯვებას, ან დამარცხებას. საგულისხმოა, რომ ყველნობა იმართებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათს და იმ ორშაბათს ეძახდნენ შაეორშაბათსა.

მეჩვიდმეტე საუკუნეში თეატრონი ყოფილა, რომელიც ითარგმნება საკვრეტად, სანახაობად, მაგრამ სამწუხაროდ ჯერ არ არის გამორკვეული, როგორ საკვრეტს, ან სანახაობას ჰქონდა იქ ადგილი. არჩილ პოეტი გვაუწყებს, თეატრონში ისევე, როგორც ასპარეზზე, ბაასობდნენ მისთვის თუ, ვინ უფრო დიდი პოეტი იყო, შოთა რუსთველი, თუ მაშინდელი პოეტი თეიმურაზ. XVIII საუკ. კი პატარა კახის დროს ევროპული სკოლის დაარსებას მოჰყვა ევროპული თეატრის დაარსებაც, მაგრამ რუსეთის გზით. როგორც რუსეთში იყო, ისეთი თეატრი შემოიღეს საქართველოშიაც. ქართული თეატრის დაარსების პიონერებად იყვნენ გიორგი ავალიშვილი, ი. ორბელიანი, ე. თურქისტნიშვილი და სხვები, რომელნიც პატარა კახს, უნდა ვი-

ფიქროთ, თელავის სემინარიის გათავების შემდეგ გაუგზავნია მოსკოვს უმაღლესი სწავლის მისაღებად და ზოგიერთი მათგანი ისე დაინტერესებულა სუმაროკოვის თეატრზე, რომ მისი ცრუკლასიკური პიესები უთარგმნიათ. დაბრუნების შემდეგ პირველი წარმოდგენა გაუმართნიათ პატარა კახის თანადასწრებით 1791 წელს და დაუდგამთ. გიორგი ავალიშვილის ორიგანალი დრამა თეიმურაზ მეფე. მთლიანი პიესა არ დარჩენილა, არც ეიცით თუ, რა შინაარსი ჰქონია. ერთი სცენა, ალ. ხახანაშვილის გადმოცემით, შემდეგი ყოფილა. სცენაზე კუბო არის და შიგ თეიმურაზ მეფე, რომელიც წამოდგება -და თვალს მოჰკრავს თუ არა ევროპულ ტანისამოსში გამოწყობილ ბრმა მიღუაშვილს, იტყვის, საქართველო უბედური ქვეყანაა, მაგრამ, ერეკლე, შენი იმედი მაქვს, განაგო სასახელოდ და სისწორ სიმართლითაო. ეს პატარა სცენა ჰმოწმობს, რომ ყველა არ ყოფილა თანამგრძნობელი ევროპეიზმისა, რომელიც პატარა კახის დროს შემოიჭრა საქართველოში, ასე, რომ ბრმა მიღუაშვილებსაც კი გაუხდიათ ქართული ყურთ მაჯებიანი კაბა. გიორგი ავალიშვილს უთარგმნია სუმაროკოვის კომედიები რჭის მატარებელი, დედა რაყიფი ქალისა და სხვა. 1795 წელს დავით ჩოლოყაშვილს გადმოუკეთებია იფიგენია რასინისა. ხსენებულ თეატრს ჰქონდა დანიშნულება კარის თეატრისა, სადაც მეფის ქალებიც კი თამაშობდნენ. მაგრამ, როგორც სჩანს, ხალხისთვისაც ყოფილა თეატრი, რომელიც დაუარსებია რუსეთში ნამსახურს ვინმე გაბრიელ მაიორს. შესასვლელ ბილეთს ლექსად ჰქონია წარწერილი შაური ორი გაბრიელ მაიორი. სახალხო თეატრებში თამაშობდნენ თურმე მისტერიებს, ძველი აღთქმის სცენებსა. კარგად დაწყებული საქმე კიდეც განვითარდებოდა, მაგრამ პატარა კახის მიერ რუსთ ხელმწიფესთან ეკატერინე მეორესთან 1783 დადებულ ხელშეკრულებას მოჰყვა პატარა კახის დასასჯელად შემოსევა სპარსეთის ყენის აღამამად ხანისა დიდძალი ლაშქრით, რომელმაც სხვა მრავალ კარგ დაწყებულებასთან ერთად ქართული თეატრის საქმეც დაპლუა

§ 35. მეთვრამეტე საუკუნეში სამეცნიერო მოღვაწეობის სულის ჩამდგმელი იყო ვახტანგ მეექვსე. ამ შესანიშნაკმა მოღვაწემ სამართლის წიგნის გარდა, რომელიც მოხსენებული გვაქვს იურიდილ ძეგლთა განხილვის დროს (§ 12) დასწერა დასტურლამა (დარიგება) სახელმწიფოს მართვა გამგეობისათვის და განმარტება ვეფხის ტყაოსნისა. მანვე სთარგმნა სპარსული ენისაგან ასტრონო-

მიული შინაარსის წიგნი ტალამასალა ულონბეგისა. როგორც ვიცით, ვახტანგ მელექსეც იყო და ერთ თავისს ლექსში აგვიწერს თავისს მოღვაწეობას ეკონომიურ სფეროშიაც. ქციის რუ ხუნანს წაუღია, გაღმით მოურწყავს მინდორ ველი, მაშავრის რუ ტბისთვის შეურთავს, შიგ თევზი გაუჩენია.

ანტონ კათალიკოზს უთარგმნია თავისი განმარტებით ბაუმეისტრის ფილოსოფია, ლოგიკა და მეტაფიზიკა, ფოლფის ფიზიკა, კურციუსის ისტორია ალექსანდრე მაკედონელისა, არისტოტელის კატეგორია, მხითარის რიტორიკა, ხოლო თელავის სემინარიის ოვის შეუდგენია სახელმძღვანელოები ისტორიის, ფილოსოფიის, გრამატიკის და რიტორიკისა. ამ ნაწერების ენა მეტად მძიმე არის იმის გამო კი არა, რომ ავტორს არ ემარჯვებოდა მდაბიური ქართული. არა მაშინდელი შეხედულების თანახმად ენას ჰყოფდა სამნაირ აღნაქვსად. პირველი იყო მაღალი, მეორე საშუალო და მესამე მდაბიური. ლათინურ რუსული ენის გავლენით შემოიღო ხმარება თანდებულისა ნაცვლად წინდებულისა, მაგალითად სწერდა თვის კაცისა ფორმას ნაცვლად კაცისთვის ფორმისა. მისი ორიგინალი თხზულება ყურადღების ღირსია წყობილ სიტყვაობა, რომლისაც მეშვიდე ნაწილი შეიცავს სხვადასხვა ქართველი მოღვაწე მწერლის ნიჭის შეფასებას წყობილ სიტყვითა.

გაიოზ ნაცვლიშვილს თელავის სემინარიის პირველ რექტორს მოწაფეთათვის სემინარიის გახსნის დღეს პირველი გაკვეთილი მიუცია გრამატიკისა. დაუწერია ქართული გრამატიკა და საქართველოს ისტორია. უთარგმნია მიმოხილვა ბარონდე პოლნიცისა, პეტრე დიდის ისტორია, კვიროსის ისტორია, ძველთა სამეფოთა ისტორია, სამხედრო არტიკული პეტრე დიდისა, ევროპის ქალაქთა ლექსიკონი, სამგზავრო გეოგრაფია, მარკავრელია, ველიზარი მარმონტელისა, სამეფო ტომარი, კიტაის სიბრძნე.

დავით ალექსიძე მესხიშვილს თელავის სემინარიის მეორე რექტორს შეუდგენია სახელმძღვანელოები გრამატიკის, რიტორიკის, ფილოსოფიის, ფიზიკის და გეოგრაფიისა. იმის მეტი სახელი ყოფილა ცუკია ფილოსოფოსი, რადგანაც, როგორც ამბობენ, ლაპარაკის დროს სცოდნია მხრების თამაში. შესანიშნავია უკანასკნელი მეფის გიორგისთვის რომ უძღვნია, იმ სიტყვის შემდეგი ადგილი: გარეშე გონიერებისა არა არს ცხოვრება კეთილად და სამართლად, რამეთუ სადაცა არს ესე, მუნ შვებით ცხოვრება არს ბრძნისამებრ

პლატონისა. დავით რექტორი ყოფილა ეგრეთვე პოეტი, რომელიც ხოტბასთან ერთად სთხზავდა თურმე სათრეველ ლექსებსაც. პატარა კახის ქალს მარიამს ამის გამო აუთვალწუნებია ცუკია ფილოსოფოსი და სატირაც დაუწერია მის მიმართ ანჩის ხატის დეკანოზის ალექსიძის სახელობაზე: **დაბრძანდი მიწის სკამზედა, გვერდით მოისვი ცუკია, უსჯულო, უღთო, წარმართი, პლუტი, გაქნილი ცრუკია, ავყია, ლაშებ განრთხმული, ვირზედა შესასკუპია.**

როგორც ანტონ კათალიკოზის და გაიოზ ნაცვლიშვილის, ისევე დავით რექტორის ნათარგმნ, თუ ორიგინალ ნაწერებს პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონია, როგორც სახელმძღვანელოებს მაშინდელი მოსწავლე ახალგაზდობისათვის. სკოლა ევროპულის აზრით საქართველოში არ არსებობდა, ვიდრე პატარა კახმა არ გახსნა სემინარია თელავში. ძველად ისევე, როგორც დღეს ჩვეულებად არის მაჰმადიან აღმოსავლეთში, მოზარდ თაობას ასწავლიდნენ თვით მონასტერში, რომელიც თავისუფალი იყო ღვთის მსახურების შემდეგ. მართალია ცნობა გვაქვს, რომ გიორგი მთაწმინდელს (XI ს.) გაუმართნია სასწავლო, სადაც ჰყოლია ოთხმოცამდე მოწაფე, მაგრამ არ უწყით, თუ ბინა ჰქონდათ ცალკე მონასტრის გარეშე.

ნამდვილი სამეცნიერო მოღვაწეობით მეთვრამეტე საუკუნეში ჰბრწინავს ვახუშტი, ვახტანგის ძე (დ. 1696 წ.). მის კალამს ეკუთვნის **საქართველოს ისტორია** (XVIII საუკუნის მეორე ნახევრამდე) და **გეოგრაფიული აღწერა საქართველოსი.** უფრო შესანიშნავია უკანასკნელი თხზულება,რომელიც შეიცავს ზნე ჩვეულების გარდა ეგრეთვე ყოველი თემის ისტორიულ, არქეოლოგიურ და ეთნოგრაფიულ აღწერას, ოცდა ორ რუკა დართულსა.

ფარსადან გორგიჯანიძეს (დ. 1626 წ.) შეუდგენია **ქართულ სპარსული ლექსიკონი** და **ოსმალეთის ხონთქრების მოკლე ისტორია.** გორგიჯანიძე პირველი ქართველი მწერალია, რომელსაც გამქვალული ჰქონია აღმოსავლეთის მაჰმადიან ხალხთა შესწავლის ინტერესი, როგორც დიპლომატს. რამდენჯერმე მოუვლია სპარსეთი, ანდერძით თავის შვილს ამცნებს, ხელმოკერით იცხოვროს და საიდუმლო არავის გაუმეღავნოს, უთუოდ ფლანგაობისა და გაუტანლობის გამო, რომელიც მაშინდელ ფეოდალთ საზოგადოებრივ ზნეობას ძირს უთხრიდა.

§ 36. ქართველ ხალხს მოგზაურობა ძველადგანვე სცოდნია განსაკუთრებით ქვეყნის მმართველებს, მაგრამ მოგზაურობა არ აუ-

წერიათ. მოგზაურობის აღწერა მეთვრამეტე საუკუნეზე უფრო ადრინდელ ეპოქას არ ეკუთვნის. **ხაბა სულხან ორბელიანმა** დაჰეიტოვა საფრანგეთ იტალიაში მოგზაურობის აღწერა. ატენის ღვინოზე უფრო ძაღლა აყენებს იტალიურს, ფლორენციის ბუნება შეუდარებია ოდიშის ბუნებისათვის, არ დაჰრჩენია აუწერელი მალტა, მესინა და ცეცხლის მფრქეველი მთა ეტნა.

ტიმოთე გაბაშვილმა იმავე საუკუნეში იმგზავრა აღმოსავლეთის წმინდა და სხვა ქვეყნებში. მოგზაური გაუკვირვებია ქართველი ხალხის კირნახულობით ნაღვაწ მონასტრებს. სვლიგეზი ჰქონია ტფილისით ათონის მთამდე და იქედან კონსტანტინეპოლით იერუსალემს და ეგვიპტეს. სმირნა, ხიოსი, მიტილენე, ტრიპოლისი, ბოსფორი და კონსტანტინოპოლი არ დაუტოვებია აუწერელი. აღწერის დროს არ ავიწყდება ხალხური გადმოცემა, თუ არსებობს. იერუსალემის ჯვარის მონასტერში უნახავს სურათი შოთა რუსთველის, მეპურპლეთ უხუცესისა.

შემდეგი მოგზაურები არიან **გიორგი ავალიშვილი, რომელმაც** ასწერა თავისი მოგზაურობა პალესტინეს და **რაფიელ დანიბეგაშვილი,** რომელმაც დაგვიტოვა ინდოეთში მოგზაურობის აღწერა. დანიბეგაშვილის მოგზაურობის სვლიგეზი ყოფილა აზრუმით, დიარბეკირით, ბაღდადით, ბასრით ბომბეისკენ — ქიშმირ და მადრას ქალაქები მოსწონებია. დანიბეგაშვილი ხალხის სოციალ პოლიტიკურ ცხოვრებასაც აკვირდება. ინდოეთში ორ სამ ძმას ერთი ცოლი ჰყოლია. ჩვეულებად ჰქონიათ ავაზაკს ჯერ ხელს მოაკრიდნენ, თუ კიდეე რასმე დააშავებდა, მუცელ გაფატრულს აქლემით დაატარებდნენ ხალხისთვის საჩვენებლად. მასკატ ქალაქის იმამი (მთავარი) ტიტველ შიშველი დადიოდა, ქვეშევრდომები მის წინაშე პირქვე ემხობოდნენ, რომ მისთვის მორჩილება განეცხადებინათ. მანარში ხალხი აღმერთებდა ძროხას და წყალს, ხორცს არ სჭამდა.

§ 36. იმ დროს როცა ფეოდალები ერთმანერთს შეჰამდნენ ხელისუფლებისთვის და თავის გასამარჯვებლად გარე'მე ძალა შემოჰყვანდათ, მშრომელი ხალხის საზოგადოებრივ მდგომარეობას ყორანი დასჩხაოდა. ერთის მხრით ფიზიკურად იელიტებოდა, ორგორც კოზაკი წაკიდებული აქლემების ფეხთა ქვეშ, ხოლო მეორის მხრით ტყვეთა ეაკრობა და ათასგვარი ცრუმორწმუნეობა ხელს უშლიდა, რომ ქვეყნის ბედისთვის ეფიქრა იმას, ვინც ქვეყანას არჩენდა თავისი მარჯვენით, მშრომელ გლეხობას ხელი გამოეღო და

თავგასულ ფეოდალთათვის შეეძახნა, გეყოფათ ჩვენზე თარეშობაო. რაკი მაშინ პრესა არ იყო, საზოგადოებრივი ბოროტების მხილება წილად ჰხვდათ ისევე სასულიერო მქერმეტყველთ, რომელთა შორის სახელგანთქმულნი შეიქნენ **ანტონ ჭყონდიდელი** (+1815) და **ამბროსი ნეკრესელი** (1729 — 1808). ანტონ ჭყონდიდელი ჰკიცხავდა ტყვეთა ვაჭრობას და მრავალ ვაჭარს ააღებინა ხელი ასეთ ვაჭრობაზე. ამბროსი ნეკრესელი კიდევ მკაცრად სდევნიდა ცრუმორწმუნეობას. ხალხს ეუბნებოდა, ნურცა თილისმა, ნუცა მხარი, ხუცი ბეჭი და სიზმარი და ყოველივე ამისებრი საეშმაკო ნუ გჯერათ. აი ღეთ ხელი ეხლავ, განაგდეთ თქვენგან და ნუღარა იქმთ ამისთანებსო.

თ ა ვ ი VIII

§ 38. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხის სოციალ პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდი გარდატეხა მოხდა. ქართველ ხალხს მოეშალა ოცდა ორი საუკუნის კულტურულ პოლიტიკური, თუმც მრავალჯერ ბედუკულმართი, მაგრამ მაინც თავისუფალი ეროვნული ცხოვრება. ჯერ კიდევ გონს არ იყო მოსული სპარსეთის ყეენის აღამაჰმად ხანის შემოსევისაგან თავზარდაცემული ქართველობა, რომ რუსის ეგერთა გუნდი გენ. ლაზარევის წინამძღოლობით წარუდგა პატარა კახის ძეს ზაქიპამია გიორგი მეცამეტეს მფარველად მოვლინებული რუსთ ხელმწიფისაგან. ზაქიპამიამ ლაზარევის მფარველობა იწამა, თუმცა კარის ექიმი პატრი ნიკოლა, რომელიც წყალმანკით დაავადებული მეფის სარეცელს თავითით უჯდა, რუსის ჯარის დოლის ხმაზე მეფეს აგონებდა, საქართველო იმარხებაო. მეფე ვალდებული იყო გენ. ლაზარევის ეგერთა ცხენებისათვის საკვები ეძლია, მაგრამ ვალდებულებას ხანდახან ჰღალატობდა ფილაჯობის გამო. მაშინ ლაზარევი წასვლას დაემუქრებოდა, მაგრამ სნეული გიორგი შიშნაპამავით ემუდარებოდა, იქნება, ოღონდ არ წახვიდეო. გენ. ლაზარევი მფარველად კი არა, მბრძანებლად იყო შემოსული საქართველოს დედაქალაქ ტფილისში, რაიც გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ ცხად ჰყო თავისი მოქმედებით, მაგრამ კიდეც შეიქნა მსხვერპლი. გიორგის ქვრივმა მარიამ დედოფალმა ხანჯლით მოჰკლა ლაზარევი, რომელიც მისულიყო მის დასაპატიმრებლად და რუსეთს ეტაპით გასაგზავნად. რუსეთთან საქართველოს შეგვამების საქმე

მდევის ნაბიჯით მიდიოდა წინ. ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი დაიჭერსო, მაშინდელმა ცარიზმის აგენტებმა ქართული ენის უცოდნელადაც კარგად იცოდნენ და პოლიტიკური შეგვამების საქმე ბიანდვეს მთავარ მმართებელს პავლე ციციშვილს, რომელიც ალ. ჭავჭავაძის თქმით, **როსთ მხედარად აღზრდილი** მოსულიყო ჩრდილოს ვაშტებით და მარიამ დედოფლის ნათესავი იყო ციციშვილობით. აი ამ რენეგატმა, რომელიც ქართულ გალობას თხის კიკინს ეძახდა, მიიღო მკაცრი ზომები საქართველოში ცარიზმის ცენტრალისტური ბრძანების გასამტკიცებლად. ერთიც მგლისკენ უნდა ითქვას. ფეოდალიზმის წყალობით დაქუცმაცებული საქართველო რუსთ ხელმწიფის ბიუროკრატიულ პოლიციური რეჟიმის დროს გაერთიანდა, ხალხმა იგრძნო ერთობა, ერთად ცხოვრების საჭიროება, თუმც პოლიტიკურად უფლება აყრილი იყო და ბატონყმობის უღელ ქვეშ მშრომელი გლეხობა იზნიქებოდა.

შეგნებული ნაწილი იმ დროს იყო ახალთაობა, რომელიც ფეოდალთა კლასს ეკუთვნოდა. მასა, როგორც ზედა, ისე ქვედა ფენებისა. შეუგნებელი იყო. ფეოდალთათვის ხელსაყრელიც გამხდარიყო, რომ მშრომელი მასების, როგორც ყმების, დასამორჩილებლად ეგულებინა და ისეთი მტკიცე მთავრობა. სწორედ ეს იყო უმთავრესად იმის მიზეზი, რომ 1783 წ. ენაცვალა 1801 წელს. რა უფლებასაც ანიჭებდა ქართველ ხალხს 1783 წლის ხელშეკრულება, ის მცირე ოდენმა ნაწილმა თუ იცოდა, მაშასადამე შეუძლებელიც იყო, მათი გულის ზრახვა გადაქცეულიყო საზოგადოებრივ აზრად, რომ მთლიანი ეროვნული მოძრაობა დაბადებულიყო ცარიზმის დასამხობად. მაგრამ მაინც მოხდა სხვა დასხვა დროს და ადგილას აჯანყება, მაგ. მთიულეთისა 1804 წ. ჯარისკაცობის შემოღების, კახეთისა 1812 წ. პოლიტიკურ ეკონომიურ, ხოლო იმერეთისა 1817 წ. პოლიტიკურ ნიადაგზე. ნასწავლმა მცირე რიცხოვანმა ჯგუფმა, სადაც შედიოდნენ ალ ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, გ. ერისთავი დ სხვები, 1832 წ. შუამთის მონასტრის ბერის ფილადელფე კიკნაძის გეგმით შეთქმულება სცადა, მაგრამ გამეღალენებულ იქმნა, უთუოდ შიგნით ღალატის წყალობით, და შეთქმულნი ტუსაღობის შემდეგ მიმოფანტეს რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, მაგალითად გრ. ორბელიანი ნოვგოროდს, ხოლო გ. ერისთავი ვარშავს გადასახლებულ იქმნა. შეთქმულების მიზანი იყო აღდგენა ქართველთ ხელმწიფობისა. მაგრამ იმ ჯგუფის გამოსვლას ცარიზმის წინააღმდეგ კერძო ხასიათი ჰქონდა და არც გადაქ-

ცეულა დიდ სახალხო მოძრაობად დამოუკიდებლობის დასაბრუნებლად. რუსთ ხელმწიფეს ნიკოლოზ პირველმა ფეოდალთ ახალთაობის შეთქმულება ცელქობად ჩასთვალა და ბრძანება გასცა, დამნაშავენი ვაეთავისუფლებინათ და კარგ კარგ თანამდებობაზე გაემწესებინათ. ასეთი ღონის ძიებით რუსეთის დესპოტმა ლაგამი ამოსდო გუშინდელ ურჩ ფეოდალებს და უერთგულეს მსახურებად გადაიქცია რუსთ ხელმწიფის დიდმპყრობელური პოლიტიკის ცხოვრებაში გასატარებლად. ამით გამართლდა შოთას ნასიბრძნი, **უხვი ახსნილსა დაამამს, უხვსა ჰმორჩილობს ყოველი, იგიცა, ვინ ორგულიაო.** გულის ხმაში მყოფნი ეხლა უკვე რუსის ხელის უფალნი ნიკით დაწინაურდნენ სამსახურში, მაგრამ, როგორც კალმის კაცნი, გულის ნადებსაც გვიზიარებდნენ. მათ ნაწერს განსაკუთრებით ალ. ჭავჭავაძის, გრ. ორბელიანის და მათი გავლენით ნ. ბარათაშვილის პოეზიას ნაღელიანობის, სევდიანობის ბეჭედი აზის და ასეთი პესიმისტური გრძნობა უეჭველია გამოუწვევია სამს გარემოებას. პირველი იყო 1783 წლის ხელ შეკრულების გაბათილება, მეორე ფილოსოფიური განვერეტა წუთისოფლის და კაცის ბუნებისა, ხოლო მესამე კერძო ხასიათის გარემოება, რომელმაც მაგ. ნ. ბარათაშვილის ცხოვრებაში დიდი როლი ითამაშა: ფიზიკურად დაშავებული სამხედრო სამსახურში ვერ შევიდა და ხელმოკლეობის მიზეზით უმაღლეს სწავლაგანათლებას მოსცდა.

სამი პოეტი ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი და სამი სადა მსიტყველი მწერალია გ. ერისთავი, დ. ჭონქაძე და ლ. არდაზიანი, რომელნიც, შეიძლება ჩითვალნენ მეცხრამეტე სუკუნის პირველი ნახევრის მწერლობის წარმომადგენლად. რამდენადაც სამი უკანასკნელი მწერალი ცხოვრების შესწავლას დასდევენ, იმდენად ა. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი უპირატესობით პოეტები არიან და უმთავრესი ყურადღება მიუპყრიათ თავიანთი გულის ზრახვისთვის, რომლის გადაშლასაც სცდილობენ ზოგჯერ გაუბედველად და კილოკავად მიმთითებელი იმ გარემოებისა, რასაც ისე დაუკოდია იმათთვის გული.

ალექსანდრე ჭავჭავაძე (1786 — 1846), რომლისაც მამა გარსევან ერთად გორგი ავალიშვილთან უმთავრესი პიონერი იყო რუსეთის პოლიტიკური ორიენტაციის საბოლოოდ მიღებისა 1783 წ. ხელშეკრულების დადებით, ჯერ კიდევ უწვერული ახალგაზდა გადმოიყვანეს პეტერბურგიდან ტფილისს სასწავლებლად. დამოუკიდებლობის მომსწრე სცხოვრებდა წიაღად იმ ძველ თაობისა, რომელიც ჯერ

კიდევ არ გადასულიყო და ნება უნებურად დადგა ისეთი ახალგაზ-
და, რომელიც მთლად თავისი არსებით ჰგრძნობდა მშობელი ხალხის
პოლიტიკური ბედუკუღმართობის სიმწვავეს. თავი წარმოედგინა იმ
კაცად, რომელსაც ხელთ შეჰრჩენოდა ეკალი, ვარდი კი სხვას მოეწ-
ყვიტა. მისი ლექსები **ვა დრონი, დრონი, ვა მე შორს მყოფს და ჭოი
ვით გვემტყუნა სოფლისა ბრუნვა** გვიხატავს სწორედ იმ პოლიტიკურ-
რი ბედუკუღმართობის სიმწვავის ვითარებას, მის სიმწარეს, რადგანაც
დამოუკიდებლობის ჯერ პოეტს სიტკბოებას აგრძნობინებდა. თუმცა
სიზმარივით ჩქარა გამქრალა ის დრო, პოეტი ეამთა ცვლას არ დას-
დეეს და ჰლამობს მარად იგივე დრჩეს. ბედისგან დასჯილს იმედი ღა
დაჰრჩენია ფარად, მისთვის უძღენია თავი და ჰსურს მხოლოდ იმას
ჰმონებდეს, იმას ეტრფოდეს იმისთვის პატიმარ ქმნილი. როს უჰვ-
რეტდა, როგორც ბადრ მთვარეს, უხაროდა, მაგრამ ბედმა შორს გა-
დასტყორცნა. გულდაკოდილი ჰხედავს, შარავანდედის მომფენი მზე
ჩასულა, თვით კი ქმუნვას მისცემია, როგორც ბედმწირი. სოფლის
პრუნვისაგან დაღალატიანებულს დაჰსევია ფოთოლთ უხშირესი
ჭირი და სნება. გულგატეხილი პოეტი შეჰნიშნავს მაინც, ის ღრუბე
ლი, რომელიც მზეს გადაჰფარებია, ავდრის საგუბელი არისო, თით-
ქოს გვაგრძნობინებდეს, მე მოვიწადინე იმ ღრუბლის გადაყრა, მაგ-
რამ ავდარმა მისწროო.

საგანი ალ. ჭაეჭავაძის ისევე, როგორც ნ. ბარათაშვილის, პესი-
მიზმისა არის კაცი, როგორც კერძო პიროვნება და როგორც, კრე-
ბულის, ანუ საზოგადოების წევრი, ეგრეთვე ეამთა ვითარება და მი-
ი გავლენა კაცზე და მის ნამოქმედარზე. ამის გამომხატველია ლექ-
სები **სხვა და სხვა დროის კაცი, ვაი სოფელსა ამას და გოგჩის ტბა.**
ოთხთავ ბავშვობის, ჭაბუკობის, შუა და სიბერის ხანში კაცს რაღაცა
გულის წადილი აწუხებს, რაღაცას ესწრაფვის, მაგრამ რაკი მის ქა-
დილს ღონე არ შესწევს, გულის წადილი ვერ აუსრულებია. ამის გა-
მო დაბადებიდან სიკვდილამდე სწუხს, ვიდრე სიკვდილი, ცელ ამო-
წედილი ბოლოს არ მოუღებს. ეს სოფელი, პოეტის თქმით, ძნელ
სამყოფი, სატანჯველია, ხოლო კაცის ტირილი დაბადების ეამს თი-
თქოს მომასწავებელი იყვეს იმისა, რომ მომავალი ცხოვრება ტირი-
ლით და წუხილით უნდა გაატაროს, მაგრამ რამდენადაც კაცი, რო-
გორც კერძო პიროვნება, უძლურია, იმდენად მძლავრი, მოძალადეა
ზნეობრივად, როგორც კრებულის, საზოგადოების წევრი. პოეტი

სოფელს ვაის უთვლის, ხოლო კაცს იმ სოფლის მდგმურს სიცრუის ჯურვლად ჰსახავს. ვინც კეთილია და გულით სწადია სიკეთის ქმნა, ისეთ ხალხს დასცინის, სცდილობს რა თვითონ იმავ დროს სუსტი დასჩაგროს, ქონება წაართვას და მით გამდიდრდეს. ასეთი ზნეობა სჭირთ დიდ სახელმწიფოებს, რომელნიც ერთმანერთს ხელს აძლევენ, რომ პატარა სახელმწიფო დასჩაგრონ, თავისუფლება მოუსპონ, გადააქცეონ მტაცებლობის და ხვეპის სარბიელად. ასეთ მდგომარეობას პოეტი ასე ახასიათებს: **ძალი დავალს ღიმით ნაქცევთა ზედა, სად სიმართლე მისგან შენარაზედა, მის ყვავილთა ფეხით ლახავს გზაზედა.** ეგრეთვე თვით ხელმწიფენი შეუპყრია განდიდების სურვილსა, ხოლო მათი ხელის უფალნი ძმათა შურსა და მტრობას აუტანია ვიდრე სჯულის დარღვევამდე, რომ თავისი მსგავსი მოჰკლან და მისი ქონება მიითვისონ. ასეთი ძალმომრეობით ტრიალებს ცხოვრების ჩარხი, მაგრამ პიროვნებანი იცვლებიან, ასე, რომ დღევანდელ მძლევს ხვალ უფრო მძლე გამოუჩნდება და იმ ძლიერისაგან დაიჩაგრება. პოეტი ჰხედავს რა ცხოვრებაში ძალმომრეობას, როგორც მუდმივ მოვლენას, მძლავრებს მაინც აფრთხილებს, არ დაამწარონ ღარიბ ხალხს ცხოვრება, არ დაიმონონ, რომ თვით არ ჩაცვივდენ ღარიბი ხალხის ყოფაში. ასეთი ქვეყნის თვალთა ხედვა შეუმუშავებია პოეტს, რა დაჰკვირვებია დიდ სახელმწიფოებს, რომელთა ძალმომერობის მსსვერპლიც სხვა პატარა სახელმწიფოთა შორის, მისი სამშობლო საქართველოც გამხდარიყო.

მაგრამ თუ ასეთი ბოროტია კაცი, როგორც ზნეობრივი პიროვნება და საზოგადოების წევრი, ის, როგორც გონიერი არსება, სასწაულ მოქმედია. ჰქმნის სახელმწიფოს და სახელმწიფოებრივ ცხოვრებას, ხელოვნებას, სიმდიდრეს, მაგრამ უამთა ვითარება ყველა კაცს და ყველაფერს დაჰღუპავს, არ დაინდობს თავისი ცელით ისეთ მშვენიერებასაც კი, ზეციერი მშვენიერების უმჯობესიც რომ იყვეს, როგორც არ დაინდო და ნანგრევებად აქცია დიდ მშვენიერი ქალაქი გოგჩის ტბის მიდამოებში გაშენებული და დღეს ქმუნვით გამომზირალი ის ნანგრევები მნახველ კაცსაც ამქმუნვარებს, რომ უთხრას, ჩემი ასეთი ბედი არც შენ აგცილდებაო. პალატები, ტაძრები, ქულბაქები ნადირ მხეცთა ბუნაგად ქცეულა. სადაც ძალა წყალობით და რისხვის ფრქვევით ხალხს ჰგანაგებდა, სადაც ჭაბუკ მხედართ გამოსაცდელად ტაიჭთა სრბოლა იმართებოდა და სადაც ტბის ნაპირად

ღამით გამოდიოდნენ ეგზომ მშვენიერნი ბანოვანნი, რომ დაჩაგრული მთვარე ღრუბლებს ამოეფარებოდა, — იქ ცხოვრება ჩამკვდარა, გაცამტვერებულა.

ალ. ჭავჭავაძის ლექსები დაუთარიღებელია, რაიც აძნელებს ერთი საკითხის გადაწყვეტას, მის ცხოვრებაში რომელია უხნესი პესიმიზმი, თუ ეროტიზმი. ის გარემოება, რომ ჩვენი პოეტის ლექსებს ისევე, როგორც ბესიკისას, ზემოთ წარწერილი აქვს **მუხამბაზი, ყაფია, თეჯლისი** და სხვა ამგვარ სპარსულ სამღერალ ლექსთა წყობის სახელები, გვაფიქირანებს, რომ ეროტიზმის სფეროში ალ. ჭავჭავაძე განმგრძობია ბესიკური ლირიკისა, რადგანაც ბესიკის ლირიკაც უგალობს ისეთ სიყვარულს, რომელიც გამოუწვევია ფიზიკურ მშვენებას, რუსთველის ენით რომ ესთქვათ, არა მიჯნურობას, რომელიც საზეო საქმეა, არამედ სიძვას. ტრფიალების, ეშხის გარდუვალ ძალას გვიხატავს პოეტის ლექსები **თავსა უფლად ნურვინ ჰგონებთ** და **სიყვარულო, ძალსა შენსა ვინ არს, რომელ არ ჰმონებდეს.** როცა შეყვარებულს ვისმე ჰნახავდა, პოეტს სასაცილოდ არ ჰყოფნიდა სიყვარულისაგან ტყვეობა, მაგრამ როცა სიყვარულმა იმასაც დაადგა მონების უღელი, მაშინ დარწმუნდა მის აუცილებლობას. სიყვარულის ძალას ყველა ჰგრძნობს, ყველა ემორჩილება ბერი, ერი, მეფე, მონა. სიყვარული თვითმპყრობელი ხელმწიფეა, სადაც არის, ტახტი გამზადებული აქვს, ხოლო ქვეშევრდომებად გულები ჰყავს. მაშასადამე მეფე იქნება, თუ ბრძენი, ბერი, თუ მონა, ყველა ერთნაირად ექვემდებარება სიყვარულის ძალას. გულს ტახტად, ხოლო ოხვრას ხარკად აძლევენ, მაგრამ კიდეც დასევდიანებულან, რომ ეშხის მორევში ჩანთქულნი სიყვარულს ვერ მოჰრევიან. ალ. ჭავჭავაძე არა თუ უგალობს ეროტიულ სიყვარულს, არამედ ერთგვარი დებულებაც წამოუყენებია. მისი თქმით, მგრძნობელობა, იგივე სიძვა, სჯობს ყოველ ცით მოვლენილ თვისებას, ასე, რომ მშვენებასაც და გონებასაც ის ასულდგმულებს. სიპაბუკეს და სიყვარულს რაც უნდათ, იმას ჰშვრებიან. მაშასადამე ვიდრე კაცს ოქროს დღე და ღამე აქვს, უნდა იშვებდეს, იმღერდეს, უზრუნველ განცხრომას ეწყობოდეს. შვება ლხენით და ღრეობით სცხოვრებდეს.

შეიძლება ჩვენი პოეტი ბახუსის თაყვანისმცემელი იყო, როგორც რუსეთის არმიის ოფიცერი (გენერალი), რომელიც ოფიცრების საზოგადოებაში ტრიალებდა. მაგრამ დაუჯერებელია, რომ ლოთებო, ნეტავი ჩვენა და მემთვრალისადმი წასაქეზებლად იყვეს დაწერილი.

პირიქით ხსენებული ლექსები დაცინვა არის იმ ჯაცისა, რომელსაც ქყურტი სჭირს და იმ დროინდელ ოფიცერთა შორის ბახურიანობა ხომ ხშირი ამბავი იყო. ექიმს ურჩევს ღვინის წამლად ხმარებას, ბერებს ჩალევას მაჰმადის გამოსაჯავრებლად, მიჯნურს კიდევ გადაკვრას, რომ საყვარლის უნახაობის გამო გლოვას არ გადაჰყვეს. მხედარი თავს იქებს მით, რომ შესმული ღვინო ექცევა სისხლად, რომელსაც ომში დაჰღვრის, ან მოჰკლავს, ან შეაკვდება, ხოლო მათ შორის ბრძენი, ე. ი. ვინც სმას არ ეწყობა, მხდალობით წახდება, ყბედის თავი ჭკვიანი კიდევ გაბედულად წინ ვერ წავა, გული ომამდე გაუსკდება, განსაცდელთა წინასწარმგრძნობელი. ცოდნის ძებნა რისი მაქნისია? ღვინო ყოველ ცოდნას სჯობია. ბრძენი სიკვდილს, ლოთი კი გამარჯვებას ჰფიქრობს. განსაკუთრებით კარგია მიმართვა მეფთვრალისადმი, რომელსაც თავისი თავი შეჰყვარებია ჯერ ახალ ნარგიზსა და სატრფიალოდ წყლის ნაცვლად ღვინოს ჰხმარობს სარკედ. რა იხილავს თავისს სახეს ღვინოში ვარდივით გადაშლილსა, ზედ დაჰხარის და მერმე თავისი ეშხისაგან აღტაცებული მზად არის იგი შიგ ჩაინთქას.

აღწერაშიაც ალ. ჭავჭავაძე დაკვირვებულია. პალატი აუწერია ჩვენთვის, ბრძოლა, თუ ბუნება, ყოველთვის სცდილობს გაგვაცნოს მისი არა მარტო გარეგანი, არამედ შინაგანი თვისება. რუსთველწიფე პავლე პირველი რომ დაარჩევს, იმის გამო ამბობს, პალატი ამშენებელს ესამარაო, ე. ი. სამარედ გადაექცაო. ბრძოლის დახასიათებას ქართულ პოეზიაში იშვიათს გვაძლევს. პოეტის ლექსი ბრძოლისთვის, რომელიც პოეტური ფიგურაციის ძლიერებით არ ჩამოჰრჩება გრ. ორბელიანს ყაბახის აღწერილობას ირალისადმი მიძღვნილ ლექსში, თუმცა თავის თავად პატარა არის, მაგრამ დიდი განცდის მატარებელია. საშინელი ომის დროს ცემა სროლაც არეულია. სიმძიმის დამკარგავი ტყვია ცეცხლიხ გამო ფრინავს, სივრცის უხილავად გამველელი, მაგრამ ცოცხლებს მუსრსაც ავლებს. მტერმა რომ ქედი მოიდრიკოს, პოეტის თქმით, ბრძოლას სამი რამე უნდა ჰქონდეს: შორს მხედველი გონება, გამოცდილებით ნაწვრთნი, უშიში გული და უძლეველი მკლავი ხმლის მდიდრად მომხმარებელი. პირველით გამზრახობს, მეორით გამბედავს, ხოლო მესამით სრულ ჰყოფს დაიმედებულიო.

კავკასიონის ქედის ბუნება რუსის პოეტებსაც აუწერიათ. მაგრამ ქედის ბუნების გამჭვრეტი მხოლოდ ალ. ჭავჭავაძეა. კავკასიონის

ქედი გოლიათივით"გაწოლილა ორ ზღვას შუა და შეიცავს დიდ დიდ საკვირველებას. ბუნება საშინელ მშვენიერია. ქედზე გადმოქუხს მრისხანე ხევები, რომელიც შორეულ მინდორველებსა პრწყავს. თვით ქეღი კი მზიდველია მთებზე შემდგარი მთებისა, სადაც ათას წლობით დაგროვილი თოვლი გამზადებულა ზვავად, რომლის ცურვის დროსაც სახე უკრთის ყურ თვალ ზარდაცემულ კაცს, რა ჰხედავს. ყინულ ლოდთა ბორცვები, ერთმანერთის გამსწრები და თოვლის სქელი მტკერის ცამდე ამყვანი, დაგროვებულა თავდაღმა ხტომით, რომ ღრმა ხევების უფსკრულ'ში თავი ჩაიღუპონ, ვიდრე ჰაერი ბუქს და ქარიშხალს მოუცავს დღის ღამედ მქცეველს და შავი ნისლით მომცველს, დედამიწის პირი ახალ წარღვნას განიცდის, აქ გორა იგლიჯება, იქ ველი აღარ ველობს, ტყე რიყედ, ვაკე გზა კლდეღრედ იქცევა, ხოლო წყალი შრება. კავკასიონის ქედი კი უცვლელად დგას, ზოგს ჰმუსრავს, ზოგს კიდევ ჰბადებს, როგორც დიდი მბრძანებელი. დარში კიდევ, როცა მზე დახედავს თოვლსა, ღათრაშული ყინული, დაწინწკლული წყალი სხვა და სხვა ფრად ბრწყინავს, როგორც ოქრო ბრილიანტები. იმ დროს საამური ყვავილი, რომელიც მიმოფანტულა გრილ გეერდობზე, იშვიათი სუნის და გემოს მქონებელი, ნადირს იზიდავს. ირემი ბნელი ტყის წიაღით ადის მონადირის შეხვედრას მორიდებული და 'ტოებიანი რქის დამდრეკი დამზერს ღრუბელს, რომელიც მის ფეხთა ქვეშ ჭექაქუხილის და მეხის მტეხელია. ირემზე უფრო მკვირცხლი ჯიხვი, რომლის რქაც ჩლიქის სიმტკიცეს ხელს უწყობს, თავ ახმული შესცქერის აუვალ ყინულს და რა კი ვერ მიმწვდარა, ძალს ემდურის ღმუილით.

ბოლოს პოეტი მოიგონებს ზღაპრულ თქმულებას პრომეთესას, რომელიც თვით ამ მთის ციცაბო კლდეზე მილურსმულ იქმნა ზევსის ბრძანებით, როგორც შერისხული (ცეცხლის მოპარვისთვის) და ყორანი გულს უხოკდა. მოიგონებს ეგრეთვე ახლობელ ისტორიულ ამბავს იმისას თუ, რუსის მხედრად აღზრდილმა ციციშვილმა (პავლემ), როგორ გააპო ჩრდილოელი ვაშტებით გრანიტთა წიაღი და გაჰსსნა გზა, რამაც ივერთ დაუბადა იმედი, რომ იქიდან შემოვიდოდა განათლებაო. როგორც სჩანს, ლექსი კავკასია ჩვენს პოეტს უნდა დაეწეროს მაშინ, როცა რუსეთის პოლიტიკურ ორიენტაციასთან შერიგებული ყოფილა. რუსთველის და ბესიკის გავლენა ალ. ჭავჭავაძეს განუცდია, როგორც ლექსთა წყობის, ისევე პოეტური ფიგურების ხმარებით, როგორიც არის მაგალითად მარგალიტი (კბილი),

ლალი (ბაგე). ბინდოთ ჯარი (წამწამი), მელნის ტბა (თვალი) და სხვა. კლასიკური მაჯამების მიუხედავად ლექსთა წყობა მაინც მრავალ ფეროვანი აქვს. რა ვჰყო, ენა აშიკისა არ ჰგავს სხვასა გრილთა ენა-ხაო, გვეუბნება პოეტი და სწორედ ეს აშიკობა არის მისი მიზეზი, რომ თავისი გრძნობის ლაღობა ისეთი მრავალნაირი გამოთქმით შეუმკია.

§ 38. **გრიგოლ ორბელიანიც** (1800 — 1883) ერია იმ ურჩი ახალგაზდების ჯგუფში, რომელმაც შეთქმულება მოახდინა ცარიზმის წინააღმდეგ. იმასაც მოახდევინეს სასჯელი ნოვგოროდს გადასახლებით. პატარა კახის შვილიშვილი და მცხოვრები იმ საზოგადოებაში, რომელიც ძველი ტრადიციებით იკვებებოდა, ქართლის ბედს დაკარგულად სთვლიდა. ბოროტი მხედრის კვეთებისაგან ცხოვრების გზა ბნელი გაჰხდომოდა ასე, რომ მის დატანჯულ გულს კვალად სიცოცხლე ენატრებოდა. სიცოცხლე და მზიანი დილა სოფელს უჩვენებდა ყვავილ მოფენილს და გულში უჩენდა სიყვარულს, რომლის სხივიც ეკალს ვარდათ ჰქმნიდა, რომლის დროსაც ქმუნვას არ სცნობდა, უზრუნველ უდარდელი იმღერდა და მომავალს სიამოვნებით შესცქეროდა. მაგრამ ეხლა (პატიმრობის დროს) ნეტარების ძვირფასი წამი გადასულიყო ასე, რომ აჩრდილიც აღარ დაჰრჩენოდა ნუგეშად, მის გულს მოსწოლოდა ბოღმა და შეუბრალებლად ჰგლეჯდა ულონო მსხვერპლს. ის იყო უბედობის გრიგალი, რომელსაც ნათლის მომფენი ცა ღრუბელში გაეხვია, სიტკბოების ფიალი წყეული ფრთებით წარეტაცებინა და უნუგეშ უმწეო ჩაეგდო ვაების უფსკრულში, სადაც გულის სიღრმეში ამოხეთქილი ოხვრა არავის ესმოდა და ზღუდეთა შორისვე ჰქრებოდა, სადაც ღაწვებზე დენით ცრემლი ცეცხლივით მწველი შეჰქმნოდა, ნუგეშის ხელი კი არავისი სწმენდდა, სადაც ვერ ტყობილობდა ცისკრის ბრწყინვას; ვერც მწუხრის ჟამსა, სადაც დღე უნათლო, ღამე კი უვარსკლავო იყო და სადაც სიკვდილს ინატროდა, როგორც ზეცის ნუგეშს ცოცხლივ სამარეში მყოფი. მით უფრო სამძიმო უჩნდა ისეთი ყოფა, რომ მწუხარებაში დრო ნელა გადიოდა, სახეზე კი ღრმა კვალს უტოვებდა.

მაგრამ იმ უიმედო უსაგნო ყოფის დროს გულს რაღაც უხარებდა ხანდახან და გასულ დროთა სიამოვნება მის გულში ძველ კვალს ჰპოებდა, გულის სიბნელის გაფანტვის მოსწრაფე, რომ თვით დამკვიდრებულიყო. დაკარგული ნეტარების ფასს გული მით უფრო ჰგრძნობდა, რა იგონებდა. ასეთი თავისი მდგომარეობა პოეტმა შეა-

დარა ვარდს, რომელიც თავისი სიტურფით სამარეს ამშვენებს, ღიმილს, რომელიც მშვენიერ ბაგეთა დაჭკრთის, თუმცა გულში უზომო სიმწარე დაფარულა, დამჭკნარ ვარდს, რომელსაც უდროოდ დაეცემის ცის ნამი. დროთა განმავლობაში თვალთ ცრემლი შეაშრა, მაგრამ არა ჭმუნვის გაფანტვით, ან ვისგანმე ნუგეშის ცემით. არა! წყვდიად სადგურში მის გულს ნუგეშის სხივი ვერ მიეფინა, მაგრამ ერთხელ მერცხლის ჭიკჭიკი მოესმა. მოიწადინა მიეღო იმიერ სოფლით მოელინებული მეგობრის ხმად და პასუხად ეთქვა რამ სიმღერა. მაგრამ თავზარი დაეცა, როცა ხმის ნაცვლად გახდა ხრიალი, რასაც კედლებმა ბანი უთხრეს. იმ საზარელმა და ველურმა ხმამ გააოცა პოეტი, რომელმაც თავისი ხმა ველარ იცნო.

ბოლოს ვაების ბეჭე გაეღო. მის თვალთ პირველად არე მარე ბნელად ეჩვენებოდა, მაგრამ შემდეგ ყველაფერი, როგორც უწინ იყო, ისეთი ნახა, წყალი, მდინარე, ნიავის მომფენი მთები, წალკოტი, მწვანე ველი, ულრუბლო ცა, მოთამაშე მომღერალი მხიარული ყმაწვილები. გამოეშურა სამშობლოსაკენ, მაგრამ მშობლის ალერსის წილ იხილა მშობლის სამარე, რომელსაც უგუნურად მდუმრად დაჰმზერდა და სანუგეშოდ ცრემლი ვერ ეპოვნა. ამას მოჰყვა სატრფოსთან გამოსალმება. ეტლის სრბოლა, რასაც პოეტი შეწუხებული უყურებდა ჩასული მზის შუქის კაეკასთან გამოსალმების დროს, სატრფოს დაშორებაც იყო, იმ სატრფოსი, რომელსაც მისი სული თან სდევდა, ხოლო ეხლა გამხდარიყო მიმტაცი ყოველი სიკეთის, რაც უმშვენებს კაცს სიცოცხლეს ზეციერი სხივით და ამაღლებს სულის აღმაფრენით.

გრ. ორბელიანის პოეზიაში პესიმიზმით აღბეჭდილ ისტორიულ კილოს გვიხატავს **თამარის სახე ბეთანიის ეკლესიაში** და **ბარალის**. ორი საქართველო წარმოუდგენია პოეტს, ძველი და თავის დროინდელი. რამდენადაც ძველის მოგონება აღაფრთოვანებს, იმდენად თავის დროინდელ საქართველოს დაუღონებია. კიდეც უხარია, კიდეც სწუხს. უხარია იმისთვის, რომ ძველი ქართველობა ძლიერი იყო შოთა რუსთველის ენით და სწავლის შუქით განათლებული, ზნე მაღალი, ძლევამოსილი და სამშობლო ქვეყნის მოყვარული. მოლხენის შემდეგ დღესასწაულში ჰაბუკმხედარნი გაშლილ ყაბახზე, თითქოს საომრად გამზადებულნი ყოფილიყვნენ, როგორც ნიავი, მოჰქროდნენ ცხენებით. როგორც კი ჰკრაედნენ ნაღარას, ორად დაჯგუფდებოდნენ. მაშინ საამური სანახავი იყო

ცხენთა თქრიალი, შუბთა ტრიალი, ჯირითთ სრიალი, ყურთმაჯთ
ბრიალი,
უზანგთა ცემა, ცხენთაგან ხტომა, კვალად ზე ხტომა და ხმალთ
კრიალი,
ზოგი არწივსა, ზეცას მფრინავსა, ისრითა მკვეთრით განუპობს
გულსა,
ჯირითი ზოგის ზუზუნით მოჰკრის და მოჰხვდა ქვაზე თასს ნიშნად
დგმულსა.

მაგრამ მდევრის ხმაზე იგივე ჰაბუკნი ამხედრდებოდნენ და შეგროვდებოდნენ, რომ მტერი მოეძებნათ და თავს დასხმოდენ. ეაი იმ მტერს, რომელიც კლდეღრეს, ან უღრან ტყეს ვერ შეაფარებდა თავსა, შურდულივით, როგორც შევარდენი მტრედებს, მიესეოდნენ და მუსრს გააკლებდნენ. პოეტი დაჰნატრის მათ, ვინც თავი მამულს შესწირა, დაჰნატრის იმ დროს, როცა მამულის სიყვარული გულზე აღბეჭდილად ჰქონდათ და როცა ერთგულება ახასიათებდა ქართველს და მის სახელს ბრძოლა და მამაცობა განადიდებდა. მაგრამ გასულ დროს, იმ დიდების დროს ყოველი სიკეთე თან გაჰყოლიაო, დასძენს პოეტი. აი ეს იყო რაც უხაროდა. მაგრამ სწუხდა მის გამო, რომ თავის დროინდელი ქართველი ეგონა უმეცრების ბნელით მოცული, გულ შემუსრვილი, ხმა მიღებული, ბედ დაკარგული, ეჭვით ავსებული, გულუიმედო, გაუხარელი. ცხოვრების სიდუხჭირე ესახებოდა ვეშაპად ასე, რომ საოცნებოდ გაჰხდომოდა ისეთი გმირი, რომ მის ძლიერ ხმას აღედგინა დაძინებული ბედი ქართლისა და რომ მარჯვენით ერთის დაკვრით ის ვეშაპი მიწაზე დაენარცხებინა და სული გაეყრინებინა. ეს იყო მხოლოდ ოცნება, თორემ პირადად დარწმუნებულიყო, რაც წამხდარა, ახლის მშვენებით ველარ აჰყვავდებოდა და რაც დაცემულა, შავ ყორანს წარუტაცნია, როგორც უმწეო მსხვერპლი. ასეთ თავისს შეხედულებას პოეტი ასაბუთებდა ჟამთა ვითარებით, დაუნდობელი ცრუ წუთი სოფლით, რომელიც ფერუცველს არაფერს დასტოვებს ისევე, როგორც არ დაუტოვებია ფერუცვლელი ბეთანიის ტაძარი, ძველი დიდების ძეგლი, რომელიც გარღვეულად დგას დაყრუებულ, გზა მიუვალ ტყეში.

გრ. ორბელიანის პესიმიზმს ჰუმანიზმი სპარობს მაინც. შეუძლებელიც იყო მის გამო პოეტს ზოგიერთი ჰუმანიური იდეა არ წამოეყენებინა კაცისთვის, მაშასადამე ქართველისთვისაც, სახელმძღვა-

ნელოდ ცხოვრებაში. ასეთი იდეა ოთხი წამოაყენა, 1, მამულის, 2, წინაპართა ხსენების, 3) მეგობრობის და 4) სიყვარულისა.

მამულის ხსენებაზე ყოველ კაცს გული აუთრთოლდება სიხარულისაგან. განსაცდელში ჩავარდნილი თუ ჰნახა, თავისს სისხლს დაჰღვრის და მის სადიდებლად თავს დაიკლავს, მსხვერპლად შესწირავს. ყოველი კაცი შესტრფის იმ ადგილს, სადაც პირველად თვალები აუხელია, სადაც გადიოდა მხიარულად მისი ყმაწვილობა. სადაც ნებივრად იფარავდა მშობლის ხელენა ალერსი, სადაც გულში პირველად ანთებია სიყვარულის ცეცხლი. კერძოდ ქართველს კიდევ იმისთვის უნდა უყვარდეს თავისი მამული, რომ ცის კამარა მუდამ ლაჟვარდოვანი აქვს, მზე ხელმწიფურად მიმოდის ბრწყინვით გასხიოსნებული, ღამით ვარსკვლავებით მოკედილი ფირუზი ცა, მთვარით განათებული, ჰაერი სიცოცხლის მომფენი აქვს, სუნნელებრ შეზავებული, მთები ყინულის გვირგვინით ცამდე ასული, ხევში ზვირთის ზვირთზე ზახილით მტყორცნელი, ჩაბნელებული უფსკრულები, თვალაუწვდენელი კლდეები, სადაც მონადირე ჯიხვს სდევს და მის ქვეშ ღრუბელი ცურავს, სადაც მინდორ ველი, ფერად ზურმუხტი ნაზად ამწვანებულა და ზედ გახარებული მოჩუხჩუხებს წყაროები, რომლის სიკამკამესაც ყვავილები გაუცვიფრებია. ასეთი ბუნების ხილვა კაცის გულს უხარია, თვალს კიდევ ენატრებაო, ამბობს პოეტი. ასეთია საქართველო, რომელსაც ვერც ერთი კუთხე ქვეყნისა ვერ შეედრება, ხოლო ქართველი ერი გულადი, პურადი, შავი ბედის მებრძოლია. შავ დროს ვერ შეუკვლია მისი ადამანტის გული და დარჩენილა იგივე მხნე, იგივე მღერალი, თავისი მიწის მოყვარული. პოეტი ბოლოს დაასკვნის, წუთის სოფელი იმად არა ჰღირს, კაცი დღე გრძელობას ჰნატრობდეს, თუ მისი ფუკი სიცოცხლე მამულს ვერაფერს არგებსო.

მამულის სიყვარულს ბუნებრივად მოსდევს ხსენება წინაპართა, რომელთაც თავი დაუდვიათ მამულის ასამაღლებლად. მათი დიდების სახე სხვის მომფენი, გამამხნევებელია, მათი მაღალი სული ცამდე ამყვანია. როგორც ცეცხლი განმარტოებით სჩანს მინდორში დარჩენილი, რომლის კვალიც ქარის შებერვით ჰაერში ჰქრება, ისევე აღხოცილ იქნება ამ სოფლად მისი სახელი, ვინც ცხოვრების გზა გახელო და კვალი არ აღბეჭდა. მრავალი გმირის საფლავი აღგვილია ჟამთა ვითარებისაგან შემუსვრილი, მაგრამ მათი სახელი და სახელოვანი საქმე არ მომკოდარა.

მეგობრობა შვების ვარსკვლავად მოჰვლენია კაცს, რომ ცხოვრების ბნელი გზა გაუნათოს, ზედ ყვავილი მოჰფინოს და გულის სიმტკიცით განვლოს. კაცის სიცოცხლე მხოლოდ კეთილი საქმეა. დაცემული უნდა აღადგინოს, ნუგეში სცეს, ბოროტი სდევნოს, მართალს მფარველობა გაუწიოს. სხვისმა კვნესამ უნდა შეაწუხოს, სხვისი ტკივილი უნდა იგრძნოს, სულ მოკლეობა განაგდოს, შეებრძოლოს დამჩაგვრელ ძალას და მის უსამართლობას, კაცის წამბილწველ უწმინდურ ანგაარებას და ყველაფერს, რაც უშლის კაცის სულის მაღლობას. ამისთვის ნიჭს უნდა მისცეს ფართო გზა, ღირსებას თაყვანისცემა. განგება ნიჭს აძლევს კაცს და არა გვარიშვილობას. კაცი ის არის, ვინც ზეგარდმო მადლ ცხებულია, მხოლოდ მისი ღვაწლია კეთილ და მისით მხარე დამშვენებულა.

სიყვარული კაცს სიცოცხლეს უტკბობს, მისი შუქი ამაღლებს და სულს უნათლებს. მისით კაცი მშვენიერდება, მაშინ თვით ღმერთს ემსგავსება. გული როცა სიყვარულს იგრძნობს, სიცოცხლეც მაშინ აყვავდება. კეთილი არ უნახავს, ვისაც არ უგრძვნია ტრფობის ძნელი ჭირი. ვის გულსაც ეშხი არ შეჰხებია, არ ებრძვის გულის წყლულს ვარდი მაშინ გამოსცემს სუნნელებას, როცა ნიავი შეარხევს მისი ბუჩქის რტოებს. ვისაც სიყვარულის ალით გული ეწვის და ვის სულსაც სატრფოს სახე მარად თან ახლავს, ამ ქვეყნად ვერაფერი აღუდგება დამაბრკოლებლად. მაგრამ შავებედმა თუ განუსაზღვრა აღსასრული, თუ მოჰკვდა ობოლმწირად, გულს არ დაეცა სატრფოს ცრემლი, არ ესმა მისი სანუგეშო, სიკვდილის ჟამს დამატკბობელი ხმა, არ ემოხვია ძლივ ცოცხალის ბაგით უკანასკნელად მის მშვენიერ გულს, რომ თვალდახუჭულმა მისი სახე თან წაიღოს საიქიოს საშვებლად და მითვე სცნას უკვდავება, მისდამი სიყვარული სულს მაინც თან წაჰყვება. სულის დატკბობა დაუსრულებელია, რადგანაც მისი დამატკბობელი სახე საიქიოს არ მოჰშორდება და სულის დამამშვენებელი სიყვარული სიცოცხლესთან ერთად არ დაიშრიტება. სიყვარულის დაკარგვის ნაცვლად უკედავება ვერაფერს მისცემს სულს. უსიყვარულოდ თვით სასუფეველი საპყრობილედ გადაექცევა.

სიყვარულის უკედავად დასახვა რომანტიულია და რუსთველიც ასე განმარტებს, მაგრამ რუსთველს თუ არ გადააჭარბა გრ. ორბელიანმა, არ ჩამოჰრჩა, როცა სთქვა, სიყვარულის დროს კაცი მშვენიერდება, თვით ღმერთს ემსგავსება და სულს უმიზოდ სასუფეველი საპყრობილედ ექცევაო.

ზემო განმარტებული ჰუმანიური იდეები გრ. ორბელიანმა წარმოსთქვა თამადის პირით ოთხ ტოსტად სადღეგრძელოში, რომელიც წარმოადგენს ომის შემდეგ ღამით მხედართა ლხინს ერევნის ახლოს. რა ასწერს პოეტი ცისკარს და დილას, დასძენს, ჯარის რაზმი და რაზმი საომრად დაეწყო, თოფიც გავარდაო, მაგრამ იკითხავს, ამ მშვენიერ დილას რად სწყურია კაცს სისხლი კაცისაო, თითქოს გვეუბნებოდეს, კაცი იმდენად მხეცია, რომ ბუნების დიადობის ხილვა არ უკლავს სისხლის წყურვილსაო.

გრ. ორბელიანი ვერ ასცდა გაელენას ილია ჭავჭავაძის სკოლისას, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა ქართველი ხალხის სოციალ ცხოვრებას. ვერ ასცდა, მაგრამ ნიჭი და ხელოვნება მუშის ტიპის შექმნით ისეთი გამოიჩინა, რომ ილიას მუშა მასთან შედარებით ერთობ მკრთალია. გრ. ორბელიანის მუშა ბოჭულაძე რკინის ძეგლია, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოწრთობილა — მაშინ დროც არ იყო— შავი ქვის ბრძმედში, რომ გაფოლადებულ იყო, გაუტეხელ რევოლუციონერად ქცეულიყო. მუშა ბოჭულაძე ლექსი არის ტანჯული ყოფის აღსარება, რომელსაც სრული ადამიანური შეგნებით მოუყვება ბოჭულაძე განცხრომის ძეს, გაკვირვებით შემყურეს. თავად მკერდ მოღიავებული, ოფლში გაწურული, მტვრიანი, რკინის ფერი, კისერ ჩაკანგებული, გულად კი ბედისგან დაჩაგრული, სიყრმიდანვე სიღარიბისაგან დევნილი მთლად სიცოცხლეში იტანჯება ლუკმა პურის შოვნისთვის. შუბლი დაჭღარვია, წვერულვაში უდროოდ გასთეთრებია ნიშნად გულის ღრმა ტკივილის, დიდი შრომის მწარე ფიქრის, უიმედობის, უნუგეშობისა. განუცდია ძმისგან ღალატი, მოყვასთაგან დაჩაგვრა, მეგობრისაგან იუდას ამბორი, წყეული სიყვარული სატრფოსაგან, რომლისაც ნაზ ხელს მისთვის გულზე დაღები დაუსვამს. სოფლის გარეთ უწყალოდ განდევნილს დაჰვიწყებია, რაც ოდესმე ყოფილა, და ბედად დაჰრჩენია ტანჯვით შრომა და ოფლით ლუკმის ძებნა. ის მუშაობს, სხვები კი იმღერიან ბედნიერები, უზრუნველები. ბაღით მოესმის ჭიანურის, ლხინის ხმა, საათნავას გულის დამწველი სიტყვები... გულით უნდა, იმანაც ხმა მისცეს, მაგრამ ჭრცხვენია, მე რა მათი ტოლი ვარო, ამბობს,. და ღრმა გულში იმალავს სიმწრის ოხვრას, მალვით იწმენდს თვალში მორეულ ცრემლს. სიპაბუკე ტანჯვით შრომას წაუღია, მომავალშიაც ნუგეშს ვერ ჰხედავს, სიხარულის ნათლის მცირედ სხივს. ამის გამო წყევლას უთვლის, ვინც აკურთხა მუშა ყოველგვარ შვება მოკლებული, კაცთა შორის

კაცად არ მიჩნეული. დაღონებულს, ფერმიხდილს და მოხუცებულს აღარაფერი აქვს მოსაგონებელი, თუ არ თავისი ვაებით ცხოვრება. კითხვით და გაოცებით შეეკნიშნავს:

> რა მიამა? რო მოვკვდე, რა ვინანო?..
> როგორც მოველ, ისე განვალ ამ სოფლით,
> სიცოცხლისვე დროსა დავიწყებული!..
> რად ვიშობე, თუ ეს ბედი თან დამყვა?
> ვინ ვადიდო, ვინ დავსწყევლო? არ ვიცი!

თუმც ღარიბად მოსილია, თავისი თავი კაცი ჰგონია, კეთილი გრძნობის პატრონიც არის. აგონდება ყმაწვილობის დღეები, დედის ხმა, ტკბილი ალერსი... თვალ წინ დიდხანს ჰხედავს დავიწყებულს და მაშინ აღარ სწყევლის თავის დაბადების დღეს, თავისს ბედსა. მაშინ შრომაც დიდად უადვილდება და ღამეს მშვიდობით სძინავს. ქვეყანა გაჩენილია განცხრომის ძის, ნებიერად აღზრდილისათვის. მინდორ ველის სიმწვანე, ცის ლაჟვარდი, მზის შუქი, გაზაფხული სუნნელოვანი ნიავით იმას ეტრფის, იმას ახარებს, იმას ატკბობს. იმისთვის ბრწყინავს თვით ლამაზი თვალებიც. ნაზი ხელი რხევით იმისკენ ისწრაფვის; ზღვაში ხომალდებიც იმისთვის მიმოჰქრის, ხელოვნების ძვირფას საუნჯეთა მზიდველი, თვით ისიც, მუშა, თავისი ძალ-ღონით, ოფლით იმისთვის არის მსახურად დაბადებული. დილითვე ჰგვის ქუჩის უწმინდურებას, რომ სუნი არ ეცეს იმის ცხვირს და შორით უმზერს, წყალობის კრძალვით მომლოდე. დასასრულ ჰკადრებს,

> შენ ხარ მეფე... მე ძაღლადაც არ მაგდებ!
> რაღა გითხრა, ნუ თუ ეხლაც ვერ მიჰხვდი,
> რა ძნელია შოვნა, ლუკმა პურისა?
> როგორ ახდენს სიღარიბე კაცის გულს
> და აბნელებს სულის სხივსა, გონებას?
> ჰე ძმავ, წადი შენს შენს გზაზე სიმღერით...
> მე ჩემს ბარგსა, როგორმე იქ მოვიხსნი...
> სად მე და შენ ვიქნებით თანასწორნი,
> საუკუნო განსასვენსა ალაგსა!...

მუშა ბოქულაძე ლექსი თუმცა არ არის კიდური რითმებით გაწყობილი, მაგრამ გრძნობის ნაკადული, შინაგანი ხევა ისეთი ძლიერი აქვს, რომ ფორმის მხრითაც შედევრად ჩაითვლება. რევოლუ-

ციონური გრძნობის უქონლობით მუშის ტიპი, რომელიც გრ. ორბელიანმა დაგვიხატა, არ დაიწუნება. მხოლოდ მუშა ბოქულაძისთანა წინამორბედ მუშებს შეეძლოთ წარმოეშვათ მუშათა თაობა, რომელმაც იდღესასწაულა პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება თავისი ბარგის საკაოსვე მოხსნით და არა თუ გაუთანასწორდა განცხრომის ძეს, არამედ სოფლის გარეთ უწყალოდ განდევნა, რა თვით იპყრა ხელთ სახელმწიფოს მართვა გამგეობის საქე.

გრ. ორბელიანის ცხოვრებაში დიდი კამათი გაიმართა მამებსა და შვილებს შორის. მამები იყენენ ძველთაობა, რომლებსაც ჰხელმძღვანელობდა ჩვენი პოეტი, ხოლო შვილები — ახალთაობა, რომელიც ილია ჭავჭავაძის ირგვლივ თავს იყრიდა, ორნივ კალმით აღჭურვილნი მეთაურნი, ხოლო სხვადასხვა ქვეყნის თვალთა ხედვის მქონებელნი. იმ დროს, როცა ძველ თაობას რუსეთის მეფის არმიის საპსახურში ამოსდიოდა სული გულმკერდის ორდენებით დასამშვენებლად და როცა გრ. ორბელიანი ბატონ ყმური წესწყობილების მღარველი, მთის არწივის შამილის წინააღმდეგ მებრძოლი, ერთხანს მთლად კავკასიონის უმაღლესი ხელთ უფალიც დარწმუნებული იყო, რომ ასეთი მოღვაწეობით თავის სამშობლო ქვეყანასაც ემსახურებოდა, იმ დროს ილია ჭავჭავაძე და მისი სკოლა, ცენზურის ფარგლებში, სწორედ ისეთ რენეგატ ბობოლებს და ბატონყმობას ებრძოდა და სცდილობდა ხალხისთვის დაეხატა იმ სამარცხვინო წესწყობილების მთლიადი სიდუხჭირე, ისიც ეგრეთვე, რომ იგი იყო ეროვნულ პოლიტიკურად ყოველ უფლება აყრილი. ლიბერალობდა კიდეც მშრომელი ხალხის უფლების დამცველი და სარწმუნოების საქმეში თავისუფალ მოაზრეობას მისდევდა, ერთის სიტყვით, როგორც და რითაც შეეძლო ხალხის გამოღვიძებას ემსახურებოდა სკოლის, თუ სტამბის გახსნით, სიტყვით, თუ კალმით. დასავლეთ საქართველოდან გამოსულ მაშინდელ ახალთაობაში ირჩეოდნენ აკაკი წერეთელი, ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი სერგო მესხი, დროება გაზეთის რედაქტორი და სხვები.

როგორც ცხად ჰყოფს გრ. ორბელიანის პასუხი შვილებთან, მამების სახსენებელი ბრწყინვადა ასე, რომ შვილები ვერ დაობნელებდენ. მამების დრო მამაცობის დრო იყო. დაღესტნის მთები. ოსმალ სპარსნი მათ საგმირო საქმეს ჰღალადებდნენ. მამები მოელოდნენ ნასწაელ შვილებს იმ იმედით, რომ სწავლით გაანათლებდენ დავრდომილ მხარეს. მაგრამ ნასწავლი შვილები, როცა ჩამოვი-

დნენ, ყველაფერი ჩაშხამდათ მამებს. შვილების სკოლამ ყმაწვილებს ურწმუნოება ასწავლა, რა უთხრა, ჩვენი გონება ჩვენი ღმერთი არისო; სტამბამ მოჰფინა სწავლა და აჩნდნენ მწერლები, ეურნალისტები, მაგრამ უსწავლელებმა ცრუ რუსთველებმა წაბილწეს მდიდარი ენა მამებისა, რომელნიც ჰფიქრობდნენ,

ერის ცხოვრება, მისი დიდება,
მის ისტორია დაცულ არს ენით,
რა ენა წახდეს, ერიც დაეცესო.

მამები მზად იყვნენ, დაეცალათ ასპარეზი შვილებისთვის, რომ იმათ გმირს ბრძოლის ჟამს ხელდროშიანს დაეცა ყარსი, მაგრამ ასეთი გმირი შვილებს არ ჰყვანდათ და მათგან აღარც ისმოდა, მამების აზრით,

მოყვასს შეწევნა, ბოროტსა დევნა,
საზოგადოების სულით აღდგენა,
ერთობა, ძმობა, ზნეთ ამაღლება,
მამულისათვის თავის განწირვა!

ასე. რომ სიტყვა სიტყვა, საქმე კი სხვა იყო: უქმობა, არარაობა და უმეცრების ამაყობა. მამები ვერ შეჰრიგებოდნენ იმას, რომ გმირთა მამულის ბედს დაჰპატრონებოდნენ არა ცრუ, არამედ ნამდვილი პოეტები და მწერლები, რომელთა თვალშიაც მამების მოღვაწეობა საპირადო იყო და ხალხის ბედს არას დასდევდა. მამებთან კამათში გართულ იყვნენ უმთავრესად ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი.

გრ. ორბელიანი ისევე, როგორც ალ. ჭავჭავაძე, ბევრს, ასე იანგარიშეთ, ზოგიერთ მწერალ კრიტიკოსსაც კი ჰგონიათ, ღვინის პოეტები, რომელთაც ნიჯი ღვინოში ჩაუხრჩვიათ, მაგრამ მათი პოეზიის მოკლე განხილვა განმარტებაც კი წინააღმდეგს გვიმტკიცებს.

§ 40. **ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816 — 1845)** იყო დისწული გრ. ორბელიანისა და ტრიალებდა ძველ თაობაში, სადაც ამბავი მათი შვილების უკანასკნელი გამოსვლისა ცარიზმის წინააღმდეგ ჯერ კიდევ ზარსახდომელად ჰმოქმედებდა. მაგრამ არც **გოგჩის** ავტორს, არც **სადღეგრძელოს** ავტორს არ უგრძვნიათ თავის დროინდელთა უმეცრების და დამცინაობის ისეთი ძლიერი კვეთება, რო-

გორც ნ. ბარათაშვილს. მაშინ პოეზია პატიეში არ იყო, ზედმეტად კიდეე ახალი აზრების მატარებელი. გიორგი ერისთავის დავა კომედიის გმირს ბეგლარს, რუსეთიდან ახალ ჩამოსულს, ჯერ ბარგიც არ ჰქონდა გახსნილი, რომ შინაურები სუდიობას (მსაჯულობას) ულოცავდნენ სრულიად დარწმუნებულნი, რომ რუსული კანონები ზედმიწევნით ეცოდინებოდა, მაგრამ როცა შეიტყეს, რომ ბეგლარ მელექსეობდა, ქართულ ლექსს ეწყობოდა, უსაყვედურეს, რუსეთში რომ არ გესწავლა მესტვირეობა, განა ცოტა იყო ქართლში მესტვირეო. გენერლის ორდენებით მკერდ შემკულნი ალ. ჭავჭავაძე და გრ. ორბელიანი, რასაკვირველია უფრო პატივცემულნი იქნებოდენ პრაქტიკულად მოაზროვნე მაშინდელ საზოგადოებაში. ნიკოლოზ ბარათაშვილი კი მათ თვალში მესტვირე იყო. ასეთი მდგომარეობის ატანა სამძიმო იყო მისთვის. სასტიკ ქარს დაებერა და წაერთმია მისთვის სიცოცხლის ცხოველ მყოფელი კეთილ სუნნელოვანი ყვავილი, რომელსაც ეპკურებოდა ნამად ციური ცვარი. სიხარულის დაკარგვისაგან გულ ბოღმიანს თავი მწირად წარმოედგინა, უთვისტომოდ. მის ყვავილს მოჰკლებოდა სამშობლოს გული, მშვენიერი ცა და თავისი მგოსანი ბულბული. მწირს გადაეწყვიტა მოძებნა თავისი ყვავილის, მაგრამ დაეჭვიანებულიყო, ეაი თუ უწყალო ხელი უდროოდ აეკნობდეს და აღარ მეცეს ჭირთ უკუმყრელი მისი სუნიო. თავისი ყვავილის ძებნაში ცხოვრების სინამდვილე სამსალას ასმევდა. სულის მღელვარებას, რომელიც იმ ხანში განიცადა პოეტმა, კარგად გვიხატავს მისი ლექსები სულო ბოროტო, ხმა იდუმალი, სული ობოლი და მერანი. ყოველი ადამიანი ახალგაზდობაში ოცნებით სცხოვრებს. ცხოვრება წარმოუდგენია სამოთხედ, სადაც ვარდი უეკლო იპოება, მაგრამ შესდგამს თუ არა ფეხს ცხოვრებაში, შვების სასუფეველის მაგიერ ჯოჯოხეთი დაპხვდება. ჩვენი პოეტიც ასეთ ოცნებას შეეპყრო და რაკი მის ოცნებას დიდი სულთა სწრაფვა ჰქონდა, მისი დამსხვრევის შედეგიც მეტად სამწუხარო გამოდგა მისთვის. ამის გამო პოეტმა ოცნებას უწოდა ბოროტი სული, რომელმაც სიცოცხლე აუშფოთა, სულის მშვიდობა წაართვა და ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება მოუკლა. ბოროტი სული, როგორც დამნაშავე, ემალებოდა და პასუხს არ აძლევდა პოეტს, რომელიც ეკითხებოდა, რა იქნა შენი აღთქმა, რად გაცუდდა შენი მომჯადოებელი ძალაო. დასწყეველა ის დღე, როცა

ენდობოდა ოცნების აღთქმას და, როგორც მაცდურს, იმ ბოროტ სულს განაძევებდა ამ სოფლად დარჩენილი მარტო, უსაგნოდ,

ჰკუით. ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი.

ჯერ კიდევ ყმაწვილობის დროს, როცა თანშეზრდილ ტოლ მეგობრებში ტრიალებდა, ჰგრძნობდა თავისს დიდ მოწოდებას და მას აქეთ ცხადად, თუ სიზმრად მის ზრახვას და გულის წადილს თან სდევდა იდუმალი ხმა, რომელიც ჩასძახოდა,

ეძიე, ყრმაო, შენ მხვედრი შენი, ვინძლო იპოო შენი მაშვენი. მაგრამ პოეტი თავისს მხვედრს ვერ ჰპოებდა, და მის გამო კაეშანი შემოსწოლოდა. არაფერი სიავე არ ჩაედინა, რომ საქენჯნი რამ ჰქონოდა და თავს ეკითხებოდა, დევნის ხმა ხომ არ არისო. არც იცოდა, ის ხმა მფარველი იყო, თუ მაცდური. ამაოდ ჰსურდა, გაეგო საიდუმლო იმ ხმისა, როდის ჰხედებოდა ამ სოფლად თავისი წილი. დარჩენილიყო სულით ობოლი. პოეტის აზრით ობლობის ვაება, უთვისტომობა კი არა, საბრალო არის მხოლოდ სულით ობოლი, რადგანაც დაკარგულ სწორს ვეღარ ჰპოებს. მეგობარ, ნათესავ მოკლებული გული სამაგიეროს მოსძებნის, მაგრამ თუ სული დაობლდა, მის უნუგეშობას აღარაფერი ეშველება. ზიზი, კრძალვით აღარ იცის, ვის გაანდოს თავისი დაფარული გრძნობა. სულის მარტოობა გაურბის ცხოვრების სიამეს, რადგანაც სწორის ღაკარგვა გულზედ არ გადაჰვარდნია და ერთად ერთ შვებად დაჰრჩენია ოხვრა.

აი ასეთი სულისკვეთება სტანჯავდა ნ. ბარათაშვილს, რომელსაც საზოგადოება გადაჰქცეოდა უდაბნოდ, სადაც აღარავინ იყო მისი სულთა სწრაფვის თანამგრძნობელი. მთაწმინდის წიაღს და მტკვრის ნაპირად განმარტოებით ხანდახან ყოფნა თუ არ უმძიმებდა, არ უმსუბუქებდა ზნეობრივ სატანჯველს. აღარ ეწადა თავისიანებში ცხოვრება და გადასწყვიტა კიდეც განჰშორებოდა. თავისი სულთა სწრაფვა მერნად, ხოლო მჭირდავი და უცები საზოგადოება დაჰსახა თვალ ბედით შავყორნად, რომელიც მისჩხაოდა მერანს. პოეტის სულთა სწრაფვა უნდა ჰკვეთებოდა ბუნების ყოველ სტიქიონს, გაეკვეთა ქარი, გაეპო წყალი, გადაევლო კლდე ღრე და სადაც გადასჩეხდა სულთასწრაფვა, იქ იქნებოდა მისი ბედის სამზღვარი, მაგრამ ეკლიან გზას გაკაფულს დასტოვებდა ასე, რომ მოძმეს პოეტის შემდეგ გზის სიძნელე გაუადვილდებოდა.

მაგრამ იმ სულიერი მღელვარების დროსაც პოეტის დაწუხებულ გულს, შავბედისაგან დაღამებულს სინათლის შუქი მიადგებოდა. ასეთი გრძნობა განიცადა, როცა ერთხელ იხილა ამოსვლა მზეებრ ცხოველი მნათობისა და უდაბნოდ მდგარი ტაძარი. პოეტი მზად იყო დაეანგებული სანთური აეღო და თავისი ფიქრები შეერთო იმ მნათის ციური ხმისთვის, შეეკო ის დრო, როს ვარსკვლავი ცხოვრებას სიამით უვსებდა და მოეთქვა თუ, ღრუბელი როგორ გადაეფარა. ფიცს აძლევდა მნათს, მცირე ბინდიც რომ ეხილა მის გარშემო, ამ სოფლის ნეტარება მოჰშლოდა და მისთვის დაეთმო ტრფობის დიდება. ტაძარში კიდევ ენთო მარად ლამპარი და გაისმოდა გალობის ზარი საკრავ-შეწყობით. ლამპრის სითბო ემეკვალებოდა პოეტის გულს, რომელიც მოეკლა კაცთა სიავეს და ბედის ზრუნვას. იმ დროს თავს ჰგრძნობდა სასუფეველში, მაგრამ ის იყო წუთიერი ოცნება, რომელიც გამქრალიყო ცრუ და მუხთალი წუთისოფლისგან აბეზარ ქმნილი. მას აქეთ პოეტის გულს სევდა მოჰრეოდა და დადიოდა ობლად ისევ მწირი.

ნ. ბარათაშვილის პოეზიაში პესიმისტური გრძნობა ურევია, მაგრამ როდია უიმედობით აღბეჭდილი. ამას ცხად ჰყოფს მისი ლექსები შემოღამება მთაწმინდაზე და ფიქრი მტკვრის პირას. საგანი ორთავ ლექსისა კაცია, როგორც გონებრივი და ზნეობრივი პიროვნება, და ეამთა ეითარების გაელენა კაცსა და მის ნამოქმედარზე. როგორც კაცის გული სხვადასხვა სურვილის დასაკმაყოფილებლად, ისევე კაცის სული, იგივ გონება სხვადასხვა ქეშმარიტების აღმოსაჩენად ისწრაფვის, თვით საბოლოო ქეშმარიტების საპოვნელად. მაგრამ ამაოდ. ასეთივე მისწრაფება ჰქონდა პოეტს ერთხელ მაისის საღამოს განმარტოებული სადგურის მეძიებელს, როცა მთაწმინდის სერზე მდგარი ცას შეჰყურებდა და ეძიებდა ზენართ სამყოფს, მაგრამ მისი ფიქრები, რომელიც ზეცისკენ ისწრაფოდა, ზეცას ვერ ეწეოდა და ჰაერში იბნეოდა. მაშინ პოეტმა გულდაწყვეტით სთქვა,

მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს,

ეითომც ცის განგებას კაცი ვერ მიჰხვდება, რადგანაც სიკეთილის შვილი არისო. მთაწმინდაში შემოღამებას პოეტი ჰხსნიდა მისადმი ბუნების თანაგრძნობით, მეგობრობით, მაგრამ დარწმუნებულ იყო, როგორც მთაწმინდის მწუხრს გაჰფანტავდა ყოველი ბინდის განმანათლებელი მზიანი დილა, ისევე მის გულს მწუხრი და სევდა

გადაეყრებოდა, ნუგეში ეცემოდა, ე. ი. მისი მისწრაფება კეთილ ნაყოფს გამოიღებდა.

მტკვრის ნაპირას იდაყვზე წამოწოლილ პოეტს მდინარის დუდუნი წარმოედგინა, როგორც მოთხრობა იმ თავგადასავლისა, რომლისაც მოწმე მტკვარია, მაგრამ როგორც უენო, უძღური იყო, ეუწყებინა რამ პოეტისთვის. მტკვრის მაგიერ პოეტმა თვითვე გასცა პასუხი თავის თავსა. პოეტის აზრით, ცხოვრება აუვსებელი საწყაო არის. არ ყოფილა მისი მაგალითი, რომ კაცს ერთი ნატვრა ასრულებოდეს და იმას დასჯერებოდეს. თუ კაცი ბუნებით გულბორბოტია, ვერ მოუსვენებია ბორბოტი სურვილებისაგან, ხოლო თუ გულკეთილია, კეთილს ეტანება. აზრის გასაშუქებლად მოჰყავს მაგალითაც: მძლავრი მეფე, რომელიც სულ იმის ფიქრშია, რომ მეზობელ სუსტ მეფეს წაართვას მიწა, რადაც თვით უნდა იქცეს დღეს არა, ხვალ. გულკეთილი მეფეც სულ იმის ფიქრშია, რომ სიკეთე უყოს თავისს სახელმწიფოს, რომ მისი სახელი მისი სიკვდილის შემდეგ შთამომავლობის მიერ წყევაკრულვით მოსაგონებელი არ დარჩეს. მაგრამ რა? ეამთა ვითარება ორთავე დაჰხოცს. ეგრეთვე ქვეყანასთან ერთად მოსპობს მათ ნამოქმედარს ასე, რომ მთხრობელიც აღარავინ იქნეს. მაგრამ კაცი ვიდრე ცოცხალია, სჯობია ქვეყანას რამე სარგებლობა მოუტანოს.

„არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყვეს სოფელში და სოფელს კი არარა არგოსო,

ამბობს პოეტი. ალ. ჭავჭავაძის არ იყვეს, ნ. ბარათაშვილიც კილოკავად მიუთითებს დიდსახელმწიფოთა ძალმოშრეობას, რომლის მსხვერპლიც საქართველო არა ერთხელ ყოფილა. სიავე კაცისა, მძლავრისაგან სუსტის დაჩაგვრა, პატარების ტანჯვა დიდების ხელში გადაქცეულა კაცთა ნათესავის, კაცთა დიდ დიდი კრებულის სიავედ, მაშასადამე, ისეთ საგნად, რასაც კაცის ბუნების ფილოსოფიური განკვრეტის შემდეგ უნდა წარმოეშვა ქვეყნის დარდის გრძნობაცა.

ახალგაზდა პოეტისთვის ისტორიული პოემის დაწერა დიდი გაბედულებაა, რადგანაც ვალად ადებს, განსკვრიტოს ის, რაც ისტორიას არ უთქვამს, აბოიკითხოს უმთავრესად გულის ფიცარზე გამოწერილი სულის კვეთება. რომელიც ამა, თუ იმ გმირს ამოძრავებდა. ნ. ბარათაშვილი რამდენადმე მისწედა საგანს, თუმც მის

ბედი ქართლისა პოემაში პატარა კახი, სოლომონ ლეონიძე და მისი მეუღლე სოფიო არ არიან, კი უნდა ყოფილიყვნენ, დიდი ტიპები. ბედი ქართლისა მაინც საკმაოდ გვიხატავს იმ სულის კვეთებას, რამაც პატარა კახს გადააწყვეტინა ქართლის ბედი რუსეთის ორიენტაციის მიღებით. ეს ამბავი ჰნიშნავდა საქართველოში სპარსეთის გავლენის ძირიანად აღმოფხვრას. ხოლო თვით სპარსეთისთვის დიდ სა'შიშროებას, რომელსაც უნდა მოეტეხნა კისერი სპარსული იმპერიალიზმისთვის. ამას კარგად ჰგრძნობდნენ სპარსეთის ყეენები მეთექვსმეტე საუკუნიდანვე, რომელიც ითვლება რუსეთის ორიენტაციის დასაწყისად, და სცდილობდნენ კიდეც ქართველთა შევიწროებით მომავალი უბედურების თავიდან აცდენას, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყვნენ. სპარსეთის ყეენს აღამაჰმად ხანს, იმ საჟურისს და კლდე გულ მმართველს ეამთა სვლამ წილად არგუნა ქართველთა მიმართ მანამდე დაგროვილი ჯავრი თვით ამოეყარა ასე, რომ კრწანისის ბრძოლა. სადაც პატარა კახი და აღამაჰმად ხან პირისპირ შეჰხვდნენ, შურის ძიებას გამოეწვია. საჟურისს ვეღარ აეტანა საქართველოზე ზეხელმწფების დაკარგვა და აუარებელი ჯარით წარმოსულიყო მოლალატის დასასჯელად. პოემა იწყება პოეტის მიმართვით ,,ახელთადმი, რომელთა შორისაც პატარა კახი აღზრდილა, აგვიწერს კრწანისის ბრძოლას, სადაც ქართველობა თუმც არ დამარცხებულა, მრავალი გაწყდა, მის დახევას ქალაქისკენ და ნარიყალის ციხეში გამაგრებას. ციხეს აღამაჰმად ხანმა სამ დღეს გარს უარა და რაკი ვერ აიღო, გადასწყვიტა უკანვე სპარსეთს დაბრუნება, მაგრამ იუდა ეამს ეძიებდაო, ამბობს პოეტი, და ციხე შიგნიდან გატყდა. აღამაჰმად ხან შემოვიდა ქალაქში, მაგრამ პატარა კახმა უკვე მოაწერო ქალაქიდან გასვლა სოლომონ მსაჯულთან ერთად და მიაშურა მთიულეთს. იმ საუბრით. რომელიც პატარა კახმა სოლომონ მსაჯულს გაუმართა, გაეცნობთ შინაგან და გარეშე მიზეზებს, რამაც პატარა კახს მიაღებინა რუსეთის ორიენტაცია, ეგრეთვე იმასაც თუ, რა ჰქონდა მიზნად დასახული. პატარა კახი უჩიოდა ღალატს, სიბერეს, თუმც კიდეე ჰგრძნობდა სულის სიმტკიცეს, თავისი ვაჟების უღირსობას ასე, რომ არც ერთი მათგანი არ გამოდგებოდა კეერთხად დარღვეული მამულისათვის. რუსეთი იმ დროს განთქმული. ხოლო საერთო სარწმუნოება მტკიცე კავშირი ეგონა. ამის გამო ჰსურდა სამკვიდრო მისთვის გადაეცა, რომ ქართლს კეთილ მდგომარეობა მინიჭებოდა. მსაჯული გაოცებული უყურებდა პატარა კახს

და ბოლოს ჰკადრა, ჯერ სამაგისო არა გვემართება, რომ თავისუფლება განვისაყიდოთო. ეკვი ჰქონდა, რომ ქართველები რუსების ხელში ბედნიერი იქმნებოდენ, რადგანაც დარწმუნებულიყო, რომ სახელმწიფოს არაფერს არგებს სჯულის ერთობა, როცა მის ერთ-შორის ოვისება სხვადასხვა არის; ეკვობდა, რომ რუსეთის მაშინდელი ძალაუფლება ქართლს მოუხდებოდა, რუსი ქართველს შეითვისებდა, ან რუსთ ხელმწიფება შეიწყნარებდა, რასაც ქართველობა მოისურვებდა.

პატარა კახს ქართლის ბედი გადაეწყვიტა არა როგორც მეფეს თავის სადიდებლად, არამედ როგორც მამას, რომელსაც ჰსურს თავისს სიცოცხლეშივე თავისი შვილების დასახლკარება, ძნელია, სამეფომ დღითი დღე ომს უკვრიტოსო, ჰფიქრობდა. საქართველო რუსეთის საფარველ ქვეშ მშვიდობასაც ჰნახავდა და სპარსეთის ჯავრსაც ამოიყრიდა. ამით ქრისტიანობა დაცულ იქმნებოდა და მამაპაპათა აჩრდილნი საფლავებში განისვენებდენ. სოლომონს გულმა ვეღარ გაუძლო და აღშფოთებულმა ჰკადრა, შენი განზრახვა მაკვირვებს, ქართველებს არაფრად მიაჩნიათ უბედურება, თუ ჰერ ქვეშ თავისუფლება აქვთო. პატარა კახს სიმართლედ მიაჩნდა, რაც სოლომონმა მოახსენა, მაგრამ აფრთხილებდა, ჩემი სიტყვა არ დაიგიწყო, დღეს იქნება, თუ ხვალ იქნება, რუსთ ხელმწიფება დაიცავს ქართლსაო. ის იყო და ამოიოხრა, რა მოაგონდა ყმაწვილობის დრო, კახელებ შორის გატარებული, როცა ჯერ კიდევ ქვეყნის მართვის საკე ხელთ არ ეპყრა, და უზრუნველად სცხოვრებდა. პატარა სიჩუმის შემდეგ უბრძანა მსაჯულს, ქალაქში ჩადი და ჩემი სამზადი დამახვედრეო, ხოლო თვით გადაეწყვიტა კახეთის ნახვა.

სოლომონ მსაჯულმა ქსნის ხეობით გამოიარა თავისი სახლისკენ და გულში სხვა და სხვა ფიქრი აეშალა. უკვირდა, რომ ყველაზე უფლება ეძლევა ერთ კაცს და მის ერთ სიტყვას სულელი დ. ბრძენი ერთნაირად ემორჩილება, ხოლო იგი მათ ბედს ისე განაგებს, თითქოს კამათლებს ამღერებდეს. მეფეს ვინ მისცა ნება, თავისი ხალხის ცხოვრება სხვას გაუბოძოს და თავისუფლება წაართვას? პირიქით პირველ ღირსება მისთვის მიუცია ხალხს, რათა დაიცვას მისი ყოფა ცხოვრება და რად ივიწყებს, რომ მეფის გულის თქმა მარად ეკუთვნის ხალხსაო. ასე ჰფიქრობდა თავისთვის მსაჯული, მაგრამ იმ დროსვე იტყოდა, ვინ იცის, ეგებ იმან უკეთ იცოდეს, რაც გვესაჭიროებაო. შინ მისულ სოლომონს გამოეგება ცოლი

სოფიო, ის, ვინც იყო მისი სულის ტოლი. რა დაინახა ქმარი საბე შეცვლილი, პატარა კახის ამბავი ჰკითხა. სოფიომ არად მიიჩნია დიდება და მყუდრო ცხოვრება, რომელიც სოლომონის თქმით ქართლის ბედის გადაწყვეტის შემდეგ ექმნებოდა პეტერბურგს გადასახლებულ დიდკაცთა ცოლებს, და მიუგო ქმარს,

> რა ხელს ჰყრის პატივს ნაზი ბულბული
> გალიაშია დატყვევებული?
> ესრეთ რას არგებს კაცსა დიდება,
> თუ მოაკლდება თავისუფლება?

სოლომონს იამა, რა ჰნახა სოფიოს გული უცვლელი. რამდენადაც პოეტისთვის პატივსაცემი გამხდარიყო სოფიოსთანა ძველი დედები, იმდენად გული მოეკლა მისთვის თანამედროვე ქალებს. რომელთათვისაც ჩრდილოეთის ქარს გული გამოეცვალა და რომელნიც გაიძახოდნენ, ჯანი გაჰვარდეს შვილსაც, მამულსაც, ოღონდ ჩვენს საკუთარ გულს ვაამოთ, რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ უცხო ტომობა რას გვაენებსო.

მაგრამ ნ. ბარათაშვილის პოემისაგან ვერ მივიღებთ მთლიან შთაბეჭდილებას, თუ არ განვიხილეთ მისი ორი ლექსი საფლავი მეფის ირაკლისა და **ლაშქრობა ლეკ ჩაჩნელთა წინააღმდეგ 1844 წ.** ქართველი ხალხის გადარჩენა ფიზიკური განადგურებისაგან, ქრისტიანობის დაცვა, მშვიდობიანი ცხოვრება და სწავლა განათლების გავრცელება მოჰყვა ქართლის ბედის გადაწყვეტას რუსეთის ორიენტაციის მიღებით. სადაც მანამდე ხმლით და ძალით ჰფლობდა ქართველი, იქ მოქალაქის სამშვიდობო ხელი ჰმართავდა. ეს ყველაფერი რა იხილა პოეტმა, პატარა კახის საფლავის წინაშე აღიარა, პატარა კახის ძენი მისი ანდერძის ტკბილ ნაყოფს ეჭამთო. ქართველი ხალხის 1844 წელს ლეკ ჩაჩნებზე გამარჯვებამ პოეტს სარწმუნოდ გაუხადა, რომ კრწანისის ბრძოლაში დახოცილ გმირთა შვილებს მამაპაპური ვაჟკაცობა გამოჰყოლოდათ და აღფრთოვანებულმა ხმა უყო მათ სამკვდროს, ძრწოდე კავკასო! როგორც სოლომონ მსაჯული წინააღმდეგი იყო პატარა კახის აზრისა, მაგრამ თვითვე იტყოდა, ეგებ იმან უკეთ იცოდეს, რაც გვესაჭიროებაო, ისევე პოეტი პატარა კახის პოლიტიკას არა თუ შეურიგდა, არამედ მისი თაყვანის მცემელიც შეიქმნა. სპარსელების ნაცვლად ქართველებმა სამაგიერო გადაუხადეს მოძმე ლეკ ჩაჩნებს ცარიზმის სადიდებლად

და ის უხაროდა პოეტს! პირველი ნაწარმოები დაწერილია 1839 წ., მეორე 1842 წ., ხოლო მესამე 1844 წ. პოლიტიკური აზროვნების განვითარება, ე. ი. ცარიზმთან შერიგება ერთნაირი ჰქონდათ, როგორც ნ. ბარათაშვილს, ისევე ალ. ჭავჭავაძეს, როგორც ამას ცხად ჰყოფს მისი ლექსი კავკასია, და გრ. ორბელიანს, რომელიც თავის სადღეგრძელოს ერთ ერთ ტოსტში ამბობს, რუსთხელმწიფის ერთგულება ჰმართებს ივერს, მაგრამ ნაცვლად უნდა მოელოდეს მისგან გამქრალი სწავლის ლამპრის კვალად ანთებასო.

სიყვარულის იდეის განსაზღვრაში ნ. ბარათაშვილი ისევე რომანტიკოსია, როგორც გრ. ორბელიანი. მისი სიყვარულიც საზეო საქმეა, მიჯნურობა და არა სიძვა. ასეთი შეხედულების გამომხატველია პოეტის ლექსები **რად ჰყვედრი კაცსა, ბანოვანო** და **ჩინარი.** პოეტი ჰყვარებია ვიღაც დიდგვარიშვილ ქალს, მაგრამ პოეტს მისთვის გული არ გაუღია, რისთვისაც ბანოვანი აყვედრიდა პირუმტკიცობას. პასუხი, რომელიც პოეტს გაუცია ბანოვანისთვის, შეიცავს იდეას, რომლის თანახმადაც სიყვარულის საფუძველი უნდა იყვეს მშვენიერი სული. ხორცის სილამაზე დასკვნება თავის დროზე ისევე, როგორც ყვავილი. ასეთი სილამაზის მიმდევარი გულიც ცვალებადი და წარმავალია. მშვენიერება, ე. ი. მშვენიერი სული ხეცით მოსული ნათელია, რომელიც გრძნობასა და გულს ანათებს. კაცსაც, როგორც ღვთაების ნაწილს, შეიძლება, განემკვალოს ტრფობის საუკუნო მადლი. მაშასადამე მშვენიერება, სიტურფე უკვდავია, ვერც შემთხვევა, ვერც ხანი ვერ დააბერებს. მხოლოდ მშვენიერ სულთა კავშირი ჰშობს სიყვარულს, რომელიც ზეგარდმო მადლს მოუშლელად გაუმტკიცებია. პოეტის აზრით მხოლოდ ისეთ მიჯნურთა გრძნობა სანუკველია ეგზომ, რომ მისი უტკბესი არც თუ სასუფეველი არის. მშვენიერება დაჰნათის იმ გრძნობას, ხოლო ჰეშმარიტება უკვდავებით აგვირგვინებს. პოეტმა არ იკმარა, ჩვენთვის მოეცა სიყვარულის იდეის განმარტება. ისიც გვითხრა თუ, მიჯნური რა თვისების უნდა იყვეს. ეისაც ნამდვილად აღგზნებია გულში ტრფიალების ცეცხლი იდუმალ, მაგრამ ძლიერ იტანჯვის მსგავსად იმ ჩინარისა, რომელიც განმარტოებულად ფრიალო კლდეზე იდგა მრავალ შტოვანი, ტურფა და ჰაეროვანი და იტანჯებოდა მტკვრის ტალღათა კვეთების და ნიავის ქროლისაგან. მაგრამ შერხეული მხოლოდ თავს ამაყად გარდმო გარდიღებდა. მტკვრის დუდუნსა და ქარის ქროლაში პოეტი საიდუმლო ენას ჰპოებდა.

რამდენჯერაც ქარი შეარხევდა ჩინარს, მტკვარიც იმდენჯერ უმეტესად ოხრავდა, თითქოს შურით შეშფოთებული ყოფილიყვეს. ვეფხისტყაოსნის რომანტიზმის გავლენა მიჯნურობის განმარტებაზე აქ უცილოა, მთლიანიც არის, რადგანაც ნ. ბარათაშვილს არ დაჰვიწყებია, რომ შეყვარებული ამაყი უნდა იყვეს ისევე, როგორც რუსთველის მიჯნური, რომელმაც უნდა დასთმოს წყრომა მეფეთაგან.

თ ა ვ ი IX

§ 41. გიორგი ერისთავი (1811 — 1864) ცარიზმის წინააღმდეგ შეთქმულებაში მონაწილეობის მიღებისათვის პატიმრობის შემდეგ გადასახლებულ იქმნა პოლონეთის დედა ქალაქს ვარშავს. ხარმა ხარს ურქინა და ქერის ორმოში ჩაადგო, ისე დაემართა გ. ერისთავს. პოლონეთი შეიქნა იმისთვის ისეთ ქვეყნად, სადაც უნდა მიეღო უმაღლესი პოლიტიკურ კულტურული განვითარება. რაკი პოლონეთი და საქართველო მაშინ ერთ ტაფაში იხრაკებოდა ცარიზმის იმპერიალისტური რეჟიმისაგან მუხრუჭ მოჭერილი, პოლონეთის საზოგადოებამ დაიახლოვა მომავალი ბურჯი ქართული დრამატურგიისა. დაახლოვებას მოჰყვა ის, რომ გ. ერისთავმა შეისწავლა პოლონური ენა და სთარგმნა რამდენიმე ნიმუში პოლონური პოეზიისა, როგორც მაგალითად აკერმანის მინდორი ა. მიცკევიჩისა და სხვა. თითქმის ხუთიოდე წლის დევნილების შემდეგ გ. ერისთავი დაბრუნდა საქართველოს, სადაც მეფის ნაცვლად იმ ჟამად იყო მიხეილ სვიმონის ძე ვორონცოვი, კაცი ევროპულად განათლებული და პოლიტიკური ალღოს პატრონი. უკანასკნელ დრომდე გავრცელებული იყო ის აზრი, ვითომც ვორონცოვის პოლიტიკას, რომელიც უკარნახებდა ქართველი საზოგადოების თავისთან დაახლოვებას, ქართული ხელოვნება მწერლობის მფარველობას, სარჩულად სდებოდეს ჰუმანიზმი, მაგრამ ეახტანგ კოტეტიშვილის აზრით, მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკას მოითხოვდა არა პატივისცემა ქართველი ხალხისა, დამყარებული თანასწორ უფლებიანობაზე, სამართლიანობაზე, არა ჰუმანიზმი, არამედ პოლიტიკური მომენტი. რა იყო ის მომენტი, რომელმაც მურავიოვ-ერმოლოვის ჯალათების მოსისხარი პოლიტიკა ისე შეატრიალა და ქართული თეატრის აღსადგენად და ქართულ კლასიკურ ნაწარმოებთა გამოსა-

ცემად გადაადებინა სახაზინო ფული? ცარიზმის წინააღმდეგ მთის არწივის შამილის ბრძოლა, რომელიც 1859 წელს დასრულდა მთიულთა დამარცხებით, მურავიოვ-ერმოლოვის რეჟიმის იმ დროს განახლება საქართველოში ცეცხლზე ნავთის დასხმა იქნებოდა და წინ დახედულმა ვორონცოვმა ოსტატურად გასკვრიტა ასეთი მოსასხარი პოლიტიკის შედეგი. ქართველთ საზოგადოებრივ ცხოვრებაშიაც შემოიღო ზოგი რამ ისეთი, რაც ქართველ ფეოდალობას გზას უხსნიდა ევროპული ცხოვრების და ზნე ჩვეულების შესათვისებლად. დაკნიშნა თავის დარბაზში ეურფიქსები, რომელსაც უსათუოდ უნდა დასწრებოდა სოფლიდან ჩამოსული ფეოდალი თავისი სახლობით და დააწესა ერთგვარი ბანკი **საზოგადოებრივი მზრუნველობის ბრძანება**, სადაც ფეოდალს შეეძლო თავისი მამული დაეგირავებინა. ბანკის ფული არა მამულის მოვლას, არამედ კაი სმაქამას, ჩაცმა დახურვას და ეურფიქსებს ჰხმარდებოდა. აი აქედან იწყება ქართველი თავადების დავალიანება და მათი ადგილ მამულის გადასვლა სახელმწიფო ფონდში რუსთა კოლონიზაციონური პოლიტიკის მიზნებისთვის და უფრო ხშირად ბურეუაზიის ხელში.

გიორგი ერისთავი ჩამოვიდა თუ არა პოლონეთიდან, მიიღო ვორონცოვისაგან წინადადება, რომ სახაზინო იტალიურ ოპერასთან, მსგავსად რუსული სათეატრო სექციისა, დაეარსებინა ქართული სათეატრო სექცია, რომელსაც წლიურ სუბსიდიად დაენიშნა ოთხასი თუმანი. 1852 წელს კიდევ ვორონცოვმა იგი დაამტკიცა რედაქტორად ქართული ეურნალის ციხკრისა, რომლისაც თანამშრომლებად იყვნენ ა. ჭავჭავაძე, ბ. ბარათაშვილი, დ. ჭონქაძე, ლ. არ. დაზიანი და გრ. რჩეულიშვილი. ამ გვარად გ. ერისთავი შეიქნა ქართული თეატრის და ქართული ეურნალის მესვეური. პოეტობდა ეგრეთვე, მაგრამ იგი ჩვენთვის ძვირფასია, როგორც სულის ჩამდგმელი და აღმადგენელი ქართული თეატრისა (ძველი თეატრი არსებობდა 1791 — 1795), რომელსაც აწვდიდა ქართულ კომედიებს. გ. ერისთავი თავისი გაყრა კომედიის ბოლოს მიკირტუმ გასპარიჩის პირით გვეუბნება,

მე დავსწერე იმაზედა, ვინ ზნეობით არის მრუდიო.
მაშასადამე მის კომედიას მიზნად დაუსახავს მრუდი ზნეობის აღმოფხვრა, ცუდი ზნე ჩვეულების ნოსპობა დაცინვით. აი ამის გამოა ნათქვამი

აუგი ყველა სენია, სიცილით მოსარჩენიაო.

როგორც ეიცით, ქართული თეატრის განახლება, აღდგენა მოხდა 1850 წელს იანვრის ორს გაყრა კომედიის დადგმით, მაგრამ უფრო ნათლად რომ წარმოვიდგინოთ გ. ერისთავი, როგორც დრამატურგი და მისგან აგდებული საზოგადოების მრუდე ზნეობის სურათი, საჭიროა განვიხილოთ ეგრეთვე მისი კომედია დავა და დრამატიული პოემა შეშლილი. საზოგადოება, რომელიც ხსენებულ სამ ნაწარმოებშია გამოყვანილი, სცხოვრებდა ბატონყმობის დროს მეცხრამეტე საუკუნის პირველ ნახევარში. ერთის მხრით არის თავად აზნაურობის ძველ თაობა და ახალთაობა, ხოლო მეორის მხრით ვაკრობა და მოხელეობა. მაშასადამე ოთხი საზოგადოებრივი ჯგუფია, რომელთა შორისაც ურთიერთობას გვიხატავს გაყრა, დავა და შეშლილი. ძველ თაობა დიდ დიდ ოჯახად ცხოვრებს. ანდუყაფარ და პაველ დიდებულიძეები გაუყრელი ძმები არიან. მათ ჰყავთ კიდევ ახალგაზდა ძმა ივანე, რომელიც რუსეთის აკრონომიულ სასწავლებელშია ნამყოფი (გაყრა), ანახანუმს ხუთი რძალი ჰყავს (შეშლილი). ივანემ რუსეთიდან ჩამოსვლისთანავე ძმებს მოსთხოვა გაყრა, რომ თავისთვის გაეშენებინა ვენახი ამერიკული პლანტაჟით, მაგრამ რაკი ძმები განსაკუთრებით უშვილო უფროსი ძმა ანდუყაფარ არ გაუხდნენ თანახმა, ივანემ სასამართლოს მიჰმართა საჩივრით. ანდუყაფარ, როგორც მამულისთვის მზრუნველი, საგონებელში ჩავარდა. სწუხდა, რომ შვილივით გამოზრდილმა უმცროსმა ძმამ არ დაინდო და განიზრახა მამულის დაქუცმაცება. ამის გამო ოფლის წვენდით ოხრავდა, რომ გაყრის შემდეგ დიდი მამითადი მოეშლებოდა, ეველარ იხილავდა ყანაში სამასი ნამგლის ტრიალს, ძრავალი ყმა აღარ ეყოლებოდა, სირცხვილით ეველარავის დაენახვებოდა. სიკვდილი ერჩია ასეთ ცხოვრებას. გულს უხეოქდა ეგრეთვე ის, რომ ივანე აპირებდა მზვარში ვაზის დაჭრას და მის ნაცვლად თუთის ჩაყრას. მოურავი ბარამიც შეუფიქრიანებია ივანეს განზრახვას და ანდუყაფარს ურჩევს გლეხობას შეაწეროს ოთხასიოდე თუმანი და დაქრთამოს მოსამართლე, რომელიც ასი თუმნის გულისთვის ლეკურ ბუქნასაც დაუვლის, და სეკრეტარი, რომელიც ოცი თუმნისთვის მაიმუნადაც გადაიქცევა. ბარამს გლეხობა მეწველ ფურად გაჩენილი ჰგონია, რომ ბატონებმა თავიანთი საჭიროება დაიკმაყოფილონ. მათი აკლება ხელსაყრელიც არის, როგორც ნინოს

მოახლე ყარდაშვერდი უმტკიცებს ივანეს და მის ლაქიას გაბრიელს. თავის მიჯნურს. პაველ დიდებულიძე ნადირობაზეა გადაგებული, ოჯახის და მამულის არაფერი ეფიქრება. სუყველგან და ყოველ თვის თავისი მეძებრები ახსოვს. როდესაც მოსულან მედიატორები მამულის გასაყოფად, იმერელი ბიჭი შემოვარდება და მოახსენებს, ვაი, ვაი დევიფსე, ქორი გამიფრინდაო. როგორ თუ ქორიო, გამიშვით, გიჟი ხართ, რა დროს გაყრა არის, მაჭუტაძის გამოგზავნილიაო, იწევს პაველ გასასელელად, მაგრამ რამაზ სეკრეტარი და ანდუყაფარ იჭერენ. მერმე გავა და შემოიყვანს ქორს, რომელ.. უალერსებს. სასამართლოს სეკრეტარს მიჰმართავს, შენი შეფის მწევარი ლამაზია, კურდღელს კარგად იჭერს, თუ არაო. მერმე სარკ.. მელს გააღებს და იძახის, ერთი შეხედეთ და ჯერანას ნავარდსა, ბიჭო, შენ ეი ბონჯურავ ტრუტრუ მეძებარი სჯობს ჩემს ხალიასა თუ?! რო დაუვლის, თითქოს ცეკოს თამაშობსო. როცა მიკირტუმ გასპარიჩი თავისი სიმამრის ეაეს კომისიონერს გააცნობს ივანესა და თავისი ქალის შუშანას ქორწილში, პაველ მიეა და დაელრიჯება. მამა ნუ წაგიწყდება, თუ ჩემი მოყვრობა გინდა, აგება თქვენს უფროსებში რუსული მეძებარი მიშოვნოო. პაველს რომ არ ჰყოლოდა გამრჯელი ცოლი მაკრინე, დაიღუპებოდა. ამას კარგად ჰგრძნობს და ამბობს, ჩემი ცოლი თამარის დროს რომ ყოფილიყო ვეზირობას მისცემდენო. მაგრამ მაკრინე არა თუ გამრჯელი, არამედ მოხერხებულიც არის. თავი ისე უჭირავს რამაზ სეკრეტართან, ვითომც მზადაც იყვეს თავისი ქალი ნინო, რომელიც რუსულ სკოლაში ნასწავლი ჰყავს, მიათხოოს, თუ მამულის გაყოფის დროს მეტ წილს პაველს არგუნებს. ამას მცბიერებით სჩადის, თორემ ყარდაშვერდი-ს�ვ არ მისცემს; ნინოს ხომ სულ არ უყვარს რამაზ, რომელიც მაიმუნი ჰგონია.

ეაჭრობის წარმომადგენელია მიკირტუმ გასპარიჩ ტრდათოვი, ანდუყაფარის მეგობარი, რომლისაც ანდუყაფარს ჰმართებს ექვს ასი თუმანი, ივანეს აღსაზრდელად აღებული, მაგრამ მიკირტუმ არ იჩქარის ვალის გადახდევინებას, კმაყოფილიც იქნება, თუ ვადაზე თამასუქს გაანახლებს სარგებლის ზედ შეკეცით. მისი ოცნება არის. როგორმე ივანეს შეჰრთოს თავისი ქალი შუშანა. ოღონდ ნატვრა აუსრულდეს, მზად არის, ივანეს აპატიოს ექვსასი თუმანი, რომელიც გასანაღდებლად იმისთვის ურგუნებია სასამართლოს. მართალია, ივანეს დასცინის, გიჟ ვრაცუს (გიჟ ქართველს),ეძახის, მაგრამ არა

მტრობით. არც იმას ჰგონია თავი უაზნო. თავის გვარს აწარმოებს სომხეთის მეფის ტრდათისაგან, რის გამოც ივანესთან დამოყვრებას შესაფერისად სთვლის. შესტრფის იმ წუთს, როცა მის შუშანას კნეინას დაუძახებენ. კნიაზების საზოგადოებაში ტრიალი, მათთან დამოყვრება დიდ ბედნიერებად მიაჩნია, რადგანაც სახელთან სახრავიც ექმნება, ხელს გაუმართავს მოქეიფე კნიაზებს ფულის სესხებით, რასაც შეიძლება მოჰყეეს დაგირავებული მამულის ხელში ჩაგდება. ამის გამო უძაგებს კიდეც ბანკს, რომელიც ეალის გადაუხდელობისთვის მამულს საჯარო ვაჭრობით ჰყიდის.

მაგრამ, როგორც ვიცით, გიევრაცუს მოტრფიალობის, მასთან დანათესავების ოცნების ფსიხოლოგია უკუღმა შეიცვალა მას აქეთ, რაც ბაქოს ნავთის მრეწველობის წყალობით გაჩნდა საქართველოში სომხის კაპიტალი, ადგილ მამულის შესაძენად ყურებ დაცქვეტილი, რომელიც შემდეგ ეროვნულ პოლიტიკური მისწრაფების მატარებელი შეიქნა სომხეთის სოციალისტური (?) დაშნაკცუთიუნის პარტიის გავლენით. გიევრაცუს სამოყვროდ კი არა, სალაპარაკოდაც აღარ ჰკადრულობდნენ. ბევრი გიევრაცუსთვის უცემიათ კიდეც, როცა ქორწინების საკითხი გამწვავებულა, მაგრამ გიევრაცუსაგან მოხიბლული ქალი ბოლოს მაინც გაჰყოლია ნაცემ საქმროს თავის მშობლების სამწუხაროდ. ქართველ სომეხთა ანტაგონიზმი ქალაქიდან სოფელში გადაეიდა, რაც მოჰყეა იმავ დაშნაკცუთიუნის პროპაგანდას. გაეროვნებული სომხის კაპიტალი პოლიტიკურ ბატონობასაც ჰჩემულობდა. სომხური პრესა იმ ხანებში მოურიდებლად აცხადებდა, ჩამოდექით, სომხის კაპიტალი მობრძანდება და ყველა მის საექსპლოატაციო მასალად უნდა იქცეთო. სოციალიზმის გამარჯვებამ ჩვენს ქვეყანაში და მთლად ამიერ კავკასიაში დაშნაკცაკანების ოცნებას ფრთები შეაკვეცა.

ისტორიულ დროს ფეოდალები ერთმანერთს სტაცებდნენ ადგილმამულს, რომელიც გამხდარიყო მათთვის საცილობელი ნაყოფიერებით და შიგ მოსახლე გლეხებით. ეხლაც იგივე სულისკვეთება ამოძრავებდა იმათ, მაგრამ რა კი მტაცებლობა აღარ შეეძლოთ, დავა იყო მათი საჯირითო ასპარეზი, დავაში ამოსდიოდათ სული. ასეთი არიან დავის გმირები ამირინდო ღაზნელი და ონოფრე ხარაძე, რომელნიც ერთმანერთს ედავებიან ჩალიანის მამულს და არ ინაღელიან, გადგნენ ყველაფრისაგან, ოღონდ ერთმანერთის ოხტში ამოვიდენ. მაგრამ მათი უბედურება ის არის, რომ სამართლის წარმოება ჯრის

რუსული ენით, რომელიც იმათ არ იციან. ამის გამო საყვლეფი გამხდარან არზის მწერალთა, რომელნიც თვითო წერტილისა და მძიმის დასმაში თვითო თვითო თუმანს ჰღებულობდნენ. რაფაელ არზუმანოვების მსხვერპლი რომ შექმნილან რუსული ენის უცოდინარი თავადები, კარგად ჰგრძნობენ. ამის გამო შვილების რუსულად აღზრდისათვის ყურადღება მიუქცევიათ, რომ რუსული კანონის უშუალო სარგებლობით თავი დაახრწიონ მეარზე ჩარჩთა ბრჟყალებისაგან, მაგრამ შვილები ზოგი ფანტაზიორ აგრონომი გამოსულა, როგორც ივანე დიდებულიძე (გაყრა), ზოგი ქართული პოეზიის მიმდევარი, როგორც ბეგლარ ღაზნელი (დავა), დანარჩენი უმრავლესობა სამხედრო სამსახურის თაყვანის მცემელი, როგორც მიხეილ ხარაძე, ბეგლარის საცოლოს ძმა. მამები დარწმუნებულან, რომ სიმართლე მაშინდელ სამსჯავროში ქრთამით იშოვება და შვილების ხელით უგზავნიან ქრთამს მოსამართლეს ამირინდო ოქროს ბეჭედს, ხოლო ონოფრე ათ თუმანს. ჩალიანის მამული დაჰრჩება ბეგლარის მამას, მაგრამ მოდაეეთა შორის ბოლოს ჩამოვარდება მორიგება ასე, რომ ბეგლარ ღაზნელი შეირთავს მიხეილ ხარაძის დას ნინოს, რომელსაც ვითომ მზითევში გაჰყვება ჩალიანის მამული. ამირინდოს სიხარულს საზღვარი არ უჩანს, როცა გაიგებს, რომ მორიგების ქაღალდი ბეგლარს შეუდგენია.

ანახანუმის ოჯახი (შეშლილი) ნამდვილი კლუბია, სადაც თავს იყრიან თავადაზნაურთა უსაქმურნი ქალაყენი და დროს ატარებენ ლოტოს თამაშით, ჭორიკანობით, სადაც ცრუმორწმუნეობა იმდენად ფეხმოდგმულია, რომ შეშლილი ტასოსთვის მოიყვანენ მკითხავ მარქრიტას, სრულიად დაჯერებულნი, რომ შელოცვა არგებს. ანახანუმს შინ უყენია ვახტანგის მეგობარი ბეგლარ, რომელიც რუსული კანონების მცოდნე ჰგონია და იმ შემთხვევაში სიძედაც არ დაიწუნებს. ბეგლარს და მის ქალს ტასოს ერთმანერთზე თვალი უჭირავთ, მაგრამ როცა ანახანუმ შეიტყობს, რომ ბეგლარს არზის ქაღალდზე არზის მაგიერ ლექსი დაუწერია, ძლიერ იწყენს, რადგანაც ყმა და მამული ეყიდებოდა. ამის გამო ბეგლარის ბარგს ოთხ წიგნს და ერთ ფარდაგს სეიმონა ბიჭს მიუყრის. ტასო შეშლილია. ანახანუმ სასიძოს ძებნაშია. იორამ მღვდელს მიუგზავნის მოციქულად ვახტანგს, მაგრამ ვახტანგ ბეგლარის მეგობრობით ტასოს შერთვის უარს განაცხადებს. ბოლოს გაუპირდებათ, რადგანაც ჰნახვენ, შელოცვა არ მოუხდა, და მოიწვევენ ექიმს, რომელიც მოფიქრების, შემდეგ ურჩევს,

მაგის წამალი სხვა არსად არის,
იქნება მორჩეს, თუ შერთოთ ქმარი.

საქმროც აღმოჩნდა ვიღაც ელენეს შვილი. ტასო მოირთო, მშობლებს და ნაცნობებს გამოეთხოვა, ვითომც ეკლესიაში მიმავალი, მაკრა გაიკრა აივანში, შეხტა მოაჯირზე და მტკვარში გადავარდა. ასრულდა ცხოვრება იმ ქალის, რომელსაც ბეგლარ ქართველი პოეტი უყვარდა სულით და გულით, მაგრამ ვერ მოეხერხებინა თავისი ბედი. თვითვე გადაეწყვიტა. ძველ თაობა თავიანთი ქალების ბედს მაინ დაუკითხავად სწყვეტდა. დაკითხვა კი არა, მათი ცოტაოდენი სითამამეც კი ვაჟებთან თავის დაჭერის დროს მათი გამდლების ასაგდები გამხდარიყო. ტასომ თავის დაღუპვა არჩია გათხოვებას იმ კაცზე, რომელიც არ უყვარდა.

ახალთაობის წარმომადგენლები არიან ივანე დიდებულიძე (გაკრა) და ბეგლარ ღაზნელი და მიხეილ ხარაძე (დავა). ყველანი ფეოდალთა წრიდან არიან გამოსულნი. უნდა ითქვას, რომ მათი მშობლები არ ჩამოგვანან თავიანთ თანამედროვე ლუარსაბ თათქარიძეს, რომელსაც სწავლა სძულს, როგორც კაცის დამაკლერქებელი, და არა თუ ვაჟების, არამედ ქალების აღზრდასაც აძლევენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ სწავლა განათლებას სარგებლიანობის თვალით უცქერიან. ამ მოსაზრებით თავიანთ შვილებს რუსულს ასწავლიდნენ, როგორც ისეთ ენას, რომელიც პურს აკმევდა. ყველგან ხმარებაში იყო. შინ, თუ საზოგადოებაში, სამსახურში, სკოლაში, თუ ეკლესიაში. ქართული კი აბა ვის რად უნდოდა? ვიღას ახსოვდა ქართული კულტურა? ვაჟები იმ დროს რუსეთს მიდიოდნენ უმაღლესი სწავლის მისაღებად. ასეთ ნასწავლ ახალგაზდებს თერგ დალეულს უწოდებდნენ. ეაპრები კი რუსეთუმეს. ასეთია მაგალითად ივანე დიდებულიძე, რომელსაც მამულის მოვლა უსწავლია, მაგრამ ნასწავლი ცხოვრებაში ვერ გამოუყენებია თავის ქარაფშუტული მსჯელობით. მაგალითად აპირებს ვაზის კადაკაფვას, რომ შემდეგ თუთა ჩაჰყაროს. უფროსი ძმა ანდუყაფარ და სხვები მის ზერელე ლაპარაკს გაუკვირვებია და რუსეთელ გიეს ეძახიან. მებოსტნეობა, მეაბრეშუმეობა, მეღვინეობა სახელდახელო, ადვილი საქმე ჰგონია, ის კი არ იცის, არც დაეძებს, რომ მისი აგრონომიული გეგმის განსახორციელებლად საჭიროა ფული, რომელიც არც იმას, არც მის ძმებს არ აბადიათ, თუ არ ისესხეს მიკირტუმებისაგან. ამის გამო როცა ივანე ოცნებაშია გართული რუ-

სულად მოკიკკიკე, მინდორს შვიდად გავანაწილებ, აქ მომივა მე კაპუსტა, მაშინ მიკირტუმ გასპარიჩი განზე შეჰნიშნავს, ავკარმანე ბუდიტ პუსტა. მერმე ხელს ნელა დაადებს ივანეს მხარზე და ეტყვის. **სუყველა კარგათ ფიქრობ, კნიაზ! მაგრამ ფული, სულ ფული...** ივანე დიდებულიძე სხვაფრივადაც მჩატე გონების კაცია. გაიძახის, ჯერ საქართველოში სიყვარულის მაგალითი არ ყოფილა, რომანიც არ დაიწერებაო. ქართული ღვინო ძველის ბურახი ჰგონია და იმდენად გადაჰბრუნებია ფსიხიკა, რომ ქართული ყ-არი ვერ გამოუთქვამს. ამის გამო სიტყვა ანდუაფარ არ მოსწონს.

ბეგლარ ღაზნელი არის რომანტიკოსი. მისი პირით ავტორი გველაპარაკება ბეგლარ ნასწავლია რუსეთში, ისიც კი იცის, რისთვისაც ჩამას გაუგზავნია რუსეთს, ე. ი. კანონები, რისი ცოდნაც გამოიჩინა ჩალიანის მამულის დავის გამო გადაკიდებული თავისი მამის და თავისი სიმამრის შერიგების ქალალდის დაწერით. მაგრამ მისი ხელობა მელექსეობა, ქართული ლექსების წერა არის. ამირინდო ღაზნელი ამას დაუნაღვლიანებია, ეგრეთვე იმ გარემოებას, რომ არზის ქალალდზე არზის მაგიერ სამიჯნურო ლექსი დაეწერა იმ დროს, როცა სხვა ედაებოდა ყმას და მამულსა, მაგრამ რა გაეწყობა. ბეგლარ ღაზნელი (დავა) და ბეგლარ, ვახტანგის მეგობარი (შეშლილი) ერთ რომანტიულ პიროვნებას წარმოადგენენ, თითქმის ერთნაირ როლს ასრულებენ. ბეგლარ ღაზნელს თანამგრძნობლად ასჩენია მიხეილ და მისი დაი ნინო. ხარაძის ქალი, რომელსაც შეირთავს, ხოლო ბეგლარ ვახტანგის მეგობარი მოსწონს ანახანუმის ქალს ტასოს, რომელიც მტკვარში დაიხრჩობს თავსა, რა კი დედა ბეგლარზე გათხოვების ნებას არ მისცემს. ბეგლარ შესტრფის გაზაფხულის დილას, როცა ტყე მინდორ ველი მწვანედ იმოსება, მფრინველნი იწყებენ ჭიკჭიკს. ყველას უხარია მოღიმარი სასიქადულო გაზაფხული, რომელსაც ხელთ უპყრია სიხარულის ფიალა და მე ამ სიხარულის დროს, ეკითხება თავის თავს, ვმუნვის ბინდი გულზე რად მომფენიაო? პასუხს თვითვე აძლევს თავის თავს. მისი აზრით სოფელი და ბუნება სულ ჭაბუკდება, ის კი ღვთის ქმნილების გვირგვინი ჰბერდება, ჭლეპება და დღე აკლდება. არა აქვს უფლება განახლდეს, რადგანაც ტანთ გახრწნილების კაბა აცვია. მერმე გააღებს სარკმელს და რა მოიხიბლება კეთილ მშვენიერი ჰაერით, ლაჟვარდოვანი უმანკო ცით, ანკარა მჩქეფარე წყლით, ხუკუკა ტყით, ზურმუხტი ველით, ბულბულის სტვენით, კალოზე ერთად მსხდომი გვრიტებით, ტოროლას ჭიკჭი-

კით, ნანგრევებიდან ბუს გამობღვერით, ჰნატრულობს, ფრთები შეესხას, რომ მიწით აღმა აფრინდეს მაღლა და კვალად მაღლა, რომ ქვეყანას დაბლა ვეღარ ჰხედავდეს. გაჰშალოს სანავარდო ფრთები, რომ ჰნახოს მზის შარაგანდედი, მერმე რძის გზას, ვარსკვლავთა კვალს შეუდგეს, მნათობთა სელას. ვრცელი მთვარე, ბნელი ღამე გასჩხრიკოს. მაგრამ სინამდვილის შეგრძნობისაგან გულს ბოღმა მოაწვება და იტყვის, მე ღვთის ქმნილება მიწას მაგრა მიკრული ვარო. უკვირს, რად მიჰნიჭებია გონება, ნება, თუ სიკვდილით ყველაფერი უნდა დასრულდეს. თუ კაცის იმედი და ბედი ასე სიზმარივით გაჰქრება, სიცოცხლის სიმი უეცრად გაწყდება, ამისთვის კაცი რად იბადებაო? მაგრამ ჩაფიქრების შემდეგ იტყვის, მზის, მთვარის, მნათობ ვარსკელავთ, ცის სამყაროს მკვრეტელს სინიდისი იდუმალ ჩამძახის, სსვა სოფლისთვის სამზადისი არისო.

ბეგლარმა როცა სამიჯნურო უსტარი მისწერა ნინოს, ნათესავები გააოცა ნინოს საქციელმა. აბრამა ბიქმა ბეგლარს მოართვა წერილი, რომლითაც უთვლიდნენ ბეგლარსა, გთხოვთ კვლავ აღარ გაპბედოთ ამისთანა წიგნი და ჩვენთან აღარ გაიაროთო. ბიქები ამის გამო სთხოვდნენ ბეგლარს ნებართვას, რომ ონოფრე ხარაძისთვის თავზე სახლი დაენგრიათ, მაგრამ ბეგლარმა მოიშორა თავიდან და დასწყევლა დედაკაცი, როგორც დაუდგრომელი არსება, რომელიც ეშმაკივით კაცს შეუჩნდება სახით სათნო, ხოლო სულით ქაჯი, მაცდური, ოცნების ბურტყული, გველივით ჭრელი, კაცის გულის მხვრელი, გონებით მახინჯი. არ ენაღვლებოდა იმ დროს დაებერა მისთვის, როგორც სამუმის ქარს, მტკვარში ჩაეგდო; მიეცა ლომისთვის მისი სახის, როგორც კვეის, დასაღეჭად; გაესრისა ის უგუნური, როგორც გველი, გაეპყლიტა მისთვის თავი, ამოეთხარა კაცთ მომწამლავი თვალი; ქცეულიყო მისი სქესის გადასაშენებელ სენად; მოეწამლა მისთვის გული, მოეშხამა სული, შეექნა ჭლექად; არ მიეცა მისთვის დღე კეოილი, ძილი და სცემოდა მეხად. მერმე მწარედ გაიღიმებს და თავისთავს ჰკითხავს, ვინ მოგცა უფლება, დასთრგუნო ქალი, ღვთის მშვენიერი ქმნილებაო. ებრალებოდა თავი, რომ პოეტად დაბადებული დამდაბლებულიყო ქალისაგან, როცა აღმა საფრენი ფრთები ჰქონდა, ეთერის მკვიდრი გადმოვარდნილიყო ხალხში, რომელთანაც საერთო არაფერი ჰქონდა. სულის აღმაშფოთებელ ბედს შესჩიოდა, ჩემი დაკუწული გულისაგან შევქმენ ტრფობის ანბანი, რომელიც ლიტონ კაცს ვერ გაუგია და მგოსანთა მიმართ შურიანი ხალ-

ხის მტრობა იქედან წარმოსდგაო. პოეტის მძიმე მხვედრს ეახტანგიც ჰგრძნობს, ბეგლარის მეგობარი, რომელსაც იორამ მღვდელი ამოდ მოეელინება მოციქულად, რომ შეჰრთოს ტასო შეშლილი. მისი თქმით, პოეტი თავისი მაღალი ნიჭით ვერაფერს ვერავის აგრძნობინებს, თავისი მაღალი სულის პასუხს ვერსად ჰპოებს. ბედნიერება და მყუდრო ცხოვრება პოეტს არავის დაჰყოლია, მისი ბედი უიმედო ყოფილა: ხან სოფელს დასტირის, გულ ნაკლად მყოფი, ხან, როგორც გულუბრყვილო, სოფელს დაჰხარის.

ფეოდალთ ახალთაობის უმრავლესობა სამხედრო სამსახურს ეტანებოდა, მშობელთაგან წაქეზებული, მაგრამ იმათშიაც ერევნენ ისეთი კარგი გულის და თერგდალეულების თანამგრძნობელი ადამიანები, როგორც მიხეილ და სხვები. შეგნებული ჰქონდათ აგდებული მდგომარეობა მგოსნის, რომელსაც ანუგეშებდნენ, მაგრამ თერგ დალეულები ხასიათის სისუსტის გამო ხანდახან ისეთ მდგომარეობას თუ არ ამწვავებდნენ, არ ანელებდნენ. როგორც ბეგლარ ღაზნელმა, ისევე ეახტანგის მეგობარმა ბეგლარმა არზის ჭაღალდზე არზის ნაცვლად სამეჯნურო ლექსები გააკრელეს, ხოლო მაშინ როცა ჰმართებდაი მამათა ცუდი ჩვეულების გმობა, როგორც იყო მაგალითად დაქრთამვა მოსამართლისა, ვერაფერი გაეწყოთ და მამებისაგან გამოტანებული ქრთამები მოსამართლისთვის თვით მიჰქონდათ. ვიცით, ბეგლარ ღაზნელმა ბეჭედი, ხოლო მიხეილ ხარაძემ ათი თუმანი წაუღო მოსამართლეს, რომელმაც ბეჭედი თავის თითზე წამოაცმევინა, ხოლო ფული ბალიშ ქვეშ ამოადებინა, ვითომც ქრთამის ამღები არ ყოფილიყვეს. რუსეთელ გიჟს ივანეს ხომ სულ დაჰკარგვია თავმოყვარეობა. ვიდრე მიკირტუმ გასპარიჩის მოვალე არ იყო, იმასთან ქედმაღლობდა, მაგრამ როდესაც ექვსასი თუმანი მიკირტუმას ვალი იმას შეაწერა სასამართლომ, დიდებულიძეების გაყრის დროს, მაშინ თავი დაიმდაბლა და თავის მეგალეს სიძედ მოეკიდა ასე, რომ მისი ქალის სიყვარული სულ არ ჰქონდა.

გ. ერისთავს მეფის ნაცვალმა მიხეილ ვორონცოვმა სამართლიანად უწოდა საქართველოს მოლიერი. გაყრის ავტორი არა თუ განმაახლებელ აღმადგენელია ქართული თეატრის, არამედ დიდი დრამატურგიც, რომელმაც შეექმნა მრთელი სკოლა ქართული კომედიისა. მისი საქმე განაგრძო ზურაბ ანტონაშვილმა, რომლისაც მზის დაბნელება დღესაც რეპერტუარშია. მას მოსდევს გაბრიელ ხუნდუკიანი, რომლისაც კომედიები პეპო და ხათაბალა ეხლაც არ არის ინტერეს

მოკლებული. სუნდუკიანი თავის კომედიებს სწერდა ქალაქური სომხური ენარგონით, ქართულადაც თვითვე აკეთებდა და დამხმარედ ჰყავნდა ბაირონის ქართულად მთარგმნელი იოსებ ბაქრაძე. ასიკო ცაგარელმა კომედიაში ფარსის ელემენტიც შეიტანა და მისი ხანუმა რომელიც დღესაც რეპერტუარშია, ჯერ უკვდავ ჰყო მისმა ცოლმა დიდნიკიერმა მსახიობმა ნატო გაბუნიამ, რომლისაც გამოსვლა ხანუმა მაჰანკალის როლში მთელი დღესასწაული იყო, ხოლო მერე კომპოზიტორმა ვიკტორ დოლიძემ, რომელმაც ოპერა დასწერა ქეთო და კოტეს სახელწოდებით. დღეგრძელი წარმომადგენელი გ. ერისთაეის კომედიისა არის ნ. აზიანი, ქალი. რომელმაც პირველმა შეაქმნა ქართველი ჩარჩის ტიპი. მისი უკანასკნელი პიესა არის დეზერტირის ბაზარი, რომელსაც იშვიათი გამარჯვება ჰხვდა და რომელიც წარმოადგენს მონარქიული, მეუმცირესეთა და მეუმრავლესეთა რეჟიმის უფრო პოლიტიკურ შარეს, ვიდრე კომედიას.

§ 42. დანიელ ჭონქაძემ (1830 — 1861) სახელი გაითქვა სურამის ციხის დაწერით. ფეოდალ თერგ დალეულებს ვერ შეეგნოთ, ან ხელს ერ აძლევდათ, ხმა აემაღლებინათ ბატონ ყმობის წინააღმდეგ. არას დასდევდნენ, თუ მათი მამების ყმები აუტანელ ტანჯვას განიცდიდნენ. მხოლოდ გ. ერისთავის გაყრა კომედია გვაწვდის მოახლე ყარდაშ ვერდის პირით პირველ ცნობას, რომ ბატონებს ყმების აკლება სცოდნიათ და ვინც აიკლებდა, ნახევარი იმისი იყო. დ. ჭონქაძე უთუოდ მრავალჯერ უნდა ყოფილიყო მოწმე ყმათა აკლებისა, რომ ეველარ აუტანია და ბოლოს გადაუწყვეტია ფეოდალთ მხეცობის გამოქვეყნება. მაგრამ როგორ? იმ დროს კაცს პირს ბოქლომი უნდა სდებოდა. მონათა განთავისუფლებისათვის ხმა მრავალ მწერალს ამოუღია. შოთა რუსთველის უწმინდესი სულისკვეთება სწორედ კაცობრიობის დაჩაგრულ ნაწილს ჰქომაგობს, როცა ავთანდილის პირით ამცნებს ბატონებს, ათავისუფლეთ მონებიო. აბესალომ და ეთერის ზღაპარი ჰმოწმობს, რომ დედოფლად მწყემსი გოგოს მოყვანაც შესაძლებლად მიუჩნევია ხალხსა, მაგრამ ბატონებს ყმების დამონებაზე ხელი არ აუღიათ, ვიდრე არ ააღებინეს. აი ამ დიდი საკრებოროტო საქმის გასამარჯვებლად პირველად დ. ჭონქაძემ გადადგა ნაბიჯი ლიტერატურაში და ფეოდალთა მხეცობა ყმათა მიმართ, რისიც თვით იყო მოწმე, მეჩვიდმეტე საუკუნეში გადაიტანა და ისე დაგვიხატა. მეჩვიდმეტე საუკუნეც არ ყოფილა მშრომელი ხალხისთვის სანუგეშო. ის იყო ნუგზარ არაგ-

ვის ერისთავის დრო, როცა ნუგზარ ერისთავი ქართლის მეფეს ებრძოდა, სისხლის წვიმების დრო, როგორც ხალხი იტყვის, როცა ნუგზარის სიძის გიორგი საakაძის და ქართლის ფეოდალთ შორის შური და მტრობა სპარსელების ხელით ქართველ ხალხს ანადგურებდა, როცა შარდენ ფრანგის მოგზაურის თქმით სწარმოებდა მონების გაყიდვა უცხო ქვეყნელებზე, ხოლო მიქელ თამარაშვილის მოწმობით შიგ თბილისშიაც იყო ნონების საvაკრო მოედნები. ამას კიდევ ზედ ერთოდა ომი, რომელიც ქართლსა და ოსმალეთ შორის ატეხილიყო და ქართლს სამხრეთით საზღვრის დასაცავად უნდა აეგო სურამის ციხე. მოთხრობა ტრიალებს ამ ციხის გარშემო, რისთვისაც ავტორმა სამართლიანად უწოდა მოთხრობას სურამის ციხე. ციხის კედელი სამხრეთით ვერ ამოჰყვანდათ, სანამ ზურაბ არ ჩაkკირეს საძირkველში. მაგრამ ზურაბის ჩაkირვა მეჩვიდმეტე საუkუნის ამბავი როდია. შეიძლება ასეთი ჩვეულება ქრისტიანობამდისაც ყოფილიყვეს, რადგანაც ამ სარწმუნოებას ჩვენში ოფიციალ ცეცხლის kულტთან ერთად დაჰხვედა დრუიდიზმი, ანუ ხეთა თაყვანისცემა, როგორც ჰმოწმობს მცხეთის ნაძეის და ჭყონდიდის მუხის თქმულება და დღევანდელი ჩვენი ხალხის რწმუნებაც, რომელსაც დიდ დიდი ხეები წმინდად მიაჩნია. სწორედ დრუიდებმა, ანუ ხიხუცებმა იცოდნენ საიდუმლოდ ყრმათა შეწირვა, რაიც ჩვენში აკრძალულ იქმნა მეორე საუkუნეში ქ. შ., როგორც მოხსენებული გვაkვს (§ 4). მაშასადამე სურამის ციხის მოთხრობაში უნდა ვეძიოთ ისტორიული მხარე, რომელიც იმდროინდელია, ხოლო წარმართ სარწმუნოებრივი და საზოგადოებრივი მხარე ორივე გარე დროინდელია. პირველი არის ძველი, მეორე კი ავტორის დროინდელი, რომელიც გადაუტანია ისტორიულ ეპოkაში. მტერი kარზე მომდგარ იყო, — მაშინ მესხეთ ჯავახეთი იყო ოსმალეთის ხელში — ციხის აშენებას კი არაფერი ჰშველიდა. რამდენსაც არ ამოიყვანდნენ სამხრეთის kედელს, იმდენი ჩაიშლებოდა. განგების რისხვა იყო სწორედ და ამის დასამწყალობლებლად მეფემ მიჰმართა სახელოვან ვარდუა მკითხავს. აქ მოსაგონებელია — ტროეთის ომის თქმულების kალkას kადაგი, რომელსაც აkეველთ გმირმა აkილემ აkითხვინა, რად გვიხოცავს ფებე აპოლონ იმდენ ჯარს, მსხვერkპლს ხომ არ მოითხოვს ჩვენგანაო. ასზვარakეული უნდა შესწიროთო, მიუგო kალkასმა. ისევე ვარდუამ მეფის ვეზირს მოახსენა წარბშეუხრელად, დურმიშხანის ვაჟი ზურაბ უნდა ჩაჰkიროთ ციხის საძირkველშიო.

ვარდუას რჩევა მიღებულ იქმნა და ჯაბუკი ზურაბ მოაშორეს დედას და ჩაჰკირეს. დედა გამოუდგა თავის შვილს და მოწმე შეიქნა მისი ჩაკირვისა. **შვილო ზურაბ, სადამდეო, ეკითხებოდა დედა. ზურაბი მიუგებდა, ვაი მე დედა კოჭამდე... წელამდე... ყელამდეო,** ვიდრე უკანასკნელად არ უთხრა, ვაიმე დედა, **გავთავდიო.** დედა ძას აქეთ ყოველთვის დადიოდა თავისი პირმშო ვაჟის წამების ადგილის სანახავად და მოსთქვამდა: **სურამისა ციხეო, სურვილითა გნახეო, ჩემი ზურაბ მანდ არის, კარგად შემინახეო.** ასეთია თქმულება ხალხისა. თქმულება არსებობდა მეჩვიდმეტე საუკუნემდისაც, რომელსაც მოთხრობა ეკუთვნის და რომელიც, როგორც აბესალომ და ეთერის ამბავი, ლეკსად ყოფილა გავრცელებული.

ვინღა იყვნენ დურმიშხან და ვარდუა? დურმიშხან იყო წერეთლის ვაჟის ბუში ყმის ქალისაგან. ბატონების ფსიხიკას, რომ ყმა და ყმის ქალი, თუ ცოლი მათი საკუთრება იყო, ბატონი შვილებიც ითვისებდნენ და დურმიშხანები ბატონიშვილთა ლაღი გრძნობის წყალობით მაშინ ათასობით იყვნენ. წერეთელმა დურმიშხანი აჩუქა წერეთლიანთსა სტუმრობის დროს მუხრან ბატონს, რომელიც სიძედ მოჰხვდებოდა. მუხრან ბატონის ოჯახშივე იყო მოახლედ ვარდუა, რომელიც ანჩის ხატის უბანში საუცხოოდ მორთულ მოკაზმული გამოდიოდა. დურმიშხანი დავაუკაცდა. რაკი თვითმოქმედებისაკენ მისწრაფება ჰქონდა, სულ იმის ოცნებაში იყო, როგორმე თავი დაეხრწია ბატონისაგან, მაგრამ როგორ? დურმიშხანს და ვარდუას თვალი ეჭირათ ერთმანერთზე. ეს იყო მიზეზი, რომ დურმიშხანმა განუცხადა ვარდუას, თუ თავისუფლების ქალალდს მიშოვნი, უსათუოდ შეგირთაო. წმინდის მოყვარულმა ვარდუამ თავისუფლების ქალალდი უშოვა დურმიშხანს, ეხლა უკვე საქმროს, რომელიც წავიდა ბედის საძებნელად. მესამე გმირია ნოდარ, რომელიც თავისი დედით იყო ერთ ბატონთან. ბატონი უდიერად ეპყრობოდა. დედაშვილმა ვეღარ გაუძლეს ბატონის მხეცობას, ადგნენ და გამოიპარნენ. თავი შეაფარეს ერთ სომხის ტერტერას, რომელსაც აღსარების დროს ყოველი თავგადასავალი უამბეს. ტერტერამ შეატყობინა მათი ამბავი ბატონს, რომელმაც დედა შვილი ირნიენ დაიბრუნა. ბატონის მხეცობამ თავი ეხლა უფრო იჩინა და ნოდარი და დედა მისი შეაბა კევრში, რომელსაც თვითონ ჰხელმძღვანელობდა, მაგრამ უძლურმა დედაკაცმა ვეღარ გაუძლო ტანჯვას და კევრის თრევაში ამოჰხდა სული. ბატონ-

მა ნოდარს დედის წამება არ აკმარა. მის დანიშნულზე ეპირა თვალი და რაკი განზრახული ჰქონდა მისი გაუპატიურება, ნოდარ სახლს შოაშორა. როცა ნოდარ დაბრუნდა, ერთი დედაბრისაგან შეიტყო, რომ ბატონის მიერ გაუპატიურებულ მის დანიშნულს თავი დაეხრჩო. ნოდარს აეესო მოთმინების ფიალა და ბატონი და მისი სახლობა ამოჰხოცა ასე, რომ აკვნის ბავშიც კი არ დაინდო და გადაიხვეწა ოსმალეთს, სადაც გამაჰმადიანდა და ოსმან აღას სახელით სცხოვრებდა. შეეიდა ოსმალეთის ჯარში, დამსახურება მიიღო, სიმდიდრეც შეიძინა. დურმიშხანი შეხვდა ოსმან აღას, რომელმაც თავისი თავგადასავალი უამბო. დურმიშხანი შვილობილად მოიკიდა, შეკრთო თავისი ნათლული ქალი, ქონება გადასცა და დაასახლა სურამს. ვარდუას შერთვაზე დურმიშხანმა ხელი აიღო და შეატყობინა კიდეც. შემდეგ შვილობილ მამობილი ოსმალეთს გაბრუნდნენ. ნოდარს სინიდისის ქენჯნა აწუხებდა, რომ აკვნის ბავშვი უბრალოდ მოჰკლა. ქრისტიანობაზე გადასვლისთვის ოსმალებმა აწამეს, ხოლო მისი გვამი გარეთ გამოაგდეს. დურმიშხანი ჰხედავდა ყველაფერს ამას, მაგრამ პატრონობა არ გაუწია თავისი მფარველი მამობილის გვამს. შინ დაბრუნებულს კიდევ ცოლი თავზარ დაცემული დაჰხვდა ზურაბის დაღუპვის გამო. ვარდუამაც დასტოვა მუხრან ბატონის სახლი და აელაბარში შეისწავლა მკითხაობა ასე, რომ ბოლოს სახელიც გაითქვა, როგორც უტყუარმა ქადაგმა. იმ ხანებში მეფის ვეზირი ეწვია საკითხვინებლად და რაც ურჩია, უკვე ვიცით. დურმიშხანმა იცოდა, რომ ის საშინელი მკითხაეი იყო ვარდუა, რომელმაც მისი შური იძია ღალატისათვის და წამოვიდა სამაგიეროს გადასახდელად, მაგრამ არც ვარდუა დაჰხეედრია უიარაღო. მოღალატე და დაღალატიანებული, რომელთაც შურის ძიების ბრაზი მოჰრეოდათ, შეიყარნენ პირის პირ და ერთმანერთს ბოლო მოუღეს.

უეჭველია, მოთხრობის უმთავრესი გმირი არის ვარდუა, მეტად თავმოყვარე ქალი, რომელიც თავს არავის დააბრიყვინებდა. მაგრამ საკითხავია, რას ერჩოდა ჭაბუკს ზურაბს, რომელიც არა ფერ შუაში იყო, და სამშობლოს ერთი დამცველი წაართვა ქართველ ოსმალთ ომში? თავიდანვე რად არ დაისახა შურის ძიება მოღალატე დურმიშხანისა, რომელსაც დიდი სიკეთე უყო თავისუფლების ქაღალდის გამოთხოვით და რომლისაც უმადურობამ თავი იჩინა ეგრეთვე ოსმან აღას მიმართ? ვარდუა ხელობით მკითხავი იყო და გულუბრყვილო ხალხს, რომელსაც მისი მკითხაობა სჯე-

როდათ, ჰყველეფდა, იმ დროსვე ხელს უწყობდა ცრუმორწმუნეობის განმარტებას, რადგანაც თავისს კლიენტებს ზოგჯერ ურჩევდა ხატის მოლოცვას, თითქოს ხატი დაიხსნიდა იმათ გაჭირვებისაგან. თუმცა ასეა, ვარდუას საქციელს შეიძლება მიეცეს კულტურულ სოციალური განძარტება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ვარდუა ქართველი ქალია, აღმოსავლეთის ასული, ხოლო აღმოსავლეთში მტრის "შურის ძიება იმით იცოდნენ, რომ ყრმებს ამოუხოცდნენ, რომ მამაკაცთა მოძაველი თაობა აღარ ყოფილიყო. დავით წინასწარმეტყველი ებრაელი უდიდესი ლირიკოს პოეტი, რომლისაც საგალობელ ფსალმუნებს მრთელი კაცობრიობა იცნობს, რა მოიგონებს ბაბილონის ებრაელთა ტყვეობას, ამბობს, **დასაჩეო ქალო ბაბილონისაო! ნეტარია, ვინც გადაგიხდიხ იმას, რაც შენ დაგვმართე; ნეტარია, ვინც შეიპყრობს შენს ყრმებს და კლდეს ასეთქებსო.** ვარდუას თავისი შურისძიება შეეძლო გადაეტანა დურმიშხანისაგან ნაყოლ თავის ვაჟზედაც, თუ ძოღალატე გამოდგებოდა მამა მისი. ასე ძოექცა საარაკო ქართველი ქალი მედია, კოლხეთის მეფის ასული, თავის ქმარს იასონს, რომელმაც უღალატა კორინთის კრეონ მეფის ქალის შერთვითა. ევრიპიდემ (480 — 407 ქ. წ.) ელლინთ დიდმა დრამატურგმა იასონის ღალატისთვის მედიას იმავე სახელიან დრამაში ამოახოცვნა თავისი ღვიძლი ორი ვაჟი. ევრიპიდე მცნობი იყო აღმოსავლეთის ქალის ბუნებისა. სოციალი მხარე ვარდუას საქციელისა შეეხეგია. დურმიშხანს მისწრაფება ჰქონდა ფეოდალობისკენ, საიდანაც გამოსულიყო. შვილის ნათლიად მდაბიო ვინმე კი არ უნდოდა. ის ეტრფოდა დიდ კაცს, თვით მეფესაც კი და რასაკვირველია, რო დასცლოდა, ზურაბიც პარაზიტი მამის ხელში იქცეოდა პარაზიტად. ხორც მეტად, რომელიც მოსაჭრელი უნდა გამხდარიყო. ნახელოვნები ქართველი ქალების პანთეონში, სადაც არიან ხესტან დარეჯან, ასმათ, ფატმან, ოთარაანთ ქვრივი და მამიდა ასმათ, უნდა იყვეს ეგრეთვე ვარდუა.

მაშასადამე დ. ჭონქაძე მარტო ისეთი მწერალი კი არ არის, რომელმაც პირველმა მოგვცა სურათი ფეოდალთ მხეცობისა მშრომელი ხალხის მიმართ, არამედ დიდი ხელოვანიც, რადგანაც ვარდუას ტიპის შექმნით გამოიჩინა ცოდნა აღმოსავლეთის ქალის ბუნებისა, რომელიც მოქმედია. სურამის **ციხის** ავტორს ლიტერატურულმა ხერხმაც ვერ უშველა და სადევნელი გახდა ფეოდალების მიერ.

§ 42. ლავრენტი არდაზიანი (1818 — 1870) განთქმულია ისე, როგორც დ. ჭონქაძე, მხოლოდ ერთი მოთხრობით, რომელსაც ეწოდება **სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილი.** ისაკა მეჯღანუაშვილი წინაპარია აღმოსავლეთ საქართველოს ბურჟუაზიისა. მიკირტუმ გასპარიჩ ტრდათოვი, გ. ერისთავის გაყრა კომედიის გმირი, როცა თავის გვარს აწარმოებს სომხეთის მეფის ტრდათისაგან, ტყუილად ფართიფურთობს, როგორმე ცოტა ძირს დასწიოს რუსეთელი გიეის იეანე დიდებულიძის ქედმაღლობა, თორემ ისიც ისეთივე შთამომავალია ისაკა მეჯღანუაშვილის, თუ პირდაპირ სისხლით არა, ხელობით მაინც, როგორც ისაკას ღეიძლი შვილი სოლომონ. მაშასადამე იმ ბურჟუაზიის წინაპრები მეჯღანეები ყოფილან, როცა საქართველოში გადმოხვეწილან მაჰმადიანთაგან აწიოკებულნი. მაგრამ მეჯღანე უფრო პატიოსანია, როგორც მშრომელი, ვიდრე ჩარჩი, რადაც მეჯღანე შემდეგში გადაიქცა. ასეთი მეტამორფოზი უძევს საფუძვლად იმ ბურჟუაზიას, რომელიც რევოლუციის გარიჟრაჟზე საქართველოში პოლიტიკური ბატონობის მოპოებასაც სცდილობდა მშრომელი ხალხის ნაოფლარით მოხვეჭილი დოვლათისაგან გაგულზვიადებული. ერთმა ქალაქელმა დიდვაჭარმა ხუმრობით უთხრა თავის მეგობარ თავადს, რა მიუთითა ეტლს, რომელიც მიაქროლებდა მილიონერ დიდვაჭარს, ჩვენი წინაპარი საქართველოში ვირით მოსულა, დღეს კი ეტლით დაჰქრის მისი შთამომავალი, თქვენ მალე ვირიც არ გეყოლებათ, რომ იმით იაროთო. დღეს ხომ ერთიც, მეორეც გადასულა!

სოლომონ მეჯღანუაშვილი პატარა დაუობლდა დედა მისს, რომელიც გადაეგო თავისი ვაეის აღზრდას ასე, რომ მეორედ არ გათხოვილა, თუმცა მთხოვნელი ჰყვანდა; როგორც იტყვიან, წვითა და დაგეით გამოზარდა, მათხოვრობდა კიდეც და სწორედ ამ მათხოვრობის დროს სიონის ტაძრის კარი ბეეში მდგარ დედა შვილს თვალი მოჰკრა ლუარსაბ რაინდიძემ, შინ წაიყვანა ორნიეე და აცხოვრებდა ნაცვლად სამსახურისა, რომელსაც ეწეოდნენ რაინდიძიანთ ოჯახში. პატარა სოლომონს ქართული წერა კითხვაც ასწავლეს. სოლომონ თავიდანვე ჰგრძნობდა თავის მდაბიურობას და შეფიქრიანებულიყო, რომ მის გვარში მეჯღანე ისმოდა. რას არ ეცადა მის ამოსაგდებად, თავის გვარს შვილის მაგიერ ხან რუსული ეგ, ხან სომხური იანც მიუმატა დასაბოლოებლად. მაგრამ არაფერი ეშველა, მეჯღანე, მაინც დარჩა და ბოლოს გადასწყვიტა, ისევ მეჯ-

ღანუაშვილი ყოფილიყო. ციხის უბანში სახლი გამოკეტილი ჰქონდათ. დედის სიკვდილის შემდეგ სოლომონ მეჯღანუაშვილს გული აღარ დაუდგა რაინდიძიანთსა და სულ იმის ფიქრში. იყო, როგორმე დასთხოვებოდა თავის მფარველ სახლობას და დამოუკიდებლივ ეცხოვრა. ლუარსაბ რაინდიძემ გაათავისუფლა სოლომონ მეჯღაღანუაშვილი და სახარჯოდ ხუთი მანეთი მისცა. პირველი საზოგადოება, სადაც მოხვედა სოლომონ, მოქეიფე კინტორობა იყო, ზოგი ჯიბგირი, ზოგი რა და ზოგი რა. სოლომონს ის ხუთი მანეთი მათთან ქეიფში შემოეხარჯა, მაგრამ დაატყო, რომ იქ კიდეე დარჩენა არ მოუხდებოდა და შეზარხოშებული ძმა ბიუეებისაგან თავი დაახრწია გაპარვით. დარჩა ტლუ ბიჭი. სარჩო არაფერი გააჩნდა ჰაერისა და წყლის მეტი. იპოვა თავისი ქოხი და იქ დაბინავდა. პირველი მისი ხელობა იყო მუშტრის ვაპართან მორიგება, მოკლედ რო ესთქვათ ტალალობა. ბოლოს იმ ხელობით რომ სული მოითქვა, სოფლის ხალხს დაუხვდებოდა გზაში, ჰყიდულობდა მათგან სოფლის წვრილ პროდუქტს, ჰყიდდა ქალაქში და მოგებას ინახავდა ცოლშვილის ჩუმად ტახტ ქვეშ ორმოში. ხელზე ვაპრობას აღარ დასჯერდა სოლომონ და ჩარჩობა სოფლადაც გადაიტანა. გლეხის ჭირნახულს იგიერავებდა ასე, რომ იშვიათი იყო ქართლ კახეთში ვინმე, რომ სოლომონ მეჯღანუაშვილის მოვალე არ ყოფილიყო. ცოლშვილთან თავი მოჭქონდა ისე, ვითომც ღარიბი ყოფილიყვეს. ამის გამო კიდეც თავს იშშეედა, თავისს ცოლშვილსაც ამშეედა, ციე ლუკმაზე ჰყვანდა. მოგების რომ ცოლშვილს არაფერი სცოდნოდა, ცოლს მოჰკიდებდა ზურგზე ქართულ საპონს და კარდაკარ ავაპრებდა, ვაჟს კი, რომლის დაიც სკოლაში დაუდიოდა, ცალკე წუმწუმას გაატანდა ამხანაგებში გასასყიდად. გადიოდა ასე დრო და სოლომონის ქონება დღითი დღე ჰმატულობდა. პირველ ხანებში, როგორც იყო, დათვლას ახერხებდა, მაგრამ ბოლოს დათვლაც გაუჭირდა, იმდენი შეკუჩებულიყო. ვაპრობის ამხანაგი მოატყუა, მაგრამ თავის ავკაცობას ჰგრძნობდა და როცა მისგან გაუბედურებული ამხანაგის ქალები გასათხოვარი შეიქნენ, ალბად ქენჯნილი სვინიდისის დასამშეიდებლად ყველანი დაათხოვა მზითევის მიცემით. ეხლა აღარ შეიძლებოდა თავისი სიმდიდრის კიდეე მალვა და ცოლშვილს დაახვედრა არა ციე ლუკმა, როგორც ჩვეულ იყვნენ, არამედ კარგი საოჯახო სადილი და გაუმეღვანა ყველაფერი. იყიდა კარგი სახლი შუაგულ ქალაქში, გაიჩინა ეტლი და გამოდიოდა თეატრში,

თუ სხვაგან, როგორც ნამდვილი სოვდაგარი. რაინდიძიანთ სახლობაც არ იყო სოლომონის უვალო. სოლომონ მეჯღანუაშვილი, მიკირტიჩ გასპარიჩის არ იყვეს, არ ჩქარობდა ფულის გადახდევინებას, რადგანაც გულით ოცნებაში იყო გართული, როგორმე მეეთხოვებინა განათლებული თერგდალეულის ალექსანდრე რაინდიძისთვის თავისი ქალი თამრო, რომელიც რუსის სკოლაში გამოზრდილი ჰყვანდა. მაგრამ ალექსანდრე რაინდიძე არ იყო რუსეთელი გიჟი ივანე დიდებულიძე, რომ სიყვარული ფულში გაეცვალა. ალექსანდრე რაინდიძე რაინდულად მოიქცა და თავაზიანი უარით გაისტუმრა სოლომონ მეჯღანუაშვილი. მის ქალს ჯავრისაგან დიდ ხანს არ უცოცხლია.

ეხლა რომ ავიღოთ სოლომონ მეჯღანუაშვილი, როგორც ნახელოვნები ტიპი, უნდა ითქვას, რომ სოლომონ მეჯღანუაშვილის უმთავრესი დამახასიათებელი თვისება არის შეგნება თავისი დაბალი გვარიშვილობის, სიღარიბისა და ამის გამო მისწრაფება, რომ დამოუკიდებლივ იცხოვროს და ცხოვრებაში გვერდში ამოუდგეს იმათ, ვისაც ჰრგებიათ წილად სიამე ამა სოფლისა. ამისთვის სცდილობს შვილებს განათლება მიაღებინოს, ხოლო თუ საკუთარი ბედნიერებისთვის ამხანაგს გააუბედურებს, თვითონვე სწუხს და შეცდომის გამოსწორებას ისწრაფვის. მართალია ხელმომჭირნეობა ანაცვალა კრიჟანგობას, მაგრამ ცოლშვილთან ერთად თავის თავსაც იმშევდა, სულ კი იმისთვის, რომ ქონება შეექუჩებინა, რომ თავის მიზანს მისწეოდა. მაგრამ ცდა ეკონომიური კეთილდღეობის მოსაპოებლად ამაო იქნებოდა, რომ არ ჰქონოდა უნარი დროს და გარემოების ალღოს აღებისა, შნო თავის დახრწეისა ისეთი წრისაგან, რომელიც გახრწმინდა, გაათახსირებდა. სოლომონ მეჯღანუაშვილი მატურია, რომელიც ლ. არდაზიანმა დაუდგა საქართველოს ბურეუაზიას მის სიცოცხლეშივე, მაგრამ ეხლა ის ბურეუაზია პატრონს ჩაჰბარებია, როგორც სოციალიზმისაგან დამარცხებული.

თ ა ვ ი X

§ 44. ქართველი მშრომელი ხალხის ცხოვრებისათვის 1861 წლის თებერვლის 19 დღე არის თარიღი საუკუნეთა განმავლობაში არსებული ბატონყმობის, როგორც დაკანონებული ინსტიტუტის, მოსპობისა, თორემ კერძოდ საქართველოში თვით რეფორმა უფრო

გვიან გამოცხადდა (1864 წ.), არც გატარებულა ცხოვრებაში მთლიანად, რადგანაც დარჩა გლეხის დროებით ვალდებულება ნაბატონარის მიმართ მისი ადგილ მამულის სარგებლობისათვის. აი ასეთი გარემოება დაჰხვდა ილია ჭავჭავაძეს (1837 — 1907) და მის სამწერლო სკოლას, რომელიც მაშინ გამოვიდა ხალხის სამსახურისათვის პრესის, თუ სიტყვა კაზმული მწერლობის კალმით აღჭურვილი. საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლა, როგორც ენახეთ, იწყება გ. ერისთავის, დ. ჭონქაძის და ლ. არდაზიანის მოღვაწეობით, მაგრამ ი. ჭავჭავაძის სკოლამ ასეთი შესწავლა გააღრმავა პოლიტიკურად გაშუქებითაც. სწორედ ამ სკოლის მწერლობამ, მაშინდელი ცენზურის ფარგლებში, მოახერხა მაინც შექმნა მკითხველი საზოგადოების, საზოგადოებრივი აზრის, რომელიც ცხოვრების სინამდვილეს უცქეროდა, როგორც სიდუხჭირეს, რომელიც ქართველ ხალხს ეკონომიურად გაძვალტყავებას და სულიერ კულტურულად გადაგვარებას ემუქრებოდა. ცხოვრების პოლიტიკურად გაშუქებაც იმას ჰნიშნავდა, რომ სამწერლო სკოლას საზოგადოებაში შეეტანა ისტორიული მოტივით, კილოკავად, თუ სხვა რამ სამწერლო ღონისძიებით, ერთგვარი შეგნება იმისა, რომ ქართველი ხალხი პოლიტიკურად ყოველგვარ უფლება აყრილი იყო ასე, რომ ვერ ეღირსებოდა სოციალ ეკონომიურ და კულტურულ ეროვნულ კეთილდღეობას. სანამ ცარიზმის პოლიციურ ბიუროკრატიული რეჟიმის მუხრუჭი ეჭნებოდა შემოქერილი.

მაგრამ შეცდომა იქნება, ვსთქვათ, რომ ისტორიულ, ან ცარიზმის დროინდელ საქართველოში, ბატონყმობის გაუქმებამდე, ქართველი მშრომელი გლეხობა ბატონების ხელში თავისი ბედის კმაყოფილი ყოფილიყვეს. 1712 წ. სოფ. ყვარლის, 1749 წ. სოფ. ბოლნისის, 1776 წ. სოფ. ურბნისის საეკლესიო გლეხობა აჯანყდა. გადასახადის გამოღების ურჩი მათ შორის ზოგი დაშოშმინებულ, ზოგი დათრგუნვილ, ზოგი კიდევ მაგ. 1719 წ. იარაღით დამორჩილებულ იქმნა, ხოლო 1794 წ. სოფ. მანგლისის და სოფ. რუისის საეკლესიო გლეხები სულ აიყარნენ და გადაიხვეწნენ. თუ ეკლესია, კაცთა შორის მშვიდობის და სათნოების მქადაგებელნი, ასე ავიწროებდა თავისს გლეხებს, რომ აჯანყებულან, ფეოდალები ხომ მათდამი უდიეროობას ხელს არ დააკლებდენ, როგორც მაგ. ამილახვრებმა ნება არ მისცეს გლეხებს ტყიდან შეშა და საურმე ხეტყე გამოეტანათ, სანამ

1785 წ. სახელმწიფო არ ჩაერია. ცარიზმის დროინდელ საქართველოში 1840 წ. გურიის, ხოლო 1856 წ. ოდიშის გლეხობა აჯანყდა.

თავისი სამწერლო მოღვაწეობის უდიდესი ნაწილი, როგორც ხელოვანმა მწერალმა, ი. ჭავჭავაძემ მოანდომა შესწავლას ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრებისას უმთავრესად ბატონყმობის დროს და ისეთი ღრმა კვალი გაავლო, რომ არასოდეს წარიხოცება. მისი ნაწერები, რომელიც ბატონ ყმობის დროინდელ ცხოვრებას გვიხატავს, შემდეგია: წერილი ლექსები ქართველის დედას, ნანა, ელეგია, მუშა, გუთნის დედა, პოემები აჩრდილი, კაკო ყაჩაღი და მოთხრობანი კაცია ადამიანი და გლახის ნაამბობი. ბატონყმობის მერმენდელ ცხოვრებას გვიხატავს მხოლოდ ოთარაანთ ქვრივი, განდეგილი კი დგას მოძღვრების და მიმართულების გარეშე, როგორც შემცველი ერთგვარი საკითხისა, რომელიც ეხება განდეგილის უცოდველობის შეუძლებლობას. ბატონყმობის დროინდელი მშრომელი ხალხის მდგომარეობის განხილვა შეუძლებელია ისე, თუ არ გამოვარკვიეთ მასთან ურთიერთობა სხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა. ვიდრე პოეტი აგვიწერდეს მშრომელი ხალხის ვითარებას ბატონყმობის დროს, უნებურად მოაგონდება ძველი დრო, როცა დედა ჯანღონით სავსე ყოფილა და მისი ვაჟი ისეთი გულადი, რომ ხალხის მტერთან გამკლავებას სასახელოდ სთვლიდა, თვით ხალხი კიდეე ისეთი, რომ უცხოეთის ბატონობის უღელს ადვილად იშორებდა თავიდან. ბატონყმობის დრო კირთების დრო იყო, ამბობს პოეტი. დედისთვის სიცოცხლის ძალღონე წაერთმია კირთებას, ხოლო მისი ვაჟი აჩრდილს ღა წარმოადგენდა ძველი მუშაკისას. ისე დაბეჩავებულიყო მშრომელი ხალხი, რომ ძილშიაც ჰკვნესოდა, მომსწრე ბედშაობის, დაკარგული ერთობის, წამხდარი გმირობის და დაობლებული ქვეყნისა. გუთნის დედა შეჰნატრიდა ხარის მდგომარეობას, რადგანაც ბუნებით იყო თავჩაქინდრული, პირუტყვი, რომელიც უნდა დაჰმორჩილებოდა კაცსა. მაგრამ ის პირმეტყველი პირუტყვად ქცეულიყო, რადგანაც თავისი გულის წუხილი გულშივე უნდა ჩაეკლა. ამის გამო თავისი ენა წარმოედგინა ხმლად, რომელიც სიმართლისთვის დაჩლუნგებულა, და ისეთ გუთნად, რომელიც მხოლოდ მიწას აჩეჩებს და ვერ მოუთხრია ძირიანად ბალახი, რომელიც თესლს ამოსვლას უშლის. ენის წაგდებას ბატონი ძვირად დაუსვამდა! ჭინახული გლეხს, როგორც ბატონის მამულის მოსარგებელს, ღალად მიჰქონდა ბატონისთვის, მაგრამ ბატონი სასწვრის პინას ფეხს დაა-

ჭერდა, რომ მეტი მიეწონა. მშრომელს ლამაზი ქალი საუბედურად გასჩენოდა, გველის წიწილის გაჩენა ერჩია, რადგანაც ბატონისაგან საფრთხე მოელოდა, მისი ავხორცობის მსხვერპლი გახდებოდა. ვაჟიც, რომელსაც შეეძლო მოხუცი მამისთვის დახმარება აღმოეჩინა, ხშირად ბატონისას იყო და მამას ვერ გაებედნა ბატონისაგან მოეთხოვა თავისი სიბერის ყავარჯენი. ბატონი თავისთვის ხელსაყრელად სთვლიდა ბატონყმობას და მთავრობას სრულიად არ სთხოვდა მის გაუქმებას, პირიქით მთავრობის ერთ ღიმილში მრთელი ქვეყნის ბედს გასცვლიდა. ვაჟარი გლეხის მოტყუებით განვლიდა ცხოვრების გზას, მღვდელი კიდევ მშრომელი ხალხის გაჭირვების მოწამე განზე გამდგარიყო ხმა გაკმედილი; ზოგჯერ კიდეც ჯაშუშობდა. საერთოდ ასეთ საზოგადოებრივ დაბეჩავებას პოეტი ჰხსნის იმით, რომ ხალხს აღარ ჰქონდა შეგნება თავისი ვინაობის, აღარ სწამდა სამშობლო, რომელიც განგებას სათაყვანებლად მიუცია კაცისთვის. ამის გამო ვეღარც ჰბედავდა მის დასახსნელად, აღსადგენად ხელი გამოეღო, თავი დაედო, აღარ ახსოვდა რომ წმინდანად მხოლოდ ის ჩაითვლებოდა, ვინც მშობელი ქვეყნის, მშობელი ხალხის ბედნიერებისთვის თავს გასწირავს და რომ ასეთი თავის განწირვით მზადდება და მტკიცდება ნიადაგი შემდეგ გმირთა აღმოსაცენებლად. ქვეყანაში, რომელიც ბუნებით მდიდარია და ხალხის გაბედნიერება შეეძლო, ხალხი დაბეჩავ გაღატაკებულიყო და სხვის კალთას ამოჰფარებოდა. ამ საერთო გაჭირვების ნიადაგზე ზოგჯერ პროტესტსაც ჰქონია ადგილი, მშრომელი ხალხის თავმოყვარე შვილები გაჰმკლავებიან ბატონთა მტარვალობას და ყაჩაღებად გაჭრილან. ასეთი იყო ზაქრო, რომელმაც ვეღარ გაუძლო ბატონის მიერ თავისი მოხუცი მამის გამათრახებას და ბატონი მოჰკლა, კაკო, რომელიც ყაჩაღად გავარდა, რადგანაც უსამართლობა ვერ აეტანა, გაბრო, რომელმაც წუთი სოფელს გამოასალმა ნამეგობრალი დათიკო თავისი დანიშნულის გაუპატიურებისათვის. ზოგნი კიდევ ბატონის მათრახს გაჰქცევიან და ქალაქში ტვირთის ზიდვა დაუწყიათ, მაგრამ იქაც ბედ უკულმართნი გამომდგარან, ვაი ეაგლახით მცხოვრებნი, გულშეუტკივარნი, დაბრიყვებულ-აგდებულნი, რომელთაც სიკვდილისაგან ბოლო მოჰღებიათ ნესტიან სარდაფში, ცოლშვილისაგან დაუტირებელთ. სახალხო გმირი არსენა ხომ ისე გათქმული ყაჩაღობით, რომ ხალხს შეუმკია შაირსიტყვითა. განსაკუთრებით არსენა ვერ ეგუებოდა ვაჭრებს და ნაძარცეს ურიგებდა ღარიბებს. ერთ

ართლეს შეჰხვდა, ალაბი გამოართვა, მის მაგიერ ადლი მისცა და
ძანა, ამით მიუზომე მუშტარს ფართალიო.
იმავ დროის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათს გვაძლევს ეგ-
ვე ი. ჭავჭავაძის ორი მოთხრობა კაცია ადამიანი?! და გლახის
ბობი. პირველი გვისურათებს ფეოდალს ლუარსაბ თათქარიძეს,
ელსაც ყოველგვარი ადამიანობა მოჰკლებია ასე, რომ პირუტყვს
მსგავსებია. მახინჯ გვამში უდგია მახინჯი სული და ცოლიც ისე-
ე ჰყავს. ერთად ერთი ღირსება თათქარიძის ცოლის დარეჯა-
ის არის, რომ კარაბადინის კითხვა იცის და თავს ირთობს იმა-
რომ სარკმლის გაკრულ ქაღალდზე ნემსის ჩხვლეტით გამოჰყავს
ადასხვა სიტყვა. დარეჯანის ღირსეულ მეულღეს, რომელიც ძალ-
შეძლებული თავადია, სახლკარი და ეზო მოუვლელ დაუგველი
ასე, რომ მნახველი ვერც კი იფიქრებს, თუ მისი პატრონი მდი-
ია. ლუარსაბ თათქარიძეს ერთგვარი თვალთახედვაცა აქვს ასე,
ბ არც თუ სულ პირუტყვია. ეაეკაცმა უნდა იცოდეს კარგი
ენოსნობა, წიგნი ქალის საქმეა, სწაელა კაცს აკლერქებსო. ბატონ-
ბა ღვთის დაწესებული ჰგონია. როგორც მთა და ბარი არ გას-
რდება, ისევე ბატონი და ყმა. ხელის თითებიც არ აქვს კაცს თა-
ნორი, ზოგი გრძელი, ზოგი მოკლე არისო, იტყოდა. ამას ამბო-
ს სხვათა თითების დაკვირვებით, თორემ თავისი კოტიტა თითე-
ი, რომელიც კაცს წახერხილი ეგონებოდა, ასეთ აზრს ვერ დაას-
იდა. ჭამა სმა იყო მისი უმთავრესი საზრუნავი. სულ იმის კამათ-
იყო დარეჯანთან თუ, რა ეჭამა ან ვახშმად, ან კიდევ სადილად.
ქმურობისაგან ჭერში ბუზებს ითვლიდა, დარეჯანსაც ჰკითხავ-
ბა თუ გამოიცნობ, რამდენიაო. მხოლოდ გულს უკლავდა შუ-
ბ გრძნობა, რადგანაც თვითონ უშვილო იყო, იმდენი ქო-
ა კი უნდა დაჰრჩენოდა მის ძმას დავითს. ამის გამო უსამართ-
ობასაც აბრალებდა ღმერთს, რომელიც მის ძმას დავითს შვილებს
ეევდა იმ დროს, როცა არც მარხვას ინახავდა, აღსარებაშიაც
ყუოდა და ძაღლს თავისი კერძის თეფშში აპმევდა, თითონ კი

თი მართლმორწმუნე იყო. უშვილობის წამლად მკითხავმა ურჩია
ლეთის წმ. გიორგის მოლოცვა. თუმცა ლუარსაბს ჩაცმა დახურვა
არებოდა, როგორც იქმნა, მოილოცა თელეთი, მაგრამ შვილი მა-
ბ არ გაუჩნდა. ჯადოც უნდა ყოფილიყო მათი უშვილობის მი-
ზი. ჯადო ეგონათ ერთი შეკრული მჩვარი, რომელიც ეზოში
დო და შიშისაგან ცოლქმარს ხელი ვერ ეხლოთ. სტუმრის მი-

ღება ლუარსაბს ძლიერ ეჯავრებოდა, არა პერშაობით, არა მისი სიძულვილით, არამედ იმისთვის, რომ ჩაცმული უნდა დაჰხვედროდა, ჩაცმა კი მისთვის სიკვდილი იყო. მისი ტანისამოსი იყო ნიხავაპერანგი და ქამარი, რომელიც წელზე ერტყა. არც დარეჯანს ჰქონდა მეტი შნო, მაგრამ სცდილობდა გამრჯელობა გამოეჩინა. ტახტზე როცა წამოიკრებოდა, კორიანტელს ააყენებდა, რადგანაც ოთახი დაუგველ დაუსუფთავებელი და ფარდაგი დაუბერტყავი ჰქონდა. კიბეზე ჩაირბენდა სასწრაფოდ, სამზვარეულოში გოგო ბიჭებს დასტუქსავდა და ქშენით ამოიკრებოდა ისევ, რომ ლუარსაბთან თავი მოეწონებინა საქმიანობით. ლუარსაბმა დარეჯანი შეირთო მოტყუებულმა, რადგანაც ნიშნობაში სხვა ქალი უჩვენეს, მაგრამ ცოლქმარნი ისე კარგად შეეჩვივნენ ერთმანერთს, რომ ერთმანერთის მზეს ჰფიცულობდნენ. თუმცა პირუტყუულ ცხოვრებას ატარებდა ლუარსაბ თათქარიძე, მაგრამ ერთი რამ მუდამ ახსოვდა, ის იყო ბეგარაზე რაც შეიძლებოდა, მეტი ურმები ყოფილიყო. მოურავს ყოველ დღე ბეგარის საქმეს ეკითხებოდა. თუ გლეხობა ამით იტანჯებოდა. არას დასდეევდა.

მოთხრობის საუკეთესო და კომიზმით აღბეჭდილი ადგილი არის ლუარსაბის სიზმარი, რომელიც შურის გრძნობას მოჰყოლია კაცია ადამიანს შეიძლება ეტყობოდეს გავლენა რუსის მწერლის გოგოლის ერთის მოთხრობისა, რომელსაც ეწოდება ძველი ქვეყნის მემამულეები, მაგრამ ნიადაგი, რომელზედაც ილიას გაუშლია ქართველ მემამულეთა ცხოვრება, უცილოდ ქართულია, და შეუსრულებია დიდი ხელოვნებით თანახმად დებულებისა, რომელიც აუღია ტიპების საფუძველად: მახინჯი სული მახინჯ სხეულში. მაგრამ საკითხავია, რამდენად შესაძლებელი იყო, ბატონყმობის დროს, ლუარსაბ თათქრიძესავით არა ადამიანები ყოფილიყვნენ? მართალია ლუარსაბ პარაზიტია, მაგრამ არა ისეთი, როგორიც იყო ნოდარი ბატონი, უწყალო მტარვალი, რომელმაც დედა მისი კეკრის თრეულებით მოჰკლა, ხოლო მისი საცოლო გააუპატიურა (სურამის ციხე) თუ ლუარსაბ თათქარიძე ტიპია, მაშ საერთო ყოფილა ის ზნეობა და თვალტანადობა, რომლითაც შემკულია ლუარსაბ, ხოლო ნოდარის ბატონისთანები არც კი უნდა ყოფილიყვნენ ნამდვილად. ხასიათის ნასახები, რომელიც ლუარსაბს გვისურათებს, შეიძლებოდ ავტორს აჰა იქ ენახა, მაგრამ ისეთი სულით და სხეულით მახინჯ არსად იქნებოდა, მაშასადამე ასეთი შეწყობილი სრული შინაგა

გარეგანი სიმახინჯე საგანგებოდ გაჩენილია და უფრო შარეს მოგვაგონებს, ვიდრე ტიპს. ნამდვილი ტიპებია, მაგალითად ამირინდო ღაზნელი (დავა) და ანახანუმ (შეშლილი), რომელიც თანამედროვე არიან ლუარსაბის და დარეჯანისა. ამირინდო და ლუარსაბ, ანახანუმ და დარეჯან ერთმანერთს უარ ჰყოფენ, მაგრამ უარსაყოფნი არიან უფრო ლუარსაბ და დარეჯან. ავიღოთ უბრალო მაგალითი. ამირინდოს წიგნი არა სძულს, მაგრამ ქართული არ უნდა, რადგანაც ლუკმა პურს არ აქმევს კაცსა. იმისი საოცნებელია რუსული წიგნი, მაგრამ არც თუ საზოგადო, არამედ ისეთი, სადაც სწერია კანონები. აი უარყოფითი მხარე ამირინდოს ხასიათისა, რომელიც წარმოუშვია ცხოვრებას, პრაქტიკულ ფილოსოფიას რუსული სახელმწიფოებრიობის ბატონობის და ქართული ენის დევნის დროს. ლუარსაბს კი ყოველი წიგნი ეჯავრება. ამირინდო ღაზნელიც, ლუარსაბ თათქარიძეც ორნივე ფეოდალთა წრიდან და თანამედროვე არიან. თუ ლუარსაბ და დარეჯან ტიპებად ჩავთვალეთ, უნდა დავასკვნათ, რომ ფეოდალობა ბატონყმობის დროს ისე გადაგვარებული ყოფილა სულით და ხორცით, რომ ლუარსაბ დარეჯანთა სიმრავლის გამო შესაძლებელი ყოფილა მათი გაზოგადება ტიპების შესაქმნელად, მაგრამ არაფერი საბუთი გვაქვს ასე ვიფიქროთ. ლუარსაბ დარეჯანებს შნო არ ჰქონდათ ქონების გაფლანგვისა, რომ განათლებული ჭამა სმა ჰქონოდათ და კარგად ჩაცმულ დახურულნი ყოფილიყვნენ. სინამდვილე კი სულ სხვა იყო. მიხეილ ვორონცოვის პოლიტიკამ ევროპულ ცხოვრებას ისე შეაჩვია ფეოდალობა, რომ თავს ივალიანებდა მიკირტუმებისა, თუ ბანკებისაგან ხელგამართული, ოღონდ მთავრობის ხალხში გარეულ, მათგან მიღებული ყოფილიყო. მოვიგონოთ ვორონცოვის ეურფიქსები.

ბატონყმობის წინააღმდეგ მოქმედება, ანუ პროტესტი შედეგი იყო გლეხთა თავმოყვარეობის, ცნობიერებისა. ასეთი თავმოყვარე და გაცნობიერებული გლეხი უთუოდ გაბრო არის, რომელმაც თავისი ნამეგობრალი დათიკო მოჰკლა საცოლოს გაუპატიურებისათვის და ყაჩაღად გავარდა. თავის თავგადასავალს გაბრო თვითონვე მოუყვა თავის ძველ მასწავლებელს, როცა დაგლახავებული იყო უკანასკნელ მდგომარეობაში. ამის გამო უწოდა ი. ჭავჭავაძემ ხსენებულ თავგადასავალს **გლახის ნაამბობი.** მოთხრობა იწყება მონადირის აღსარებით. მონადირე ჰგრძნობს, რომ თვითონ, როგორც კაცი, სისხლის მოყვარულია, არ დაინდობს უდანაშაულო ნადირს,

რომელსაც მოუსპობს სიცოცხლეს, რაც იმისთვის არ მიუცია. მაგრამ ნადირი მაინც კაცზე უფრო ბედნიერია, რადგანაც ტყე არის მისი სამშობლო, სადაც დაბადებულა, ტყეეე იქნება მისი ჭირისუფალი, როცა მონადირის უწყალო ტყვია იმსხვერპლებს. კაცი კი ასეთი ბედნიერი როდია, რადგანაც ბედის წერა, ვინ იცის, სად გადასტყორცნის და სად დაასამარებს. მონადირის ასეთი სულის კვეთება ვეფხის ტყაოსნის მონაბერია და თვით გლახაც, როგორც ავთანდილ, უჩივის წუთისოფლის დაუდგრომლობას, გაუტანლობას, ხადაურსა სად წაიყვან, ხად აღუფხვრი ხადით ძირსაო. გაბრო იყო ყმის ვაჟი, რომელიც დათიკოს მამას შინ ჰყვანდა და დათიკოსთან ერთად იზრდებოდა ასე, რომ ორნიეე ღვიძლი ძმებივით შეზრდილ იყვნენ. როცა დათიკო ქალაქს უნდა წასულიყო სასწავლოში, უგბროოდ ფეხს არ იცელიდა. მამამ, რომელიც დათიკოს ყოველ სურვილს უსრულებდა, აქაც დაუთმო, როგორც ნებიერ ერთად ერთ ვაჟსა. ქალაქში დათიკომ სწავლას გული ეერ დაუდო და გაერთო ცხოვრებაში ძმა ბიჭებთან დროს გატარებით ასე, რომ არა თუ სწავლას აკლდებოდა, არამედ სახლშიაც არ მოდიოდა ხშირად ღამით. გაბრო კი გაეცნო ერთ იმერელ ბიჭს, რომელსაც წიგნის კითხვა უყვარდა. რა კი გაბრომ გულით მოისურვილა წერაკითხვის სწავლა, იმერელმა ბიჭმა მიასწავლა ერთი მასწავლებელი, რომელიც ღარიბ ყმაწვილებს უსასყიდლოდ ასწავლიდა. გაბო მიებარა იმ მასწავლებელს და ამხანაგებში ყველაზე ნიჭიერი გამოდგა. მასწავლებელმა იმას კერძოდ ეგრეთვე ვეფხის ტყაოსანი ასწავლა. აქედან იწყება გაბროს გაცნობიერებაც. მამის სიკვდილის გამო როცა დათიკო სოფელში დაბრუნდა, გაბრო მოურავად დაიყენა, მაგრამ მალე მათ მეგობრობას ძაღლმა დაჰყეფა. დათიკოს გული შეუვარდა პეპიას ქალზე თამროზე, რომელიც გაბროს დანიშნული ჰყვანდა. გაბრო ამჩნევდა, მაგრამ იმ მიზნით, რომ მოეშორებინა თაეიდან დათიკომ მოკვლის განზრახვა დააბრალა და უჩივლა. სასამართლომ გაბროცა და მისი სასიმამრო პეპიაც დამნაშავედ სცნო და გადასახლება გადაუწყვიტა. როცა ჯარის კაცებს მიჰყვანდათ, სინდიისისგან ქენჯნილი დათიკო დაუხვდა ამხანაგებით და გაათავისუფლა ტუსაღები. მაგრამ ბოლოს რა კი გაბრომ თამრო გაუპატიურებული ჰნახა, პეპიას ანდერძი აასრულა და თავისი გამაუბედურებელი ნამეგობრალი ბატონი სიცოცხლეს გამოასალმა. დათიკოს რომ საქმე ასე წაუვიდა, აღზრდის ბრალიც იყო. ყველაფერი უზრუნველი

ჰქონდა, როგორც ბატონიშვილს, რომელიც ნებივრად და ფუფუნებით იზრდებოდა. თავიდანვე შრომას უჩვეევი, ქალაქში რო გადმოვიდა, სწავლა დაეზარა, შრომას ვერ შეეგუა, უსაქმურობით გაირყვნა, თუმცა ბუნებით არ იყო ისეთი, რომ ჩადენილი დანაშაულის გამო სინიდისის ქენჯნისაგან არ შეწუხებულიყო, რაიც კიდეც დაამტკიცა გაბრო და პეპიას განთავისუფლებით. გაბრო მშრომელთა ოჯახიშვილი იყო. მის ოჯახში ყველაფერი ოჯახის წევრთა შრომის ნაყოფი იყო. ამას ჰხედავდა გაბრო და ქალაქში ყოფნის დროსაც საქმე გაიჩინა, საუკეთესო საქმე — სწავლა, რომელმაც გონება განუვითარა, ასე, რომ ვეფხის ტყაოსნის სიბრძნესაც მისწვდა.

ი. ჭავჭავაძემ მშრომელი ქართველის დედას მიჰმართა რჩევით. მომავალი თვითონ შენ უნდა შეჰქმნა, — ახალ ვარსკვლავს მისდიო და შვილი ისე აღზარდო, რომ წინ უძღვეს ჭეშმარიტება და მისმა მოქმედებამ კეალი განათლებული დასტოოს სხვებისთვის მისაბაძად. იმ ახალ ვარსკვლავზე დაბადებული ეაეი ბატონ ყმობის დროს იყო გაბრო, რომლისთანებსაც შეეძლოთ მხოლოდ დაემსხვრიათ მონობის ბორკილი, რათა მონა სრულებით განთავისუფლებულიყო. აჩრდილში ჩვენი პოეტი უგალობს შრომის სუფევას, რომელიც მხოლოდ მაშინ დადგება, როცა მშრომელი თავისი ნაშრომის პატრონი თვითონვე იქმნება და სხვა არავინ წაართმევს. ამ გეარად განთავისუფლებული მონა გახდება ადამიანი, რომელიც ნამდვილად შეიგნებს თავისუფლების ფასს და სხვის დამონებაზე ხელს აიღებსო. მაგრამ, როგორი უნდა ყოფილიყო ურთიერთობა ნაბატონარსა და ნაყმევ შორის, ან შეიძლებოდა, თუ არა მათი თანამშრომლობა? აი, ეს საკითხი წარმოაყენა ი. ჭავჭავაძემ შესანიშნავი მოთხრობით, რომელსაც უწოდა ოთარაანთ ქვრივი და გადასწყვიტა თუობითად, ე. ი. ერთგვარი ზნეობრივი გარდაქმნით, რომელიც უნდა გამოეცალა ნაბატონართა კლასს, როგორც უმცირესობას თანამშრომლობისთვის ნაყმევთა კლასთან, რომელიც უმრავლესობას წარმოადგენდა. ნაბატონარი სულით და გულით უნდა გამხდარიყო მზრუნველი ნაყმევთა კეთილდღეობისთვის, მათი სარგებლობისთვის თავგამოდებული, ვიდრე თვით თავის ჩანთქამდე ნაყმევთა წიაღში მათთან დამოყვრებით. რა კი ყოფადი იყო მშრომელი ხალხისა და მშრომელი ახალთაობის აღზრდაც ბატონყმობის გადავარდნის შემდეგაც იმავ ქართველ მშრომელ დედას უნდა თავს ედო, ი. ჭავჭავაძემ ასეთი დედის ტიპად უზადო მარმარილოსაგან გამოაქანდაკა

ოთარაანთ ქვრივი, ქალი შემკული ყოველი ღირსებით, რომელიც კი საჭირო არის ადამიანისთვის შრომის სუფევის დროს, როგორც მაგ. გარჯა, ბეჯითობა, მეოჯახეობა, აღმზრდელობა, თავმოყვარეობა, ჩაგრულის მფარველობა, პირში ძრახვა და სხვა. ქმრის სიკვდილი ოთარაანთ ქვრივის ოჯახს არ დასტყობია ასე, რომ ოჯახი მუდამ მოვლილ დაგვილი ჰქონდა, ჯაჯმ ჭურჭელი, რომელიც თაროზე ეწყო, ისეთი დაკრიალებული იყო, თითქოს ჰსურვებოდესთ თქმა, ჰნახეთ, რა კარგი მომვლელი გეყავსო. მამაკაცივით გაიდებდა ყოველდღე მხარზე თოხს და მიდიოდა სამუშაოდ ვენახში. უსაქმურ, მოლაყბე ხალხს თვალს მოჭრავდა თუ არა, მაშინვე მიიფანტ-მოიფანტებოდნენ, რადგანაც ოთარაანთ ქვრივი დასტუქსავდა ცუდაობისთვის. გლახის გაკითხვა იცოდა, მაგრამ ბუნებით დაჩაგრულისა. ჯანმრთელი თუ იქნებოდა, დასტუქსავდა, ერთ ლაზათიანად შეუკურთხებდა და ბოლოს მაინც მიაწვდიდა სამოწყალოს. არავის მჩაგვრელი არ იყო, მაგრამ არც არავის დაჩაგვრინებდა თავსა. ერთხელ გზირმა ქათამი წაართვა ვიღაც ჩამოსული ხელისუფლის დასახვედრად, მაგრამ ძვირად დაუსვა. ფულის ფლანგვას მისი ხასიათი ვერ ეგუებოდა. ხუთი ქისა ჰქონდა სხვადასხვა დანიშნულებისათვის, რაც გამოსაღები ჰქონდა, როგორც მოქალაქეს, გამოეღო, ყველასთან პირნათლად გამოსულიყო. ერთ მეწისქვილეს ეჭირა თვალი, მაგრამ ოთარაანთ ქვრივი გულგრილად დაჰხვდა და თავისი ერთად ერთი ვაჟის გიორგის მიმართ გაიორკეცა სიყვარული, რომ ჯარგად აღეზარდა. ამის გამო არ ჰკმარობდა, რომ თვითონ იყო კარგი ადამიანი, ისწრაფდა კიდეც, თავისი ვაჟის გიორგისთვისაც გადაეცა თავისი ადამიანობა. ერთხელ გიორგი მიეშველა ერთ ბიჭს, რომელსაც მეორე ბიჭი სცემდა, მაგრამ თვითონ ნაცემი და ცხვირ პირ მოსისხლიანებული დაბრუნდა დედასთან. როცა დედამ შეიტყო ნამდვილი მიზეზი, გიორგის უქო საქციელი. ერთხელ კიდეე გიორგიმ ჰნახა მეურმე ხის ძირში მწოლარე, ხოლო საქონელი უღელში გამოუხსნელი. მივიდა და დასტუქსა. არჩილისას რომ იყო, ბიჭმა ნასიარულევი ცხენი მოსართავ მოხსნილი დააბა. გიორგიმ ის ბიჭიც დასტუქსა, რადგანაც მოსართავ მოუხსნელი არ გაატარ გამოატარა, რომ ოფლი შეეშრობოდა.

არჩილ, რომელიც ზემოთ ეახსენეთ, თავის დასთან კესოსთან ერთად სცხოვრებდა იმავ წაბლიანში, ორივე ნაბატონარი, ნასწავლი, ხოლო ვაჟი აგრონომიულ სწავლა მიღებული, მაგრამ ისინი არ

ჰგვანდნენ ბატონყმობის დროინდელ ქალვაეთ, რომელნიც საერთოდ გაურბოდნენ ქართულ მწერლობას. არა. არჩილ და კესო არა თუ ეტანებიან ქართულ პოეზიას, არამედ იზიარებენ კიდეც მშრომელ ხალხთან თანასწორობის, ძმობის და ერთობის აზრს. აი ასეთ ხალხთან არჩია გიორგიმ მოჯამაგირედ დადგომა, მაგრამ მიზიდულებასაც ჰგრძნობდა. ოთარაანთ ქვრივი ვერ შეჰრიგებოდა გიორგის მოჯამაგირეობას, მაგრამ რაკი შეატყო, გიორგის გული შეპვარდნოდა კესოზე და ბოლოს გიორგიმაც გაუმეღავნა დედას თავისი გულისნადები, დედამ ნება დაპრთო. გიორგი ერთგული მუშაკი და პრაკტიკული ნიჭის პატრონი იყო. ერთხელ კიდეც ასწავლა არჩილს თუ, როგორ უნდა მოერწყო ფერდობი ვენახი. არჩილ მიუგდებდა ხოლმე წყალს პირდაპირ, რის გამოც ნიადაგი ძირს ჩაჰქონდა. გიორგი განსაკუთრებით კარგად უვლიდა კესოს ბაღჩას, რადგანაც მისი სიყვარული ჰქონდა, მაგრამ არც თუ კესო იყო მასთან უგულოდ. მათ სიყვარულს თურმე თვალბედითი ყორანი დასჩხაოდა. ერთხელ როცა გიორგი თივას ჰზვინავდა, ფეხი დაუცურდა, ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაეგო ურმის ჭალსა. გიორგი ვერ უბედავდა კესოს ხელის თხოვნას, კესო კიდეე ერიდებოდა ქვეყნის ძრახვასა. მაგრამ გულმა ვერ გაუძლო, როცა დაღუპულ გიორგის დასცქეროდა, მივიდა და შუბლზე აკოცა. ოთარაანთ ქვრივი ასეთი საშინელი წუთის წინაშეც არ ჰკარგავდა ბუნებრივ დარბაისლობას და ქვითინებდა მხოლოდ მაშინ, როცა მიცვალებულთან სხვა არავინ იყო. ამ ნაირად ხიდი ისევ ჩატეხილი დარჩა, მაგრამ გიორგის და კესოს შეუღლებით მოთხრობის დასრულება დიდი უხელაობა იქნებოდა, რადგანაც დრო და გარემოება ავტორს, როგორც ხელოვანს, ვერ უკარნახებდა. მშრომელ ხალხთან ნაბატონართ თანამშრომლობის იდეა შემდეგმა ცხოვრებამ გაამართლა. ბევრი ნაბატონარი ინტელიგენტი შეიქნა გულწრფელი მეგობარი, მოძმე და მოყვარული მშრომელი ხალხის და თავის გამოდებით, თუ გაწირვით გაამარჯვებინა სოციალიზმსა.

პოეზიაში ი. ჭავჭავაძე შეეხო ეგრეთვე ისეთ საკითხებს, რომელიც დგას დროების და მიმართულების გარეშე. ასეთია ვითარება პოეტის ბუნების და ხორციელი უცოდველობის შეუძლებლობა. პირველი საკითხი გაშუქებული აქვს რუსთველსაც. პოეტს რუსთველი უწოდებს მოშაირეს, რომელიც ბრძენია, რადგანაც შაირობა სიბრძნის დარგიაო, ამბობს. მაგრამ შაირობა არ ეთქმის ლექსს, თუ შინაარსითაც, ფორმითაც არ არის საღმრთო, ე. ი. დიადი. ი. ჭავ-

ჭავაძემ სცადა პოეტის ბუნების განსაზღვრა, თვითგ განსაზღვრას კი ეტყობა გავლენა სემიტური იდეოლოგიის, რომლის ძალითაც წინასწარმეტყველს (იმავ პოეტს, მოშაირეს) გულში უღვივის ცეცხლი, ნაწილი იმ ცეცხლისა, რომელიც ანთია მარადისობის საკურთხეველზე. მეორე საკითხი, ე. ი. ხორციელი უცოდველობის შეუძლებლობისა ი. ჭავჭავაძემ ჩამოაყალიბა პოეტურად პოემით, რომელსაც ეწოდება განდეგილი.

პირველი საკითხის გასაცნობად საჭიროა პოეტს გარდა ავიღოთ კიდევ ი. ჭავჭავაძის ლექსები მას აქეთ, რაკი და ჩემო კალამო. ი. ჭავჭავაძის აზრით, პოეტმა არ უნდა იჭიკჭიკოს, როგორც გარეულმა ფრინველმა. იგი აღუზრდია მიწიერ ხალხს და უნდა იყვეს მისი წინამძღოლი. ცეცხლი იმისთვის უღვივის გულში, რომ ერის მოძმედ იყვეს ქმუნვასა და სიხარულში, ერის წყლული აჩნდეს წყლულად, მისი ტანჯვით სული ეწოდეს, მისი უბედობით მტკიცე გული დაედაგოს. მაშინ იფეთქებს მის გულში ცეცხლი, მაშინ მოსწმენდს ერს ტანჯვის ცრემლსა. პოეტს ტაში როდი სჭირია. წმინდა სიტყვა ხალხში უშიშრად უნდა მოჰფინოს ბოროტთათვის მუსრის გასაელებად, მათ სულთახდომის სეირის საყურებლად. თუ კაცმა ვერ იცნო მისი გული, თვითონ ხომ იცის, რომ თვისი განზრახვა და თვისი სურვილი წმინდა არის. მოძმე ხალხის ბედის ძებნით დღენი უნდა დაჰლიოს და ძრახვას არ შეუშინდეს. ბრიყვნი იტყვიან, ჩვენ ვძულვართ, რაკი ჩვენს ცუდს არ ჰმალავსო, კარგი გული კი მაშინვე იცნობს თუ, იმ სიძულვილში რამდენი სიყვარულია. მაშასადამე პოეტი მოქალაქე და მებრძოლი უნდა იყვეს და, ქართული ანდაზისამებრ, მოყვარეს პირში უძრახოს. მაგრამ მას აქეთ, რაკ მშობელი ქვეყნის, მოძმე ხალხის სიყვარული უგრძვნია, ძილი და შვება განკრთომია. მათი ძარღვის ცემას სულ განაბული ყურს უგდებს, ღამის გამთენებელი, დღის დამაღამებელი. ფიქრი ფიქრზე, გრძნობა გრძნობაზე აღძვრია გულში. არა თუ უჩივის, კიდეც უხარია, რომ ეგრე სცხოვრებს მისი ფიქრით, მისი სიყვარულით. მაგრამ ის არის მხოლოდ მისი სავალალო და სამწუხარო, რომ იმდენ ხალხში კაცი არ არის, ფიქრი გაანდოს და გრძნობა გაუზიაროს. ამ გვარად პოეტი რჩება სულით ობოლი, როგორც ზეკაცი. აქ უკვე გამოსჭვირს ნ. ბარათაშვილის სულის კვეთების გავლენა.

განდეგილი წმინდა ხელოვნების ნაყოფია. ეს პოემა ისე მოეწონათ პოეტის მახლობელ მწერლებს, რომ თეთრი ატლასის ბაბთა-

ზე ოქროს ასოებით დაბეჭდილი მიართვეს ავტორს პატივისცემის ნიშნად. განდეგილობა ისტორიულად იმ დროინდელია, როცა უდაბნოებში დუღდა კულტურული ცხოვრება, ქალაქისთვის მიმწოდებელი სხვადასხვა საკულტურო მასალისა. განდეგილებსაც კი არ ჰქონიათ მაშინ გაწყვეტილი კავშირი თავიანთი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან. ის ცამეტნი სირიელნი მამანი, რომელნიც შეექცვნ საუკუნეში მოეფინნენ ქართლს ცეცხლის თაყვანის ცემის პროპაგანდის წინააღმდეგ საბრძოლველად (§ 8), როგორც თქმულება არის, სირიიდან გამოუგზავნია გამოჩენილ სვიმეონ მესვეტეს, ე. ი. სვეტზე მყოფს და დაყუდებულს, რომლის მოსაკითხადაც პილიგრიმობდნენ მაშინდელი მორწმუნე ქართველები. ი. ჭავჭავაძის განდეგილი მეცხრამეტე საუკუნის შვილია, ცხოვრების დეზერტირი, როცა უდაბნოში კულტურული ცხოვრება აღარ იყო საჭირო, რადგანაც ქალაქი გამხდარიყო კულტურული ცხოვრების ცენტრი. თუ გულში ვიქონიებთ კიდევ იმ გარემოებას, რომ იმ დროს ბატონ ყმობა მძვინვარებდა საქართველოში, უნდა ვიფიქროთ, რომ იმ განდეგილს ბატონიც დაუგდია და მისი ყმაც და მათ წრეს განჰშორებია, როგორც ცოდვის ბუდეს და თავი შეუფარებია მყინვარის ერთ გამოქვაბულში, სადაც ძველად ბეთლემის მონასტერი ყოფილა. თავისი სულის საცხონებლად წავიდა, მაგრამ ან ცხონება რა არის, ან სული, რომ კაცმა აცხონოს. აქ საქმე გვაქვს ქრისტიანობასთან, რომელიც სიკვდილის შემდეგ სულის ცხოვრებას ჰქადაგებს. ცხონებაც იგივ ცხოვრება არის, მაგრამ უცოდველი სულისა. რა საკვირველია, გონება ვერ შეუერიგდება სულის საიქიოს ცხოვრებას ცხონებით, თუ წაწყმედით. ცხონებაცა და წაწყმედაც ორივე აქ არის. ავი კაცი ყოველთვის ავია, ყველასგან წყევა-კრულვით მოსახსენებელი, კეთილი კაცი კი პატივცემული, საყვარელია. განდეგილს ეგონა კეთილ კაცობას, უცოდველობას მოიპოებდა, თუ ხალხს დაჰშორდებოდა და მარტომყოფად იქცეოდა. მაგრამ იმას ვერ ჰგრძნობდა, რომ შრომა კაცს აპატიოსნებს, ხოლო შრომაზე ხელის აღება აკირუტყვებს. მის სენაკს მზე უგზავნიდა სხივებს სანათურით, რომელიც ზემოდან დასცქეროდა. განდეგილი მუდამ ჟამ ლოცულობდა ხატის წინ ისე, რომ სხივები მის ლოცვანს ეცემოდა. განდეგილი დარწმუნდა, რომ ლოცვანი სხივებს ეყრდნობოდა და ესეთი სასწაული მიაჩნდა ნიშნად იმისა, რომ სულით უკვე ცხონებულიყო და წმინდანობაც მოეპოვებინა. მაგრამ ისეთი ყოფა დიდხანს არ განგრ-

ძობილა. განდეგილს ერთხელ დიდი ჭეჭა ქუხილის დროს მოეელინა ერთი ლამაზი ქალი, რომელსაც ცხვრის ფარა დაჰფანტოდა და ეხლა ბინას სთხოვდა, რომ თავი შეეფარებინა. განდეგილმა მიიღო სტუმარი და მოუსვენა სენაკში, ცეცხლიც დაუნთო. მალე ჩამოვარდა მათ შორის საუბარიც. მწყემსი ქალი, სხვათა შორის, შეეკნიშნავდა, ხალხშიაც შეიძლება სულის ცხონება, კაცი არ უნდა გაურბოდეს ცხოვრებასაო. ქალის მოსაზრებას განდეგილი ეთანხმებოდა, ეგრეც შეიძლება კაცი მოიქცეს, მაგრამ ცხონების გზა მე ასეთი ვირჩიეო. ქალის პირით, რასაკვირველია, გველაპარაკება პოეტი, რომელსაც არ მოსწონს, რომ განდეგილს ხალხის სამსახურზე ხელი აუღია, დარწმუნებულს, ვითომც ხორცის გვემით შეიძლებოდეს კაცობის გრძნობის დახშვა, მაშასადამე სულის ცხონებაც. ქალს მიეძინა ცეცხლა პირას, მისი სილამაზე იმ დროს ისე ჰკრთოდა, რომ გადაქცეულიყო რაღაც მომხიბლავ, მიმზიდველ ძალად. განდეგილიც მოიხიბლა და რა დახარა თავი საკოცნელად, რაღაც ხმამ ჩასძახა ხარხარით, წაწყმდი, თუ არაო. განდეგილს თავზარი დაეცა, შეჰკრთა და ვითომც არაფერი დაჰმართებოდეს, განაგრძო ისევ ლოცვა. მაგრამ, ვაგლახ, ნიშნგების წყეული ხარხარი კიდევ ესმოდა! მაშინ კი დარწმუნდა განდეგილი თავის წაწყმედას და ჭკუაზე შემცდარი გაიჭრა გარეთ. ვიდრე მარტო იყო, სწამდა კიდეც, რომ სული აცხონა, მაგრამ როგორც კი ცხოვრება მოეელინა ლამაზი ქალის სახედ, როგორც ცოდვის შვილმა, თუმც მხოლოდ განზრახვით, მაინც სცოდა.

ეხლა ვინ იტყვის, რომ განდეგილი დაწერილი იყვეს განდეგილობის წასაქეზებლად, როგორც ზოგიერთებს ეგონათ მაშინ, არა. ი. ჭავჭავაძემ დაჰგმო განდეგილობა, როგორც უარ საყოფი მოვლენა, როგორც საზოგადოებრივის, ისევე უცოდველობის შეუძლებლობის თვალთა ხედვით. დაყუდებულ ბერს, განდეგილს თავი მოჰქონდა წმინდანობით, მაგრამ კაცობის გრძნობის დახშვა მისი წმინდანობის ძალღონეს აღემატებოდა.

ი. ჭავჭავაძე უმთავრესად საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე არის, ცხოვრების ნახელოვნებ ტიპთა დამხატველი. ამ დარგში იგი სადა მსტყველია, რომელმაც შეჰქმნა არა სალიტერატურო ენას, რომლის განვითარებაც ძველადვე დაწყებული დაგვირგვინა გიორგი ერისთავმა, არამედ მოთხრობის სტილი. ი. ჭავჭავაძე პუბლიცისტ მეცნიერიც არის. ჰრედაქტორობდა ჟურნალებს საქართველოს მოამბეს (1857 წ.) და ივერიას (1887წ.), რო-

მელიც შემდეგ გადაკეთდა გაზეთად, რადგანაც სერგო მესხის გაზეთი დროება (1866 წ.) აღარ არსებობდა. მისი ნაწერი ამ მხრით შესანიშნავია ცხოვრება და კანონი, ქვათა ღაღადი და აი ისტორია ორი უკანასკნელი პასუხად იმ მსწავლულებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართლის ცხოვრების სიძველეს და ამცირებენ ორიგინალობას ქართული კულტურისას, ეგრეთვე მთელი რიგი საგაზეთო სტატიებისა ირლანდიის ავტონომიის თაობაზე.

§ 44. აკაკი წერეთლის (1840 — 1915) მუზა პეპელასავით დაჰფრენს საქართველოს მაღნარის სხვადასხვა ყვავილს. მაგრამ, ყველაზე უფრო თავს დაჰფრთქიალებს სატრფოს, რომელიც მისი მშობელი ხალხის ბედია. აკაკის პოეზიას სატრფოს მოტივი რომ ჩამოეცალოს, სიმკრთალე მოიცავს. ასეთ მოტივს ყველაზე უკეთესად გვიხატავს მისი ლექსები **აღმართ, აღმართ მივდიოდი მე ნელა, თაო ჩემო, ბედი არ გიწერია, ხიმღერა და ოცნება თარზე.** აკაკის სატრფო განსაცდელში იმყოფებოდა და ის იყო მიზეზი, რომ პოეტი ზოგჯერ კიდეც აქებდა, კიდეც აფრთხილებდა, კიდეც ჰგიდებდა მისთვის. მის სატრფოს ზამთარი დასდგომოდა, სუსხს დაეკრა, ტკბილი ტაროსი მოჰშლოდა, რადგანაც უწყალო ქარიშხალს თავისი ძალა გაეორკეცებინა. თავის დასახრწვევად ასეთი მდგომარეობისაგან, ვისაც ზამთრის სუსხის ეშინოდა, იმას უნდა მიებაძნა მერცხლისთვის და გადაფრენილიყო დასავლეთისკენ, საზრდო მიეცა სულის და გულისთვის და როცა ზამთართან საბრძოლველად ძალ ღონეს მოიკრეფდა, ისევ გადმოსულიყო და მერცხალივით აჭიკჭიკებულიყო, რომ სხვებს ეთქვათ, ახლოა გაზაფხულიო. იმ გაზაფხულის მოლოდინში იყო პოეტი და ისე მოჰკვდა, რომ ვერ იხილა დამხობა ცარიზმის და მისი პოლიციურ ბიუროკრატიული რეჟიმისა, რომელიც წარმოედგინა სუსხიან ზამთრად.

სუსხ დაკრული სატრფოს შემხედვარე პოეტს შორს, შორს გაიტაცებდა ოცნება, როცა მწუხარების უკუმყრელი თარის სიმები ეღერას იწყებდა და გულის ძგერით ყურს უგდებდა უცნაურ ციურ ხმას. ქვეყნად ჰხედავდა... ჰხედავდა სამოთხეს, ათასფრად შეხამებულ მის არე მარეს და მის სურნელოვან ყვავილებზე საამურად მსტეენარ ბულბულსა. ეარსკვლავები და მთვარე ჰმოწმობდა, რომ არვის ჰმონებდა ის მზარე, რადგანაც ელოდა განთიადის ცისკარსა. იმ სამოთხის ხალხს ჰქონდა ძმური ერთობა და სიყვარული, ხოლო ქალები ვარდივით გაშლილიყვნენ. მშობელი ქვეყნის და ხალხის-

თვის შეეწირათ თავი. მაგრამ ის ქვეყანა არ ყოფილა პოეტის სამშობლო. არა. ის იყო სიზმარეთი. სინამდვილე კი სულის აღმაშფოთებელ მწუხარებას მოეცვა. ძმური ერთობის და სიყვარულის ნაცვლად შური და მტრობა გაბატონებულიყო.

აკაკის არც ბატონყმობის დროინდელი, არც მერმენდელი ცხოვრება არ გაუხდია შესწავლის საგნად, თუ სათვალავში არ ჩაეგდებთ მის ორ პატარა ლექსს გლეხის აღსარება და იმერული ნანინა. ბატონი იყო იმერელი გლეხის დარდების ამშლელი, მისი გულის ხაზი. ბატონი კისერზე აჯდა და თავდახრილიც მის გამო იყო. ყოველთვის უწყრებოდა და ბრაზიანად იყო იმასთან. პირუტყვსავით იმონებდა, ჰფლობდა და არ იბრალებდა. მღვდელივით გასუქებულიყო, ის კი ოფლად დნებოდა. ბატონს არ უნდოდა ბატონის და ყმის გასწორება, მაგრამ გლეხის აზრით თუ ბატონი ძმად მიიჩნევდა, ორნიეე ერთად ადვილად გაუმკლავდებოდენ მტერს, რომელიც შეჰყურებდა მათ ორთავ, ხოლო ერთმანერთის მტერს ვერც მშობელი ქვეყანა იმსახურებდა. იმერელი გლეხი ამას აღიარებდა ბატონის წინაშე, იმდენად გაბედული იყო, მაგრამ ვერაფერი გაეწყო, რომ ბატონის უღელი მოეშორებინა. იმერელი დედა ბატონყმობის გადავარდნას შეჰხაროდა და აკვნის ბავშვს უმღეროდა, რომ მამის ბედის არ იყო და სხვა ბედს მოელოდა. მისი ვარსკვლავი სხვა იყო. ბატონი არ ჰყვანდა, თავისუფალი გაიზრდებოდა, ბატონი ვეღარ შეაწუხებდა, დიდკაცის შვილს სკოლაში გვერდთ მოუჯდებოდა, სწავლაში არ ჩაჰმორჩებოდა, არ აფიქრებინებდა, გლეხს ნიჭი არა აქვსო, დაჩაგრულ ძმებს იხსნიდა. დედა განსაკუთრებით იმისთვის შესტრფოდა ახალ დროს, რომ მოხელეები აწვალებდნენ. როცა საქმეზე მიდიოდნენ, ეტყოდნენ, ხვალეო, ხოლო როცა მათ მოხელეები დაასაქმებდნენ, მაშინ კი, მალეო. ასე ვეღარ დაიბრიყვებდენ მის ვაჟს, თუ ისწავლიდა. მღვიძარე უნდა ყოფილიყო, რომ შეეტყო ამ სოფლის გამოცანა. თუ მიეხედავთ ჩვენი პოეტის ავტობიოგრაფიას („ჩემი თავგადასავალი") და ერთ მისს ლექსს („მუშის ნატვრას"), ბატონ ყმობის დროს კლასთა შორის კავშირი ყოფილა. ბატონები შვილებს გლეხებს აზრდევინებდნენ და გაზრდილი შრომის მოყვარე გამოდიოდა, როგორც ნამყოფი მშრომელი ყმის ოჯახში. მზად ყოფილან, ბატონი და ყმა, ერთმანერთისთვის თავი დაეღოთ. გაზრდილი მარად ხალხის ქომაგი ყოფილა, მაგრამ ამასთანავე პოეტი ვერ მალავს და ამბობს, ცემა ტყეპა ყმებისა ძალიან იშვია-

თი იყო და თუ სცემდენ, მათრახით, ან ჯოხითაო. გლეხი ჰყავს გამოყვანილი ნამგლის მოტრფიალე, რომელიც გუთან სახნისს თავს ევლება და გაიძახის, ქორი ვარ, რომ სხვას მოვსტაცო, იგულისხმე, ბატონს რამე დავაკლოო. უეჭველია, გლეხი ჰგრძნობდა თავისს აუტანელ მდგომარეობას, როგორც ჰმოწმობს პოეტისვე ზემოთ დასახელებული ლექსები, მაგრამ იმ დროს ხიდის გადებას ბატონებსა და ყმებს შორის პოეტი ეტრფოდა ამაოდ. არც ბატონისთვის, არც ცარიზმისთვის ხელსაყრელი არ იყო, რომ მიწა გადასულიყო მშრომელთა ხელში. მხოლოდ სოციალ-რევოლიუციას შეეძლო მიწის გადაცემა გლეხობისთვის და კიდეც მოახერხა. აკაკი მოესწრო პროლეტარიატის აზვირთებას ცარიზმის დასამხობად და მისი უღლის დასალეწად. და დიდი თანაგრძნობით შეჰხვდა, რაიც გამოხატა თავისს ლექსში, რომელსაც უწოდა „ინტერნაციონალი“.

გაბრო, კაკო, ოთარაანთ ქვრივი თავისი გიორგით უეჭველია იმერეთშიაც იქმნებოდენ, მაგრამ იმერეთის მშრომელი ხალხის ცხოვრება აკ. წერეთელს შეუსწავლელი დაჰრჩა. ვერ გახდა იმერეთის საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე.

აკ. წერეთელმაც სცადა პოეტის ბუნების განსაზღვრა. რასაც გვიხატავს მისი ლექსები **პოეტი, ყარიბი, ზღვას** და **პოეტს** და **ჩანგური**. აკ. წერეთლის პოეტი ხან უგუნური, ხან ბრძენი, ხან კიდეე არც ერთია. იგი არის გარემოების საყვირი, არც მიწიერია, არც ზეციერი. მისი გული სარკეა. რასაც შიგ ჩაუხედია, მისი მაჩვენებელია. მისი ენაც იმას ამბობს, რაც ყურში ჩასწვეთებია, რაც თვალს უნახია, და ჭკუას გაუზომ აუწონია. ის არის, რაც თვალ და თვალ არის არც ბატონია, არც მონა, ცა ქუდად არ ჰყოფნის და დედამიწა ქალამნად. უფროს უმცროსი ნებით არვინ ჰყოლია. ყველა მისი ტოლია. ძმობა და სიყვარული გულით და სულით შეუძენია. არაფერი არც ჰქონია, არცა აქვს, მაგრამ ყველაზე უფრო მდიდარია. ხოლო ის სიმდიდრე, საუნჯე ზეცის ნაწყალობეეა: გული სიმდიდრე, საუნჯე სული. ვერვინ მოჰპარავს, თან დაიქვს, ხელი არ მოეკიდება. ზღვა როცა ჰოელავს, ქარტეხილს ემორჩილება, ტალღებს ამთაგორებს, კიდეებს გადააცილებს. მისი უფსკრული გული მარგალიტების სალარია, რაც დაფარულია მყუდროების დროს. მხოლოდ მრისხანებით აღტყინებული გადაუხსნის გულს მზე და მთვარეს და მარგალიტებს შესტყორცნის მის შემკვრელ არე მარეს. პოეტიც ისევე არ უნდა ეკრძალებოდეს მრისხანე გულის ღელვას, ძილის დროს

ჰკუხდეს და სიბნელის დროს ელავდეს. მისი ჩანგური სიმართლეს უნდა ემსახურებოდეს, წმინდა აზრი გაამტკიცოს და მით გულს ახურებდეს. ჩანგურის ხმა შეწყობილება ბანი უნდა იყვეს ხან ლხინის, ხან მწუხარების. აღტაცებით სიმთა ეღერა მაგნიტის ხმას უნდა გამოსცემდეს, ხოლო თვით სიმღერა ისე უნდა გაისმოდეს, რომ დაჩაგრულს თვალთ ცრემლი ეშრობოდეს, მჩაგვრელს კი გულში ისარივით ესობოდეს. ენაც რო გაუქვავდეს, არავის უნდა მოეფეროს, მარჯვენაც რომ გაუხმეს, სიმები მრუდედ არ უნდა აეღეროს, რაც უნდა ბედით კრულ იყვეს, საშინელი ბოლოც ექნეს, გული არ უნდა შეუდრკეს, ქვითაც რომ დაიქოლოს, შავი თეთრად და თეთრი შავად არ უნდა აღიაროს. პოეტის ბუნება რაკი მებრძოლია, იმავ დროს გარემოების საყვირიც არის, ე. ი. მოსწრაფე, რაც საჭირბოროტო რამ არის, ყველაფერი გაიხადოს თავისი ჩანგურის, ანუ პოეზიის საგნად. ხოლო თუ პოეტი უგუნურიც არის, ასეთი თქმა უფრო პირში ძრახვას იგულისხმებს, რომ ავს ავი უწოდოს.

აკ. წერეთლის საუკეთესო სატირულ ნაწარმოებს უცილოდ წარმოადგენს ბოდვა, სახელი, რომელიც ერთობ, უხდება უგუნურ პოეტს, როგორც, სხვათა შორის, თვით აკ. წერეთელი ახასიათებს პოეტის ბუნებას. ხსენებულ სატირას საგნად აქვს მაშინდელი ქართველი საზოგადოების ზნეჩვეულების გაკიცხვა. პოეტს მელნად უხმარია ცრემლში ნალესი ნაღველი, საწერლად გლახ გული, ფრთის კალმად ენა, ხან სამკურნალო მალამო, ხან სასიკვდილე ისარი. ამით თითქოს გვაგრძნობინებდეს, რამდენად დამანაღვლიანებელი ყოფილა ქართველთ საზოგადოებრივი უკეთმართობა. თავის დროინდელ ქართველ ქალთა „ზნეობრივი არარაობა რომ უფრო გამოაშკარაოს, პოეტი მოიგონებს ისტორიულ ქართველ ქალებს, რომელთაც ქვეყნისთვის თავი დაუდვიათ. იმათ სხივებზე პოეტის დროინდელი ქალი ვეღარ ახელდა თვალს, რადგანაც სხვა მხრით ეპირა შემცდარს თვალები. ისე გადაგვარებულიყო, რომ გამარჯობა აღარ ესმოდა. დილა ადრიან კარში კატასავით გამოხტებოდა, თითქოს რისმე დამკარგველი ყოფილიყვეს და ეძებდა. აღარ ახსოვდა ოჯახი, არც იგონებდა ქმარ შვილს, წარსული სძულდა, აწმყოს ეტრფოდა, ხოლო ყოფადი მისთვის ბნელით იყო მოცული. იმდენს ჰგრძნობდა და იმდენს ჰფიქრობდა, რამდენსაც ბუზპეპელა. პოეტი სწუხდა, რომ ბუნებისაგან ისე სრულიად შემკული მის მადლს, დიდებულ ნიჭს გაბასრულად ატარებდა. არც სწამდა მისი სილამაზე, რადგანაც ძველ ქართველ

დედას არ ჰგვანდა. მოაგონდება ყეენის წინ ტყვედ წამდგარი ქალი, ეშხით მოელვარე. ყეენი ფერწასული თრთოდა, მისი მშვნიერებისაგან მოხიბლული. მოაწვა გულზე სისხლი, აეშალა გულის თქმა და ტყვეს ჰკითხა, მოჩვენება ხარ, თუ ნამდვილი მიწის შვილი, თავს გვირგვინი გეკადრება და ფეხთ ბორკილი რას ჰნიშნავსო. ჩვენს სისუსტეს და თქვენს ძალასო, მტკიცედ მიუგო ქალმა. ნუთუ მართლა საბრძოლველად გამოსულხარ სუსტი ქალიო, ჰკითხა კიდევ ყეენმა. რად არა?! ჩემი ქვეყნის ერთგულება და სიყვარული მიქარავებს დღევანდელ ჭირს, ობოლი ვარ, ქმარი ომში მომიკლეს, შვილები ჯერ არ დაზრდილან, მეღა დავრჩი მეომარი. ოჯახს სირცხვილს ვერ ვაქმევედ და ხმალი ხელთ ავიღეო. ქალის ისეთმა პასუხმა დააყენა ყეენი და სარდლებს უბძანა, სისხლის დაღვრაზე აეღოთ ხელი.

პოეტის დროინდელი ქალი კი ამბობდა, რად უნდა ავიტკინო უტკივარი თავი, როცა ცხოვრება ტკბილი მაქვსო. შვილი გაბარებული ჰყვანდა გასაზრდელად, მისთვის ფიქრის თავი არ ჰქონდა და ვიზრუნებდა, ბალში დადიოდა და გადაგებული იყო რუსულ ოპერაზე. მაგრამ უბედურება ის იყო, რომ კაცები ცხოვრებაში არა ნაკლებ მაიმუნობდნენ. ქორწინებისთვის ეძებდნენ არა მეგობარს და მომავალ დედებს, არამედ ფულს და სვინიდისის დამამხობელ პროტეკციას. მუშა ქალი არ მოსწონდათ, არც ეტრფოდნენ. მათი საქმე იყო ბუზ პეპელების უკან დევნა. ქალები თავიანთ ფუქსავატობას აბრალებდნენ კაცებს. მერმე ვინ იყვნენ ის ახალგაზდები? აი ვინ. როცა იყვნენ უცხო მხარეს, მაღალ სასწავლოში, თავს იმზადებდნენ ქვეყნისთვის მოწამე მოციქულად. ჩამოვიდნენ თუ არა, ბრძოლა დაიწყეს, იერიში მიიტანეს, არც რიდი, არც შიში არავისი ჰქონდათ, სანამ უკეთესმართმა ბედმა არ დასეტყვა, არ დამეხა და უდროოდ არ ბული ჰყვანდა გასაზრდელად, მისთვის ფიქრს თავი არ ჰქონდა და მას აქეთ შრომის ოფლი ქვეყნისთვის არ დაუღვრიათ, ენად გადაქცეულიყვნენ მოყვრის გულის მოსაკლავად, ხოლო მტრის გასახარელად. ჭამა სმას გადაჰყოლოდნენ. ღვიტია, რომელიც უცხო მხარეში ყოფნის დროს მოციქულად იმზადებდა თავს, ავდოკატად გაიტლიკა. თავის წარსულს დასცინოდა, შეცდომად სთვლიდა, სხვებსაც სძრახავდა, გარეულებს შეურიგდა, რა აძრობდა ტყავს შინაურებს. ქურქში გახვეულს აღარ სციოდა, შნო და ძალა ემატებოდა. ხალხს მოსწონდა და ბარაქალას შესძახდა. ტეტიასაც პირობა და აღთქმა დაავიწყდა, ამყოლს აჰყვა, ჩამყოლს ჩაჰყვა. სხვის ფერხულ-

ში ჩაბმული მაღალ ბანს ეუბნებოდა. კაკალს ჰშოულობდა, ქვაც მზად ჰქონდა, დროზე ჰკრეფდა და დროზე ამტვრევდა. მღვრიეს სათვალთმაქცოდ სწმენდდა, უფრო კი წმინდას ამღვრევდა, რომ თევზი წმინდა ბადით მარჯვედ დაეჭირა, მუქთა ხორებისთვის გაეწია მასპინძლობა და გულუხვობით გაეკვირვებინა, სულ კი იმისთვის, რომ იმათი დახმარებით ხმა გაეგდო, თავი ესახელებინა, ცხოვრებაში ებურთავებინა და ბურთი ლელოზე გაეტანა. ხალხს ისიც მოსწონდა და ბარაქალას შესძახდა. მათი შემყურე მებაღე კი ხან ნაღვლიანად იცინოდა, ხან მწუხარებით ცრემლებს ჰღვრიდა, რა გულში ჰფიქრობდა, ხეს როცა სუსხი დაჰკრავს, უმალ დააჩნდება წვეროს, ნელნელა გაჰყვითლდება და ფოთლებიც დასცვივდება, ძირიანად რომ არ გახმეს, უნდა გადაისხეპოსო.

უცხო მხარეში ვინც იყვნენ, იმ ახალგაზდებში აკ. წერეთელიც რეული, როგორც თვითონ ამბობს ბოდვაშივე და, ეფიქრობთ, ი. ჭავჭავაძეც უნდა ყოფილიყო, რადგანაც ტეტიად ისა ჰყავს დახასიათებულიო, გამიგონია ზოგიერთებისაგან, მაგრამ, თუ მართალია, არც ისეთი ბოლო მოღებული უნდა ყოფილიყო ის ახალგაზდობა. მისი ორი წევრი ისეთი გამოდგა, რომ მთელი საქართველო ასახელა. საკვირველი იყო მაინც ურთიერთობა იმ ორი დიდი ქართველისა, რომელთაც ზოგიერთები ნაციონალიზმის დრედნოუტებს უწოდებენ. გულწრფელობა და მეგობრობა მათში არ ყოფილა, ზოგჯერ ოფიციალობაც არ ეტყობოდა მათ ურთიერთობას, თითქოს ის დრედნოუტები, რომელთა მესაქეობასაც ისინი ეწოდნენ, თავისუფალ საქართველოს და მის ბოლოზთა ხილვას არ ყოფილიყვნენ მოწადინებულნი.

ისტორიული პოემების წერასაც ეწყობოდა აკ. წერეთლის მუზა, მაგრამ დამახასიათებელია უფრო მისი ორი პოემა **თორნიკე ერისთავი** და **ნათელა**. პირველი მოგვითხრობს ქართველი ხალხის მეათე საუკუნის ცხოვრებას, როცა დავით კურაპალატმა თორმეტი ათასი ჯარით დახმარება გაუწია ბიზანტიას მცირე აზიის აჯანყებული მმართველის ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ და ქართველ ჯარს წინამძღოლობდა იმ ბრძოლაში თორნიკე ერისთავი. ისე აუფრთოვანებია პოეტი თორნიკეს გამარჯვებას, რომ ქართველ ხალხს დიდებად უთვლის დარწმუნებული, რომ **ერ მომკვდარა, გაიღვიძებს ისევ ერი,** რომლის წინაპრებსაც ისეთი სახელი გაუთქვამს. პოეტს არ აუწერია მარტო ლაშქრობა, არამედ შეუქმნია თავისი ში-

ნაგანი განვერეტით ისეთი სურათები, რომელიც მატიანეში არ იპოვება. ასეთია ხადიმი, დარბაზის ერის ყრილობა, საუბარი თორნიკესი კურაპალატთან, ლაშობა თორნიკესი და ხმლის გადაცემა ორბელიძისაკენ, საუბარი თორნიკესი არსენ მამამთავარიანან, დილა, ომი. ომის ველი მთვარიან ღამეში, დაბრუნება გამარჯვებული ჯარისა და სხვა.

ზმით მელექსეობა ძველ საქართველოში ისე იყო გავრცელებული, რომ პოეტებს კი არა, ჩვეულებრივ ნასწავლ კაცსაც შეეძლო ზმის თქმა. განსაკუთრებით გასავალი ჰქონდა ზმას ნადიმის დროს და საზოგადოებრივი აზრის გამომხატველიც იყო. დავით კურაპალატის ნადიმს, სხვათა შორის დაესწრო ორბელიძე, რომელიც თორნიკე ერისთავის ადგილის მიღებას სცდილობდა. კურაპალატის ხუმარა იმ დღეს პირველობდა, მაგრამ ორბელიძემ გამოიწვია ხუმარა თავისი მოსწრებული ზმით, სადაც ხუმარას უწოდა მასხარა.

მაღლით წვიმა მოდიოდა, ნაბადმა ვერ დამფარაო,
დამასველა მან, თავიდან ფეხებამდე მასხა რაო.

მაშინ ხუმარამ ფრთხილად მოახსენა ისეთი ზმა, სადაც ორბელიძეს უწოდა სულელი.

ხუმარადაც ვარგებულხარ, ვაუკაცობით პირველიო,
მაგრამ ვერ იქმ თორნიკობას, თუმც მის ადგილს სულ ელიო.

თორნიკე იქ არ იყო და კურაპალატმა ხუმარას პირით შეიტყო, რომ თორნიკე იმ დღიდან ქვეყნის სამსახურზე ხელს იღებდა. სამსჯავროდ შეყრილს დარბაზის ერს წარუდგა, როგორც პოეტი იტყვის, მრავალ წლოვანი თორნიკეც. სიტყვა, რომლითაც კურაპალატმა გახსნა დარბაზის ერის ყრილობა და თორნიკესადმი იყო მიმართული, შემდეგ აზრს შეიცავდა. ქვეყანა ცვალებადია და კაცობრიობის დიდება ჩალად მიაჩნია. მედიდურება არავის არგებს. მაგრამ გული გონებას ვერ შეჰრიგებია და მის გამო საქმესა და სიტყვას შუა დიდი მზღვარია. ერთი კაცი რაც უნდა გონიერი იყვეს, ძნელი სანდობია და საქმისათვის ის სჯობია, რაც მეტია მსაჯული. კურაპალატს უკვირდა, რომ თორნიკე ქვეყნის სამსახურს სტოვებდა, არავის ეკითხებოდა, მაგრამ დარწმუნებული იყო, რომ პატივსადები მიზეზი ექნებოდა. ახოვანი, მშვენიერი და ჭაღარა თორნიკე წამოდგა. თავალთ ცრემლი მოსდგომოდა, გულზე ცეცხლი მოსდებოდა. გულწრფელად აღიარა თავისი განზრახვა, დრო მოითხოვს ჩემგან სხვა გვარ სამსახურს, ორგულობა და ქვეყნის მტრობა არ მაწ-

ეევს ბერად შედგომასაო. მაგალითად მოიყვანა იოანე მხედართ მთავართ უხუცესის საგმირო მოქმედებანი, როცა მტრის ისრით გამხვრეტელი ხმალს ულეწდა, ფარს უხევდა და სანამდის მტერს ჰხედავდა, მოსვენება არ იცოდა, მაგრამ როცა ქვეყანა დამშვიდდა ბერად შედგა, არც ისეთი მხცოვანი ყოფილა, არც თუ ვისთვისმე ნება უთხოვნია. დასტოცა სამსახური და მხედართ მთავრობა და ხმალი მე გადმომცაო. ყრილობაში ბევრი იყო რაზმთა წყობით მისგან გაწვრთნილი, რომელიც უკეთ მოიხმარდა ფარხმალს, ის კი იოანესთან წასვლას ეშურებოდა. სთქვა და კურაპალატის და ყრილობის დასტურით თავისი ხმალი ორბელიძეს გადასცა.

კუბოს კარამდე მძებნელი ჩვენ უნდა ვიყვნეთ შვებისა,

გულ გატეხილი ყოველი მოღალატეა თავისა-ო,

გაისმა ბიზანტიის კეისრის კარისკაცთა ყრილობაზე, როცა აჯანყუბელი ბარდა სკლიაროსის მოახლოვებამ კონსტანტინეს ქალაქი საფრთხეში ჩააგდო. გადაწყდა დავით კურაპალატისათვის მიემართნათ, რომ დახმარება აღმოეჩინა ბარდას წინააღმდეგ და მოციქულად კურაპალატს გამოუგზავნეს თორნიკე, რომელიც მაშინ იმყოფებოდა იოანესთან ათონის ათანასეს ლავრაში. საომრად გამოწყობილი ქართველი ჯარი უარზე იდგა, თუ თორნიკე არ უწინამძღვრებდა. ხალხიც იმასვე მოითხოვდა, ხოლო თორნიკე არ უწინამძღვრებდა. როგორც ბერი, ვერ ჰბედავდა ალთქმის გატეხას, თუმცა მხედართ მთავრები ორბელიძე, ჯოჯიკი და გამრეკელი სთხოვდნენ. ეკლესიისაგან შეკრულის გახსნა შეეძლო მხოლოდ მამა მთავარს, რომელსაც კიდეც მიჰმართა თორნიკემ. რაეევაში იყო თორნიკე, აჰყოლოდა, თუ არა, ხალხის და ჯარის ხმას. პირველად მამამთავარსაც უარი მოახსენა. მერმე საუბარში მამა მთავარს გაუტარა, მოციქულობაც იმისთვის თავს ვიდევ, რომ ქართლს დაჰპირდნენ ზემო ქვეყნების დაბრუნებასაო. მამამთავარმა თორნიკეს დაარწმუნა, რომ სცდებოდა. მისი აზრით კაცს მინიჭებია მშვენებით სავსე ქვეყანა არა იმისთვის, რომ თავისი ნებით აიღოს ხელი. ვინც თავმოყვარეობით იწუნებს მიუწვდომელ დიდ ქმნილებას და უარჰყოფს ბუნების კანონიერ მოთხოვნილებას, იგია უარ მყოფელი თვით შემოქმედისა. იესო არ ყოფილა მეუდაბნოე, არც უარ ჰყოფდა ამ სოფელს, დაბა სოფლად დადიოდა და ხალხის ჭირს და ლხინს შუა იყოფდა. ისევ ამბობდა ფარისეველთ სამხილებლად, თვინიერ საქმისა ლოცვა მკვდარ არსო. ნათქვამია, ხმა ღვთისა ხმა ერისაო და უარის თქმა არ იქნება.

კაცი ქმნილების გვირგვინი მისთვის დაუნიშნავს ქვეყნად განგებას, რომ მის დიდებას თავი შესწიროს ძღვნად, ხოლო ის ძღვენი ქრისტიანობის ცხოველი სვეტია, ამის გამო ფარხმალს უნდა მოკკიდო ხელიო. რა ხსნილ იქნა, ვისგანაც შეკრულ იყო, თორნიკე ერისთავმა თავს იდო ჯარის წინამძღოლობა სომრად.

ბარდა სკლიაროსს ემხრობოდნენ სპარსელები და სომხები, ეგრეთვე გრიგოლ და ბაგრატ თარონელები და აფრანიკ, მოქვის მთავარი. ჰალისის მდინარის ნაპირად იყო დაბანაკებული ქართველთა ჯარი. სკლიაროსი სცდილობდა ქართველების მიტყუებას საფრებში, მაგრამ თორნიკე მათვე უპირებდა გამოტყუებას. თორნიკემ შეიტყო, ბერძნის ჯარის მხედართ მთავრებს გულს აკლდათ, რომ ისინიც ქართველთა მხედართ მთავრობას ემორჩილებოდნენ და ამის გამო უბრძანა ქართველ ჯარს გაბრუნება ქართლისკენ. მაშინ სკლიაროსმა უპოვა დრო და ბერძნის ჯარს ბრძოლა დაუწყო. ბერძნები დამარცხდნენ, მაგრამ არ ძლეულან საბოლოოდ. სკლიაროსი თითქოს დღესასწაულობდა გამარჯვებას. ის კი არ იცოდა, რომ სერზე თორნიკე იდგა თავისი ჯარით, მხედართ მთავრებს რჩევას აძლევდა და ჯარს უნაწილებდა სახვალიო ბრძოლისათვის. ჯავშანიძეს ათასიოდე კაცით უნდა აეღო მტრის საფარი და დაეხვეოდროდა უკუ ქცეულ მტრის ჯარს თავზარ დასაცემად და იმასვე. უნდა გაეგზავნა კაცები ჰალისის ხიდების ქვეშედან დასახერხად. რომ მტრის ჯარის სიმძიმე ვერ აეტანათ და ხიდები ჩაშლილიყო. ორბელიძე უნდა გასძღოლოდა ოთხი ათას კაცს და მეხი დაეცა მტრისთვის. მემარჯვენე მხედართ მთავარს გამრეკელს და მემარცხენეს ლომკაც სავარსამიძეს სამ სამი ათასი კაცი უნდა აეყვანათ. თან დაიტოვა თორნიკემ ათასი კაცი ჯოჯიკის მოთავეობით, რომ გაპირების დროს მიჰშველებოდა. ომი მოუხდათ დილით. ჯოჯოხეთის სიხარბემ საშინელი ღრიალით გამოიჩინა ბოროტი ძალა. შეიქნა ცემა ბუკის, საყვირის და ზურნამაც საზარლად დაიპეყინა. ორთავ მხრით ჯარი დაირაზმა სისხლის საღვრელად. აქ უნებურად გვაგონდება სადღეგრძელოს ავტორის დილა ომის წინ, თითქოს ესეც და ისიც სანაძლეოდ დაწერილი, მაგრამ ისეთი ღირსების მქონებელი, რომ ორთავ ავტორს თანასწორი ჯილდო ეკუთვნის. ორბელიძე რაზმს უდგა თავში, გამრეკელი ჯარს ასაფრებდა და მარცხნივ, სადაც ჰალისის მდინარე მიექანება, სავარსამიძის ჯარი იდგა, ხოლო ჯავშანიძეს წინა ღამითვე აეღო მტრის საფარი. სკლიაროსს მარჯვნივ

დაუყენებია ბაგრატ თარონელი, მარცხნივ მისი ძმა გრიგოლ. ორბელიძის საპირდაპიროდ თვით აფრანიკი გამოსულა. ცხენოსან სპარსელთა ჯარს ამხნევებდა მოქის მთავარი. ომის ბედი გადასწყვიტა ბრძოლამ ორბელიძისა და აფრანიკისამ, რომელმაც ზურგი უჩვენა. ომი რომ გათავდა, თორნიკემ უბრძანა, ქართველი იქნებოდა დახოცილ დაპრილი, სპარსელ, ბერძენი, თუ სომეხი, ყველასთვის დაეღოთ ხელი, დაპრილებისთვის ყური ეგდოთ, მკვდრები დაესაფლავებინათ, ხოლო ვინც ტყვე იყო, იმისთვის შეურაცხყოფა არ უნდა მიეყენებინათ. შვიდი ათასი ქართველი ჯარის კაცი დაბრუნდა ქართლს. გამარჯვებულებს ხალხი სიხარულით დაჰხვდა. აზრი იმ სიმღერისა, რომლითაც ჯარი მოდიოდა, ისეთია, ვითომც ამირანი მიჯაჭულ იყვეს კავკასის ქედზე ქვეყნად ცეცხლის მოტანისთვის. მართალია, ამირან, ქართული თქმულებით მიჯაჭულია, მაგრამ არა ცეცხლის ქვეყნად მოტანისთვის, არც კავკასის ქედზე, არამედ პალოზე მყინვარ-გერგეტის მთებშუა გამოქვაბულში და იმის გულისთვის, რომ განიზრახა თვით განგების დამარცხება, მაგრამ განგებისავე ბრძანებით ყორანი უზიდავდა ერთ პურს და ერთ ხელადა ღვინოს. ცხადია, აქ უნდა იყვეს არა ამირანი, არამედ ბერძნების პრომეთე, რომელიც მილურსმნულ იქმნა ცეცხლის მოპარვისთვის და ყვაეყორანი უკორტნიდა გულს, რომელიც ისევ მთელდებოდა.

თორნიკემ კურაპალატს მიართვა ბერძნის კეისრის სიგელი, რომლითაც ზემო ქვეყნები ქართლს უერთდებოდა, და სიმდიდრე, რომელიც ნადაელი იყო და თორნიკესთვის ეჩუქებინათ. კურაპალატიც, თორნიკეც უარზედ იყვნენ, აელოთ, მაგრამ მაშინ წამოდგა გაბრიელ სალოსი, დაყუდებული ბერი, და პირველად ხმის ამომღებმა მოახსენა კურაპალატს, იმ სიმდიდრით ათონის მთაში აეგოთ ომში დახოცილ ქართველთა მოსაგონებლად მონასტერი, სადაც უნდა ანთებულიყო მეცნიერების და მწიგნობრობის ლამპარი. სთქვა და ბერი ისევ დადუმდა. კურაპალატი დასთანხმდა. თორნიკე და ის ბერი წავიდნენ ათონს. აღწერილობა გამოქვაბულისა, მისი სიწმინდის, სადაც გაბრიელ ცხოვრებდა დაყუდებული, საოცრად მოგვაგონებს მანერას, რომლითაც ი. ჭავჭავაძეს აუწერია განდეგილის გამოქვაბული, მაგრამ თვით ბერი თუმცა დაყუდებულიყო, სოფლად ჩამოდიოდა, მუშაობაში ჰშველიდა ხალხს, ეგრეთვე მისი მომველი იყო, როცა სოფელში გადამდები სნეულება გაჩნდებოდა.

პოემის უმთავრესი პიროვნება არის თორნიკე, რომელიც აბჯროსნად ითარგმნება და ამ სახელწოდებით იყო განთქმული, თორემ მისი სახელი იყო იოანე. თორნიკე არ დაუხატნია ავტორს, როგორც მებრძოლი, როგორც მაგ. იოსებ თბილელმა დაგვიხატა მებრძოლი. გიორგი საკაძე. თორნიკე გამოყვანილი ჰყავს აკ. წერეთელს, როგორც რაზმთა მწყობელი, სტრატეგი და კაცთ მოყვარე, რომელიც ომის დროს ყველასთვის ერთნაირად მზრუნველია მკვდრისთვის, თუ ტყვედწამოყვანილისთვის, შინაურისთვის, თუ მტრისთვის, ერთნაირად შემგუებელი ყოველი გვარტომის, თუ სარწმუნოებისა. იდეა, რამაც აღაფრთოვანა თორნიკე და მასთან ერთად მაშინდელი შეგნებული ქართველობა, იყო ის, რომ საქრისტიანო ბიზანტია, მაშინდელი განათლების ერთადერთი კერა, იღუპებოდა და ქართველი ხალხისთვის სასახელო იყო იმ დროს გაჭირვებული მოძმისთვის დახმარება აღმოეჩინა.

ქუთაისში ნ. ნიკოლაძის ბინაზე როცა ავტორმა წაიკითხა **თორნიკე ერისთავი**, ისე გაიტაცა მსმენელები პოემის ლექსმა და პოეტიურმა ფიგურებმა, რომ ნაკლებად ათხოვეს ყური თვით შინაარსს პოემისას, რომელიც აკ. წერეთლის კალმის საუკეთესო ნაწარმოებად უნდა ჩაითვალოს.

ნათელა უფრო ზღაპრული პოემა არის, ვიდრე ისტორიული, განსაკუთრებით ნათელას მოქმედებით, მისი ტიპით, თორემ ცოტნე დადიანია ისტორიული პიროვნება, ერთი იმ ერისთავთაგანი, რომელთაც მოახდინეს შეთქმულება მუღალთა წინააღმდეგ, მაგრამ შეთქმულება გამოაშკარავდა და მონაწილეებს ყველას თავი უკრეს ანის ქალაქს, სადაც ნინი იჯდა, მუღალთა ხანის წარმომადგენელი, და შიშველ ტანთა თაფლ წასმულნი დასხეს, რომ ბუზები დაჰხვეოდეხ და ასე დასჯილნი დახოცილიყვნენ. პოემა იწყება შესავალით, სადაც ავტორი მიჰმართავს გრძნობას და გონებას, რომ მზესა და მთვარეს ასცილდენ, შეუკავშირდენ მოციმციმე ვარსკვლავებს; შეიტყონ ზეციური ტკბილი ხმების საიდუმლოება და იმათი შეწყობის წესი შეისწავლონ, მხოლოდ ამის შემდეგ ჰბედავს ხელი შეაზოს ჩანგურს და ამ ქვეყნის მწარე ზარი შეჰრთოს იმ ქვეყნის ზევსურს, რათა გედიევით მგალობელმა დააგდოს ქვეყნის საზღვარი და თავისივე ჰანგებში, როგორც ლამპარი, გაჰქრეს, სულ კი იმისთვის, რომ ნათელი მოჰფინოს იმას, ვისიც სახელია მათელა.

ისტორიით ვიცით, რომ მუღალებმა მთლიანი საქართველო ორად გაჰყვეს, აღმოსავლეთის და დასავლეთის საქართველოდ. ეს არ იკმარეს და იმერეთი და ქართლი ერთმანერთს გადაჰკიდეს. ავტორმა ასეთი სოციალ პოლიტიკური მდგომარეობა ქვეყნისა სიმბოლიურად გააპოეტიზა. მზეს და მთვარეს ერთხელ დიდი ჩხუბი მოუვიდათ. გაიყარნენ და შემაერთებელი ხიდი ჩაუტყდათ. შუა ჩადგა გველევეშაპი და ორივე დააბნელა მზეც და მთვარეც. ქვეყანა მოიცვა მხეცებისთვის სანავარდო ბნელეთმა. უმზეოდ ია და ვარდი დაჭკნა. იმ დროს კიდევ ქართველს სხვა ჭირი დაატყდა თავსა. ყველაფერი გაჰქრა ძმობაც, ყმობაც (ჭაბუკობა) და პირიანობაც, ერთი, ძუძუთი გამოზრდილი იმერეთი და ქართლი აიშალა, რის გამოც ძველ სიმტკიცე და ძალა ორთავ მოაკლდა მუღალთა გულის გასახარელად. შუა ჩადგნენ მუღალები, რომელნიც ხალხს ჰრყვნიდნენ სიცრუით და ორპირობით და სდევნიდნენ ბრალიან და უბრალო კაცურ კაცებს. ჩამოვარდა ხალხში სილარიბე, შიგა და შიგ ძმას მტრად მისივე ძმა აუჩნდა. შვილიშვილებმა დაღმა ფარცხეს მამაპაპის აღმა ხნული. მაშინდელი საქართველო აჩრდილილა იყო ადრინდელისა. სულთა ბრძოლის ვაი ვიში გაისმოდა. მტრებს აღარ ეშინოდათ დაცემული ქართველების, ეგონათ თუ, ქართლის ბედი საუკუნოდ მიეფარა, მაგრამ არ იცოდნენ, რომ ზოგჯერ ჩამქრალი კერის შუა გულში ობოლ ნაკვერცხალს სძინავს და ნათელ ძალას ინახავს ცვცხლის გასაჩაღებლად. ხალხსაც ასე სჩვევია. გინდ დახუჭოს თვალი, როგორც მკედარმა, გულში მაინც უღვივის დაფარული ნაპერწკალი.

როგორც ცაში ბევრია ვარსკვლავი და მათ შორის შუქურა უკეთესია, ისევე საქართველოში მზეთ უნახავი ბევრი იყო, მაგრამ ნათელას მჯობი არავინ ყოფილა. ტანად ალვის ხეს და თვალად მთვარეს ცისკრის ვარსკვლავის ღიმილი ჰქონდა. ვარდს მიეძღვნა ელფერი, იას სინაზე, ხოლო შუქი მისთვის მიეფინა სამოთხეს. თვალები გიშრის ჰქონდა, ხუჭუჭი ნაწნავები კოჭებამდე სცემდა. ნათელა იყო ქველი წერეთლის ქალი და სცხოვრებდა მოდინახეს ციხე დარბაზში, უდედმამო, ობლობით განაზარდი. სადაც საქართველოში განთქმული რაინდი იყო, ნათელაზე ეჭირა თვალი, მაგრამ ნათელას ერთი პირობა ჰქონდა დადებული. ცოლად გაჰყვებოდა იმას, ვინც იმ პირობას შეასრულებდა. ერთი თეთრი ჩოხა დაემზადებინა, წელში ვიწრო და ბეჭებში განიერი, უკერავი, ძაფებ დაკარგული და ოქ-

რომკედით ნაქარგი. შვიდი მტკაველი სიგრძე ჰქონდა, განიც შეაფერი, ოქროს ღილებ დასხმული. ვისაც ის ჩოხა ტანზე მოერგებოდა, მტერთან ბრძოლაში იმ ჩოხის საპირეს წითლად შეჰღებავდა და ასოცი მტრის თავს მოიტანდა გალავნის ჭალების სარქველად, მსოლოდ ისეთი ვაჟკაცისთვის იგულებდა ნათელა თავს საცოლოდ. მრავალმა რაინდმა ჩაიცვა ის ჩოხა, მაგრამ არავის მოერგო. ნათელამ თვალი მოჰკრა, თეთრი ცხენით მოადგა მოდიდებულ ყვირილას ერთი მხედარი, რომელმაც ცხენი შეაგდო წყალში ასე, რომ თვითონ მუზარად რიდე დაისველა. ბეწვზედ ეკიდა მათი ხსნა. ნათელას ეგონა, იღუპებოდა, მაგრამ მხედარი გავიდა მდინარეში და აღმართს შეუდგა, მიუახლოვდა მოდი ნახეს, მაგრამ არავინ სჩანდა, მხოლოდ ზემოდან ფრიალით დაეშო ჩოხა, მხედარმა ჩაიცო, მოერგო, მოახტა თეთრონს და წავიდა, მაგრამ ნათელას გულიც თან წაიღო.

ნათელას მოსდიოდა ოქროს კავებით მტრის თავები, რომელსაც გალავნის ჭალებს სარქველად უკეთებდნენ. არვინ იცოდა, ვისგან იყო. ას ოცს ერთი აკლდა, მაგრამ ის ერთი თავი იგვიანებდა. ნათელა საგონებელში იყო, ვაი, თუ მოჰკლეს ის გმირიო, თმა გაიშალა, გულისპირს აღარ იკრავდა, ძირს იჯდა, სარკმელში აღარ იცქირებოდა. შაეი ტანისამოსი უფრო ამშვენებდა. მაგრამ დილით მსახურმა ლოცვის მყუდროება დაურღვია ნათელას, რა შეატყობინა წითელ ცხენიანი წითელ ჩოხიანი მხედრის მოსვლა. ნათელას გულმაც იგრძნო მხიარულება და ჰბრძანა სტუმრის მიღება. სტუმარი შევიდა. ალვის ხე იყო ედემს ნაზარდი, რომელსაც ვერ შეედრებოდა საარაკო გმირი ყარამან. ნათელას მოახსენა, მე გახლავარ თქვენი პირობის შემსრულებელი ცოტნე დადიანიო და მიართვა მეასოცე თავი. ნათელა და ცოტნე გახდნენ ცოლქმარნი და ქორწილიც გადაიხადეს ჯერ საჩხერეში, ხოლო მერმე ხობში, სადაც იყო ცოტნე დადიანის ციხე დარბაზი. მათ ქორწილს დაესწრო დიდძალი სტუმრობა, საქართველოს ყოველი კუთხიდან მოსული. მაგრამ ნათელას სახე მოეღრუბლა, ცოტნეს ეგონა, საწერეთლოს დათმობისაგან იყო ნათელა შეწუხებული, მაგრამ ბოლოს გამოირკვა, რომ ნათელას აღონებდა ბატონობა მუღალებისა, რომელთაც ქართლი ეპყრათ. ბოლოს ურჩია ცოტნეს, გასძღოლოდა იქ დამსწრე ხალხს მტრის წინააღმდეგ საომრად და მეც მამულის მსხვერპლად მზადავარო, დასძინა ნათელამ. ცოტნესაც იგივე სურვილი ამოძრავებდა და ხალხმა ვაშას ძახილით

მიიღო მისი მოწოდება. სიმღერის აზრი, ნათელამ რო ჩანგურზე დაამღერა, ის იყო, რომ მტერთან გაჰკლავება არ შეუძლია ხალხს, თუ მის შვილთა შორის ერთობა არ იქნება ისეეე როგორც ჩანგურზე ხმა არ შეიწყობა, თუ რომელიმე სიმი გაფუჭებული აქვს. იმ დროს როცა ცოტნე ჯარს აგროვებდა, მეგობრებისაგან წიგნი მოუვიდა, მუღალებმა შეთქმულეა გაგეიგეს, ანის ქალაქს გვერეკებიან სასჯელის მოსახდელად და ნუღარ მოხვალო. მაგრამ ცოტნემ გადასწყვიტა მეგობართ ბედის გაზიარება. ცოტნე ამხედრდა და გასწია. მივიდა, ეაშა მეგობრებს გმირობისთვისაო, შესძახა, თვითონაც ტანთ გაიხადა და დაჯდა, რომ ისეთიეე სასჯელი მოეხადა იმასაც. ნოინს უკვირდა, რომ ქართველი ტყვეები მაგრად იდგნენ და არ უნდოდათ გაცემა სხვა მონაწილეთა და გადასწყვიტა, ხერხით მოსწეოდა თავის მიზანსა. მაგრამ იმ დროს მოახსენეს, ვიღაც ქალია, თქვენი ნახვა ჰსურსო. ის ქალი იყო ნათელა შავად მოსილი და პირბადიანი. ნოინი და ნათელა შეხვდნენ ერთმანერთს პირისპირ. ნათელამ პირბადე აიხადა, იმავ დროს მის ხელთ გაიელეა მახვილმა. ნოინს უთხრა, დამშვიდდი, ნუ მოხვალ, შენ სატრფიალოდ არ მოვსულვარ, საქმე მაქვს შენთანაო. ნოინი თითქო გაღალული ყოფილიყვეს ნათელას თვალისაგან, ჩაჯდა ხმა ამოუღებლივ. სწადდა, შეეტყო ნათელასაგან მოსვლის მიზეზი, ჰპირდებოდა ყოველ დიდებას, მისი რჯულის მიღებასაც კი. ოღონდ მისი გამხდარიყო, მაგრამ ნათელა უარზე იდგა, რადგანაც მისი გული სხვას ეკუთვნოდა და თავის კერასაც ეერ ულალატებდა. გაუმხილა, რომ ცოტნე დადიანი იყო მისი ქმარი, ქართველ ტყვეებთან მყოფი, და მის სანახავად წამოსულიყო. ნათელას ასეთმა საქციელმა ნოინის არსება გარდაჰქმნა, ბუნება გამოუცვალა, უთხრა ეხლა დაძმურად ეიყვნეთ და კუთხეში დაჯექ, ვიდრე შენი ქმარი მოვიდოდესო და ჰბრძანა ცოტნეს შემოყვანა. ნოინმა ვინაობა ჰკითხა შემოყვანილ ტყვეს, რომლისაგანაც გაიგო, რომ ის იყო ცოტნე, მეგობართა ბედის გასაზიარებლად წამოსული. ცოტნემ მოახსენა ნოინს, ხელს არ ავიღებთ თქვენს მტრობაზე, ვიდრე ჩვენს დეევსას არ მოიშლითო. ცოტნეს თავგამოდებით და გულახდილად მსჯელობამაც ნოინი გააოცა და უთხრა, თავისუფლებას მოგცემთ, როგორც შენ, ისეეე სხვა ტყვეებს და მხოლოდ მოხარკე იყავითო. მაგრამ როცა ნოინმა სამაგიერად სთხოვა ცოლის მიგვრა, ცოტნე დაჭრილი ვეფხვივით ათრთოლდა და მოახსენა, შენი ბედი, რომ ჩვენ ეხლა სტუმარმასპინძელი ვართ, თორემ მაგის თქმას ძვირად

დაგისვამდი და მეორედ აღარ წააცდენინო ენასო. ნოინმა გაუღიმა და უთხრა, შენი გამოცდა მინდოდა. ნუ თუ სამშობლო, მოძმე, მოყვარე იმად არა ჰღირს, რომ ანაცვალო ერთი ქალიო. მთავარი შეკერთა, მე მაგის ნება არა მაქვს, ცოლია და არა მხეალიო. მერმე ნოინმა უთხრა, ხომ ჰხედავ კუთხეში რომ ქალი ზის, ჩემი შვილობილია, სასიძოდ ამირჩეიხარ, მინდა ცოლად შეგრთო. აქაც მოუკრა ცოტნემ, ორცოლიანობა ჩვენში წესად არ არისო. რა კი არც ეს ინდომა ცოტნემ, მაშინ ნოინმა უკანასკნელი პირობა დაუდო, მოდი, ახადე პირბადე იმ ქალს, აკოცე, როგორც საყვარელსაო. რა კი სხვა გზა არ იყო მეგობრებისა და სამშობლოს ხსნისა, ცოტნე მიეიდა ქალთან და დაჰხარა თავი საკოცნელად, მაგრამ ქალმა პირბადე აიხადა და ნოინმა გადიხარხარა.

როგორც ვხედავთ, ნათელა არა ჩვეულებრივი მზეა, რომელსაც ლაქები არა აქვს. ავტორს ყოველი სიკეთე შემოუკრეფია ნათელას პიროვნებაში, რომელიც მოქმედებს რაინდობის ხანში. თვალტანადობა თავბრუ დამსხმელი, აღზრდა სარწმუნოებრივ, ესთეტიურ რაინდული, ხელსაქმის ცოდნა საარაკო, პოლიტიკაში ჩახედულება, ერთი სიტყვით რუსთველის ნესტანს გააფასებს, რადგანაც რუსთველს არაფერი უთქვამს ჩვენთვის, ჰქონდა, თუ არა, ნესტანს მიღებული ესთეტიური აღზრდა, ან იყო, თუ არა, ხელ საქმის საარაკო მცოდნე, როგორც ნათელა, რომელმაც იცოდა დაკვრა სიმღერა და ჩოხის უკერავად დამზადება და ოქრო მკედით მოჭარგვა. ცოლადაც იმას უნდა გაჰყოლოდა, ვისაც მოერგებოდა მისი უკერავი ჩოხა, წელში ვიწრო, ბეჭებში განიერი და ვინც ასოცი მტრის თავს მოიტანდა მისი ციხე დარბაზის გალავნის ჭალების სარქველად. სილამაზე თვალტანადობა და გმირობა მამულიშვილობა უნდა ყოფილიყო მისი საქმროს დამამშვენებელი. სამშობლოს სიყვარული, ქმრის რჯულის ერთგულება, მტერთან გაბედულად თავის დაჭერა არა თუ მისი მავნებელი, არამედ მისი მხსნელიც გამოდგა. როდესაც ნოინი ენებათა ღელვამ აიტაცა, ნათელამ ბროლის თითებით მახვილი ააელვარა, რამაც ნოინს რიდი აგრძნობინა. რა კი ნათელა უფრო ზღაპრული პიროვნებაა, ზღაპრული მოტივის დასაცავად, უნდა გვცოდნოდა იმ მახვილის სადაურობაც ისევე, როგორც ვიცით, რომ ეთერს მახვილი ნიშნად მიღებული ჰქონდა აბესალომისაგან. ნათელამ ისიც იცის, რომ აღმოსავლეთი საქართველო გმირავს მუღალთა

ბატონობის უღელ ქვეშ და სწუსს, რომ იმერეთი მოძმეს არ ეხმარება, ქორწილის ღრეობაში გართული. ცალცალკე აღებული სხვადასხვა ხასიათის თვისება, რაც ნათელას ამშვენებს, რა საკვირველია, იპოვებოდა ისტორიული ქართველი ქალის ცხოვრებაში, მაგრამ პირწავარდნილი ნათელა არასოდეს ყოფილა. ნათელას ტიპი არა თუ საიდეალო, არამედ მეტიც არის, თითქოს ცოდვილ დედამიწაზე ფეხით არ მდგარიყვეს, რაღაც ალისებურია. ნესტან ასეთი არ დაუხატნია რუსთველს. ნესტან კრიმინალი, ასპიტის თვალით მხედველი არსება არის, ანგარიშიანიც, ამაყიც, გულანშაროს მეფის მელიქ სურხავის სასახლისაგან რომ თავი დაახრწიოს, მის ხადუმებს დაქრთამავს, აუჯანყებს და მათთან ერთად გაიპარება. ქაჯეთის დედოფალს მკვახედ ელაპარაკება, ვერ ელირსები ჩემს რძლობასაო. ბოლოს პოლიტიკური ტერორის მქადაგებელიც არის, სულ კი იმის გულისთვის, რომ მშობელი ხალხი, მშობელი ქვეყანა ინდოეთი დაიხსნას პოლიტიკურ ეკონომიურად სპარსთა მიერ დამონებისაგან. თუმცა რაც გორც მართლმორწმუნე მუსლიმანს მუსაფი (ყურანი) ყოველთვის გაშლილ უძევს სასთუნალზე, არ შედრკება, ტარიელს მოაკვლევინოს თავისი საქმრო, სპარსეთის ხემწიფის შვილი, რომელიც ისეთივე მუსლიმანია, როგორც თვითონ. ნესტანის ხასიათის თვისებანი შედეგია თვით დრამის განვითარებისა, ნათელას ამბავი კი მისი ხასიათის სხვადასხვა საიდეალო თვისებაზე არის აგებული, რის გამოც მეტი ბუნებრიობა უფრო ნესტანს ეტყობა, ვიდრე ნათელას. პოეტის გონება და გრძნობა მართლა მზესა და მთვარეს ასცილებია, რომ ნათელა ისეთი ჰაეროვანი გამოსულა.

როგორც ზემოთა ესთქვით, აკ. წერეთელი არ არის ქართველი ხალხის საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე, როგორც ი. ჭავჭავაძე. თუ გულში არ ვიქონიებთ მის ერთ ისტორიულ მოთხრობას „ბაში აჩუკს, რომელიც გვიხატავს ქართველი ხალხის მეჩვიდმეტე საუკუნის ცხოვრებას, როცა კახეთს სპარსთა მტარვალობისაგან აევსო მოთმინების ფიალა და შეიარაღებული გამოსვლა მოახდინა მტრის წინააღმდეგ შალვა და ელისბარ ერისთავების და ბიძინა კახელის მოთავეობით, მაგრამ დამარცხდა, ხოლო მოთავენი წამებულ იქმნენ. ხსენებული მოთხრობა უფრო პოლიტიკური მოქმედების პროგრამა არის, ვიდრე მოთხრობა, უცხოთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართული. უმთავრესი გმირი ბაში აჩუკია, უწყალოდ მდე-

ენელი იმ ქართველობის, რომელიც სპარსთა ბატონობას საქართველოში მხარს უჭერდა პირადი სარგებლობით.

შეიძლება ამ გარემოებითაც აიხსნებოდეს ის, რომ აკ. წერეთელი ვერ გაბედვა ღონიერი დრამატურგი ქართულ თეატრშიაც, რომელიც, როგორც ყოველი თეატრი, სარკეა საზოგადოებრივი ცხოვრების და სადაც იდეა დრამატიული ხელართით და ხასიათების შეხლით უფრო მოხერხებულად უნდა იყვეს განვითარებული, რადგანაც სათეატრო ტეხნიკა ერთგვარი ჩარჩო არის, სადაც უნდა მოთავსდეს დრამის ინტერესიც და მისი განსახიერებაც, მოთხრობისთვის კი საჭიროა ისეთი ქარგა, რაზედაც შეიძლება მოიქარგოს დიდიცა და პატარა თაიგულიც. ავტორის პიესები **კუდურ ხანუმ, კინტო, ბუტიობა, პატარა კახი, თამარ მცბიერი** და სხვა რეპერტუარში აღარ არის, როგორც დრო მოქმული, და წარმოადგენს მხოლოდ ინტერესს, როგორც სიტყვა კაზმული ნაწარმოები. კომპოზიტორმა მ. ბალანჩივაძემ დასწერა ოპერა **თამარ მცბიერი**. ეგეც მუსიკამ გამოაცოცხლოს მკვდარი დრამა **თამარ მცბიერი**, რომელიც ველიჩკომ სთარგმნა რუსულად და რუსულმა კრიტიკამ სუსტ ნაწარმოებად აღიარა.

§ 46. **ვახტანგ ორბელიანი** (1812 — 1890) ისევე. როგორც მისი დეიდაშვილი გრ. ორბელიანი, აღზრდილ იყო ისეთ საზოგადოებაში. სადაც ისტორიული ტრადიციები, ქართული ზნეჩვეულება, ქართული კულტურისნობა ჯერ კიდეე არ იყო ნიადაგ შერყეული. მისი საყვარელი ავტორები ყოფილან რუსველი, შექსპირი, გოეთე, შილერი და ვიქტორ ჰუგო, ოთხი უკანასკნელი პოეტი, უნდა ვიფიქროთ, რუსულად თარგმნილი, რადგანაც ეხლაც არ მოგვეპოება მათი ნაწერების არც სრული თარგმანი, არც ცალკე წიგნებად გამოცემული ის, რაც თარგმნილია. თუ ყურადღებას მივაქცევთ იმას, რომ პეტერბურგის კადეტთა კორპუსში სწავლობდა ხუთი წლის განმავლობაში, საკვირველია, როგორ შეჰრჩა ქართულის ცოდნა. ამბობენ ქართული სადა სიტყვით წერა არ ემარჯვებოდაო. ისიც არ ჩამოჰრჩა სხვებს და, როგორც შეთქმულების მონაწილე, შორეულ კალუგას განდევნილ იქმნა, როგორც თვითონ პოეტი ამბობს, შეუწყნარ წყვდიად მხარეს, სადაც მკვლელი ქმუნვარებისაგან გულს აღარ უხარებდა ღამით მთვარე და დღისით ცხოველი მზე. სამშობლოს ნახვა სწყუროდა ისევე, როგორც ბნელ თვალს ცის ნათელი სხივისა. მართალია, ბოლოს იმასაც მიეცა შვება და ჰნახა სამშობლო, რომელსაც

ლურჯი წმინდა ცა ისევ მხიარულად დასცქეროდა, ჰნახა ისევ ის ერი მომღერალ მხიარული, ყველგან სიცოცხლით სავსე და მოძრავი, მაგრამ ვ. ორბელიანის მუზა არ ეტრფის არც საქართველოს ბუნების, არც მის ქალაქებ სილამაზეს, რომელიც კალმით აუწერელი და ენით გამოუთქმელია. ის უგალობს მხოლოდ ქერთველი ხალხის სულის მშვენებას, რომელსაც შეუქმნია ისეთი დიდი კულტურა, როგორიც არის ქართული კულტურა. პოეტსა სწამს, რომ იმ კულტურის შემოქმედი ხალხი არასოდეს მოჰკვდება და თუ ბედ უკუღმართობისაგან დროებით დაჩაგრულია, ისევ აღსდგება და აღორძინდება, დიდ წარსულს დიდი მომავალიც ექნება.

ქართველი ხალხი, პოეტის თქმით, წამებულია, საქართველო წარმოადგენს სისხლის კალოს, გმირთა აკლდამას, რომლის ისტორიაც სისხლის ასოებით არის დაწერილი. პოეტი საიდუმლოებრივი გრძნობით მოიგონებს იმ დროს, როცა წარმართობას ევერიაში სძლია ქრისტიანობამ, რომელსაც მოჰყვა ქართული სწავლა განათლება და საქართველო შეიმკო ხუროთ მოძღვრების საკვირველი ძეგლებითა. მაგრამ სულს უღონებს ის, რომ ევერია სისხლისგან დაიცალა მოგეზებითი ომების წყალობით, თავისი კულტურის და ვინაობის დასაცავად რომ აწარმოებდა, და იმავ დროს იცავდა ევროპას მაჰ.. დიან ურდოთა მიერ წალეკისაგან. განსაცდელში ჩავარდა საქართველო განსაკუთრებით მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, როცა აღმაჰმადხანმა, სპარსეთის ყეენმა, თავისი ურდოებით ააოხრა ქვეყანა და მუსრი გაავლო ქართველობას. განათლებულმა ევროპამ ეს ამბავი იცოდა, მაგრამ დახმარების ნაცვლად პატარა კახს ვაჟკაცობას უქებდა მხოლოდ, იმავ დროს კი ფეოდალები თავიანთ ციხედარბაზებში ლამაზ ქალებთან ლაღობაში გართულიყენენ, ან რომში ჩადიოდნენ, რომ პაპს ფეხთსამოსსე ჰმთხვეოდენ. აი ამას მოსთქვამს პოეტი იმედში, რომელიც ტურფა ასულის სახედ მოევლინება და აღუთქვამს, ნანგრევები კელავ აღსდგება, ქართველი ხალხი კელავ აღორძინდებაო.

იმედი იყო ჩვენი პოეტის მანუგეშებელი. საქართველო წარმოედგინა სამოთხედ და მისი ბედი ვარდად, რომელიც ნაზად ჰყვაოდა და მოლიმარ მოჩუხჩუხე წყარო ურწყავდა მინდორ ველს. მისი მფლობელი იყო ყვავი, რომელიც ყოველ დილას ყვავ-ყვავით ვარდზე ჯდებოდა, ხოლო მის ახლოს ბულბული ერთ გამხმარ ხეზე საწყლად მჯდომარე ნელად და მწარედ მოსთქვამდა და

უპვრეტდა ყვავს, რომელიც სჯიჯგნიდა ვარდსა. მტარვალი ყვავი გადასჩხაოდა გულის წყრომით საწყალ ბულბულს, ნუ უხეოქ გულს ჩემს საყვარელს ეგეთი ცუდი ხმითაო. მაგრამ ბულბული უგალობდა სიყვარულს მარად და მარად. მაშინ სულითაც და გულითაც შავმა ყვავმა დაიყრანტალა, ბრჭყალებით გასჯიჯგნა ვარდი და სასწრაფოდ გაფრინდა.

ის სამოთხე იყო საარაკოდ მდიდარი ქვეყანა, რომელიც ამავე დროს მოუწოდებდა თავის შვილებს, რომ მისი წიაღი მაგარის ხელით ამოეკვლიათ, სიძნელე და დაბრკოლება გადაელახათ, შრომით დაეძლიათ, ოფლით ეშრომნათ, რადგანაც მხოლოდ ოფლით და შრომით აღმოცენდებოდა ტკბილი ნაყოფი, რომელიც მის მკერდში იყო. ამას ჰფიქრობდა პოეტი უკეთესი მომავლის მოლოდინში, თორემ ცხოვრების სინამდვილე სულ სხვას ამბობდა. ბედოვლათი ფეოდალები გაურბოდნენ ოფლით მუშაობას დანგრეული ქვეყნის აღსადგენად. შრომის წილ გამეფებულიყო ზარმაცობა, სწავლაგანათლების წილ სმა და ძილი, ძმობის წილ დავა, მტრობა. ზოგს თავისი ქონება ბითურ ცხრაში წაეგო და ცოლშვილი დაეყარა, ზოგს დავი დარაბაში დაეღუპნათ სარჩო საბადებელი. ბევრი კიდეე იღვწოდა: მარჯვნივ და მარცხნივ ჰფანტავდნენ, სად, თვითონაც არ იცოდნენ. ჩარჩებისაგან ფულს სესხულობდნენ, მერმე ემალებოდნენ, ახ ვადის დაცლას ცრემლით ეეედრებოდნენ. მთელი წლის შემოსავალს ერთ ორ კვირაში სცლიდნენ, კარგად შეექცეოდნენ. პოეტი სამშობლო ქვეყნის პირით აფრთხილებდა მაშინდელ ბედოვლათებს,

ნუ ფრინავთ მარად ცაშია, ნუ უმზერთ მარად მთებსა,
ცოტა ძირს დაიხედეთ, ნახავთ მაგალითებსა.
შეჰხედეთ თქვენ უმცროს ძმათ ჩემ უმცროს ძეთ — გლეხებსა,
როგორც თქვენ, ისინიცა — ჩემი გვამის სახსრებსა.

ბედოვლათ ფეოდალებს მხარს უმშვენებდნენ მაშინდელი ხელის უფლების წარმომადგენელნი და ჩარჩები. ამას ცხად ჰყოფს ავტორის ზღაპარი რა ნახა ლაზარემ საქიოს. ლაზარე იყო მღვდლის შვილი, რომელიც ცოტა ნასწავლი იყო და მელექსეობასაც ეწყობოდა. უყვარდა ბანზე გლეხებთან ლაპარაკი და მათი ენა. მოჰკვდა ლაზარე და დედამ ტირილი მოჰრთო. მაგრამ იმ დროს როცა კუბოში ჩასვენებულ ლაზარეს მღვდელი უკმევდა და ანდერძს უგებდა, ლაზარე წამოდგა, შიშისაგან მღვდელს საეკლესიო ხელში გაუვარდა, ხალხი კიდეე კარს ეცა. დედამ ჰკითხა შვილს. რა ნახე საქი-

ოსო. ლაზარემ დედას უამბო, სხვათაშორის, ის, რაც ენახა ჯოჯოხეთში. შემოგვაქვს ლექსად.

კიდევ გავბედე და იმ ცეცხლის ზღვას კიდევ ჩავხედე:
ვინ ვიცან, დედავ? — ნაცვალი ნოდა,
ბევრის არყის სმით შარშან რო მოჰკვდა.
ეშმაკნი ხორცში უყრიან ბრჭყალებს:
შეჩვენებულო, რად ჰყვლეფდი გლეხებს?
კიდევ ვინ ვიცან? — ჩვენი პრისტავი,
უღმრთო, ურჯულო, გლეხთ ჭირი შავი;
სცეზენ ეშმაკნი ცეცხლის მათრახებს:
შეჩვენებულო, რად ჰყვლეფდი გლეხებს?
ვიცანი ბევრი: კინტო გასპარი,
კირქუში ბადალ ჩითის ვაჭარი,
პოდრიაჩიკი ტერარუთინა,
და სეკრეტარი იმისი სვინა.
ეშმაკნი ჰგლეჯენ, სცემენ მათრახსა:
შეჩვენებულო, რად ჰყვლეფდი ხალხსა?..
ბევრს ვცნობილობდი, ვინ მოსთვლის ყველას,
ტურა სუდიებს, ჩინოვნიკ მელას,
ან ქვეყნის მცარცველ ადვოკატებსა,
ცრუთ, უცოდინართ მატყუებლებსა.
ერთი მათგანი ჰყვირის, ჰღრიალებს
და თან სიმწარით თრთის და კანკალებს:
„ჩამომეხსენით, აპელაცია
სენატისათვის მე მიმიცია“.
ორ სამსაც ვცნობდი ყმა მიწის მფლობელთ,
იმ ორ სამს ღვთისა და კაცთა მგმობელთ.
იქ მათ ბრძანება არ გადიოდა;
ერთი ცრემლის ღვრით მწარედ ჰკიოდა:
მამას მზემ, ჩემს ყმებს უყვარდი დიდად,
ვანიავებდი ხანდახან ძვირად.

რაფაელ ერისთავმა ხევსურის პირით დაგვიხატა სამშობლოს სიყვარული. ხევსურის სიყვარული ბუნებრივია და ყოველ კაცსა აქვს განათლებულსაც, გაუნათლებელსაც. მხეცსაც კი აქვს სამშობლო ბუნაგის სიყვარული, მაგრამ კულტურული სიყვარული სულ

სხვა გრძნობა არის და შეიძლება ზოგჯერ განათლებულსაც კი არ ჰქონდეს. ვახ. ორბელიანმაც მთას მიჰმართა და მთის ქალის პირით განმარტა იდეა სამშობლოს კულტურული სიყვარულისა ერთ ლექსში, რომელსაც ეწოდება მთის ქალი და მოგზაური. მოგზაურს აკვირვებდა თოელნისლში გახვეული მთიან კლდიან ღრიანი ქვეყანა ქალისა, სადაც მზე ძლივს ანათებს და ტყე არ ჰხარობს. მოგზაურის ქვეყანა კი სულ სხვა იყო. მინდორველი, მწვანე მდელო და ყვავილ შემოსილი, სადაც ზღვით მუდამ ელვარე მზე ამოდიოდა, სადაც ლაჟვარდი ცა დაჰკაშკაშებდა ზღვას და ქვეყანას, სადაც ჰქროდა სასიამოვნო ნიავი ზღვისა და ჰაერი იყო სუნნელებით შეზავებული, ხოლო მისი დიდი სასახლე ზღვაზე გადაკიდული ყვავილნარით იყო ტურფად შემკული. ზღვა იყო თვალად საამური სანახავი, როცა შეიძვროდა, ან როცა მუუდროების ჟამს ეარსკვლავებისა და მთვარისაგან ბრწყინვავდა შორს კიდევ მოსჩანდა ათასობით ხომალდების აფრები. ქვეყანაში იყო დიდი ქალაქები, ხუროთმოძღვრების დიდი ძეგლები. მისი ხალხი ნასწავლი იყო, ხოლო ხელოვნება აყვავებული.

ვაჟი შემთხვევით გასცნობოდა ქალს, რომელიც მისი სანატრელი გამხდარიყო ასე, რომ უმისობა გულს უქენჯნიდა და ჰკლავდა, უნახველობის ფიქრიც კი საფლავს გაუთხრიდა, მაგრამ ქალმა აგრძნობინა, რომ მის შერთვას ამაოდ სცდილობდა, მე ჩემს მიწაწყალს, ჩემს ქვეყანას ვერ დავტოვებო, დასძინა. ქალს არ უნდოდა არც ცხოველი მზე, არც ნათელი ცა, არც ყვავილებით მბრწყინავი მინდორ ველი, რადგანაც ვეღარ იხილავდა თავის საყვარელ მთებს, რომელსაც ყინულის გვირგვინი უბრწყინავდა, თითქოს აღგზნებული ყოფილიყვეს. თავისი მთები ერჩია მისი ქვეყნის ნიავსა, ფუფუნების მომფენს და სუნნელოვანსა. თავისი ჭოხი ერჩია მის დიდ პალატსა, მის ყვავილნარს. მთაში იყო დაბადებულ გაზრდილი და იქ უნდა მომკვდარიყო, სამარედ ისევ დიდი კლდე უნდა ჰქონოდა. როცა თავის წინ მდებარე მთას გადავიდოდა, ჰხედავდა თვალწინ გადაშლილ საქართველოს ტურფა ბუნებით შემკულსა, მარცხნივ კახეთს, მარჯვნის ქართლს, მათ იქით კი იმერეთს თითქმის მთელ ძველ ივერიას, გასხიოსნებულს და შრომაში მუუდროდ გართულსა. მათი მზერით იშვებდა, მაგრამ გული უკვდებოდა, რა წარსული მოაგონდებოდა. არ უნდოდა სამშობლოდ უცხო ქვეყანა, თუ ვერ იხილავდა ფრიალო კლდეზე კოშკებს და ციხეებსა, თუ ვერ ისმენ-

და მშობლურ სიმღერასს, თუ ყურს არ დაუტკბობდა მწყემსის ტკბილი სალამურის ხმა, თუ ვერ იხილავდა მაღალი მთიდან გადმოქანებულ ნაკადულს, უფსკრულში სპეტაკი მარგალიტებივით ჩაღუპულს. ხეღვას და ხომალდებს ის ერჩია. შობით და გულით მთის ასული იყო. მშობლებისაგან თავის ნორჩ გულში ჩანერგული ჰქონდა მაძისაგან ცოტა რამ სწავლა, დედისაგან კი დიაცთა დიდი მოვალეობა, გზის არ შეცდომა. გულის სიწმინდე და სიმშვიდე, უშურველობა, გლეხებთან ძმობა, შეწყალება ქერიე ობლისა, სიყვარული ქვეყნის და კერისა, მოხუცის პატივის ცემა და გაგონება, რუსთველის მშვენიერი და ტკბილი ენა. მთის მცენარე ბარად საბრალო მწიროობას განიცდიდა.

მთის ქალს ასეთი ჰქონდა სიყვარული სამშობლოს ქვეყნისა და თუ პოეტმა ასეთი გრძნობის მეტყველად არ გამოიყვანა ბარის ქალი, იმით უნდა აიხსნას, რომ ბარელი ქალის სულის კვეთება გაუკეღმართებული იყო ასე, რომ გამარჯვებაც აღარ ესმოდა, როგორც აკ. წერეთელი ამბობს ბოდვაში. მთა უბიწო იყო, სადაც ქართული ზნე ჩვეულება და კულტურასნობა მტკიცედ იყო დაცული. მთის ქალმა იცოდა, რომ ქართველობა მთას გარდა ქართლ კახეთ იმერეთშიაც სცხოვრობდა. რაფ. ერისთავის ხევსურის გარსახედველი კი მის სოფელს არ გასცილებია. ის არის მხოლოდ ფიზიკური არსებით მოყვარული თავისი ხრიოკი სამშობლოსი.

ჯერ კიდევ მეოცე საუკუნეში ძველი რეჟიმის დროს რევოლუციის წინა წლებში სასტიკად აკრძალული იყო სიტყვა კონსტიტუცია და ვახ. ორბელიანის დროს რაღა იქმნებოდა. მაგრამ ჩვენს მაშინდელს პოეტებს ამოძრავებდა მაინც სურვილი თავიანთი ქნარის სიმები აეელერებინათ სამოქალაქო მოტივზე. ასე მოიქცა ვახ. ორბელიანიც. ცარიზმის ხელშეუვალობა იმისთვისაც აუტანელი შეიქნა. შესაძლებელია, კადეტთა კორპუსის რეჟიმის გავლენითაც, და შუაკედელი სახელმწიფოსა და ხალხს შორის სრულიად დაჰგმო. აქაც ქალი გამოიყვანა და მისი პირით გაგვიზიარა თავისი გულის ნადები. ქვეყნის ჰაბუკი მმართველის წინ იდგა ლამაზი ვინმე ასული, რომელსაც ბადალი არ ჰყვანდა. სევდით მოცულს შავ წარბებზე მარგალიტი ცრემლი უბრწყინავდა. ჰაბუკი მშვენიერ თვალებში ჩასცქერებია ტურფას ასე, რომ მის არსებაში ჩანთქულა. აღუთქვა ტურფას დიდება, სიმდიდრის და საუნჯის ფეხთ დაგება, დიდი პალატი, თვალწარმტაცი, ოქრო ვერცხლით და წალკოტით შემკული,

ძვირფასი თვლებით, ძვირფასი ძოწეულით მორთული ასე. რომ მის ტოლებს შურით ეცქირნათ, მარგალიტ დასხმულ დიბა დაფენილ ტახტზე მოსვენება და ჩანგის ტკბილ ხმაზე გაღვიძება, ოღონდ ჰყვარებოდა. ჭაბუკი იყო ობოლი და გულის ტოლს ეძებდა. მაგრამ პასუხს არ აძლევდა ასული. შემდეგ ჭაბუკი, როგორც რაინდთა წესი იყო, დაჰპირდა საგმირო საქმის ჩვენებას, აბჯრის ასხმას და ბრძოლის ველზე გმირის სახელის მოხვეჭას. ასული კიდევ უპასუხოდ იდგა. მაშინ ჭაბუკმა სთხოვა, პასუხი გაეცა მისთვის, რადგანაც მის არსებასთან განუყრელი იყო. ასული ვერ სცნობდა ჭაბუკს, მაგრამ ჭაბუკი იყო მისი მნახველი. როცა ქოხში ობოლს აკვანს ურწევდა და ტკბილის ხმით ნანას უმღერდა, როცა მივარდნილ ქუჩაში ობლებს, მშივრებს პურს ურიგებდა, ცრემლს უშრობდა. ასულმა მშვიდად შეჰხედა ჭაბუკს და მოახსენა. მისი თქმით ჭაბუკის სიმდიდრეს მის თვალში ფასი არა ჰქონდა. მისთვის დედას სხვა ნანა, მამას სხვა სიმღერა უმღერნია. ტახტზე ჯდომა არაფრად მიაჩნდა. თუ ხალხს არ ექნებოდა ნების ყოფა, თუ მძლავრი მოხელე ხალხს არ ჩამოჰშორდებოდა, თუ ხალხის შრომა და მისი სიმდიდრე ხალხსავე არ მოხმარდებოდა, ქვრივ ოხერი შეწყნარებულ არ იქნებოდა, თუ დავრდომლს, მშიერ ობოლს სახელმწიფო გულში არ ჩაიკრავდა, სიმშილით უფსკრულში ჩავარდნილი ასული თუ კეთილისთვის აღდგენილ არ იქნებოდა, თუ ხალხი ახალი ცხოვრებით არ აღორძინდებოდა. ასულსაც თურმე ჰყვანდა ნახული ის ჭაბუკი. რომელიც იმისთვის ისეთივე საყვარელი გამხდარიყო. ასული შეიქნა მეუღლე იმ ჭაბუკისა და ეხლა უკვე თავისი დიდი სახლობის ქვრივ ოხრებს და მშიერ ობლებს ბროლის თითებით აძლევდა საზრდოს. ხოლო ჭაბუკი ხალხთან ერთად განაგებდა სახელმწიფოს. დღეს საბჭოთა რეჟიმი გვაქვს, მაგრამ ხელშეუვალი ცარიზმის დროს პირდაპირ, არაკილოკავად კონსტიტუციის იდეის ქადაგებაც შეუძლებელი იყო. პოემაში გატარებულია იდეა რომანტიული სიყვარულისა, რომელიც წარმოუშვია ორი მშვენიერი სულის კავშირსა. პოემის პროლოგად პოეტს მოუყვანია ვეფხის ტყაოსნის წინასიტყვაობის ლექსი:

მიჯნურობა სხვა რამეა, არ სიძვისა დასადარი,
იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი.

პოეტი ურჩევდა ახალთაობას სწავლის შეძენას, რადგანაც, მისი აზრით სწავლა ანიჭებს პურს უპუროს, ხოლო მონას თავის-

უფლებას. სწავლას აჰყავს ადამიანის გონება იმ სიმაღლეზე, საიდანაც განსუვრეტს და მისწვდება განგებას, მის დიდ ქმნილებას, მის დიდ სიბრძნეს და დაფარულ ეშმარიტებას. აი ამის გამო ამბობდა, კაცს ნუ დაუტყვეეებთ აზრს, დეე მაღლა სთქვას, წარმოსთქვას, იმაშია ნების ყოფაო. განსაკუთრებით გულს უმღვრევდა ვახ. ორბელიანს უცოდინარობა ზოგიერთი პოეტის, რომელიც მუხამბაზის, კინტოების და შუა ბაზრის კილოს ჰხმარობდა მწერლობაში. ასეთი კილოთი, ვახ. ორბელიანის აზრით, პოეტმა შეიძლება იმღეროს მხოლოდ ღვინო, ტოლუბაში, დიპლიპიტო და ზურნა, უაზრო ლაზღანდარობა და ყიჟინა. პოეტისაგან მოითხოვდა რუსთველის კილოს, გაფურჩქვნილს, როგორც ეელის ყვავილს და მოკამკამეს, როგორც წყაროს. მოითხოვდა, რომ 'იმ კილოთი პოეტს დაეხატნა ეელი, ბორცვი და მთა, მაღლა ზეცა, ქვეშ განუსაზღვრელი ზღვა, მთლად ბუნება, დიდი და საკვირველი ასე, რომ ეელი და ბორცვი ტურფად იფურჩქნებოდეს, მთის წვერი ცის კარს ებჯინებოდეს, ცის კამარა მნათობთ სხივით ბრწყინავდეს, ან ელვა ჭექით გრგვინავდეს. ზღვის გული მზის სხივით კაშკაშებდეს, მშვიდად მიძინებული თავის ნაპირზე, ან მრისხანე ცაში ზვირთებს ისვროდეს და ნავხომალდებს ჰმუსრავდეს თავის მკერდზე, დიდებული ბუნება, იმისი მრავალ ფერი მშვენება ჩანდეს. პოეტს ჰმართებდა ეგრეთვე დაეხატნა ძველ დროთა გმირები, მათი საშინელი ბრძოლა მამულისთვის, ბრძოლის გრგვინვა, საზარო ბრძოლის ეელი. მშვენიერი ასული, რომ სახეზე აჩნდეს ძლიერი გულის მკმუნვარება, ვარდი იყვეს ფერ მიხდილი აედრისაგან და ყვავილი, მიხრილი ქარისაგან, ნაზი, ტურფა, მშვიდი და გულით წმინდა. მაგრამ მთელი არსებით შეყვარებული, რომ მისი მიჯნური შავ ბედს ებრძოდეს, ხოლო იგი ცხარე ცრემლს ჰღვრიდეს, შილერის ამალიას, ან შექსპირის ოფელიას ჰგვანდეს. პოეტს ყურადღება უნდა მიექცია გლეხი კაცის სახლის, მისი ბაღ-ენახისთვის. მოეცა სურათი მისი თუ, რით სწუხს და რით ჰხარობს გლეხი; ჩარჩებისთვის დაეცა მეხი და რისხვა და ყველასთვის ემხილებინა, რაც სჭირდა სიავე, სიზარმაცე და შავი უმეცრება.

როგორც ვხედავთ, ვახ. ორბელიანს არ დაუტოვებია კაცის და ბუნების ცხოვრების არც ერთი შემთხვევა, რომ არ მოეთხოვნა მისი აღწერა რუსთველის კილოთი. რუსთველის ენით ჩვენ მაშინაც ვერ დავსწერთ, ზეპირადაც რომ ვიცოდეთ მისი ვეფხის ტყაოსანი, მაგრამ რუსთველის კილო ჰნიშნავს საუკეთესო აკადემიურ ენას, რო-

მელიც შეისწავლება საუკეთესო კლასიკ ბელეტრისტების ნაწერთა კითხვით და რომლის ცოდნაც სავალდებულოა ყოველი მწერლისათვის. მეცხრამეტე საუკუნის მწერლებში ვახ. ორბელიანი ერთად ერთი მწერალია, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევს ენის აკადემიზმს და კიდეც იცავს. ამ შემთხვევაში იგი არის განმგრძობი აღორძინების პერიოდის მწერალთ თეიმურაზ პრველის და არჩილ მეორის მისწრაფებისა, რომელიც მოითხოვდა მწერლობისთვის დავერცხლილ ენას, ე. ი. მშვენიერ ფორმას, რომელიც მხოლოდ უკვდავ ჰყოფს აზრსა.

§ 47 გიორგი წერეთელი (1842 — 1900) ყველაფერი იყო პუბლიცისტიც, პოეტიც, მეისტორიე არქეოლოგიც, საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანეც, მაგრამ ის ძვირფასია ჩვენთვის, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე. ილ. ჭავჭავაძემ დაგვიხატა ბატონყმობის შემდეგი ცხოვრება **ოთარაანთ ქვრივით**, სადაც ნაბატონართა და ნაყმევთ თანამშრომლობის საკითხი გადასწყვიტა თუობითად, ე. ი. ნაყმევთა, როგორც მშრომელთა კლასის ინტერესების დაცვით, მათ შორის თავის ჩანთქით ვიდრე მათთან დამოყვრებამდე. გ. წერეთელმაც დაგვიხატა ბატონყმობის შემდეგი ცხოვრება, მაგრამ ისეთი, როგორიც იყო, როგორც მიმდინარეობდა და ვითარდებოდა. არავითარ თუობას არ უდებდა საზოგადოებრივ კლასებს თანამშრომლობისთვის. მისი ნახელოვნები ტიპების ტალანში ერთი მხრით არიან წერილი მემამულე ნაბატონარები, რომელნიც სხვისი ნაოფლარით ცხოვრებას ჩვეულნი შრომას გაურბიან და თავის დასარჩენად მიუყვიათ ხელი ისეთი საქმისთვის, რომელიც უშრომლად აცხოვრებს, ან სამსახურში შესულან, მაგრამ ორთავ შემთხვევაში პარაზიტები არიან, მეორის მხრით წარმოდგენილია ნაყმევთა კლასი, რომელიც იმ პარაზიტებისაგან იჩაგრებოდა არა ნაკლებ, ვიდრე მაშინ, როცა ბატონყმობა მძვინვარებდა. ამის სურათს გვაძლევენ მისი მოთხრობანი **მამიდა ასმათი, რუხი მგელი** და **პირველი ნაბიჯი.**

მამიდა ასმათი ბატონყმობის მომსწრეა და პირადი სარგებლობისთვის არავის დაინდობს, თუნდაც ძმა იყვეს, როგორც შემთხვევა ჰქონდა კიდეც. თვითონ ქვრივი და უშვილო იყო. აღსაზრდელად აყვანილი ჰყვანდა ობოლი ძმისწული პატარა ნათელა. მისი ძმა როსაფ მაზრის გამგეობაში მსახურებდა და ითვლებოდა ნათელას მზრუნველად, მისვე ხელში იყო ობლის ხვედრი მამული. და ძმას

შუა ამის მიზეზით უსიამოვნება იყო. როსაფს მეკრთამის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი და რომ შეუძრნეველი დარჩენილიყო, მაზრის უფროსს ტომით რუსს ურჩევდა ქრთამის აღებას. თუ ქრთამი არ აიღე, საწყენად დაჰრჩება მთხოვნელსაო, არწმუნებდა. მამიდა ასმათი ოგბოლ ნათელას ჰზრდიდა იმ მოსაზრებით, გათხოვდებოდა თუ არა, მამული მის ხელში გადმოვიდოდა საკუთრებად. ეს იყო მისი საოცნებელი, როგორმე გაეთხოვებინა, რაც შეიძლებოდა დროზე. ამის გულისთვის ბეჭზე წერა კითხვას ასწავლიდა და დედობის გრძნობასაც უღვიძებდა. მაგრამ რამდენიც დრო გადიოდა, იმდენი რწმუნდებოდა, რომ როსაფის გადაყენება ნათელას მზრუნველობაზე არც ისეთი ადვილი საქმე იყო, როგორც თვითონ წარმოედგინა. კანონი ობლის მზრუნველად ძმას სცნობდა და არა დასა. მამიდა ასმათმა კიდეც უჩივლა როსაფსა. რას არ აბრალებდა, ხაზინის ფულის ქურდობაც კი დასწამა, მაგრამ ვერაფერს გახდა მაინც, ბოლოს მიჰმართა საშინელ ღონეს შურის საძიებლად და მოთავედ აიყვანა ერთი თავზე ხელაღებული აზნაური შვილი ოთარი, რომელიც მთელი კვირაობით ძმა ბიჭებთან ქეიფში იყო გართული, ცოლშვილი კი მშიერ მწყურვალი, ჩაუცმელ დაუხურავი ჰყვანდა დაყრილი. ოთარი აზნაურულ რიხიანობას არ ჰღალატობდა და თუ სხვა ძმა ბიჭები საქეიფო მფსონად ფულს ჩამოდიოდნენ, ოთარისთვის მფსონი იყო ცოცხალი სანოვაგე, მაგრამ ნაქურდალი. აი ამის გამო იყო, ოომ სოფლის ხალხი ერთმანერთს შესჩიოდა შინაური ფრინველის, თუ ცხოველის დაკარგვას. ასეთი იყო ოთარი და რომ შეუძლებელი ყოფილიყო რაიმე ექვის მიტანა მამიდა ასმათის და ოთარის ერთმანერთთან განწყობილებაზე, ესე ვსთქვათ, ქვეყნის ლაგამი გაეედილ იყო, მამიდა ასმათმა საეკლესიო წესით მოიკიდა ოთარი შვილობილად. ტანთ ჩაიცვა თეთრი ნიშნად უბიწოებისა და ძუძუზე კბილი დაადებინა ოთარსა. ამის შემდეგ მამიდა ასმათს და ოთარს ვეღარაკინ გასპორავდა, საქმე კი გაკეთდებოდა. ეხლა ოთარს უნდა აესრულებინა თავისი დედობილის საშინელი განზრახვა. მამიდა ასმათმა ამოაწყვეტინა გლეხები, რომელნიც მუშაობდნენ ნაიელას ხეედრ მამულში და ცეცხლი წააკიდებინა როსაფის სახლისთვის, რადგანაც იქ ეკულებოდა საბუთის ქაღალდები. ეიდრე მამიდა ასმათს იმედი ჰქონდა საქმის მოგებისა, თავის რიალთან ე. ი. როსაფის ცოლთან თავი ამაყად ეჭირა, მაგრამ როგორც კი გადაწყდა იმედი, ცოტა მოლბა და თავი გაუყადრა, მამიდა ასმათს განზრა-

ხული ჰქონდა, ნათელა ქართლში გაეთხოვებინა. დღე დღეზე მოელოდა მაყრიონს, მაგრამ როსაფსაც თურმე აზრად ჰქონდა, ნათელა მეეთხოვებინა თავისი ცოლის ნათესავისათვის. ნათესაობრივი განწყობილება იმდენად დამყარდა რძალ მულ შორის, რომ რძალი მულთან დადიოდა და მული ნათელას ნებას აძლევდა, რომ ძალუასთან დარჩენილიყო ხანდახან ღამითაც კი. მის ნათესავ კაცს, რომელიც როსაფს ნათელას საქმროდ ეგულებოდა, მამიდა ასმათმა ნათელა ერთ უქმე დღეს ეკლესიაშიც კი გააყოლა. მაგრამ ერთხელ როცა ნათელა ძალუასთან იყო, მამიდა ასმათი ეჭვმა აიტანა, გული არ დაუდგა და თვითონაც წავიდა რძალთან და დარჩა ვითომდა ღამის გასათევად, ის კი არა, თურმე გადაეწყვიტა, როცა ყველა ძილში იქნებოდა, ნათელა გამოეპარებინა, მაგრამ ციცხვი ნაცარში ჩაუვარდა. ნათელას გაპარება როსაფის სახლობას შეეტყო და კაცები დაედევნებინა ასე, რომ ეზოს გარშემოვლით წინ შემოჰხვდნენ მამიდა ასმათს იმ დროს, როცა თავის დახრწევას აპირებდა. მამიდა ასმათს ის ხალხი ეგონა ქართლიდან მოსული მაყრიონი, რომელსაც მოელოდა, და ნათელა სიხარულით გადასცა როსაფის კაცებს. მამიდა ასმათი დარჩა ორნაირად პირში ჩალა გამოვლებული. ნათელაც წაუვიდა ხელიდან და მისი ხვედრი მამულიც ვერ ჩაიგდო.

მამიდა ასმათი დიდი ტიპია და შურის ძიების საქმეში ულმობელი, როგორც აღმოსავლელი ქალი, და მოთხრობა სამართლიანად ატარებს მის სახელს. მისი აკტიურობა არა ჩვეულებრივია, მაგრამ მიმართული ბოროტებისაკენ. მის ქველ მოქმედებას, კაცთ მოყვარეობას ასულდგმულებს თავმოყვარეობის, პირადი სარგებლობის და ბედნიერების გრძნობა. ამის გულისთვის ჰზრდიდა თავის ძმისწულს, ამის გულისთვის იცოდა ოთარის ცოლშვილის გაკითხვა.

რუხვი მგლის უმთავრესი გმირია ავთანდილ კვიმატაძე კუდა აზნაური, რომელსაც მზარს უმშვენებს სამსონ ჯიბიაშვილი, ორნივ ბოროტება, ერთი ბნელი, ხოლო მეორე განათლებული. პირველი იმით ირჩენდა თავს, რომ საწიოკე მთის გლეხების მტანჯველი, ამწიოკებელი იყო. ხსენებული მთის ტყის სარგებლობის წესს არღვევდა და თავისი პირ ჩამტვრეული ხმლით სხვების შემოკოდილ ხეს ხელახლა შემოჰკოდავდა, რომ დაესაკუთრებინა, რის გამოისობითაც გლეხებმა რუხვი მგელი უწოდეს. სამსონ ჯიბიაშვილი კი სწავლა განათლებით აკადემიელი ზნეობასთან ერთობ მწყრალად იყო და სადაც მსახურობდა, ან ქურდობდა, ან ქრთამს იღებდა.

სახაზინო პალატაში საკანცელარიო ნივთებს აჩანაგებდა, რისთვისაც უფროსმა კანცელარიის ვირთაგვა უწოდა და ბოლოს დაითხოვეს კიდეც. შამდეგ მაზრის გამგეობაში გადავიდა, მაგრამ იქაც წაიბორძიკა და დათხოვნილ იქმნა. ბოლოს ვექილობას მოჰკიდა ხელი და სასწორს იმისკენ გადაჰხრიდა, ვინც მეტს მისცემდა. 'საგრამ აქაც დამარცხდა, უწყალოდ დამარცხდა. ავთანდილ კვიმატაძეს მეტად დაბრიყვებული ჰყვანდა საწიოკე ტყის მოსარგებლე ბაანა, რომელიც კიდეც დაჭღუპა სამსონ ჯიბიაშვილის ვექილობის წყალობით. ავთანდილს გაუხარდა სასამართლოში გამარჯვება და სამსონ ჯიბიაშვილი დაიპატიჟა საწიოკე მთის ტბაში თევზაობაზე, რისთვისაც თადარიგი დაიჭირა და ბიჭი წინდაწინ გაჰგზავნა. მაგრამ ბაანას ვაჟებს არ ეძინათ. გადაეწყვეტათ შურის ძიება და სდარაჯობდნენ, როგორც ავთანდილს, ისევე სამსონს, და გამოვიდნენ ქვისროლიას როლში. ქვისროლია იმერეთში მავნე ჰგონიათ, როგორც ჭინკა. როცა სამსონ და ავთანდილ გზას გაუდგნენ, ბაანას შვილებიც აედევნენ და ქვების დაშენა დაუწყეს. სტუმარ მასპინძელი ორივენი შიშმა აიტანა და, როგორც იქნა, ავიდნენ ტბაზე. ბიჭმა ჟინეღილი მოამზადა, რომ მის სინათლეზე თევზი მოსულიყო და პირველი ბადის სროლა დასცალდა. დიდი თევზი მოჰყვა ბადეს, მაგრამ ბადის მეორეს გადასროლას რომ ემზადებოდა ბიჭი, დაშენილი ერთი ქვა ჟინეღილს მოჰხვდა და ჩააქრო. სიბნელეში გამოცვივდნენ ბაანას ვაჟები, ფეხქვეშ გაიგდეს, როგორც კვიმატაძე, ისე ჯიბიაშვილი და რაც სიგრძე ჰქონდათ, ის სიბრტყე მისცეს. ავთანდილის ცოლს, რომელიც დიდ სამზადისში იყო გამარჯვებული ქმრის და მისი ვექილის დასახვედრად, თავში საცემად გადაეცა წვეულება, რა ჰნახა ცოცხალ მკედარი ერთიც და მეორეც.

როგორც ვხედავთ ნაბატონართა კლასმა პარაზიტები წარმოშვა, როგორნიც არიან ავთანდილ კვიმატაძე და ოთარ, სამსონ ჯიბიაშვილი და როსაფ; არც შეიძლებოდა სხვანაირი განვითარება მისცემოდა ცხოვრებას, რომელიც უარ ჰყოფდა შრომას, გარჯას. ამის გამო ხსენებული საზოგადოებრივი კლასი მესვეურიც ვერ გამოდგა აღებ მიცემობისა და გ. წერეთელმა ამ საქმის თაოსნობა დაუღოცა მშრომელი ხალხის შვილებს და გადაადგმევინა პირველი ნაბიჯი ქართული კაპიტალის გასაჩენად. თვით მოთხრობასაც ამის გამო უწოდა პირველი ნაბიჯი, მაგრამ, საკითხავია, ავტორმა რად გაარჩია 'საქართველოს თემები და იმ თემებში ვაჭრობა მრეწველო-

ბის საქმეში უპირატესობა მიანიჭა მეგრელებს? აქაც ავტორი მოიქცა ისე. როგორც ცხოვრება უკარნახებდა. მეგრელი ყოველ ქართველზე უფრო გაჭრიახი და დამზოგველი ვაჭარ მრეწველია, მოჰვეჭის და შექუჩების მოყვარული. კიევის პროფ. ეღიაზარიანმა ძველი რეჟიმის დროს ტფილისის სომხურ ნორდარ გაზეთში მოათავსა წერილი სახელად **ძღვნად სომხის და ქართველ მოღვაწეებს**, რომელიც ვსთავრგმნე ქართულად და გამოვაქვეყნე გაზ. ივერიაში. პროფესორს ის აზრი აქვს სხვათაშორის გატარებული, რომ სომხების ჩარჩობა, რომელსაც ქართველები უჩივიან, აჩრდილი თუ ორის იმისა, რასაც წარმოადგენენ იმერლებიო. ასე ეძახიან დასავლელ ქართველებს სომხებიც და აღმოსავლელი ქართველებიც. მაშასადამე იმერლების, მათ შორის მეგრელების, ვაჭრული უნარი მეცნიერ სომეხსაც შენიშნული ჰქონია. რა იყო ის პირველი ნაბიჯი, რომელიც ქართველმა გლეხმა გადასდგა? ამ ნაბიჯის გადადგმა დაკავშრებულია ქართველი ხალხის ეკონომიური აღორძინების ისტორიასთან, როცა ქუთაის ფოთის რკინის გზის ლიანდაგი გაჰყვანდათ და ექსპორტიც გაჩაღებულიყო. საეკსპორტო ნედლი მასალა იყო უმთავრესად სიმინდი და კაკლის კუნძი, რომელსაც ეზიდებოდნენ სამზღვარ გარეთ. ბახვა ფულავა თავი და თავი გმირია პირველი ნაბიჯის. პატარაობისას მამის თხებს აძოვებდა და რაკი რკინის გზის ლიანდაგი ახლო იყო, შემთხვევა ჰქონდა გასცნობოდა მუშებს, რომელნიც ლიანდაგს აგებდნენ. მამა უშლიდა, მაგრამ პატარა ბახვა ბოლოს მაინც დაუახლოვდა მუშებს, რომელთაც იგი გააცნეს რკინის გზის ლიანდაგის ინჟენერს. ბახვა ინჟენერმა წაიყვანა ფოთს და ოჯახში იმსახურებდა, მაგრამ რაკი გამჭრიახი ახალგაზდა იყო, ინჟენერმა მუშების კანტორა ჩაბარა, რომ შაფათობით მუშებს გასწორებოდა.

ამ ახალმა გარემოებამ ბახვას ფული აშოვნინა სრულიად გაურჯელად. მუშების ნაოფლარისაგან ახერხებდა გამორჩენას. ფულის შეძენის მრუდე გზა ბახვას არ დაუგდია შემდეგშიაც, როცა იძულებული შეიქნა ინჟენერის სახლობა დაეტოვებინა სიყვარულის გამო, რომელიც მის ქალს და ბახვას ჰქონდათ. მოჰკიდა ხელი სიმინდის და კაკლის კუნძის ექსპორტის საქმეს და ქონება შეიძინა კონტრაბანდის წყალობით, თავისი ნაბატონარის თავფქვილაძის მამულიც ჩაიგდო ხელში. იმავ დროს გაეცნო სახლობას ერთი ლოთი რუსის ქვრივისას, რომელსაც ჰყვანდა ქალი ესმა, თავისი სილამაზით

განთქმული. ბახვა ესმასა და მის დედას მფარველად მოევლინა, როგორც პატიოსანი რაინდი და რაკი გული შეჰვარდნოდა ესმაზე. ბოლოს კიდევაც შეირთო. მაგრამ აქ ავტორს გამოჰყავს ორი ახალი პიროვნება. ერთია აზნაურიშვილი იერემია წარბა, რომელიც საბაჟო პოლიციაში მსახურებს და თავისი ინსტიკტებით ძლიერ მოგვაგონებს ასმათის შვილობილს ოთარს (მამიდა ასმათი). იერემიასაც თვალი ეჭირა ესმაზე, რომელიც არ იყო მისი თანამგრძნობელი, მაგრამ გამხეცებულმა ბოლოს იმსხვერპლა ესმა და მართლ მსაჯულებას დაემალა. მეორე პიროვნება არის კნიაენა ვალიდა, რომელსაც მართვა გამგეობის წარმომადგენლებთან დაახლოებული ურთიერთობა აქვს, ჩალიშობს თავისი სილამაზის წყალობით და დამნაშავეს ზოგს ათავისუფლებინებს, ზოგისთვის კიდევ დანაშაულს ამსუბუქებინებს. ეს ვალიდა იყო იმის მიზეზი, რომ იერემია წარბა თავისუფლად დადიოდა, მაგრამ ბახვა ფულავამ თავისი სახლობის დამლუპველს თვითონვე გაუჩინა სიკვდილის სასჯელი.

ფულავა, წარბა და თავფქვილაძე, ისევე, როგორც კვიმატაძე და ჯიბიაშვილი (რუხი მგელი) ისეთი გვარებია, რომ მკითხველი წინასწარ ჰგრძნობს მათი ხასიათის ვითარებასა. ფულავა ფულს აქუჩებს, წარბა მხეცური ინსტიქტების მატარებელია, სქელი წარბიც მისი სიმბოლოა, როგორც ხალხს ჰგონია და წარბას მოქმედებაც ამართლებს, თავფქვილაძე კიდევ ისე გადაგვარებულა, რომ უტეინო არსებას წარმოადგენს ძველი ბატონი და მტარვალი. ბახვა ფულავა იყო პიონერი დასავლეთ საქართველოს კაპიტალიზმისა, მაგრამ სოლომონ ისაკიჩ მეჯღანუაშვილის შთამომავალი ბურჟუაზიის ბედი ბახვა ფულავას შთამომავალ ბურჟუაზიასაც ეწია და ორნივე გაიჩანაგა სოციალიზმის გამარჯვებამ, თუმცა უკანასკნელი ხნით უფრო ახალგაზდა იყო.

§ 43. **რაფაელ ერისთავმა** (1824 — 1901) ქართველ პოეტებში ყველაზე უფრო გვიან იპოვა თავისი ხვედრი. ალ. ჭავჭავაძის არ იყვეს, ისიც გაიტაცა ეროტიზმმა და თუმცა მისი ყოფის საბუთი არ მოუცია ჩვენთვის, როგორც ალ. ჭავჭავაძეს, მაინც უკვდავ ჰყო თავისი ეროტიზმი ერთი ლექსით, რომელსაც დღესაც ჰმღერის ხალხი და რომელიც იწყება ასე: **რად შემიყვარებ, განა არ ვიცი, შენ ჯენ ნორჩი ხარ, მე კი მოხუცი,** რითაც იხატვის მოხუცის ტრფობა ახალგაზდა ქალისადმი, რომელიც გაურბის. როგორც იმავ ლექსის შემდეგი ტაეპი ცხად ჰყოფს, პოეტი მაშინ ორმოცდა ათი წლის

ყოფილა. მაგრამ რითაც თავმოსაწონებელია ჩვენთვის რაფ. ერისთაური, იგია ჭირვარამი მშრომელი ხალხისა, რომელიც არანაკლებ უბედურებაში შთაცვივდა, ვიდრე მაშინ, როცა ბატონყმობის უღელი ედგა. როგორც ვიცით, საქართველოში საბატონო მიწები ბატონ ყმობის ინსტიტუტის გაუქმებისთანავე სახელმწფომ ვერ გადასცა გლეხობას და შეიქნა ერთგვარი მდგომარეობა გლეხთა დროებითი ვალდებულებისა, რომელიც მოითხოვდა, რომ გლეხს პატრონის მამულში მცხოვრებს და მოსარგებლეს, ეძლია მისთვის ღალა. რუსეთში ასე არ ყოფილა. იქ გლეხი სამკვიდრო მამულიანად განთავისუფლდა და დაარსდა მისთვის მზრუნველი ერობა, რომელიც სოფელს აწვდიდა სკოლასაც, აფთიაქსაც, აბანოსაც, კაი ჯიშის საჭონელსაც, მიწის დასამუშავებელ იარაღსაც და სხვა მრავალ სიკეთეს, რომელიც მოაღონიერებდა გლეხს ცხოვრებასთან საბრძოლველად. საქართველოში ერობის შემოღება ხალხს არ აღირსეს. ცარიზმის მოხელე დამქაშები, რომელნიც განაგებდნენ ჩვენი ხალხის ბედს, მიზეზად ასახელებდნენ იმას, ვითომც ჩვენი ხალხი ველური იყო და ერობას ვერ გამოიყენებდა. ნამდვილად კი მათი გულისწუხილი ის იყო, რომ საქართველო უცხო გვარ ტომის ხალხის სამკვიდრო იყო, საკუთარი ძველის ძველი კულტურის მქონებელი და ერობის შემოღებას მოჰყვებოდა მისი ხალხის ეროვნულ კულტურული აღორძინება, რაიც სასურველი არ იყო გამარუსებელი პოლიტიკის ხელმძღვანელი იმპერიალისტებისათვის. ქართველი გლეხი, როგორც ვითომც თავისუფალი მოქალაქე, ვალდებული იყო ეგრეთვე, თავს ედო ყოველი ხარჯის გასტუმრება, რაც იყო საჭირო სახელმწეფოსათვის, სკოლის იქნებოდა, ეკლესიის, თუ სოფლის ადმინისტრაციისა. გლეხის და მემამულის ურთიერთობის მოსაწესრიგებლად ახალი თანამდებობაც დაარსდა, ე. წ. მომრიგებელი შუამავლისა, მაგრამ გლეხი მაინც იტანჯებოდა. აკ. წერეთლის თქმით, გლეხს ყელზე შემოეჭირა ღვლერჭი, რომლისაც ერთი ბოლო ეჭირა მემამულეს, ხოლო მეორე მომრიგებელ შუამავალს და ორნივე თავთავისკენ ეწეოდნენ. გლეხს ნამდვილად ჰყვანდა სამი ბატონი მემამულე, სახელმწიფო და ჩარჩი, რომლისაც სათარეშო შეიქმნა სოფელი, სადაც ბატონ ყმობის დროს თვით ბატონი თარეშობდა. არავინ მზრუნველი და დამხმარე, გამომრთმევი და დამბრიყვებელი კი უმწეო გლეხს ჰყვანდა მრავალი, რომელთაგანაც თვითეული ცალკე თავისებურად ატყავებდა. ნათქვამია ორ ცეცხლ შუა, მაგ-

რამ ჩვენებური გლეხი ორ კი არა, მრავალ ცეცხლ შუა იყო მომწყვდეული. მისი წვითა და დაგვით ცხოვრება გაიხადა რაფ. ერისთავმა საგნად თავისი ლირიკისა, რომელიც უპირატესად გლეხურია და აღბეჭდილი წარმტაცი ფორმით და ღრმა გრძნობით, თითქოს მოჩუხჩუხე ნაკადული იყვეს. ჩვენი პოეტის გლეხური ლირიკის გამომხატველია შემდეგი ლექსები: **სნეული ოჯახი, თანდილას დარდი, დედაბრის მოთქმა, ბერუას ჩაფიქრება, მოხუცი ხიზანი ყმაწვილ მებატონეს, სესიას ფიქრები, ბერუას ჩივილი, მამითადი** და **ხამშობლო ხევსურისა.** მშრომელ ხალხს გაკვირვება მრავალი ადგას. გლეხის ცოლი ჰკვნესის, რომ ქმარშვილი, დედამთილი ავად გაჰხდომია და არავინა ჰყავს პატრონი არც ექიმი, არც უბრალო წყლის მიმწოდებელი, დედაბერი კიდევ მოსთქვამს მარჩენალი შვილის სიკვდილსა ასე, რომ უმწეოდ დარჩენილმა უნდა იტიროს თავისი შავი ბედი. გლეხი დარდს მოუცავს, რადგანაც გიშერა მოჰკდომია და ცალი ხარი ვერ უშოვნია, რომ მიწა მოხნას. გლეხმა არ იცის, რით გამოჰკვებოს ცოლშვილი, რადგანაც სეტყვამ გაუფუჭა შემოსული ყანა, მამულის პატრონი კი ღალას სთხოვს. გლეხი ჩაუფიქრებია ეგრეთვე იმ გარემოებას, რომ მიწას ჰქირაობს, სასყიდელი გაჰხდომია. მიწა რომ ჩემი საკუთრება იყვეს, ეეღარაფერი დაგაღონებსო, ამბობს. მოხუცი ხიზანიც სწუხს მის გამო, რომ მამა პაპიდან ცხოვრებს მებატონის მამულში, ხოდაბუნს უხნავს, უმკის, შეშას უზიდავს, სძღვნობს, ახალგაზდა მებატონე კი ჩასცივებია მაინც, უნდა აიყარო და წახვიდეო. მოხუცი ხიზანი სატანჯველშია, არ იცის, სად წავიდეს ბედკრული, სად წაასხას ჯალაბი, ბალღები, კრუხ-წიწილი. გლეხი სჩივის მის გამო, რომ ჰხნავს, სთესავს, ებრძვის მიწას, შრომა კი ფუჭია, რადგანაც მიწის პატრონი იმას სწიწკნის, ჭინჭველაც მისი მტერია და ყველა იმას შეჰყურებს მოხელე, მღვდელი და ერი. იმას ჩამოჰკიდებია კიდევ მამასახლისი, გზირი. რიგისთვის აღებული ფული ემართა გეო ვაჭრისა. თავნში პურ ღვინოს დასჯერდა გეო, ვახშში კი ფული გამოართვა. მაგრამ გეო ვაჭარმა მეორედ მოსთხოვა ვალი. ნათლია მამასახლისმა ერთ თუნგ არაყში გასცვალა. არ შეარჩინეს გოჯი, ქათამი, წიწილა, კვერცხი. გეო მის სახლში ნავარდობს, როგორც ქორი, ხოლო არყისგან გამტყვრალი გზირი ღორივით გორაობს. ამას ჰხედავს გლეხი, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. გლეხობას ერთი კარგი ჩვეულება აქვს. მარტოხელა მცხოვრებს ხვნაში და მკაში ეხმარებიან ერთობილი შრო-

მით, რომელსაც მამითადი ეწოდება. პოეტს აუწერია თინიას მამითადი. თინიას მოუხნეს ერთი დღის მიწა, მოთესა ჩამოთხოვნილი ხორბალი, რომელიც ზღვად გასკდა, მაგრამ გულს უწუხებს, რომ მომკალი არა სჩანს. დაელრიჯა სოფლის ბიჭებს, რომელნიც დილა ადრიან მოედებიან ქვრივის ყანას და მოუმკიან. თინია მასპინძლობს მამითადს და ღვინის მაგიერ ცივ წყალს უზიდავს. ასეთი ჩვეულება, რომელიც პირვანდელი სოციალიზმის ნაშთია, გლეხობას უმსუბუქებდა ტვირთს, რომელიც მძიმედ აწვა, მაგრამ მამული, რომელსაც გლეხობა თავისი ოფლით ჰნამავდა, იმდენად საყვარელი იყო, რომ საზოგადოდ არავინ იმეტებდა დასატოვებლად არც დროებით ეალდებული გლესი, არც ხიზანი, არც კიდევ მთის შვილი, რომელიც სხვა ქვეყნიზ სამოთხეშიაც არ გასცვლიდა თავის ხრიოკ სამკეიდროსა.

რაფ. ერისთავის გლეხი შეგნებულია, იცის, რომ სხვისია მიწა, რომელიც მისთვის საკუთრებად სანატრელი გამხდარა და რომ მისი ნაოფლარი სხვას მიაქვს. მაგრამ ვერ მოუშორებია თავიდან თავისი გაძაუბედურებელი მიზეზი. მშრომელი გლეხობა გარევოლუციონერდა მას აქეთ, რაც მისმა ერთმა ნაწილმა ქალაქში დაიწყო მუშაობა ფაბრიკა ქარხნებსა და სახელოსნოებში. რევოლუციონური გრძნობის არა ნაკლები შემტანი სოფლის მშრომელთა მასებში იყო და შეიძლება ეხლაც იყვეს კავშირი, რომელიც ქალაქელ მუშებს სოფელთანა აქვთ.

თავი XI

§ 48. ალექსანდრე ყაზბეგის (1848 — 1893) გამოსვლამდე სალიტერატურო მოღვაწეობის ასპარეზზე, საქართველოს მთა შეუსწავლელი იყო ქართველ მწერალთაგან. ყველაზე უფრო დაახლოებული კუთხე მთასთან კახეთია, მაგრამ არც იქაურ მწერლებს გაუცნობებიათ ჩვენთვის მთა, რომელიც საქართველოს ყველაზე უფრო საღი ნაწილია და მისი ხალხი შემნახველ დამცველი ძველისძველი ტრადიციებისა კულტურის ყოველ სფეროში. მთა სცხოვრებდა თემობრივი რეუმით, რომელიც მოითხოვდა მთის შვილებისაგან ყველაფერს საერთოს ჭირშიაც ლხინშიაც. რაკი მთა დაუსერია ხევებს და ხევის ნაპირას ხალხი მოსახლეობდა, ყოველ ხევს ჰყვანდა თავისი ხევის ბერი, რომელიც ხევისთვის ყველაფერი იყო ლაშქრო-

ბის დროს ლაშქრის წინამძღოლი, ხოლო მშვიდობიანობის დროს მსაჯული. თემი მისი თავმჯდომარეობით არჩევდა საქმეებს და თემის დადგენილების ყოველი დამარღვეველი თემიდან განიდევნებოდა. როგორც სასულიერო პირი ხალხს ამწყალობებდა ხატისა და ჯვარის წინაშე წარმათულ ქრისტიანული ლოცვითა, ხატობას და ლუდის ხარშვის დროსაც იგი იყო უფროსი.

ცარიზმის დიდმპყრობელური რეჟიმი მოითხოვდა რუსთ ხელმწიფობის გაერცელებას მთაშიაც ისევე, როგორც საქართველოს ბარში მისი შემოღებით მოსპეს დამოუკიდებელი პოლიტიკური ცენტრები და ქართველი ხალხი ლიხთ იქით და აქეთ შეეკრეს ბიუროკრატიულ პოლიციური რეჟიმით. ისტორიულ საქართველოს დროსაც მთა დამოუკიდებელი იყო თავის შინაგან ცხოვრებაში და მხოლოდ ომიანობის დროს სახელმწიფოს აძლევდა ლაშქარსა. აი ამ მთასაც დაუპირეს დიდ მპყრობელურად ცხონება და ბიუროკრატიულ პოლიციური რეჟიმი მოახვიეს თავზე. ბუნებრივი იყო, რომ ჩვენს მთასაც გამოელო ხელი თავისი თემობის დასაცავად, მაგრამ ისეთი ძლიერი აჯანყება ვერ მოახერხა ცარიზმის მძვინვარე რეჟიმის წინააღმდეგ, როგორც ლეკეთ ჩაჩნეთმა, რომელიც მთის არწივის შამილის წინამძღოლობით თითქმის ნახევარ საუკუნეს ებრძოდა, ვიდრე ქართველმა ლაშქარმა ქართველ ოფიცერთა ხელმძღვანელობით 1844 წ. არ შეიპყრო შამილი. ვინც იქნებოდა ამ რეჟიმის წარმომადგენელი მთაში რუსი, თუ ქართველი ორნივე ერთნაირად არა სასურველნი იყვნენ და ზოგჯერ შეტაკება მათ შორის სისხლის ღვრითაც თავდებოდა, რადგანაც მთის ხალხი არ სთმობდა თავისუფლებას და თავზე მოხვეულ რეჟიმს არ სცნობდა. ვინც კი გადაურჩებოდა რუსი მთაში სამსახურს და ცოცხალს მოუხდებოდა სამშობლოში დაბრუნება, ცუდ აზრებს ავრცელებდა საერთოდ მთიულთა და კერძოდ ქართველთათვის. რუსთ საზოგადოებაში, რასაკვირველია, ლეკ ჩაჩანთ აჯანყების გაელენითაც, მთის ხალხი წარმოიდგინეს, როგორც სისხლის მსმელი, რომელიც იარაღის ლესვაშია სადმე მაღლობზე მდგომი, რომ გამვლელ გამომვლელი სძარცვოს. კაცობრიულ იდეალებს კი მთას, როგორც ველურ ნადირი ხალხის ბუდეს, ვინ მიჯშავებდა? სამწუხარო ის იყო, რომ ასეთ შეხედულებას მხარს უჭერდა რუსული, როგორც პოეტიური შემოქმედება, ისე კრიტიკა. ამოცანა, რომელიც ალ. ყაზბეგს წინ ედო და მას შემდეგ ვაჟა ფშაველასაც, დიდი იყო. მათ თავიანთი სამწერლო

მოღვაწეობით უნდა გაებათილებინათ უსაფუძვლო, უსამართლო ძრახვა, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთის შვილებს სისხლის მსმელ ავაზაკებად სთელიდა და მთაში ეპოვნათ ხალხის სულთა სწრაფვა, რომელიც კაცს აკეთილშობილებს, ძმობის, ერთობის, თავისუფლების იდეალები, რომელიც ყოველ კულტურასან ხალხს ასულდგმულებს.

ალ. ყაზბეგს, რომელიც თავის თავს მოჩხუბარიძესაც უწოდებდა, მრავალი აქვს ნაწერი, მთის ცხოვრების გამომხატველი, მაგრამ იმ დროსვე, ხშირია ერთფეროვნება, რაიც შემოქმედების ნაკლია და კრიტიკოსმა ი. მეუნარგიამ აღნიშნა თავის დროს. ამის გამო ავტორის ნიჭის გასაცნობად მთის ხალხის ყოფაცხოვრების დასახასიათებლად შემოვიტანეთ მისი სამი მოთხრობა ელისო, მოძღვარი და ხევის ბერი გოჩა. პირველი გვიხატავს ცხოვრებას ლეკ-ჩაჩნებისას, რომელნიც მამულის თავისუფლებისთვის იბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ და დამარცხდნენ, მეორე გვაძლევს საქართველოს მთის ცხოვრების სურათს, როცა იქ ახალი ატანილი იყო ბიუროკრატიული პოლიციური რეჟიმი, მესამე კი არის ისტორიული მოთხრობა XVII საუკუნის ცხოვრებისა, როცა ყოველად ძლიერი ნუგზარ, არაგვის ერისთავი ებრძოდა ქართლის მეფეს და სცდილობდა მთა გადაებირებინა.

ელისოს უმთავრესი გმირებია თვით ელისო, ანზორა ნაიბის ქალი, ანზორა ნაიბი და ვაჟია. ცარიზმის აგენტებისაგან ანზორა, როგორც მთელი ოლქის ნაიბი, პატივცემულ, აღზევებულ იქმნებოდა რუსთ ხელმწიფის სამსახურში, მაგრამ მიემხრო ხალხსა და იბრძოდა მისი თავის უფლებისათვის თავის ორ ვაჟთან ერთად, რომელნიც ემსხვერპლნენ მამულის და ხალხის თავისუფლების დაცვის საქმეს. დამარცხებულ ლეკ ჩაჩნებს გამოეცხადათ, ვინც დარჩებოდა რუსთ ხელმწიფის საბრძანებელში, დანაშაული ეპატიებოდა, ხოლო ვისაც არ უნდოდა დარჩენა, უნდა გადასახლებულიყო. გადასახლებას აყრილი ლეკ ჩაჩნები აპირებდნენ ოსმალეთს, რადგანაც იქ ეგულებოდათ ერთ მორწმუნე ფადიშა, რომლისაც მიწაწყალზე სიკეთილი მათი საოცნებელი გამხდარიყო. ანზორა არც ეხლა ჩამოჰრჩა ხალხს და ისიც თავისი ერთადერთი ქალით ელისოთი აიყარა და თავისი ბარგით დატვირთულ ურემს გაუძღვა, აყრილებს გარს ერტყნენ ალყად ჯარის კაცები, რომელნიც, როგორც ტყვეებს, ისე მიერეკებოდნენ და ზოგჯერ უდიერადაც ეპყრობოდნენ. აყრილნი ერთი მთის ძირში ჯერ დაბანაკდნენ, გააჩაღეს აქა იქ ცეცხლი და შე-

ჭამადის მზადებას შეუდგნენ. ზოგნი ცეცხლს შემოსხდომოდნენ და გულსაკლავად ჰმღეროდნენ. მხოლოდ ანზორა უდგა დარაჯად თავის ურემს, ბიბლიური ტიპის მოხუცი ახოვან იერიანი, რომელსაც ხელი ამაყად ედო ხანჯალზე. მისი ქალი ელისო კი შორი ახლოს რუს პირად იჯდა და საგონებელში ჩავარდნილიყო. მიზეზი ის იყო, რომ მისი გული ეკუთვნოდა ქართველ ვაჟიას და არ იცოდა, ვინ დაეთმო ვაჟია, თუ მამა. რომელსაც ვაჟია, როგორც ქრისტიანი და ლეკჩაჩანთ წინააღმდეგ მებრძოლი ხალხის შვილი, სიძედ არ უნდოდა. ვაჟია ცხვარს აძოვებდა ელისოს მამის ადგილში და ამ შემოსვლის წყალობით გასცნობოდნენ ერთმანერთს ელისო და ვაჟია და სიტყვაც მიეცათ ერთმანერთისათვის. როცა ანზორა ელაპარაკებოდა, ვაჟია თავს წაადგა მამაშვილს. ანზორამ უარი განუცხადა ვაჟიას, ქალს ვერ მოგათხოვებო. ვაჟიას თავზარი დაეცა ასე, რომ თოფის ჩახმახი შეაყენა და თავის მოსაკლავად გაისროლა, მაგრამ ანზორამ იმ წუთსვე ხელი აუკრა და ტყვია ასცილდა ვაჟიას. ამ გარემოებამ ისინი დააახლოვა. ანზორამ და ელისომ გადასწყვიტეს დარჩენა, ხოლო ვაჟიამ თავს იდო შუამდგომლობა კავკავში უფროსის წინაშე, რომ აყრილთა სიაში ამოეშალათ ანზორა და მისი ქალი ელისო, რომელნიც დარჩენას აპირებდნენ რუსთ ხელმწიფის საბრძანებელში. მაგრამ უფროსმა ქართველობა ცუდად მოიხსენა. ვაჟიამ ვერ აიტანა შეურაცხყოფა ქართველი ხალხისა და რუსულად პასუხი გასცა. სახტად დარჩომილი უფროსი გაცხარდა და ბრძანა ვაჟიას გამათრახება; ვიდრე მართახს გამოიტანდნენ, ვაჟია გავარდა სარკმელში, მოახტა იქვე დაბმულ ცხენს და მოჰქუსლა. ყაზახები დაედევნენ, მაგრამ ვერას გაჰხდნენ, ვიდრე ვაჟია, ანზორა და ელისო ლარსის ხეობაში გავიდოდენ. იქ კი დაეცნენ ჩასაფრებული ყაზახები და სამნივე ამოჰხოცეს.

ზემოხსენებული გმირები, რასაკვირველია, ნადირ ხალხად არ ჩაითვლებიან. როცა ვხედავთ ანზორას, ხალხის გაჭირების მოზიარეს, მგმობელს პატივდიდებისას, რომელიც რუსთ ხელმწიფისაგან მიენიჭებოდა, თუ მის მხარეზე გადავიდოდა, და ხალხთან ერთად მისი თავისუფლებისათვის მებრძოლს, ვიდრე თავისი ორი ვაჟის შეწირვამდე თავისუფლების საკურთხეველზე, როცა ვხედავთ ვაჟიას მშობელი ხალხის სახელისა და პატიოსნების დასაცავად თავგამოდებულს, ელისოს კიდევ მამისა და მიჯნურის სიყვარულის ორ ცეცხლშუა მგზნებარეს, — უნებურად ვიხიბლებით მათი გმირობის,

მათი უაღრესად რაინდული სულთა სწრაფვისაგან და ეგრძნობთ ზნეობრივ გარდაქმნას, ჩვენ, რომელნიც ერთობ გაუფლიდებივართ ბარის ციკილიზაციას. ალ. ყაზბეგმა ელიხოს დაწერით გამოისყიდა ის დანაშაული, რომელიც ვაჟიას მშობელმა ქართველმა ხალხმა ჩაიდინა ანზორასა და ელიოს სამშობლოს წინაშე 1844 წელს შამილის შეპყრობით და მით ცარიზმს გაამარჯვებინა.

მოძღვრის უმთავრესი გმირებია თვით მოძღვარი ონოფრე განდეგილად მცხოვრები, მაგრამ ნამქერისაგან დაოსებულ მგზავრთა მეშველი, ფასანაურის დიანბეგთან მყოფი იასაული გელა, მაყვალა და ონისე. მაყვალას მოსწონდა ონისე, მაგრამ მამამისს, რომელიც ლოთობით განთქმულ იყო, დაუახლოვდა გელა ისეთივე ლოთი და ზნეობაზე ხელაღებული. გელა მთის კვალობაზე შეძლებულ კაცად ითვლებოდა, ცოტა რუსული ლაპარაკიც ესწავლა და მაყვალაზე თვალი ეჭირა. მაყვალას მამამ გელა სიძედ მოიკიდა, მაგრამ მაყვალას და ონისეს დაშორება მაყვალას გათხოვებითაც შეუძლებელი გახდა. თემმა დაადასტურა მაყვალას გათხოვება გელაზე, კანონის ძალითაც მაყვალა იძულებული შეიქნა დარჩენილიყო გელასთან, რომელიც არ უყვარდა. ბოლოს მაყვალასთან ერთი შეხვედრის დროს ონისე დარწმუნდა, რომ მაყვალას ისევ უყვარდა და გადასწყვიტა მისი გატაცება. გელამ შეიტყო და ონისესთან მოუხდა შეტაკება. ონისე დაიჭრა, ხოლო მაყვალა გაჰშორდა გელას. მაყვალა დახეტიალებდა სოფლის გარეთ, ვიდრე ონოფრე მოძღვართან არ შეაფარა თავი. ონოფრე, მართალია განდეგილად სცხოვრებდა სოფლის მოშორებით, მაგრამ ილ. ჭავჭავაძის განდეგილი და ონოფრე ძლიერ განირჩეოდნენ ერთმანერთში ცხოვრების რეჟიმით. ონოფრე სოფლის დახმარებას არ იშლიდა და მგზავრებს ზოგჯერ პატივს სცემდა. ერთი გაწვრთნილი ძალლი ჰყვან და და მისი შემწეობით პოულობდა ნამქერისაგან გაჭირვებულ მგზავრებს და შინ მიჰყვანდა, რომ მოესულიერებინა. მაყვალაც სწორედ ასე იპოვა ონოფრემ, შინ წაიყვანა და მამაშეილეული დაჭრილი აღმოუჩინა. ბოლოს ბალახებისაგან წამლის კეთებაც ასწავლა. მაყვალამ თავისი თავგადასავალი ყველაფერი უამბო ონოფრეს. მაგრამ ერთხელ როცა ონოფრე შინ არ იყო, ვიღაცას გამოსროლილი ტყვია მოჰხვდა მაყვალას და მოჰკლა. ონოფრემ ბოლოს შეიტყო ონისესაგან, რომ იგი იყო მაყვალას მკვლელი, მაგრამ არ გაუცია. ხელისუფლებამ მაყვალას მოკვლა დაუბრალა ონოფრეს, რომელიც

დაიპირეს და გადაუწყვიტეს გადასახლება. საქმის მეორედ გამოძიებამ ოსოფრე გაამართლა, მაგრამ გვიანღა იყო. ონოფრე მომკვდარიყო. გელა შურის ძიების გრძნობამ შეიპყრო იმ დროს, როცა თემი მეორედ არჩევდა მაყვალას მოკვლის საქმეს, ხანჯლით მოჰკლა ონისე, მაგრამ ხალხმა გელა ჩააქვავა.

ონისეს მაყვალას მოკვლამ თავზარი დასცა, მაგრამ იმისი მოსაზრება მაინც შეჰრჩა, რომ თავისი სატრფოს საფლავი ყვავილებით შეემკო. ნათქვამია დათვს მეტის მეტი სიყვარულისაგან ბელი შემოაკვდებაო და ონისესაც ისე დაემართა. მოერია სიყვარულის სიცოფე და ბოლო მოუღო თავის სატრფოს, რომ სხვას არ ჩავარდნოდა ხელში. ონოფრე გაიდეალიზებული ტიპია და მოგვაგონებს შვეიცარიის სენგოტარდელ ბერებს, რომელთაც გაწვრთნილი ძაღლები ჰყვანან თოვლიან მთაში გზა დაბნეული მგზავრის საძებნელად.

ხევის ბერი გოჩა თავი და თავი გმირია ისტორიული მოთხრობისა, რომელიც იმავ სახელს ატარებს. თემმა იცოდა, რომ ნუგზარ ერისთავი ებრძოდა ქართლის მეფეს და სცდილობდა მთის ხალხის გადაბირებას. თემის ყრილობაზე, რომლისაც თავმჯდომარედ იყო თვით ხევის ბერი გოჩა, მის ვაჟს ონისეს მიენდო დარაჯობა იმ გზისა, საიდანაც შესაძლებელი იყო ნუგზარ ერისთავის ხალხის შემოსვლა. მაგრამ ონისეს შეემთხვა ერთი საქმე, რომელმაც სახელი გაუტეხა. ერთი ნაცნობი ქალის ძიძიას ქორწილში იყო ხელის მომკიდედ, რომლისაც მოვალეობა იყო დასწრებოდა პატარძლის მორთვას და წაეყვანა ეკლესიაში. ძიძია მოსწონდა ონისეს, მაგრამ არც თუ ქალი იყო გულგრილად მასთან. ონისემ ქორწილში თავისი საქციელით ეპვი ააღებინა მამას გოჩას ასე, რომ გოჩა აფრთხილებდა, გორი არ შეარცხვინოო. მაგრამ სწორედ იმ გზით, რომლის დაცვაც თავს ედო ონისეს, გამოიარა ძიძიამ და მოხდა მათ შორის პაემანი. ონისე გაერთო ძიძიასთან ალერსში და ნუგზარის ხალხმა დრო იხელთა, რომ მთაში შესულიყვნენ. ონისე უნებურად შეიქმნა თემის მოღალატე, მაგრამ თემმა მისი ღალატი ახსნა, ახალგაზდა კაცი გულს აჰყოლიაო, მაშასადამე განზრახულ ღალატად არ მიუჩნეია. ონისემ თავისი დანაშაული გამოისყიდა იმით, რომ ნუგზარის ხალხთან ბრძოლაში კიდეც ისახელა თავი, მაგრამ გოჩა ხევის ბერმა საქმეს სხვა ნაირად შეჰხედა და თვითონ გაუჩინა თავის ვაჟს სიკვდილის სასჯელი ხანჯლის გულში ჩაცემით. ასეთი მოქმედებისაგან თავზარდაცემული გოჩა ჭკუაზედ შესცდა და გაიჭრა სოფლის გარეთ.

თემის დადგენილების დამარღვეველად თვით ხევის ბერი გამოდის. გოჩას ვერ წარმოედგინა, რომ თემი აპატიებდა ღალატს, ვინც უნდა ყოფილიყო და ეკვის თვალით შეეხედა მის დადგენილებას, რომელიც თავისი პიროვნებისადმი პატივისცემით ახსნა. ონოფრეც ასევე მოიქცა მაყვალას და ონისეს საქმეში (**მოძღვარი**). ონისე არ გაუცია ონოფრეს, როგორც მაყვალას მკვლელი იმის გამო, რომ მაყვალას და გელას ქორწინება უსამართლო ეგონა, ხოლო მაყვალა მსხვერპლი იმ უსამართლობისა.

§ 50. **ვაჟა ფშაველა** (1861 — 1894) მთის მგოსანია ისევე, როგორც ალ. ყაზბეგია მთის მემატიანე. გრძნობა, რომელიც ალ. ყაზბეგის ნაწერებში ზღვად არის გამსკდარი, ვაჟა ფშაველას პოეზიაში შემკიდროებულია, რადგანაც შაირობა მოითხოვს, რომ გრძელი სიტყვა მოკლედ ითქვას. დიდი ხელოვნება არის პოეტისთვის საჭირო, რომ გულითა სთქვას, რასაც იტყვის და რასაც გრძნობის მორევში ამოჰკრეფს, ის მარგალიტები ისე შეაწყოს, რომ ხელის ხელ საგოგმანები იყვეს. ვაჟა ფშაველა ამ მხრით ძნელი მისაბაძია, როგორც მთის შვილი, და შეიძლება წოდებულ იქმნეს მთის გულის მესაიდუმლედ. ვაჟამ თავისი კალამი სცადა ეგრეთვე, როგორც სადა მსიტყველმა, და მის ასეთ ნაწერებში შესანიშნავია **მშვლის ნუკრის ნაამბობი**, რომელიც მოგვაგონებს ფრანგის მწერლის ალფონს დოდეს **კაკბის ნაამბობსა**. ამას ვაჟამ მოაყოლა, რაიც მისი შემოქმედების სისუსტედ უნდა ჩაითვალოს, სხვა სიმბოლიური ნაწერები ზოგი სადა, ზოგი შაირ სიტყვად, რომლისაც უმთავრესი აზრი ის არის, რომ ბუნება მშვენიერია თავისი მრავალფეროვნებით, იმ ფერთა კონტრასტებით, სადაც ვარდთან ერთად პატარა იაც. არის და სადაც ზღვასთან ერთად პატარა წყაროც არის. ბუნების წიაღში დიდი და პატარა თანხმობით სცხოვრებს და პატარას დიდთან ეცხოვრება, ორთავ მხვედრი თავის მაშვენი მიჰნიქებიათ ბუნებისაგან. **მშვლის ნუკრის ნაამბობის** დაწერით ვაჟამ ილ. ჭავჭავაძის შემდეგ, ნაბიჯი გადადგა, რომ განეგრძო შექმნა ახალი ხელოვნური სადა სიტყვისა, მაგრამ მისი განვითარება ჯერ კიდევ მომავლის საქმეა.

ვაჟა ფშაველას პოეზიის დასახასიათებლად კმარა მოვიყვანოთ სამი პოემა **გოგოთურ და აფშინა**, **ალუდა ქეთელაური** და **ბახტრიონი**, სამივე მთის ხალხის ზნეჩვეულების გამოხატველი იმ განსხვავებით, რომ **ბახტრიონი** აგვიწერს მთის ხალხის გალაშქრებას წინა-

აღმდეგ თათრებისა, რომელნიც ბატონობდნენ კახეთში და გამაგრებულ იყვნენ ბახტრიონის ციხეში. გოგოთურ სახელოვანი გმირია, რომელიც ომის დროს სხვა ჯარის კაცებთან ერთად იბრძვის, ხოლო მშვიდობიანობის დროს მთას არ ჰშორდება, თუმც ბარად ეპატიჟება ხელისუფლება. მაგრამ საუბედუროდ ცოლი ჰყავს შურიანი და თვალხარბი. აჰხირებია ქმარს, როგორი ფალავანი ხარ, სხვა ქალები თემობა'ში ჩემზე უფრო კარგა ჩაცმულები გამოდიან, აი თუნდ აფშინას ცოლი, წადი, შენც საშოვრად, რომ ჩავიცვა დავიხურო. აფშინა იყო ყაჩაღი, რომელიც გამვლელ გამომვლელს სძარცვავდა და იმით არჩენდა ცოლშვილსა. რაკი ცოლი არ ეშვებოდა, გოგოთური ადგა და გავიდა, ვითომც საშოვრად. გზაში შემოჰხვდა აფშინა. ეწყვნენ ერთმანერთს ფალავანი და ყაჩაღი. გოგოთურმა ჯერ უძლურად მოაჩვენა თავი აფშინას, რომელსაც გაამარჯვებინა, მაგრამ ბოლოს დაამარცხა აფშინა, რომელიც შეიქმნა მისი ტყვე. გოგოთურს შეეძლო თემის ჩვეულებისამებრ ბოლო მოეღო თავისი მოწინააღმდეგისათვის, მაგრამ ასე არ მოქცეულა. დაუბრუნა იარაღი და დაიმეგობრა, დაიძმობილა. დაძმობილების ნიშნად ხანჯლის ვერცხლის წვეტს ჩაფხიკეს ვერცხლი არაყში, რომელიც მერმე შესვეს. გოგოთურის ამ უჩვეულო საქციელმა აფშინა სულიერად გარდაჰქმნა. შედგა ხევის ბერად და ამწყალობლებდა ხალხს, რომელსაც სძარცვავდა. გოგოთურ ნამდვილი ფალავანია. კეთილშობილება და პატიოსნება ახასიათებს იმის ბუნებას. ვერ ეგუება თემის ისეთ ჩვეულებას, რომელიც კაცთ მოძულეობას ემყარება.

ესეთივე არის ალუდა ქეთელაური, უმთავრესი გმირი პოემისა, რომელსაც იგივე სათაური აქვს. ალუდა ქეთელაურის სოფელს ქისტები დაესხნენ მუცალის ბელადობით და წაასხეს ცხენები. მუცალს გამოუდგა ალუდა ქეთელაური, რომელსაც ბრძოლის დროს შემოაკვდა მუცალი. ალუდამ არა თუ არ აასრულა თემის ჩვეულება, რომელიც მოითხოვდა მკლავის მოჭრას და გამარჯვების ნიშნად მიტანას თემისათვის, არამედ დაჰხარა მიცვალებულს, რომ მხეცს არ შეეჭამა და დაბრუნდა თემში, მაგრამ თემმა არ დაიჯერა მისი გამარჯვება. მაშინ თავი გამოიდო მინდიამ, წავიდა, მოაჭრა მკლავი მკვდარსა და საბუთად მიუტანა თემსა. ამ გარემოებამ ალუდა ქეთელაური ძლიერ შეაწუხა. წაიყვანა ცხვარი ბერდია ხევის ბერთან და სთხოვა დაეკლა და მუცალის სული მოეხსენებინა. ბერდიამ ცივი უარი უთხრა. მუცალი მუსლიმანი იყო, მისი აზრით ურჯულო,

ურჯულო კაცის სულის მოხსენება კი წესად არ ჰქონდა თემსა. მაშინ ალუდა ქეთელაურმა თვითონ დაჰკლა ცხვარი და მუცალის სული მოიხსენა. ალუდას ასეთი საქციელი თემმა სცნო თემის სჯულისა და ზნეჩვეულების დარღვევად და ალუდა ქეთელაურს გადაუწყვიტა თემიდან განძევება. ბერდია ხევის ბერი ისევე, როგორც მინდია ბრმად ასრულებენ, რაც თემის ზნეჩვეულებას დაუწესებია, და სრულიად არ დასდევენ იმას, რამდენად იცავს ის ზნეჩვეულება ადამიანობას, კაცთმოყვარეობას.

ბახტრიონი საგმირო პოემა არის და ეხება იმ დროს (XVII ს.) როცა კახეთში მტარვალობდნენ თათრები და მთასაც აწუხებდნენ. თუშ ფშავ ხევსურებს განსაკუთრებით ვერ აეტანათ მხეცობა თათრებისა, რომელნიც

აწიოკებენ ქალს, რძალსა, ნამუსსა ჰხდიან ძალადა,
ჰკრეფავენ ურჯულოები სილამაზესა ღალადა.
არა ზოგავენ, დედიდამ ვინც კი მოუვათ თვალადა,
მთელი კახეთი ქცეულა ჩიქილა მოხდილ ქალადა.

თუშებმა რომ ჰნახეს ქვეყნის აოხრება, პირი შეჰკრეს და ტანი. აბჯარი აისხეს ზეზვას წინამძღოლობით. კვირია გზირად გამოჰგზავნეს, რომ ფშავ ხევსურეთის ხალხიც ამხედრებულიყო და დაჰზავებოდა თუშებს ასე, რომ ყველას ერთად იერიში მიეტანათ ბახტრიონის ციხეზე. კვირია შეჰხვდა ერთ ქვრივს სანათას, რომელსაც თათრებთან ბრძოლაში დაჰღუპოდა ერთ დღეში ქმარი და შვიდი ვაჟი და მათთვის რჯულით დადებულ წესს თვითონ ასრულებდა, თუმც ჰგრძნობდა, რომ დედაკაცის საქმე არ იყო. სანათა სწუხდა ქვეყნისა და თავისი ოჯახის უბედურების გამო, მაგრამ კვირია ანუგეშებდა

ცოცხალსა უნდა ეხუროს ვაჟკაცსა ქუდი თავზედა,
სიცოცხლეს აუგიანსა სიკვდილი მიჯობს ხმალზედა,
როს ჩემი ბინა სხვას ჰრჩება, ჩემი ცოლი და შვილები,
თუ დუშმნის ხმალი არ მომკლავს, მე თვითონ გავიგმირები.

სანათას მოსწონდა საერთო საქმე, რომლის მოგვარებაც თავს ედო კვირიას და წასაქეზებლად ეტყოდა, მე თუ რვა სული შეესწირე, ისინი თითოს ვერ გაიმეტებენო? სთქვა და ქადა პურები საგზლად გაატანა კვირიას, რომელიც პირთავქვე დაეშო და მიეფარა. პოეტს შემდეგ აწერილი აქვს მისვლა ფშავხევსურთ ჯარისა, რომელსაც მიუძღვის ლუხუმ ხევის ბერი. ქადაგი ლაშარის ჯარს ეკითხება და

გამოუცხადებს ლაშქარს, ლაშარის ჯვარს იამა მტერთან საომრად აყრა და გვიქადის გამარჯვებასაო. მერმე საღმთოს გაჰმართვენ ლუხუმის ლოცვა კურთხევით. წერის მანერა ვაეას ჰომიროსებური აქვს, მაგრამ იმის გამო კი არა, რომ ვაეას შეესწავლოს ჰომიროს უკვდავი ილიანი და მისი გავლენით სწერდეს. არა. ჩვენი მთა თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობით მოგვაგონებს ჰომიროს დროინდელი ბერძნების საზოგადოებას და პოეტსაც, რომელიც მთებს მიჰმართავს,

მოგესალმებით, ქედებო, მომაქვს სალამი გვიანი,
ჩემსამც სამარეს ამკობენ თქვენი დეკა და ღვიანი,
თქვენგანა გულობს ეს გული, შიგ გრძნობა უდუღს ღვთიანი,
თქვენი მიწოვავ მეც ძუძუ ღალიან ბარაქიანი,

ბუნებრივად გაემკვალება ჰომიროსებური აღმაფრენა. სალაყბოზე მიმავალ აქეველთა ჯარის სიმძიმისაგან მიწა ზანზარებდაო, ამბობს ჰომირო. საქართველოს მთის ჰომიროც იმეორებს:

ხახმატელთ ცხენთა ფეხის ხმამ შეაზრიალა მთანია,
მგლური დააწყვეს ნაბიჯი, მოკლედ გადმოვლეს გზანია.

საღმთოს ყველა შეექცეოდა. არა სჯამდა და ჯოხს დაჰყრდნობოდა მარტო კვირია. მაშინ ლუხუმმა ჰკითხა მიზეზი. კვირიას სიზმარი ენახა და მოუყვა, ვითომც მინდვრად ქშენით მოცურავდა შავი ვეშაპი, ყვავილთან ერთად, რომელიც გზაში იყო დაფენილი, მიწას მოლოკდა ცეცხლის ენით და პირშიაც ცეცხლი სდიოდა. მიჰმართა კვირიას, პირი დაალო ჩასაყლაპავად, მაგრამ ხელით ეცა და თავი გაუპო. მოკლულმა სისხლი შეანთხია პირი სახეში, ცხენი წაექცა და თვითონაც დაეცა ძირს. გონს მოსულმა ჰნახა, ქვეშ თეთრი ლოგინი ეგო, გვერდზე ეგდო მისიე ცხენი, თავს ედგა დიდი ჭანდარი, ზედ იჯდა ბერი ქედანი, რომელიც თავს დაჰლუღუნებდა. ამოსულმა მზემ დაჰხედა, მაგრამ წამსვე გაბრუნდა, თვალთ დაუბნელდა და მკლავზე მიეძინა. ლუხუმს სიზმარი საწყინოდ დაურჩა, სხვებს კიდევ თავები ჩაექინდრათ. ბოლოს ჰნახეს, თავს წამოადგათ უცხო ქალი, შეიარაღებულ ამხედრებული. ჯერ მტრად იგულეს, მერმე აღმოჩნდა, რომ ის იყო შანშე ბაშლელის ქალი ლელა. როგორც საამური სანახავია დილის ცვარი ვარდზე, ისე ქალი ჰგვანდა სამოთხის ყვავილს, უკვდავების წყლით მორწყულს, ხორც შესხმულ სიყვარულსა. განუცხადა, თათრებთან ომი მწადიან, მინდა ვიყარო ჯავრიო. მამა მისი ლოგინში იწვა, ომი აღარ შეეძლო და მამის ნაცვლად ქალი წამოსულიყო საომრად, მაგრამ ლუხუმმაც და სხვებმაც

ურჩიეს შინ გაბრუნება. ლელა არწმუნებდა, ცუდ სიზმრებს ვხედავო, მაგრამ იძულებული შეიქნა და გაბრუნდა გულჩათუქული.

ქალის ქვითინსა მდულარეს მთანი იწერენ მკერდზედა,
ცრემლით ატირდნენ წყარონი ჩამომდინარნი გვერდზედა.

ლელას წამოეწია კვირია. ლელას სიტყვა პასუხი ესმოდა კვირიას, რომელიც უკან იდგა, მაგრამ უფროსთა საუბარში ვეღარ გარეულიყო და ეხლა პირობა დასდვეს, ჯარზე უწინ წასულიყვნენ თათრების ბანაკისკენ. კვირია მიესალმებოდა ყარაულს და ეტყოდა, ყეენს მოვართვი ფეშქაშად ტურფა ქალი და გთხოვთ მანუგეშოთო. ამ გვარად ციხის კარს გაუღებდენ და შიგ მარჯვედ მოხვდებოდენ. კვირიას დაშორებაზე ჯარმა გუმანი მიიტანა, არ გვიღალატოსო, მაგრამ ლუხუმმა გაუფანტა ეჭვები. ფშავხევსურთ ლაშქარი ლუხუმ ხევის ბერის წინამძღოლობით შეეხვდა თუშების ლაშქარს და ზეზვა იკითხა ლუხუმმა, მე და იმან უნდა ვიომოთო. თუშები გააკვირვა ლუხუმის საქციელმა, მაგრამ ზეზვამ იცნო ძმობილი, გაეკინკლაკენენ ერთმანერთს ფარხმალ შუბით და მერმე ერთმანერთს აკოცეს. პოეტი დასძენს, ერთმანერთის სურვილი ორთავე ჰქონიყო წყალულადაო. აქ უნდა მოვიგონოთ რუსთველის ვეფხის ტყაოსნის ანალოგიური ეპიზოდი, როცა ავთანდილ და ტარიელ მეორედ წავიდნენ ფრიდონთან შესახვედრად და თავი მტრულად მოაჩვენეს ფრიდონის კაცებს. ფრიდონ საომრად წამოვიდა და პირკატა ეცა, როცა ტარიელ და ავთანდილ ხელთ შეჰრჩა. იმათაც ერთი სურვილი ჰქონდათ, ამხედრებულიყვნენ, რომ იერიში მიეტანათ ქაჯეთის ციხეზე, სადაც ტყვედ იმყოფებოდა ნესტან, სატრფო ტარიელისა. სურათი ლუხუმის და ზეზვას შეხვედრისა ეაეას შეიძლება შოთას გავლენითაც დაეხატოს. თუშფშავხევსურების ლაშქარმა დალეწა ბახტრიონის ციხის კარები, მაგრამ გამარჯვებით უკან დაბრუნებულებს საკაცით თანვე მოჰქონდათ კვირიას და ლელას გვამები, იმ გმირთა, რომელთაც გულში ჩაიქრეს მიჯნურობის მგზნებარე ცეცხლი და თავი შესწირეს ხალხის ბედნიერებას. იმათ გაეღოთ ციხის კარები. ბახტრიონის აღების ამბავი ასეთია. მაგრამ ვინც ჯარს წინ უძღოდა ლუხუმ ხევის ბერი, როგორც მკერდში დაჭრილი, უკან ჩამორჩენილიყო და იწვა მაღალი მთის ძირში, ულრან უდაბურ ტყეში. იქვე მაღალი კლდე იყო, შავად გამოქვაბული, ხავს მოდებული პირქუში და სანახავად მრისხანე. იქ ბუდობდა ვეებერთელა გველი, ჯაგარ მოსხმული. მისი შიშით ნადირი გადამხდარიყო. ერთ დღეს გველი ხეზე გაწოლილი-

ყო, წიოდა გულჯავრიანად და მზეში თბებოდა. იმ დროს ამოესმა კვნესის ხმა. გაჰხედა, ჰნახა, კაცი წევს, რომელსაც სისხლ მიმხმარი მკერდის ჭრილობა დასწყლულებია. გველს შეებრალა ლუხუმი, წყლულს ულოკდა ენით და სასმელ საჭმელსაც უზიდავდა, ხოლო ღამ ღამ ორი ობოლი ძმის ზღაპარსაც უამბობდა, მთელი ერთი თვის განმავლობაში, ვიდრე ისე არ განიკურნა ლუხუმი, რომ შესძლო ფეხზე დადგომა.

ხევის ბერი თუ თემის თვალში წმინდა კაცად ითვლებოდა, იმ დროსვე გრძნეულიც იყო, მცოდნე ბუნების, მაშასადამე გველის ენისაც. წმინდანობა და გრძნეულება სინონიმები იყო მთაში. ასევე იყო სიზმარი და წინაგრძნობა, ორივე ნაშთი ძველი აღმოსავლეთის კულტურისა, როცა ქადაგის გრძნეულება და სიზმარი ხალხთა ცხოვრებას ატრალებდა. ლუხუმ, რომელიც გველის მოსავლელი გამხდარა, შეუწუხებია კვიჩიას სიზმარსა, ლელა კიდევ ავი სიზმრისაგან იტანჯება, რა ეუბნება ლაშქარს გაბრუნების წინ,

კაცი რომ მოდის კუპრივით, დაათრევს კაცის თავებსა,
მოდის, წინ მიწყობს ღრეჭითა ჩემ ძმათ სისხლიან მკლავებსა.

ასეთი არა ბუნებრიობა თუ არ ამშვენებს, არას უშავებს თვით პოემის განვითარებას, მის ბუნებრიობას, რომელიც გვიხატავს მთის ბუნების მომხიბლავ სურათებს, მისი ხალხის ზნეჩვეულობას და საგმირო მოქმედებას, აღწერილს ჰომეროსებური აღნაქვსით.

თ ა ვ ი XII

§ 51. მუშათა მოძრაობა საქართველოში საზოგადოებრივ ცხოვრების საგრძნობელ ფაქტორად იქცა სამოცდაათიან წლებში, როცა გაჩნდა მრეწველობა ტყიბულის ქვანახშირის და ჭიათურის შავი ქვისა. იმ დროს გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი სახელად **მუშა**, რომელიც ხუცების და ფეოდალების წინააღმდეგ წერილებს ავრცელებდა. ოთხმოცდაათიანი წლებიდან გამოდიან უკვე ახალ გაზდა მარქსისტები, რომელთაც ერთ ორგანიზაციონურ ჯგუფად შეჰკრავს **ეგნატე ნინოშვილი — ინგოროყვა** (1859 — 1904) და ისევ 1892 წლის დამლევს პირველ ახალგაზდა მარქსისტების კრებას მოიწვევს ზესთაფონში, სადაც იმ დროს ეგნატე მსახურობდა შავი ქვის მრეწველის ნ. ლოლობერიძის კანტორაში. ხსენებული მარქსისტების ჯგუფი გარდაიქმნა მესამე დასად, რომლის ორგანოდაც პირველ ხანებში იყო გიორგი წერეთლის ჟურნალი **კვალი**. მესამე დასის წარ-

მოშობა გამოიწვია 1904 წ. ეგნატე ნინოშვილის სიკვდილმა. სოფ. ჩოჩხათში მის დასაფლავებაზე წარმოთქმულ სიტყვებში შესანიშნავია ორი სიტყვა, ერთი ს. ჯიბლაძის, ხოლო მეორე ყვალის რედაქტორის გ. წერეთლისა, რომლის თანამშრომლადაც ითვლებოდა განსვენებული ე. ნინოშვილი. ს. ჯიბლაძემ სთქვა, აწინდელი ცხოვრება ორს ახალს ერთიმეორის მოწინააღმდეგე წოდებას, ანუ კლასს წარმოადგენს. ერთის მხრით არის ფიზიკური და გონებრივი შრომის წარმომადგენელი, მეორის მხრით მუქთა ხორა ბურჟუა კაპტალისტები. პირველთ ხკედრია აუტანელი შრომა, მეორეთა კი დასაკუთრება ამ შრომის ნაყოფისა. ამ უკულმართობის დასამარცხებლად უნდა იღვწოდენ საუკეთესო წარმომადგენელნი ახალთაობისა. ეს ჰეშმარიტება შეიგნო და მისკენ ჰქონდა მიმართული თავისი ქნარი ჩვენს შესანიშნავს, ნიჭის მქონე ინგოროყვასაკო. გ. წერეთელმა, სხვათა შორის, განაცხადა, ეგნატე ნინოშვილმა მიგვითითა ჩვენი ერის საძირკველი, მიწის მუშა დაბალ მშრომელთ წოდება და ცხოველი სურათებით დაგვიხატა თუ, რა საშინელ მდგომარეობაშია იგი. იმანვე შეგვასმინა, წამოვაყენოთ ეს დაცემული ბურჯი, ზნეობით ავამაღლოთ და მოვაშოროთ მოსე მწერლისთახა და ტარიელ მკლავაძისთანა ავი თვისების კაცებიო. ორივე ორატორი ზედმიწევნით ახასიათებს ე. ნინოშვილის ნიჭს და შემოქმედებას. მოსე მწერლის და ჩვენი ქვეყნის რაინდის შემოქმედი სიტყვითაც და საქმითაც, ბელლეტრისტის კალმითაც ისწრაფდა მუქთა ხორა ბურჟუების დამარცხებას, რომ ველარ ეყვლიფათ მშრომელი ხალხი, თავისი ბასრი კალმით სცელავდა პარაზიტებს, მშრომელთა კლასიდან (მოსე მწერალი), თუ ფეოდალთა კლასიდან (ჩვენი ქვეყნის რაინდი) იქნებოდა გამოსული. მისი შემოქმედების დასახასიათებლად უნდა ავიღოთ ოთხი მოთხრობა ჩვენი ქვეყნის რაინდი, მოსე მწერალი, პალეოსტომის ტბა და ქრისტინე.

ტარიელ მკლავაძე არის უმთავრესი გმირი ჩვენი ქვეყნის რაინდისა, რომელიც ცუდი აღზრდის წყალობით გადაქცეულა პარაზიტად, ანუ საზოგადოების ხორცმეტად. ტარიელს ასულდგმულებს მხოლოდ ერთი მისწრაფება, დაიკმაყოფილოს მხეცური ინსტინკტი და სადაც სიტყვა არ გაუდის, იქ ამოქმედებს თავისს მკლავს. ტყუილად არ უწოდებია ჩვენს ავტორს ჩვენი ქვეყნის რაინდი. ტარიელ მკლავაძე მოგვაგონებს ბატონყმობის დროინდელ დათიკოს (გლახის ნაამბობი), მაგრამ ბუნებით უფრო ტლანქია, მაშინ როცა მისი უფრო-

სი ძმა ჩადენილი დანაშაულის გამოსწორებას სცილობს, გაბროს და პეპიას გაათავისუფლებს იმ დროს, როცა ჯარის კაცები მიუძღვიან, როგორც დამნაშავეებს, რომელთაც დაბრალდათ დათიკოს მოკვლის განზრახვა, ე. ნინოშვილს ტარიელ მკლავაძის დასაპირდაპირებლად გამოჰყავს სპირიდონ მცირიშვილი, მშრომელი ხალხის შვილი, რომელიც საზოგადოებრივ მოღვაწეობას ეწევა ხალხის გაცნობიერებით, ახალთაობის სწავლებით სკოლის, თუ სამკითხველოს საშუალებით. სპირიდონ მცირიშვილი პატიოსანი და მაღალი ზნეობის კაცია. სპირიდონ იმ დროს იდგა სოფლის მღვდლის ოჯახში, დაუმეგობრდა მასპინძლის ქალს დესპინეს, რომელსაც ასწავლიდა და ბოლოს შეირთო კიდეც. სპირიდონ ხან და ხან უქმე დღეობით დადიოდა დედმამასთან თავისი ცოლით. ერთხელ მატარებლის დაგვიანების გამო მცირიშვილი თავისი ცოლით იძულებული შეიქნა, სადგურზე დარჩენილიყო მატარებლის მოლოდინში. ტარიელ მკლავაძე ჩვეულ იყო ლამაზი ქალების უკან დევნას, ზოგზე ძალას ხმარობდა, ზოგს კიდევ იტაცებდა და ეხლაც წასძლია სულმა ძმა ბიჭების დახმარებით ლამაზი დესპინეს გასატაცებლად. იმ ნომერს, სადაც სპირიდონ და დესპინე ჩამომხდარიყვნენ, ტარიელ მკლავაძე თავს დაესხა თავისი დამქაშებით. სპირიდონ მცირიშვილმა, როგორც იქნა, დესპინე გაადგებინა, მაგრამ შემდეგ დესპინეს დასჩემდა სულის სნეულება. ასეთი მხეცობა არ იკმარა ტარიელმა და სპირიდონს სცემა მისი სნეული ცოლის წინაშე. დესპინე გარდაიცვალა. ჯანღონით სუსტ მცირიშვილს ზნეობისა და სულის სიმტკიცე საკმაოდ ძლიერი ჰქონდა და ტარიელის სისხლი აიღო. სპირიდონ მცირიშვილი გაინტელიგენტებული საზოგადოებრივი მოღვაწე გლეხია და ამ მხრით წარმოადგენს გაბროს (**გლახის ნაამბობის**) ტიპის განვითარებას. მისი მასულდგმულებელია სულთასწრაფვა ნამდვილი რევოლუციონერისა, რომელიც არ ერიდება ბოროტების ძირიანად ამოგდებას.

ბოქაულის ზნეობრივი დაცემულება და ხელუკუღმართობა საარაკო იყო. ერთ ასეთ პიროვნებას ხელზე მოსამსახურედ ჰყვანდა პატარაობისას მოსე გულფუჭაძე, შემდეგში მოსე მწერალი. მოსე გლეხის შვილი იყო. ცუდი მაგალითების ცქერით ყველა წახდება გლეხიცა და არაგლეხიც და მოსე გულფუჭაძეც გაუზნეურდა. ბოქაულმა მწერლად დანიშნა იმ პირობით, რომ მეოთხედი ჯამაგირი მისთვის ეძლია. პირველად რიდი ჰქონდა გლეხებისა ასე, რომ ფეხზე წამოდგებოდა, როცა გლეხები მოვიდოდნენ საქმეზე, ბოლოს კი

თავს გავიდა და ღილისთვის დაბარებულ გლეხებს ორ საათზედაც არ მიიღებდა, რის გამოც მრთელ დღეს მომცდარი გლეხები იძულებულნი გახდებოდნენ. შინვე გაბრუნებულიყვნენ. უმთავრესი ნაკლი მოსე მწერლის ხნეობისა იყო მეკრთამეობა და ყალბი საბუთების კეთება, რითაც საკმაო ქონება შეაგროვა და აზნაურიშვილის ქალიც შეირთო. მოსე მწერლის მოღვაწეობას კარგად ახასიათებს ერთი შემთხვევა. ერთ ქვრივ დედაკაცს ბაბალეს დაპირდა, მის ვაჟს ჯარის კაცობას ააცილებდა თავიდან და ხუთი თუმანი დასცინცლა. ყალბი საბუთების შედგენაში ჩაითრია ერთი გულუბრყვილო მღვდელი ათანასე, რომელსაც ბეჭედი დაასმევინა საბუთის ქაღალდზე. ამ საბუთით, რასაც ხელს აწერდა ეგრეთვე მამასახლისი. მტკიცდებოდა, რომ ბაბალე ქვრივს მხოლოდ ერთადერთი ვაჟი ჰყვანდა. სიფონ უნათლოშვილი კი მისი გერი იყო. სიყალბე გამომჟღავნდა და დაიღუპნენ ათანასე მღვდელი და ბაბალე ქვრივი.

პალეოსტომის ტბა ნაკრთომია ისეთი ცხოვრების, როცა ყველაფერი ფულით და ფულისათვის კეთდება. უწინ ქალის გათხოვებაში საქმროსაგან მამა ღებულობდა ურავდს, ხოლო ოსტატი საოსტატოსა, ეხლა კი მზეთუნახავიც რომ ყოფილიყო გასათხოვარი ქალი! თუ ქრთამი, ე. ი. ფული არ ექნებოდა, არავინ ითხოვდა. რა უნდა ექნა გურულ გლეხს ივანიკას, რომელსაც ცოტა მიწა ჰქონდა? სად გაეჩინა ქრთამი თავისი ქალისთვის? აი ასეთმა გაჭირვებამ გაქცევა ასწავლა ივანიკას, მაგრამ კიდეც წააკცია. ივანიკამ დაიწყო პალეოსტომის ტბის მახლობლად მთაში დამზადება ხე ტყისა. რომელიც შემდეგ ტივებად შეკრული ჩამოჰქონდა ხსენებული ტბით და ჰყიდდა, მაგრამ ერთხელ თავის შვილთან ნიკოლოზთან ერთად მსხვერპლი შეიქმნა აღელვებული ტბის ზვირთებისა.

ქრისტინე გვიხატავს ქალაქის გამრყვნელ გავლენას სოფლის ცხოვრებაზე. ერთი თავადიშვილი იასონ უკმაძე გაეცნო ქრისტინეს და დაჰპირდა შერთვას, მაგრამ დაქორწინებამდე დაიპყრო მისი გული. ქრისტინე ცოდვის ნაყოფს ჰზრდიდა. ბოლოს ვაჟი შეეძინა. მაგრამ დედმამა აყვედრიდა, მის საქციელს სთვლიდა თავის მოკრად. ქრისტინე ისე დაალონა დედმამის მხრით გამუდმებულ აყვედრებამ, ზოგჯერ ცემა ტყეპამაც, რომ შურისძიების უნარი დაეკარგა და ბავშვთან გამჭვალულობა მოუდუნდა. ქრისტინე იასონს ამჩნევდა, რომ გულით არ იყო მოწადინებული ჯვრის წერას და კიდეც დარწმუნდა, როცა იასონ არ გამოცხადდა პაემანზე, მაგრამ შურისძიება

ვარდუასებური (ხურამის ციხე), აღმოსავლელი ქალის შესაფერი, მაინც ვერ მოახერხა, ეგებ იმის გამოისობითაც ეგრეთვე, რომ იასონის სიყვარულით სულდგმული არ აკარგავდა უკანასკნელ წუთამდე იმედს, რომ იასონი ინახულებდა. ერთ დღეს უცბად შეჰხვდა ქრისტინე იასონს და მის ცოლს, ცხენებით მხარ და მხარ მიმავლებს. იასონმა პირი მოარიდა. ქრისტინეს ველარ მოუთმინა გულმა და მოღალატე უწოდა. ამ ყოფაში დაჰხვდა ქრისტინე მარინე ქალს, რომელმაც უამბო ქალაქიდან სონას ჩამოსვლის ამბავი ასე, რომ ქრისტინეს საშურველად დაუხატა სონას საზოგადოებრივი მდგომარეობა. ქრისტინე სონას ამბავმა მთლად გამოსცვალა. ინახულა და რა დასტოვა ბავშვი და დედმამა, სონას გაჰყვა თბილისს, მაგრამ სონამ ადგილიც კარგი უშოვა ისეთი, როგორიც შეეფერებოდა მის მდგომარეობას — ერთი დიდი ოჯახი, რომლის პატრონადაც ითვლებოდა ვინმე ნატალია. ქრისტინეს უბედურებაში მის დედმამასაც უძევს წილი. თავიანთი უცებობით ქალს მოუკლეს სიცოცხლის ძალღონე მაშინ როცა, გაგება რომ ჰქონოდათ, უნდა აღეზარდათ მისი შეერის ძიება, ჩაენერგათ მისთვის თავმოყვარეობა, რომ შეურაცხმყოფელი და მოღალატე დაუსჯელი არ დაეტოვებინა. იასონ უქმაძე არა ხაკლებ საზიზღარი პიროვნება არის, ვიდრე ტარიელ მკლავაძე. თუ მკლავაძე პირდაღრენილი მტაცებელი მგელია, იასონ შემპარავი მელა არის. ქრისტინე ორნაირად გაუბედურებული არსება არის. რაც სოფელმა დააკლო, ის შეუთავა ქალაქმა.

§ 52. შიო არაგვისპირელის (1867 — 1926). შემოქმედებას ისე არ ახსენებენ, რომ ფრანგის მწერალი გეი დე მოპასანი არ მოიგონონ. მოპასან შესანიშნავი იყო მით, რომ როცა სხვა მწერლები მოთხრობას ერთ დიდ ტომად სწერდნენ, მოპასან იმასვე მოკლედ იტყოდა სულ რამდენსმე გვერდზე. ასეთივე არის შემოქმედება შიო არაგვისპირელისაც. მის ყურადღებას იპყრობს სოფლის მშრომელი ხალხი, რომელიც ერთნაირად საყვლეფი გამხდარა როგორც ნაბატონარის, ისევე ჩარჩის და მამასახლის გზირისა. ასეთი ცხოვრების სურათს დაახლოებით გვაძლევენ ავტორის მოთხრობანი **ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო, მერმე რითიღა იცხოვროს** და **ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი.** პირველ მოთხრობაში გამოყვანილია სოფლის ჩარჩი ისაკა ჯამიაშვილი და დათუა შრომიშვილი გლეხი, რომელიც უმსხვერპლებია მის ოინებსა, ეგრეთვე აზნაურიშვილები ლევან და გიგო და მამასახლისი, რომელნიც ცრუ ფიცით ეხმარებიან

ისაკას სოფლის ჭამაში. ჯერ კიდევ პატარა ისაკა ჭამიაშვილი მამამისმა ბიჭად დაუყენა ერთ მედუქნეს, რომელსაც დუქანი ჰქონდა საქართველოს სამხედრო გზატკეცილის პირას. ისაკა თვალით ჰხედავდა თუ, მგზავრებს როგორ აძრობდნენ ტყავს და გაძარცვაშიაც მედუქნეები მონაწილეობას ჰღებულობდნენ, ზოგჯერ კიდევ თვით მთვრალ მგზავრსაც სძარცვავდნენ შიგ დუქანშივე. ისაკა ჭამიაშვილი ბოლოს დუქნის პატრონმა ამხანაგადაც მოიკიდა. მაგრამ ისაკას გული სოფლისკენ იწევდა. რაკი გზის პირას ვაჭრობის საქმე კარგად მოაწყო, ისაკა დაბრუნდა თავისს სოფელში, სადაც საკუთარივ დუქანი გააღო და ვაჭრობა დაიწყო. ისაკას მუშტრის გასატყავებლად სხვა გზაც ჰქონდა. როგორც სოფლის საზოგადოების წევრს, შეეძლო სოფლის ყოველ საქმეში გარეულიყო. ისაკა იყო მწარმოებელი სასოფლო დავთრებისა. ისაკა იყო მწერალიც, ისაკა აწარმოებდა სხვა ორ კაცთან ერთად სასოფლო მაღაზიასაც. დუქნის და სოფლის საქმეთა ამგვარი წარმოების წყალობით ისაკა ისე გაიჭიკნა სიმდიდრით, რომ ყველას სჯობდა. აი ამ კაცის ემართა დათუა შრომიშვილს სამი თუმანი, რომლის გადახდასაც აპირებდა, მაგრამ ისაკა ჭამიაშვილმა უჩივლა სამოცი თუმანი და იმ ვალში, იმედი ჰქონდა, ხელში ჩაიგდებდა დათუა შრომიშვილის ვენახსა. ლევან და გიგო საქმის უჩვევი აზნაურები არიან. ცხოვრების წყაროდ გაუხდიათ ისეთი ხელობა, რომელიც შრომას არ მოითხოვს, ამ შემთხვევაში ცრუ ფიცი. როცა ისაკა ჭამიაშვილი თამასუქს დასწერდა, მოწმედ მისთანებს ჩასწერდა. ვინც უკვე მკვდარი იყო, ან კიდევ თავის ერთგულ გიგოსა და ლევანს. რომელთაც ცოტაოდენ წილს დაუდებდა. დათუა შრომიშვილი დაიბარეს სასამართლოში და საქმის გარჩევის შემდეგ განაჩენი წაუკითხეს მისი, რომ ისაკა ჭამიაშვილისთვის უნდა გადაეხადა სამოცი თუმანი. ვალში დათუას ვენახი ჩამოართვეს და ისაკას გადასცეს. შრომიშვილს ბოღმა მოაწვა და ვერ მოენელებინა აშკარა უსამართლობა. გამარჯვებული ჭამიაშვილი კი დღესასწაულობდა. ვაზშმად დაიპატიჟა პოლიციის და სასამართლოს ბოქაულები და თავისი ერთგული მოწმეები გიგო და ლევან, შეიქნა ღრეობა. ისაკამ სუფრულიც კი მოსძახა, მაგრამ იმ დროს ისაკას ვიღაცამ დაუძახა. ისაკა ხელ სავსე ჭიქიანი წამოდგა და დაიძახა თუ არა, ვინ ხარ... თოფის გრიალმა სიტყვა გააწყვეტინა. აირია ყველაფერი. ბოლოს გულგაგმირული ჰნახეს... ისაკა ჭამიაშვილი მკელელი იყო დათუა შრომიშვილი. შრომიშვილები ვაის გაეყარნენ

და უის შეეყარნენ. უწინ ბატონების უღელ ქვეშ იზნიქებოდნენ. ეხლა ჭამიაშვილები გამხდარიყვნენ მათი სულთა მხუთავები, რომელნიც სარჩო საბადებელს ხელში აცლიდნენ.

თავადიშვილი რეზიკო დახელოვნებული გაიძვერა იყო გლეხების ყვლეფაში. საქმე მისთვის არ არსებობდა. იმდენი შნო არ ჰქონდა, რომ ნაყვლეფი ფულით სახლი მაინც შეეკეთებინა, აივანი სახლს სიძველისაგან დაფუტურეობული ჰქონდა და აყრილი ფიცრები ფეხქვეშ გულსაკლავად ჭრაჭუნობდა. ცოლიც შესაფერისი ჰყვანდა რეზიკოს. თუ დიდი ეზოს რომელსამე კუთხეში ქათამი შეიბერტყავდა და თავის გასართობად კაკანს მოპრთავდა, კნეინა ეარიჩკაც პირმოკუმული ხმას შეუწყობდა ქათმების კაკანს ასე, რომ თავისებური დუეტი გამოდიოდა, ამბობს ავტორი. რეზიკოს თავი მოსწონდა თავისი მოურავით, როცა სტუმარი ეწვეოდა, იტყოდა, ზალიკო რომ არა მყვანდეს, სულ თავგზას დაკარგავდი. ზალიკოს ოანაშემწედ ჰყვანდა გელა და ჭაღია, რომელნიც შეიარაღებულნი დადიოდნენ იალაღზე და სადაც მოასწრებდნენ სოფლის საქონელს კეტის დაშენით თულებივით მოპრეკდნენ. ორმოცი ფური და კურო მოზვერი მოელალათ და მათ პატრონ გლეხებს თითო სულში მანეთ ნახევარს სთხოვდნენ. მეტი გზა არ ჰქონდათ, გლეხები იძულებულნი იყვნენ ესადათ მოიხოვნილი ბაეი და თუ დაეღრიჯებოდნენ, ბაეი შეგვიმცირე მანეთამდეო, ზალიკო წამოიძახებდა, რეზიკომ რომ ეგრე ათათიშაური აპატიოს. მერმე რითიღა იცხოვრეხო. მართალს ამბობდა ზალიკო. მერმე რეზიკოს და კნეინა ეარიჩკას რითი უნდა ექეიფნათ თელავში?

მალხაზა გლეხი ღამ ღამ ვენახს გარშემო უელიდა ასე, რომ თვალის მოხუჭვასაც ვერ ახერხებდა რიგიანად. ფარაჯის ამარა მხარ იღლიე თოფ გადაგდებული და კომბალს დაბჯენილი შესცქეროდა ყვითელ მტევნებს და დაჰკანკალებდა. თვითონ ამუშავებდა, სისხლს ჰღვრიდა თავის მამულში; რთველი კი უნდა წაელო ბაღო ვაჭარსა. იმავე დროს მალხაზას ილაჯი არ ჰქონდა, საპერანგე ეყიდნა და გამოეცვალა ჩამობღლეერძილი პერანგი.

ბაღო იყო კახეთში მოვაჭრე, რომელსაც დიდი დუქანი ჰქონდა და რაც კი რამ დასჭირდებოდა გლეხს, გამოკიდული ჰქონდა. მაგრამ დახელოვნებულიც იყო. გლეხის მამული როგორ ჩაეგდო ხელში. მისი ერთი ასეთი მსხვერპლი მალხაზა გლეხი იყო. მალხაზა ჰხედავდა რითველში მომავალ ბაღოს ცოლშვილსა და თვითონვე ჰნატრობდა,

ორმ მისი დედაკაცი ბალღებით მოსულიყო და ისინიც დამტკბარიყვნენ. ბაღოს ცოლშვილი მოედო ვენახს ყურძნის საკრეფად, მაგრამ თვალიც ეპირა, რომ მალხაზას სახლობას ყურძენი არ ეჭამა. ბოლოს ბაღო ვაჭარიც ლურჯა ცხენით შეთქრიალდა ვენახში, ენახა თუ. მისი ცოლშვილი როგორ ჰკრეფდა ყურძენსა. მალხაზა ჰხედავდა, რომ მისი ნაამაგარი ვენახი ბაღოს ასიამოვნებდა იმ დროს, როცა მის სახლობას ნება არ ჰქონდა ყურძენი მოეწყვიტა, მაგრამ ვერაფერს გამხდარიყო. დაბეჩავება მისი ისეთი იყო, რომ თავის დამღუპველს ცხენი ჩაუმართვა და მის წინ ქუდმოხდილი იდგა. გლეხის ასეთი ყოფა დაგვიხატა ავტორმა პაწია ამბავში, რომელსაც ეწოდება **ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი.**

§ 53. **დავით კლდიაშვილის** (დ. 1862 წ.) შემოქმედების დამახასიათებელია მდგომარეობის კომიზმი, ანუ სასაცილო მდგომარეობა, რომელშიაც ჩაუყენებია გმირები ეკონომიურ გაჭირვებას. **სოლომონ მორბელაძე** და **სამანიშვილის დედინაცვალი** ამ მხრით საუკეთესო მოთხრობანია ავტორისა. დავით კლდიაშვილის გმირები ხელმოკლე აზნაურები არიან. ზოგი მათგანი, როგორც საქმის უჩვევი, დასდგომია მაჭანკლობას, რომელიც შრომას არ მოითხოვს, ზოგჯერ კიდევ სესხულობს ფულს და ვალის გასტუმრება არ ეფიქრება. არის კიდევ შემთხვევა, როცა მიწის სიცოტაეის ნიადაგზე მამას და შვილს შორის ისეთი ურთიერთობა ჩამოვარდნილა, რომ შვილი იძულებულია ქვრივ მამას მაჭანკლად დაუდგეს.

სოლომონ მორბელაძე მაჭანკლობდა. ქაიხოსრო ქათამაძეს ჰყვანდა სემინარიელი ვაჟი ნიკო, რომლის დაქორწინებაც გადაწყვეტილი ჰქონდა, რადგანაც ეპისკოპოსი მღვდლად კურთხვას დაპირებოდა, მღვდლობა კი უცოლო კაცისა შეუძლებელი იყო. ნიკოს საცოლო, ქაიხოსროს აზრით, უსათუოდ ლამაზი ქალი უნდა ყოფილიყო. საცოლოც აღმოჩნდა ვინმე ბესარიონის ქალი ელპიტე. სოლომონ მორბელაძე ჩადგა ქაიხოსროსა და ბესარიონს შუა და ისე გაარიგა საქმე, რომ ბესარიონს უნდა მიეცა ქაიხოსროსთვის ორმოცი თუმანი ფულად, ოცი თუმნის ვექსილი და ოცი თუმნის ბარგი. სოლომონ მორბელაძე, როგორც მაჭანკალი, დაინტერესებული იყო, რომ გამოწყებული მაჭანკლობა მისდა სასარგებლოდ დაგვირგვინებულიყო, რადგანაც ჯერ ერთი ის, რომ მაჭანკლობა მისი ცხოვრების ერთად ერთი წყარო იყო და ისე შესჩვეოდა, რომ აღარ დასდევდა თუ თავს იმცირებდა იმ ხელობით. ამას გარდა კიდევ ერთი აზნაუ-

რიშვილის პლატონის ემართა ექვსი თუმანი და რომ არ მიეცა, არ იქნებოდა. სოლომონს წინადღით მოაგონა პლატონმა ვალის გადახდა, მაგრამ სოლომონმა თავაზიანი უარით გაისტუმრა, რა დაიმედა, მაშვლობა მაქვს გამოწყეული და იცოცხლე, კაი ასაღებიც მქონდეს! ეკვლებ და იმ წამსვე ოემი ხელით მოგიტანო. პლატონისადმი გულკეთილობა რომ გამოეჩინა, ღამით მოსვენებაც კი სთხოვა, მაგრამ პლატონმა წასვლა არჩია. უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწიაო, ისე დაემართა სოლომონს. ქალის მამამ მოითხოვა, ქათამაძის ვაჟმა დაიკლოს ათი თუმანი, თორემ ქალს სხვას მივათხოვებო. სოლომონს წელი მოსწყდა, როცა გაიგო და შეხვდა ისეთსავე აზნაურიშვილს სიკოია მაჭანკალს, რომელიც საქმეში ჩარეულიყო და უფრო იოლად აპირებდა ელპიტეს გათხოვებას. სოლომონ მორბელაძის ოლს იმედი არ ჰქონდა, რომ ბესარიონის ქალის გასათხოვებლად მაჭანკლობა სარფა იქნებოდა და როცა ქმარი შინ დაბრუნდა, ნიშნიც მოუგო. მაგრამ სოლომონ ინახულა ბესარიონმა მის ბინაზე და სთხოვა, სასიძო ნიკო ქათამაძეს წყალობა ეყო და დაეკლო ათი თუმანი. სოლომონ მორბელაძე ეხლა უკვე გულმოცემული უმტკიცებდა ქაიხოსრო ქათამაძეს. ელპიტე ისეთი ქალია, როგორიც შენ გსურსო. სასიძო ნიკო კიდევ მზად იყო დაეთმო. მართლაც დაეკლეს ათი თუმანი იმას, რაც ქორწილის დღეს უნდა მიეცათ ქაიხოსროსათვის. ბესარიონ ამ რიგად ათ თუმანს გამოჰრჩა და ექვსი თუმანი, რომელიც მორბელაძისთვის სამაჭანკლო უნდა მიეცა. შეიტყაპუნა. სოლომონ დარჩა პირში ჩალა გამოვლებული. ვერც სასიძოს მამისაგან მიიღო რამ გასამრჯელო სოლომონმა. ის კიდევ ბესარიონს ავალებდა სოლომონისთვის გასამრჯელოდ მიეცა მაზე დარჩენილი ფულიდან შვიდი თუმანი. ბოლოს როგორც იქნა, სოლომონმა წყალობასავით მიიღო ბესარიონისაგან ხარის ტყავზე მარილ წაყრილი ბეჭი. სოლო სიძე ბატონისაგან ექვსი მანეთი და ორი აბაზი ჯიბის ფული.

მეორე მოთხრობა სამანიშვილის დედინაცვალი გვიხატავს ქვრივი მამის ბეკინას და ცოლიანი ვაჟის პლატონის ტრაგიკომიკურ მდგომარეობას. ბეკინა ორჯელ ნაქვრივალი იყო და ეხლა მესამე ცოლის მოყვანას აპირებდა. ცოლშვილის პატრონი ვაჟი ჯავრისაგან აღარ იყო კაცი, რადგანაც ცოტა მიწა ჰქონდა და თუ მამამისს შვილი გაუჩნდებოდა, მოზიარე ეყოლებოდა. უამისოდაც გაჭირვებული ცხოვრება უფრო ძნელი ასატანი გაუხდებოდა. რა ექნა? ადგა და მაჭანკლად დაუდგა თავისს მამას. ისეთი ქალი უნდა მოეძებნა

დედინაცვლად, ორჯერ ნაქვრივალი და უშვილო ყოფილიყო, იმედით, რომ შვილი აღარ გაუჩნდებოდა. როგორც იყო, პლატონმა უპოვა თავის მამას ასეთი საცოლო და ქორწილიც მოხდა. მაგრამ დახე უბედურებას. ბეკინას ცოლი დაორსულდა. აქედან იწყება პლატონსა და მის დედინაცვალ შუა უსიამოვნება.

გ. ერისთავს სასაცილო ელემენტის შესატანად თავის კომედიაში გამოჰყავს იმერელი, რომელსაც იმერულად ალაპარაკებს, დ. კლდიაშვილი კი ჰქმნის სიმწრის სიცილს. იქ სიტყვა არის სასაცილო, აქ კი საქმე, მდგომარეობა.

§ 54. იოსებ გრიშაშვილი (დ. 1889 წ.) ერთადერთი დედა ქალაქელი პოეტია, თანამედროვე პოეტებშორის, აღზრდილი დედაქალაქის ზნეჩვეულებით, დედაქალაქის ჰაერით. მის ქნარს ახასიათებს უმთავრესად მშვენების ტრფობა, მზეური ღიმილი და სიცოცხლის სიხარული, მასულდგმულებელი მისი პოეზიის ეროტიული და ძველ ქალაქური კილოსი, და მოქალაქობრივი გრძნობა. ეროტიზმი ქართულ პოეზიაში ჯერ ბესიკმა შემოიღო სპარსული პოეზიის გავლენით, მერმე ალ. ჭავჭავაძემ, რომელმაც ერთგვარი პოეტიური დასაბუთება უპოვა, როგორც კაცის ცხოვრებისთვის გარდუვალ მოვლენას, მაგრამ ი. გრიშაშვილი ბესიკს უფრო უახლოვდება, იმავ დროს კი ორთავ პოეტთან განსხვავდება. როგორც ფორმის ჰაეროვნებით, ისე ეროტიული გრძნობის პოეტიურობით. ფორმის ჰაეროვნებას ჰბადებს ზედმიწევნით ცოდნა დედაქალაქური ქართულის, რომელიც, როგორც პოლიტიკური ცენტრის ცხოვრების ენა, მდიდარია ტეხნიკური სიტყვებით და ფიგურალი სიტყვის საქცევებით და იმავ დროს გამტკიცებული კლასიკური პოეზიით, რომლის კითხვასაც ეტანება ჩვენი პოეტი. ეროტიული გრძნობის პოეტიურობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ პოეტი ბუნების აღწერას ისე არ მიჰმართავს, რომ ძლიერ ხშირად სიყვარულის რაიმე განცდა არ ჩამოაყალიბოს, ასე. რომ, როგორც თვით ამბობს. მგოსნის ლექსი და ქალის მშვენება უკვდავ ემბლემად გადაქცეულა ამის პოეზიაში, სიყვარულიც... სილამაზეც მარტო მის ხელთ არის. პოეტს თავისი თავი შოთას გენიის საფარველ ქვეშ დაუყენებია და ჰსურს კოხტა გრძნობის სიმდიდრე და ლამაზი ტანჯვა არ მოეშალოს. ერთგვარ მოწოდებასაც ჰგრძნობს, უგალობოს ყველაფერს, ოღონდ შიგ იყვეს სილამაზე საკაცობრიო და დარწმუნებული გაიძახის, მაინც დავრჩები მე მგოსანი სილამაზისა, კიდეც რომ ჩემდა დასაფოლად მომართული

უგბილთ სიბრაზის ჰანგი ზეცას სწვდებოდესო. სიყვარულს პოეტი ჯრაცხს მხსნელ იარაღად და სილამაზეს ქვეყნის კავშირად. სიკვდილი აინტერესებს. როგორც მოელენა, და, მისი თქმით, მიჰხვდება სიკვდილის უკვდავ იდუმალობას ის, ვინც სიკვდილს ეზიარება.

ძველი ქალაქის ცხოვრება დუღდა ისანში, ეხლანდელ ავლაბარში, შეითან ბაზრის თათრის ფოლორაცის რაიონში. ამ რაიონის ცხოვრებას ახასიათებდა: ამქარი, ხელ. დროშიანი, რომლის უსტაბაშსაც ჰშვენოდა მოფარფარე მზის ყალამქარი, ხოლო ზურნა დილის საარს უკრავდა; ნადიმი ნარიყალისა, სადაც მოქეიფენი გამვლელს მიიწვევდნენ, ძველებური ღრეობა. ძველი ყარაჩოღური; ქორწილი შუშხუნებით და მაშხალებით, ხალებ დაფენილ ბანზე გაშლილი სუფრა, როცა ალაფი მოდიოდა, სიძეს დაუხალავი ფალუსტაკი მიერთმეოდა, ხოლო მზითვის ბიჭებს ტაშტი და სარკე მოჰქნოდათ, როცა პატარძალი გამოჰყვანდათ ლამაზ ხათუნებს ნეგოსავით უმძრახი და მზესავით ღია, როცა ეჯიბი ღრიალებდა, სად არის ზურნაო, და ბანზე გაჩაღდებოდა ხან თარფი, ხან შაბაში, ქვეშ კი მწვადი შიშხინებდა მაყალზე, ხოლო განთიადის ჟამს დუდუკი ბანზე დაუკრავედა შაჰნაზს და მეფე პატარძლისთვის ისურვებდნენ მოსვენებას. ძველ ქალაქსავე ამშვენებდა სალაყბო, ყაბახი და კინტოს ატმით სავსე თაბახი. ასეთ ტფილისს ეტრფოდა ბესიკი, ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი, ეტრფის მათ შემდეგ ი. გრიშაშვილიც, რომელსაც სწორედ ზემოხსენებული ძველი ქალაქის რაიონში ჰქონ მოუკრია, მაგრამ ჩრდილოეთის ქარს დაუბერნია და ყარაჩოღელთათვის კრიეი, თუ ლხინი ჩაუშხამებია. იმ რაიონს იმისთვის ეტრფი ეგრეთვე ჩვენი პოეტი, რომ ჯალალ ედინის საშინელი შური ძიების მომსწრეა, როცა გაყინულ მტკვარს მეტეხიდან ცხელი სისხლი შეჰრთვია, როცა სპარსთა ჯარს მუზარად აბჯარი ულეწნია. ასეთი პოეზია ვერ გაიგეს არა დედაქალაქელმა პოეტებმა და ჩვენს პოეტსა და მათ შორის ჩამოვარდა შური და მტრობა ი. გრიშაშვილმა. არა დედაქალაქელი პოეტები შეამკო მაჯამითა:

მე ევროპამ სახლში არ შემიწვია,
რადგან ტფილისს მწვადი მეც შემიწვია!
და თუ მგოსნად. მზევ. დღეს შენთან მოველი —
სჩანს ლექსისგან ახალ სხივებს მოველი,
დე დუშმანმა თავში ლოდი იხალოს, —
ოღონდ ლექსი ქართულ ცეცხლზე იხალოს.

მ არა დედაქალაქელ პოეტებს შეიძლება ევროპელები უწოდოთ, იადგანაც პოეტი ამბობს ევროპამ სახლში არ შემიწვიაო, მაგრამ ეარწმუნებულია, რომ მათი ლექსი ქართულ ცეცხლზე არ არის დაალული. პოეტს დაუდვია აღთქმა ტფილისს არ ულალატოს, მზეუი ღიმილი არ დასტოოს. პოეტი თავისს მდევნელებს მიპმართავს:

დაჰხტით! თამაშობთ! და ნელი ნელა
ცილის წამებით გსურთ დამაფოლოთ.
ყველა გულღრძო და პირუბანელა
ჩემს ლამაზს სიკვდილს შეჰხარის მხოლოდ!
და მე თუ მოვკვდი, — რას გეცინებათ, —
ვინღა აღირსოს ვარდს გამოკვება?!
მაშინ ხომ ცაში ნაზ ტერცინებად
მზეს ცისარტყელა არ ამოჰყვება!
მაგრამ ვერ მოსპონ მგოსნის თვისება, —
თვისება მთვრალი გრძნობით მალალით, —
მწამს ჩემი ლექსის ამაისება,
დაიტვირთება ვარდით და ლალით.
და თუ სხვის ტანჯვას წარმოსთქვამს ერი,
იქ ჩემი ტანჯვაც მოიგონება:
მე კი მსურს მოვკვდე შეყვარებული,
რომ ლეგენდებმა ამილონ თემად.

პოეტი ამბობს, ვინც სიყვარულს პატივს სცემს და მარად შესტრფის, ის თავისს სატრფოს წარამარად არ უმღერებს ლამაზ ლექსებსაო. ეგებ ამითაც აიხსნებოდეს მოქალაქობრივი გრძნობა, რომელიც პოეტს გამქვალვია. ცარიზმის მძვინვარების დროს ქართველობა ტუსაღის მდგომარეობას განიცდიდა, რადგანაც ყოველ უფლება აყრილი იყო, მაშასადამე არც უფლება ჰქონდა. თავისი გულის ბოლმა გამოეთქვა. ამის გამო პოეტი ტუსაღის პირით ამბობდა:

სცდებით, მტარვალნო, ტყუილად ფიქრობთ,
რომ ჩემმა გრძნობამ აქ ჩაიძინა.
ეგმობ და უარვყოფ თქვენს ძველ ადათსა,
ფეხქვეშ გაეთელე მე ძველი წესი.
მალე დავამსხვრევ მე ამ ბორკილებს,
მტარვალთა ხროვავ, არ შეეშინდები!
მალე გავარღვევ ბნელეთის კედლებს, —
თავისუფლებას მიეგებები.

ბუნების აყვავებას პოეტი ვერ ეწყობოდა, სძაგდა თვით ცხოვრ
როცა ჰხედავდა სამშობლო კერას დაწიოკებულს, სევდით მოცუ
შემოდგომის მზე მკრთალი ეჩვენებოდა, რადგანაც ჩვეულებრივ
ვერ ათბობდა სუსხით დამზრალ. ცივად გათოშილ გულს. ასეთი
ზოგადოებრივი მდგომარეობის დროს, ხალხის ტყვეობის დროს
ეტს თავისი თავი ეგონა ბედკრული. უგზო უკვლოდ მავალი,
ლო როცა აკქერდებოდა ძველი ცხოვრების დანგრეულ ძეგლ
და აკლდამებს. ჰსურდა გასცნობოდა ქვეყნის აწმყოს, წარსულს
მომავალს, რა იტყოდა შავ ფიქრ მორეული:

ნუ თუ დღეს ბრბო ისე დასჭკნა და დაკნინდა,
რომ სხვას მიაქვს ჩვენი ერის სიამაყე. წმინდათ წმინდა.

პოეტი არ ჰკარგავდა იმედს, რომ ხალხი მონობის ბორკილს დ
წყვეტდა. ტანჯულთა ცრემლი ვარდს მარგალიტად აესხმოდა
მწარედ ჰღაღადებდა:

დაე ცხოვრებამ ტლანქის ბრჭყალით გამკრას, გამკაწროს,
მაინც არ დავფლეთ ხსნის ბაირაღს არსად. არას დროს.

ი. გრიშაშვილის პოეზია უპირატესობით მშვენების ტრფობის. მ
ური ღიმილის და სიცოცხლის სიხარულის გალობა არის და ყველ
თვის მისაღებია. ვისაც სულს და გულს შეჰრჩენია უნარი ტრფო
ღიმილის და სიხარულისა.

თ ა ვ ი XIII

§ 55. შრომის ცხოვრების სიმწარესთან ბრძოლის ელემენტი
ზოგადოდ იპოება შოთა რუსთველის და დავით გურამიშვილის პ
ზიაში. პირველი ამბობდა, მაშინ ლხინი ამო არის, რა გადიხდის
ცი ჭირსაო, ხოლო მეორე პოეტი იმავე აზრს სხვაფრივ გამ
ქმულს ასმენდა საზოგადოებას. ჯერ მწარე შეკამე, კვლავ ტკბი
თუ ეძებ გემოვნებასაო. მაგრამ მეცხრამეტე საუკუნეში მშრომე
ხალხის ბრძოლა ცხოვრების სიმწარესთან დაგვიხატა რაფ. ერ
თავმა. რომელმაც უებრო გრძნობით და უებრო ენით მოსთქვა
ჭირვება. რაც გლეხს ადგა ბატონყმობის გადავარდნის შემდეგ. რ
ერისთავის გლეხმა იცის. რომ უმამულოა, მიწის ქირავებას გამ
წეევია მისი გაჭირვება, რომ შრომობს. ნაშრომი კი სხვისია, ს
ვეალა იმას ჩამოჭკიდებია გზირი, ჩარჩი და სხვები. ასეთ აუტან
მდგომარეობას მრავალმა გლეხმა დაახრწია თავი და ქალაქს

შურა, სადაც ფიქრობდა სამუშაოს შოვნას, მაგრამ სოფელთან კავშირი არ შეუწყვეტია. სახელოსნოებსა, თუ ფაბრიკა-ქარხნებში მშრომელ ჯგუფებს გამოუჩნდნენ მშრომელი ხალხის წიაღიდანვე გამოსული მგოსნები, რომელნიც მიზნად ისახავდნენ ქალაქელი მუშა ხალხის გაცნობიერებას, მისი ჰირვარამის დახატვას, რომ ხელი გამოეღო საბრძოლველად მის დასამხობად, ვინც და რაც იყო მისი გაჭირვების მიზეზი. ასეთი მგოსნები იყვნენ იოსებ დავითაშვილი, გიორგი ქუჩიშვილი, ირადიონ ევდოშვილი, სოლო რევოლუციის პერიოდში ალიო ბუმერანგი-მაშაშვილი.

იოსებ დავითაშვილი (1850 — 1887) მუშა იყო ხელობით მეჩუქურთმე. მუშაობა არათუ ეთაკილებოდა, თავმოსაწონებლადაც ჰქონდა. მუშა რომ ვარ, მისთვის ვიცი მუშის გულის პასუხი, იტყოდა. ი. დავითაშვილი თითქმის უსწავლელი იყო და ის მცირეოდენი სწავლა, რაც ჰქონდა, შეძენილი ჰქონდა თავისთავად. ასეთი გარემოება არიდებდა ცუდ საქმეს და კეთილს აწაფებდა. ერთ ლექსში, რომელსაც ეწოდება **სიმღერა ჩუქურთმის მჭრელისა**, პოეტი ამბობს, ცუდ საქმეს ვერიდები, კეთილისა მმღერი ვარ, არა მაქვს დიდი სწავლა და მცირესა ვჯერივარო. მიუხედველად ამისა ი. დავითაშვილის მწუხარება და ნაღველი ის იყო, რომ გლეხს უსწავლელობა სტანჯავდა. ეს კბენდა გულში. სიბრძნესთან შეყრის სულთა სწრაფვა ქნარის სიმებს აყღერებინებს დავით გურამიშვილისებურად. რომელსაც მარჯვედ ჰბაძავს არათუ ფორმით, არამედ სარწმუნოებრივი გრძნობითაც. სალოცავ საეკლესიოდ გაჰხდომია: ერთი საწყალი გლეხი ვარ მეწისქვილის ძეო, სისულელეს ამაშორე, კეთილს შემყარეო. მაგრამ დ. გურამიშვილის დროს და მისი პოეზიის სარწმუნოებრივი გრძნობა სამოქალაქო მოტივი იყო, რომელიც ქართველობას სპარსთა მტარვალობის წინააღმდეგ საბრძოლველად აღაფრთოვანებდა, ი. დავითაშვილის დროს კი ეკლესია ცარიზმის საყრდნობელი იყო. პოეტს გლეხი წარმოდგენილი ჰყვანდა, როგორც ხარი, უღელში ქედმოდრეკით შებმული. ასეთი ბედის გულშემატკივარი ულოცავდა მინდვრის მუშას მარჯვენას, რომელიც დასთესდა და მოიყვანდა ყანასა.

პოეტის სიკვდილზე მწერლობით, თუ სიტყვიერად გამოითქვა საერთო შეხედულება, რომელიც ი. დავითაშვილს აღიარებდა ხალხო პოეტად, რჩეულ მაღალ პიროვნებად, მშრომელი ხალხის მესაიდუმლედ, რომელსაც დაწმენდილი ჰქონდა თავალი გლეხის გუ-

ლის ნადების სასილველად, ყური მისი გულის ძგერის უცნაურ ხმა-ია გასაგონად, ხელი მისი მაჯის ცემის შესატყობად და ენა ყველა-ფრის ამის სათქმელად. დაზგაზე რანდით ლამობდა მრუდე ხის გა-სწორებასა. ი. დავითაშვილის პოეზიის პროლოგად შეიძლება მი-ვიყვანოთ მისივე ლექსი, კაცი ხარ კაცად შობილი კაცი გიყვარდესო. ამ შრომის რეჟიმის დროს მუშის რანდს მრუდე ხე უკვე გაუსწორე-ბია, სოლო შრომის კაცი გაუადამიანებია.

§ 56. **გიორგი ქუჩიშვილის** (დ. 1886 წ.) ჩანგს ეუცხოება სიტკბო-ების, სიხარულის, სიყვარულის ჰანგი. მისი მხვედრია დეენა წვალება, შიმშილ წყურვილი და ხეტიალი. მისი სატრფოა თავისუფლება და იდეალი მუშისა. ნაზი ალერსისთვის არ სცალია, შრომის შეილს უგა-ლობს, მის გამოღვიძებას ისწრაფვის. რადგანაც იგია ქვეყნის ბურჯი და მის ხელთ არის მთელი ძალა, მას ეკუთვნის მომავალი. მუშის ჭირი და ლხინი, მისი ვარამი თავისად უცვნია. ამის გამოსათქმელად ჩანგისთვის სიმად კაეშანი გაუბამს. უნდა შეაძულოს კვნესა და ოხვ-რა, მოთქმა და ცრემლი, როგორც მომადუნებელი. გულში იმედს უნერგავს იმას, ვინც სისხლით რწყავს ბნელ სარდაფს, მაგრამ გუ-ლის წყრომაც ძლიერი იცის და ღვართქაფად ამოსკდება. ასე მოხ-დება, რადგანაც მუშა ხელოსანმა იცის, რომ განცხრომის ძისთვის ჰკერავს ძვირფას ტანისამოსს, იმას კი სცივა ძველ კონკებში გამო-ხვეულს.

მტარვალთა ბატონობის დამხობას ქვეყნის განთავისუფლებას, რევოლუციის გამარჯვებას პოეტი შეეხარის და საყვირით უხმობს ერთობისკენ, მტერზე მტრულად მისასვლელად და ყოველი გა-ქირვების დასაძლევად. აღზდექ, მონა, აღზდექ, საპყარო, აღზდექ, ლაჩარო და ცოცხალ მკედარო! ასეთია მისი ძახილი საბოლოო გა-მარჯვებისთვის შრომის გასათავისუფლებლად. მუშა არის ჩვენი პოეტის ნუგეში, სიმხნე და სიმტკიცე გულისა. მუშა აშენებს ქვე-ყანას თავისი მარჯვენით, შრომის უღელში შებმული. მხოლოდ მის თვის მოუმართნია პოეტს სიყვარულის ფანდური. ვისაც გაუშლია შრომის ალამი, მხოლოდ მის სიყმეს დაენაცვლება. ბურჟუაზიული პოეზია ბრბოს არაფრად აგდებდა, უგუნურს უწოდებდა. ჩვენს პო-ეტს თავი მოაქვს ბრბოს შვილობით, მას უმღერის ქებათაქებას, რადგანაც მისი გულის სიღრმეში მრავალი საუნჯე არის. ბრბო, პო-ეტის აზრით, არის მესია, რომელმაც ქვეყანა უნდა იხსნას. ვერაკინ

დაისაკუთრებს მის ღვაწლს და შრომას უსაფუძვლო ზეკაცობით, რომელიც ძირს დაემხობა, ქვეშ მოჰყვება ბრბოს აღდგომას.

მუშის სიყვარული გ. ქუჩიშვილს კულტად გადაქცევია. მისი ნეშთი შრომის ტრაპეზზე ჩამომდნარი კაცის ნეშთია, ამისათვის პატიეცემულ უნდა იქნეს. ვიდრე ცოცხალი იყო, ცხოვრების ველს თვისი სისხლით ჰღებავდა, ნაოფლარით ჰკვებავდა მდიდართა ხროვას. დღეგრძელი ჩვენი პოეტი მოესწრო შრომის განთავისუფლებას და ამიერიდან შრომის შვილს ნაოფლარი მასვე დაჰრჩება.

§ 57. არც **იროდიონ ევდოშვილს** (1873 — 1916) ახარებდა ბუნების მეჯლიში, როცა გულს უგმირავდა მეტყველთა კვნესა. მაშვრალი ხალხი ტვირთ ქვეშ გმინავდა და იმავ დროს ესმოდა მჩაგვრელთ სიმღერა, სიცილ ხარხარი. ჩვენი პოეტი ემდუროდა ზოგიერთ მეგობრებს, რომელნიც განცხრომით ატარებდნენ დროს და მათ შიგნიერ ტკბილ ღიღინს ბანს აძლევდა გარედან ვაი და უი. ერთგულებს უყოდა.

მეგობრებო, ჩვენ გვინდა იმნაირი სვე ბედი,
ბრძოლა იყოს ჩვენი ლხინი სატრფიალოდ გულს იმედი!
მაშ უშიშრად შეეებრძოლნეთ ჩარხ უკეღმართ ამ ჩვენს დროსა
და ჩვენს რაზმს წინ წაუმძღვაროთ სიმართლის და ძმობის დროშა!

მაშვრალი და თვალცრემლიანი მოითხოვდა შველას და პოეტიც მისთვის ეტრფოდა ხანჯალს, რომ მოაგონებდა ბასრ ენას, რომელიც ორგულ მკერდში ჩაესობა და მტერს მოუშლის ლხენას. მერმე ვინ იყო ის მაშვრალი და თვალცრემლიანი? მუშა ხალხი, მუდამ მკერდოფლიანი, რომელიც ტანჯვა კვნესით იძინებდა. რომ ისევ კვნესით შეჰხვედროდა ხვალინდელ დღეს. მაგრამ პოეტს ასულდგმულებდა იმედი, რომ დრო მოვიდოდა და იმასაც სიტკბოებით გაუღიმებდა განთიადი, განახლების დრო. ბრწყინვალე და დიადი დრო. მანამდე კი არ ჰმართებდა ბულბულს შვება ლხენა და ვერც ეტყოდა ნიავქარს და ავდარს მზის შესაფერ ქებასა, მანამდე კი პირსწორედ უცქერდა მძლავრთა უკმეხობას, ვინც სხვის ნაოფლარით იკვებებიან და საფრად ჰხმარობენ ძმობაერთობას.

მრავალნაირია გაჭირვებული მდგომარეობა მაშვრალისა.

ხელოსანი შესცქერის სარკმელში ფარჩის ქულაჯას, თავის შეკერილს, თვითონ მას კი ძონძი აცვია. არც ეკითხება თავის თავს თუ, რად ჰხდება ასე.

ასეთ ყოფაშივეა სახლების მხურავი. სხვებისთვის სახლებს ჰხურავს, თვითონ კი ქუდიც არა აქვს, თვითონ შიშველ ტიტველი სხვისთვის სახურავს სქედავს, ზაფხულ ზამთარ ბანზეა მაკრატლით და ჩაქუჩით, ხან გახურებული თანაქა დასერილ ფეხებს აუტკივებს, ხან კიდევ ზამთრის სუსხი უელის გულში. ასე იტანჯება ჰაერში მყოფი ქალაქს გადმომცქერალი.

ქუჩაქუჩა დაიარება მაწანწალა, რომელსაც ტანს მჩვრები, ხოლო ფეხებს წყლული და იარა უფარავს. ღონე მიხდილი ებრძვის ბიშშილს და წყურვილს, შესცქერის ხალხის ბრბოს, რომელსაც სახეზე უკრთის ტკბილი საამური ღიმილი, ხოლო ტანთ ჰმოსია ოქროს ეერცხლი, ძვირფასი ფარჩა. შემბრალე და გამკითხველი კი არაევინა ჰყავს. როცა ჭაბუკი იყო, ოფლს ჰღვრიდა, ნაოფლარი კი სხვას მიჰქონდა. მაშინ ქედ წახრილი მუშა სჭიროდა უკეღმართს, გულქვას და სიმართლის მგმობელ ცხოვრებას, ეხლა კი ჯან გატეხილი ზეზეურად ჩაუნთქავს საფლავს. მეტ ბარგად ქცეული სადმე ქუჩაში დაჯლეკს ტანჯულ სულსა.

დიდი ქარხნის ქვემო სარდაფში წევს მუშა, რომელსაც ჰხურავს ჩოხის ნაგლეჯი, ხოლო სასთუნლად დაკონკილი ძველი თოფრაკი აქვს. ცოლშვილი შორსა ჰყავს მშიერ მწყურვალი. ასეთ ჯოჯოხეთურ ყოფას სიზმარში ჰხედავს. მწარე გმინვას აღმოუშვებს, რა გაიღვიძებს, _და ტირილს იწყებს უმწეო. რადგანაც თანამგრძნობელი არაევინა ჰყავს, ნესტიანი ქარხნის კედელმა კიდევ_რა უთხრას?

მოხუცი სტამბაში მუშაობდა, ვიდრე ჯანი მოსდევდა, ეხლა თვალებ ჩაშრეტილი, უსინათლო დამათხოვრობს და ვიღაცას ემუქრება. თანვე ახლავს ფეხშიშველი პატარა, მაგრამ მოხუცს ხელში გაუვარდება ჯოხი, ხოლო თვითონ მიწაზე დაეცემა, ხველა მოერევა და სისხლი თეთრს წვერს შეუღებავს. რა იტაცებს ხელს გულზე, პირქვე მკვდარი დაეცემა.

ირ. ევდოშვილი ისეთ ცხოვრებასაც აგვიწერს, როცა მუშა გულ გაუტეხლად მუშაობს, თავიც მოსწონს თავისი ხელობით. ასეთია მუშა მკედელი, რომელიც დილიდან საღამომდე, როგორც მწვადი, იწვის ცეცხლზე გამურული, სახე ჩაეანგებულ გაოფლიანებული. ქურაში გამოწრთობილ რკინას კვერით პირს უკეთებს, მაგრამ ეშხით დაჰლიღინებს, როცა კარების წინ ცუგრუმელა გოგონა გაირბენს. მკედელს არ აშინებს ცხვირზე ხალი, ტუჩზე ხაღი და იქადის, თუ ვინმე მჯობნის, აბა ჩემისთანა ბარსაკეეთი გააკეთოსო. შეეხარის

მერმისს, როცა უნდა დაილოცოს. მაშინ ოსტატად ჩაიწერება, მაშინ ამქარში ისიც კაცი იქნება. ასეთი მკლავ ნაწრთობი და ხელკოჭრიანი ბიჭები თუ შეჰქმნიდენ რაზმებს საბრძოლველად ამა ქვეყნის ბოღდიხანებთან, ვისთვისაც მხოლოდ არის სიამე ამა სოფლისა და ვისაც, როგორც დიდი ქალაქის მცხოვრებთ, ყოველ საღამოს ღრეობა აქვთ.

დიდი ქალაქი, ტურფა ქალაქი
ჰღელავს, ვითა ზღვა ქარიშხლიანი,
ფარჩათ შრიალი. ვაჭართ თოთქოლი
და არეული ეტლთა გრიალი.
ვით ტალღა ტალღას სცემს, უერთდება
და შორსა ასწვდება განაპირ ქუჩებს,
აქ გლახა ლუკმას ყიდულობს ცრემლით.
აქ სატრფო სატრფოს უკოცნის ტუჩებს.

აი ამ დიდი ქალაქის აღელვებულ ზღვას არავინ დაუნდვია, რომ არ აეტირებინოს, არ დაეღალტიანებინოს. რამდენი გაუხარწნია, რამდენი დაუღუპნია მაშვრალი ოფლის მღვრელი, მშიერ მწყურვალი და ქუჩაში სამოწყალოდ ხელგამოწვდილი.

ერთი პატარა პოემით, რომელსაც ჩვენება ეწოდება, პოეტს მოეევლინება შავად მოსილი ქალწული, რომელიც მისი საოცნებელია. ქალწული რა ჰნახავს პოეტის გულის კვნესას, ჰკითხავს,

მითხარ, რა გტანჯავს და რა გაშფოთებს,
ან ვის ემუქრი კბილთა ღრჭენითა?

მაშინ პოეტი აღიარებს:

რა მოვშორდი
დედის კალთას და სახლის კერასა,
მსხვერპლად გაუხდი უსამართლობას
და სათამაშოდ ბედის წერასა...
ცხოვრებას ვთვლიდი მშვენიერ ბაღად
და მის ყვავილად აქ სიცოცხლესა,
ცხოვრება არის თვით ჯოჯოხეთი
და სიცოცხლე კი ტანჯვა და კვნესა,
ამა ქვეყნისა ძლიერთა შვება,
მძლავრთ უკმეხობა, ჩაგრულთ ეება,
უმანკო სისხლით გასვრილი ხმალი
და მაშვრალთ ოფლით მტარვალთა კვება,

ცრემლი და კვნესა ჩაგრული ერის
მსაგვრელთა ხარხარს აქ უერთდება,
ერთთა ლაღობა, მეორეთ ტანჯვა,
აი ეს არის ჩვენი ცხოვრება...
ამას უყურო გულდამშვიდებით,
განა ეს ძალ უძს ადამიანსა?
მისგამო მხედავ ესდენ გულნაკლულს,
ესდენ მწუხარეს, თვალცრემლიანსა.

შაოსანი ქალწული შეჰნიშნავს, ოხერა ტირილით ვერას არგებ მა-
მაშვრალ ხალხს. შენ უნდა გაუმკლავდე უსამართლობასა. პოეტი მი-
უგებს, სუსტი ქმნილება ვარ, როგორ შევიძლო მედგარი ბრძოლაო.
მაშინ ქალწული დაჰპირდება ვაეკაცობის სულის შთაბერვას:

მაშ კარგი, ყრმაო, მე მოგცემ ხელთა
ხმალზე მკვეთრ მახვილს საბრძოლველათა,
ჩაგიდგამ სულსა ვაეკაცობისას,
თუ გინდა იყო მაშვრალთ მცველათა,
მხოლოდ ჯერ ფიცი მომეცი მტკიცე,
წმინდა ზრახვათა რომ არ უმტყუნებ
და ჩირქს არ მოსცხებ წმინდა იარაღს,
ბრძოლის ველიდან პირს არ იბრუნებ...

პოეტი შეჰფიცავს:

ვფიცავ სიმართლეს უარ ყოფილსა,
უღირსთ ხელთაგან დასჯილს, გმობილსა,
შემწიკვლულს, ჩაგრულს, ლახვარ სობილსა,
ხელებ შეჯაჭულს და შებორკილსა...
ვფიცავ მის დროშას შეურაცხყოფილს
და მის გმირთ გმირებს, თავმოკვეთილებს,
მისი სახელით მებრძოლთ, მეომართ,
მათაც დახანჯლულთ მკერდ დაფლეთილებს.
კელავ ვფიცავ მასა, მხოლოდ წმინდასა,
მისსა მოსარჩლეთ მეომართ დასსა,
უკანასკნელ დღეს განჩინებისას,
ძალას და ღონეს მისსა დიადსა...
ვფიცავ მის სასტიკ მართლ მსაჯულებას,
შემწიკვლულ დროშის გაბრწყინვებასა,

შეუპოვრობას. მედგარ ბძროლასა,
უსამართლობის დამარცხებასა!..

მაშინ აჩრდილი გადასცემს ქნარს და რა დაუდებს მცნებად უკულმართ სოფელს ბრძოლა და ბრძოლაო, გაჰქრება. ასეთია შინაარსი **ჩვენებისა**, რომელიც უცილოდ დაწერილია ეახ. ორბელიანის **იმედის** და მამია გულიელის პოეზიის გავლენით იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს ფიცსა. ირ. ევდოშვილის პოეზია არის მოწოდება უკუღმართი სოფლის წინააღმდეგ საბრძოველად ტვირთ მძიმე მაშვრალთა განსათავისუფლებლად.

§ 58. **ალიო ბუმბერაზის — მაშაშვილის** (დ. 1903 წ.) პოეზია ნამდვილი მერეხია. რომელიც წალეკას უპირებს ყველაფერს ძველს, რასაც საფუძველი შემოჰლპობია. ალიო რევოლუციონერია არა მარტო სოციალ პოლიტიკური მიმართულებით, არამედ ფორმით, აზროვნობით. იმის სულთა სწრაფვას ბევრი რამ სწადია და მის ძებნაშია. ამის გამო თავის რაშებს მიჰმართავს:

წინ გამაქანეთ, გამაქანეთ ცეცხლის რაშებო,
წინ გამაქანეთ, გამაქანეთ ბედის რაშებო.

დედასავით საყვარელი გაჰხდომია მომავლის ქანდაკება, — იგულისხმეთ სოციალისტური კულტურა და კომუნა, — და მის საპოვნელად მზად არის, ქორივით ქარში გადავარდეს ფიქრებთან ერთად და ზღვა განელოს გრიგლის ეამს. რასაც ეტრფის პოეტი, ჯერ ცხოვრებაში არ განხორციელებულა და გლობუსი, რომელიც მოაქვს, ტყვიით და ყუმბარებით გაუტენია. პოეტს კიდეც უხარია, რომ ასეთი ბედი ჰღირსებია და საუკუნეს მოჰვლენია უცხო თვალებით ცეცხლის საფარველ ქვეშ. მისი მარატი რაში დასძგერებია ენებიან და უნამუსო ქუჩას. გვერდი გაუპია ორსული დარბაზებისათვის და შეუწყვეტინებია როიალის ჟღერა იქ, სადაც ტკბებიან მუქთა ხორები, სადაც

ზევით ნათელში ლხინია, ლხინი,
ზევით დარბაზში არის სიმღერა,
ქვეეით, აქ ბნელში არის ქვითინი
და შრომის შვილის ძარღვების ბგერა,

იმ შრომის შვილის. რომელიც გამხდარა ქალაქის საზვარაკო და არაეის ესმის მისი გოდება. მისი კვნესა. აღარ იბრალებს ბედის განაწირს არც ცხოვრება. არც კაცი. უსაზღვრო გარჯით თვალ დავსებულს ნატვრაშია, .

ო, როს მიწყდება ლხინი საზარი
მუქთა ხორების და ლოთებისა,
როდის დარეკავს უხეში ზარი
ხალხის ენებათა აღშფოთებისა,

მაგრამ პოეტი ანუგეშებს და ამხნევებს საბრძოლველად:

რკინის მესიამ შემოიარა.
შენ, დაჩაგრულო, ნუ დაღონდები!
გამოდი კარში მახვილით, ჟინით
და შეუტიე სასახლის კედლებს.
შენ ვეღარ გავნებს. შენ ნუ გაშინებს
ბრძოლის ცეცხლი და ცეცხლის სიმკვეთრე.

ასეთია ზარი ჩვენი პოეტისა, თავზარ დამცემი ზარი, რომელიც

ჰმღერის და მოსდევს ქარცეცხლის სიცილს,
ანგრევს ძველ წესებს, ანგრევს ძველ ადათს,
რკინის ტახტისთვის დროებით იბრძვის
ქვეყნად ტახტების დასანგრევათა.

რევოლუცია ამ გვარად მოდის და მისი პარნასი კომუნა არისო, დასძენს პოეტი. ოკტომბრის რისხვა ულმობელ იქმნა. ზოგერთებმა გიეი და უშნო უწოდეს. მაგრამ ვერვინ გაჰბედა, ეთქვა, უღონო არისო. რევოლუციის ცეცხლი აგუგუნდა ჩრდილოეთში და დაჰგმო რა ძველი ცხოვრება და ბატონობის ტახტი, შემოილო ფოლადის წესებიო.

ნაოსი მკერდი გაიშალა კომუნის მზეზე
და ვარდის ფერად შეიღება წვერ ულვაშები
და მისი კილო ხან სასტიკი, ხან სატრფიალო
წარღვნას უქადის დასავლეთის ქვეყნის ნაპირებს.

ამ გვარად ახალ მსოფლიოს შემოიელის მზე კომუნისა და სათნოება ჩამოიშორებს სიმრუდის ნიღაბს, ხოლო შრომის შვილს გამოფხიზლება და მედგრობა ჰმართებს, რადგანაც

აღარ იქნება ქედის მოხრა კაცის წინაშე
და შრომით ჰპოებს გაქანებას თუჯში, რკინაში!

წითელი მეზღვაურიც გვერდში უნდა ამოუდგეს შრომის შვილს, რომ მისმა გემმა გაჰკვეთოს შავი ნისლის ქედები და მძლავრი ყუმბარებით გზა გაიკაფოს შრომის სადგურისკენ.

ძველი ქვეყანა, ჩვენს პოეტს წარმოუდგენია, როგორც სავსე ცოდვითა და მუცელ გაბერილი სისხლითა, რომელიც უნდა დაიმს-

ხვრას. მზეს აღარ ძალუძს მისი მძიმე ტანი მკერდში ჩაიკრას. ბებერია, რომელსაც მოინელებს ბოლომომღები ივეი. მისი ფერმკრთალი სახე ნისლის მორევში იძირება და დაჭრილი ქორივით მიბარბაცებს წარღვნისაკენ. ასეთი ზარსახდომელი ამბების დროს პოეტს ძალი და მოსვენება არ უნდა და გაიძახის, ძირს სიყვარული, კოცნა, საუბარიო! მაგიერ სალამი უძღვნია უსახლკაროთა კარვებისთვის, სადაც თავს აფარებს დროებით ათასი ქარავანი, რომელთანაც მრავალ ღამეს ათენებს მისი ჭრილობის მამრთელებელი. იმავ დროს კი მათ თავზემო დარბაზებს ცხოვრების დაფაზე ადგილები დაუჭერიათ. პოეტი ამას რა ჰხედავს, გულის წყრომა მოერევა, ხოლო იმ კარვებში, იმ ფიქრთა მაღაროში ყოფნა უხარია და ამბობს:

შვების ღმერთი იქვე ზის, შვების ხმები იქ მესმის,
გამარჯვებით იქნეს ის, ვინც თქვენს ბედსა იუფლებს.

თავისი თავი წარმოუდგენია წითელ მხედრად და მოუწოდებს სულს. მზეში შიშვლად თარეშის მოყვარულს, გასწიოს იქ, სადაც არის მზის მოედანი, დასახსნელად ინდოეთისა, ხოლო თუ ტყვია სასიკვდილოდ დაჰკოცნის და სიბნელე სულს შეუხუთავს, გამვლელი მაინც იტყვის. ბრძოლის პოეტი გზაში მომკვდარაო. ასეთ რევოლუციონურ გულისხმას გამოუწვევია პოეტის ფიქრთა გარდატეხა: ამიერიდან სხვა ბედი აქანდაკებს მის უკვდავებას. სამას ოცი მილიონი ხალხის გაწითლება დიადი საქმეა და ქართველ რევოლუციონერ პოეტს საოცნებოდაც გარდაჰქცევია. ქართველი გენიის რასობრივმა თვისებამ აქაც იჩინა თავი და, რასაკვირველია, ასე არ ჰფიქრობდა ალიო, როცა მისი ოცნება შესტრფოდა დიდი ინდოეთის გაწითლებას. კიდევ არ სტოვებს ოცნებას და თავ აქოჩრილი შეჰხარის ფიქრებს და აკლემს მიაჰენებს... ალბად კიდევ ინდოეთისკენ, სადაც აკლემი შინაურია.

მე დამშვიდებას ბრძოლაში ვხედავ,
მყუდროებაში თვალები მტკივა.
მე მეძახიან ამაყ ქარავანს,
რადგან მაქვს ძმობა კარვისადმი,

ამბობს და ბრძოლა აუტეხნია შაეძალებთან ასე, რომ ბოროტების თამადა მის წინ თავს იხრის მტირალი, რა დღე დამადგა ძველად გათქმულ მხნე ბელადსაო. დაუგმია ცის ოცნება, ღვთის ლოცვა და მყუდროების მოძღვრება. რევოლუციის გამარჯვებით შეჰყვარებია

სისხლი და ცეცხლის კოცონი და სულაც არ სწუხს, როცა ჰხედავს თავის დაისრულ მსხვერპლს მსხვერპლზედა.

შრომის და აღშფოთების ეპოქა პოეტის მიმზიდველია. ყრუ სოფელი ქალაქს გაუღებს კარებს, ხოლო ქალაქი გადმოჰღვრის სოფლად ელექტრო ჭაღებს. ქალაქში მრავალი ოფლი იწვის, ქალაქი ოფლის მორევში სცურავს და თავისკენ იზიდავს სოფლის ურჩ შვილებს. არავის ძალუძს დაიმონოს და დააყუჩოს მტვრიან კედლებში ქარხნების ხმაურობა და ტრამვაით აგზნებული ქუჩები, ქალაქის წიაღში ოფლის ზღვა ჰღელავს. ხმაურობა და ამბოხება შეჰყვარებია ქალაქსა.

დღეს მანქანები გადაირია,
დღეს მანქანები მთვრალია ზეთით,
ეტყობა სიმხნე და სიამაყე...
მაგრამ, ჰა, ჰხედავთ პირშავი მუშა
ამაყ მანქანას დაჰყურებს მაღლით,
ისიც ამაყად მის ბედზე მეფობს

. . . . . .

ქალაქი გიეი დათვივით ჰღმუის,
ოფლით, მაზუთით იბერავს მუცელს.
გაუსკდა ცეცხლით დამწვარი კანი,
ელეკტრო ჩრტებს აერცელებს სოფლად!
ორთქლ მავალს მოაქვს სიმძიმე შრომის,
ობრავს, მოჰკიეის და მოგუგუნებს.
კენჭვენ მინდვრებსა, ჩეხვენ ტყეებსა,
ისმის ხმაური და შრომის ქება.
ხარობს ტეტია და უხარია
საბრალო სოფლის გაქალაქება!

. . . . . .

მიწამ ჩაიცვა რკინის ხალათი!
ახლა კი ნამგალს დაეტყო ჟანგი.
ამოშრა ტბები, წყლები, შმორები:
ქალაქის ქუჩა იშორებს ჩაქუჩს,
სოფლის ტეტიაც აგდებს კუთხეში
დაჟანგულ ნამგალს.
ეს პრიმიტიეი გადასცეს მოტორს
და გახდნენ მისი დირიეორები!

ძარღვიანი მკლავი კაცს გადაუცია მოტორისთვის და მოტორი გამხდარა ურთული და რკინის მმართველი. ამას რა იტყვის ჩვენი პოეტი, შეასხამს ქებას ადამიანის შემოქმედებას, რადგანაც გონებით მაღალმა დაიმორჩილა სივრცე და უხარია,

რომ ბუნებასაც მოუგრეხს კისერს,
თითის შეხებით ააბუტბუტებს
ზღაპრულ ვეფხვივით მძინარ მანქანებს.
წინ გააქანებს ტყვიის მეხივით
ფოლადის ყუთებს, ფოლადის ნავებს
და ვარსკვლავებთან გაჰმართავს ჯირითს.

ქალაქის ხმაურობის და ამბოხების გაპოეტიზების შემდეგ კაპიტალიზმს მიუძღვნის ბავთს, სადაც, სხვათა შორის, უწინასწარმეტყველებს,

შენ საუკუნით სწრაფე ეს მიწა,
უკუნეთიეთით ჰფარავდი სივრცეს,
აწ ქვეყანაზე ვერვინ დაგიცავს,
აწ სამუდამოდ უნდა დაიქცე!

თეატრი შესძულებია, კინო შეჰყვარებია, როგორც ტეხნიკის ნაყოფი და მსახიობთ მიჰმართავს, მოსაწყენია ეგ ენა, ეგ ხმა, მიმუნობა და სახის მანკვაო. აქ გამოჰკრთის ჩვენი პოეტის საკუთარი შეხედულება, რომელიც შეიძლება ზოგიერთმა არ გაიზიარროს, რადგანაც სცენა უდიდესი ხელოვნება არის და არა ყოველი მსახიობი ჩაითვლება არტისტად.

ალიო ბუმერანგი თავის თავს ახასიათებს, როგორც ქარში შობილს, რომელსაც ხეტიალი უწამებია, ბრბოდ და გენიად ჰქმნილა. ოცნება ფიქრების ტახტს დაჰპირებია. ისწრაფვის ფიქრთა კარავს ეძგეროს და პლანეტებს იქით გადაჰფრინდეს. სული ჰქცევია უდაბნო ოკეანედ, რომელსაც თმა ჯეჯილი ქარი დაჰბღავის, დადის ბოდვით და ასეთი ყოფნა ჰსურს ქუჩისა და ბრბოს პოეტს. ალიოს თავი მოაქვს ეგრეთვე საქართველოს შვილად, საქართველოს პოეტად და ამბობს, ჩემი გული ყველას ეკუთვნის. ჩემთვის ერთია თეთრი რასა, თუ არაბია. მისი საყვირი ბრძოლის ზარია. მისი ოცნება უსაზღვრო. ჰსურს იყვეს პოეზიაში ისეთივე ჯალათი, როგორი ჯალათიც იყო ნერონ ხალხისთვის. მის ფიქრთა ზვინი სიმაღლით ყაზბეგს სწორავს, ლექსის გრკალი ლაღი უქნია, რომ გულის ნება პირდაპირ და გაბრაზებით სთქვას. ამის მიზეზით უნდა

იყვეს, რომ ერთგან ამბობს, ხმაურობამ რითმი დამაწყევლინაო. სხვა ალაგას გვიმღერავნებს, მზეს სხივებს ვპარავდი, თვით მე მსურდა მზეობაო, უნდა ვიფიქროთ, ენითაც. მაგრამ ქართული ენის მზე ჯერ კიდევ ჩასულია და მის ამოსაყვანად ეხლანდელი თაობა ამაოდ დაჰშვრება. ენა მზეობისათვის საჭიროა ქართული ერუდიცია, ხოლო ეხლანდელი ქართველი მწერალი და ქართული ერუდიცია ერთმანერთს ძლიერ შორავს. ალიო ურჩევს პროლეტარ პოეტებს:

თქვენ, პოეტებო, თუ სწერთ ქართულად,
თუ გსურთ, რეკავდეს სიტყვა ქართული,
სწერეთ ლექსები წელ გამართულად,
სწერეთ ლექსები წელ გამართული!
ასეთი ფერი, ვსთქვათ, თუ დაბერდა
და მოისურვეს ფეხით გათელონ,
იმის წაქცევას ვერვინ გაბედავს,
ის ურყევია, ვით საქართველო.

წელ გამართული ლექსი უთუოდ რევოლუციონური უნდა იყვეს. ჩვენი პოეტი განაგრძობს რჩევას და, სხვათა შორის, ამბობს:

ჩვენც ერთი მზის ქვეშ მსოფლიოს ვეძებთ
და ხელოვნების საკუთარ დროშას
ჩვენ, ჩვენც ავიტანთ მის სიმაღლეზე.
მაშ მეგობრებო და პოეტებო,
მშობლურ ენასა პატივი ეცით.
თქვენი სახელი ხალხს მოედება,
თუ მას დაანებებს ქართული ცეცხლი.
სანამ თბილ ნისლსა ჰსუნთქავს ყაზბეგი,
სანამდის ტოკავს ტფილისის გული,
ჩვენც მიგვაქანებს ელვის ხაზები
და ოქტომბერის გვესმის გუგუნი.
მაგრამ იცოდეთ ამ ქართულ მიწას
სხვის ნაფიქრალში ნულარ დამალავთ!
საკუთარ სახეს ვინც კი დაიცავს,
იმ მსოფლიოში შევა თამამად!

ამ გზით შემოვა კომუნა, რომელიც
სიმართლეს დასვამს ტახტზე დედოფლად,

აღარ იელვებს შური და დავა,
ყველა დასტკბება შრომის ნაყოფით.
ამ გზით შემოვა შრომის სუფევა.
შრომავ! იმეფებ, შეგმოსავთ ლექსით,
ფოლადის გრძნობით დავკოცნით შენს პირს
და პოეზია უმხურვალესი
შეჰქმნის კვლავ მრავალ ბაირონს, შექსპირს!
ასე უნდა მოხდეს, რადგანაც
ამოისუნთქა საქართველომ შურისძიებით.
მზე ქართლის ბედსა მოეღინა ოქროს ნიღაბით.

ალიო ბუმერანგის პოეზია არის განუწყვეტელი რევოლუციონური აღტყინება, ცეცხლით და სისხლით ნაზავი, ძველი ცხოვრების გარდასაქმნელად, შრომის სუფევის დასამყარებლად და გაპოეტიზება ელექტრო ტეხნიკის სასწაულ მოქმედებისა, როცა სოფელი გაქალაქებას ეტანება და როცა ქარხნის ქუჩა და ჩაქუჩი ხმა შეწყობილად უკრავს, ხოლო მუშა ჰმღერის, არ მინდა ვიყო მე მონა სხვისი. ჩემი ოფლითა სხვები ვასუქო. მაგრამ ადამიანის შემოქმედებას, მის გენიალობას წინ გადაპშლია ბუნების დიადობა, მისი იდუმალობა, რომელიც გენიას ამოქმედებს არა მარტო დაჩაგრული სიმართლის აღსადგენად. დანარჩენი იდეალები სიკეთისა და სიტურფისა, რომელიც ისეთივე მამოძრავებელია გენიისა, როგორც იდეალი სიმართლისა, ნუ.თუ პოეზიის გარეშე უნდა დავტოოთ? მაშინ ხომ ცალმხრიობა და ერთფეროვნება დასჩემდება პოეზიას, ხომ დაბრკოლდება გენიის გაქანება, რომელსაც ისე ესწრაფვის ალიო ბუმერანგი.

თ ა ვ ი XIV

§ 59 ქართული თეატრის საქმე სამოცდაათიან წლებამდე თითქმის უნიადაგო იყო და წარმოდგენის გამართვას შემთხვევითი ხასიათი ჰქონდა. მერმე დაარსდა დრამატიული საზოგადოება, რომლის თავმჯდომარედაც პირველ ხანებში ითვლებოდა გიორგი თუმანიშვილი და ქართულმა სცენამ მას აქეთ*ფეხი მოიკიდა. წარმოდგენები იმ დროს იმართებოდა უმთავრესად ტფილისს და ქუთაისს. საოპერო დასის შენახვა დრამატიული საზოგადოებისთვის ხელმოკლეობის გამო თავიდანვე ძნელი საქმე იყო, რადგანაც ქართული ოპერა არ იყო სახელმწიფო და მისი აღორძინება არც ეპიტნავე-

ბოდათ ცარიზმის აგენტებს. ქართული თეატრი იყო ქართული კულტურის ერთად ერთი ხელშეუვალი დაწესებულება, სადაც ქართული ენა თავისუფლად ვითარდებოდა, და ნამდვილი სკოლა, რომელიც ხალხს ასწავლიდა მისი ქვეყნის და ვინაობის ისტორიას ისტორიული დრამით, ხოლო ზნეჩვეულების სიმრუდეს უსწორებდა კომედიით. იმავე დროს უხატავდა ახალ იდეალებს ცხოვრების გასაუმჯობესებლად.

ოთხმოციანი წლებიდან ქართული თეატრი ისე განვითარდა, რომ კლასიკური პერიოდი დაუდგა. იმ დროინდელი დრამატიული მწერლობა მდიდარია, როგორც ორიგინალი, ისე თარგმნილი პიესებით. პიესებში კლასიკური მნიშვნელობა მოიპოვა დავით ერისთავის ხამშობლომ და ალექსანდრე სუმბათაშვილის ღალატმა. ხოლო ევროპელი დრამატურგები, რომელთა პიესებიც დადგმულა იმ დროს ქართულ სცენაზე, არიან შექსპირი, შილერი, მოლიერი, სოფოკლე, ევრიპიდე, გოგოლი, ოსტროვსკი და სხვები. ქართველი არტისტები, როგორც კოტე მესხი. ვალიკო გუნია და შალვა დადიანი, დრამატურგები იყვნენ ეგრეთვე.

მეოცე საუკუნეში დიდი ომის პროცესში და რუსეთში რევოლუციის გამარჯვებით ქართულმა თეატრმა მიიღო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა და მის შესანახად ხარჯი თავს იდო სახელმწიფომ. მიზანსცენის, ე. ი. პიესის დადგმის საქმეც სწრაფად განვითარდა ასე. რომ ზოგიერთი პიესის დრამის, თუ ოპერის მიზანსცენამ თუ არ გაუსწრო უცხოეთის ზოგიერთი ქალაქისას, არ ჩამორჩენია უკან. ხოლო დრამატურგობით სახელი გაითქვეს ნ. შიუკაშვილმა, ი. გედევანიშვილმა, ნ. ნაკაშიძემ, ტ. რამიშვილმა, გ. როფაქიძემ და სხვებმა. აკადემიურ თეატრთან ერთად დაარსდა წითელი თეატრი, სადაც რევოლუციონურ პიესებს თამაშობენ. ქართული დრამის ერთი დიდი ნაკლი ის არის, რომ ვერ მოახერხა დედა ქალაქის ცხოვრება თავის საგნად გადაეტანა. ამის მიზეზია, სხვათაშორის ისიც, რომ ქართველი მწერლები მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრიდან დაწყებული თითქმის ყველა არა დედაქალაქელები არიან და დედაქალაქის ცხოვრებას ვერ იცნობენ. ისეთ დიდ ცენტრს, როგორც საქართველოს დედაქალაქია, თავისი დრამატურგი და რომანისტი რომ არ ჰყვანდეს. პირდაპირ უცნაურია. იმავ დროს კი გააჩინეს იმერულ გურულ ხევსურული თეატრი.

მეოცე საუკუნეშივე გაჩნდა ქართული ოპერა, რომელიც დაიწყო რუბენშტეინის **დემონის** დადგმით ლენინგრადის სცენაზე, ხო-

ლო ტფილისის სცენაზე ფაუსტი, სევილიელი დალაქი და ჯარმენ დასდგა ქართულმა ფილარმონიურმა საზოგადოებამ, შემდეგ ორიგინალი ოპერები დასწერეს დ. არაყიშვილმა შოთა რუსთველის თქმულება და სიცოცხლე სიხარულია; ზ. ფალიაშვილმა აბესალომ და ეთერი, დაისი და ლატავრა; ი. ჯაბადარმა გულნარა; ალე ფარცხალაძემ მაია; ლ. ფალიაშვილმა ვეფხის ტყაოსანი; მ. ბალანჩიეაძემ თამარ მცბიერი; ვ. დოლიძემ ქეთო და კოტე, ლეილა და ცისანა; მეღვინეთ უხუცესიშვილმა ამირანი და შ. თაქთაქიშვილიმა განთიადი.

სახელმწიფო კინო მრეწველობაც განვითარდა. ეკრანზე გადაღებულ იქმნა სურამის ციხე, მოძღვარი, სამი სიცოცხლე, ვინ არის დამნაშავე ნათელა (უტუ მიქავა) და სხვა. თეატრი და კინო საქართველოს ყველა მაზრის ქალაქებსა და თვალსაჩინო პუნქტებში ამოქმედდა.

§ 60. ჩვენი ქართული სიტყვიერების განარკვევი შეიცავს უფრო სიტყვა კაზმული მწერლობის ისეთ ნაწილს, რომელიც ახასიათებს მწერლის შემოქმედებას და აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს, როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების გამომხატველსა. ეხლა თვალი რომ გადავავლოთ ჩვენი მწერლობის განვითარებას, უნდა შევნიშნოთ მოკლედ შემდეგი: ქართული მწერლობის უძველესი ძეგლიც კი დაწერილია ისეთი ენით, რომელსაც გრამატიკული ფორმების განვითარება უკვე დასრულებული აქვს. ჩვენს მწერლობას არ მოეპოება ისეთი ძეგლი, რომლისაც ენის საგანგებოდ შესწავლა საჭირო იყვეს ნაწერის გასაგებად, როგორც მაგალითად ფრანგულ და რუსულ მწერლობას შეჰმთხვეია. ებრაული მწერლობის (ბიბლია), სასარეა სამოციქულოს და საერთოდ საეკლესიო ცხოვრებისთვის საჭირო წიგნების თარგმნა მეათე საუკუნემდე უკვე დასრულებული უნდა ყოფილიყო, რადგანაც მეათე საუკუნეს ეკუთვნის გადაწერა თავისუფალი შემოქმედების ძეგლთა, როგორიც არის მაგალითად აგიოგრაფიული და ისტორიული ძეგლები. მაშასადამე თავისუფალი შემოქმედების მწერლობა უნდა დაწყებულიყო მეათე საუკუნემდე. აგიოგრაფიულ ძეგლებში გამოჰკრთის მაშინდელი სოციალ-პოლიტიკური ცხოვრება, ეგრეთვე ეროვნული ცნობიერების გრძნობაც. უცხო ტომელთ და მუსულმანთ აბო ტფილელის და სხვათა წამება საქართველოში ქრისტიანი ქართველობისთვის თავმოსაწონებლად გაუხდიათ აგიოგრაფებს. ქართლის ცხოვრების მემატიანეს ამოძრავებს კავკასიონის სხვადასხვა ტომთა ნათესაობის გრძნობა, რომელიც მეცნი-

ერებამ გაამართლა. ბაღდადის ხალიფას ზეხელმწიფების დროს საქართველოს გაერთიანება და მწერლობა ხელოვნების განვითარება შესამჩნევი ფაქტია. არაბთა ტფილისში. ოთხი საუკუნის განმავლობაში ყოფნის ერთი ძეგლიც არ არსებობს, მაშინ როცა ესპანეთი სავსეა არაბული ძეგლებით. მწერლობის განვითარების ცენტრებად მარტო მონასტრები არ ყოფილა. ვისრამიანის, ამირან დარეჯანიანის ვეფხის ტყაოსნის და სხ. ავტორები მოღვაწეობდნენ არა მონასტრებში, არამედ დარბაზებში. მაშასადამე, სიტყვა კაზმული საერო მწერლობის კერად უნდა ყოფილიყო დარბაზი. ზოგიერთ ვეფხის ტყაოსანს წინასიტყვაობის სათავეში დართული აქვს ისეთი ხანა, რომელიც გვაუწყებს, თუ ბერმა წაიკითხა, წაწყმდებაო. ვეფხის ტყაოსანი დიდებულია არა ბრძნული აფორიზმებით, რომელიც იქ გაფანტულია, არამედ ეროვნულ პოლიტიკური იდეით, რომელსაც ნესტან გადაუქცევია პოლიტიკური ტერორის იდეოლოგად. ვეფხის ტყაოსანი ლოგიკურად გაგრძელებაა ხოტბითი პოეზიის (აბდულ მესხის, თამარიანის), ეგრეთვე ამირან დარეჯანიანის, რომელიც ერთხელმწიფებას მხარს უჭერს ფეოდალთ ურჩობის ამოსაგდებად. მეთოთხმეტე საუკუნიდან მუღალთა რამდენჯერმე შემოსევამ გაანადგურა ქართული კულტურის ძეგლები ასე, რომ ზოგიერთი ნაწარმოები სულ დაღუპულა (დილარგეთ), ზოგს კიდევ მოუწევია ჩვენამდე მეთვრამეტე საუკუნეში გადაწერილს (ვეფხის ტყაოსანი და სხვა). მეთექესმეტე საუკუნემდე ქართული მწერლობა დავარდნილია. ბიზანტიის ნანგრევებზე ოსმალნი, ხოლო მუღალთა ძლიერების ჩაფუძვის შემდეგ სპარსეთი აღორძინდა პოლიტიკურად. საქართველოს ოსმალეთმა წაართვა ჯანეთი და სამცხე (მესხეთჯავახეთი), აკვანი ქართული კულტურისა, სპარსეთმა კი ქართლ კახეთს ზეხელმწიფების უღელი დაადგა. რა კი სპარსეთის ასეთი უღელი მავნებლად მიჩნეულ იქმნა, ქართველი ხალხის ფიზიკური არსებობის და ქრისტიანობის დაცვისა და კულტურულ ზნეობრივად განვითარებისთვის მეთექვსმეტე საუკუნიდანვე ქვეყნის მესვეურები შეუდგნენ ქრისტიანი ზეხელმწიფის, ანუ მფარველის ძებნას. ასეთ მფარველად სწადდათ, ყოფილიყო რუსთ ხელმწიფე, როგორც ერთ მორწმუნე, რომელთანაც კიდეც ჩამოვარდა ურთიერთობა. პოლიტიკის ახალი გეზი ეს იყო. კულტურის საქმეში კი დაისახეს მიზნად ქართული კლასიკური მწერლობის და ძველი ქართველი ხალხის ცხოვრების შესწავლა და გაცნობება ხალხისთვის, რომელსაც სპარსული ზნეჩვეულება, სარწმუნოება

და კულტურა თანდათან ერეოდა. ამ გვარად დაიწყო აღორძინება ქართული მწერლობისა ეროვნულ ისტორიული მოტივების შეტანით. მაგრამ სპარსეთი ასეთი პოლიტიკისთვის ქართველ ხალხს ავიწროებდა. შემდეგ, ე. ი. მეთერამეტე საუკუნეში რა კი რუსთ ხელმწიფისაგან დახმარება არ სჩანდა, რაეევა მოხდა რუსეთის ორიენტაციაში და საფრანგეთის და ავსტრიის შემდეგ, რომელთა შორის უნაყოფოდ მიჰმართეს პირველს ვახტანგ მეექვსემ, ხოლო მეორეს პატარა კახმა, ამ უკანასკნელმავე გადასწყვიტა ბოლოს ქართლის ბედი ხელშეკრულების დადებით 1783 წ. რუსთხელმწიფესთან, მაგრამ კიდეც დაიკარგა სპარსეთისაგან, რომელმაც საქართველო აოხრა. მწერლობა მეჩვიდმეტე და მეთერამეტე საუკუნის პოლიტიკური ბედუკულმართობის მიუხედავად აღორძინდა. საუკეთესო შედევრები სპარსული პოეზიისა ითარგმნა. კულტურული მოღვაწეობა ინტენსიურად დაწყებული ვახტანგ მეექვსის მიერ სტამბის შემოღებით და შესანიშნავ ნაწარმოებთ დაბეჭდით განაგრძო პატარა კახმა, რომლის დროსაც მართვაგამგეობის საქმე თითქმის სახელმწიფოებრივი ცხოვრების ყოველ დარგში კარგად მოეწყო, მაგრამ ქვეყნის ბედის უკეღმა შეტრიალებამ ბოლო მოუღო ხალხის პოლიტიკურ თავისუფლებას, თუმცა ხალხმა ჰპოვა მშვიდობა რუსთხელმწიფის საფარველ ქვეშ. ასე იყო, მაგრამ მეცხრამეტე საუკუნიდან ცარიზმის გაბატონებას მშრომელი ხალხი შეეხვდა მაინც გულ ნაკლად. გულნაკლობა ბოლოს აჯანყებად იქცა 1812 წ. კახეთს, ხოლო 1817 წ. იმერეთში. მას უკან 1832 წ. შუამთის მონასტრის ბერის ფილადელფე კიკნაძის გეგმით შეთქმულებაც მზადდებოდა ცარიზმის დასამხობად. მაგრამ მთავრობამ შეიტყო და შეთქმულების მონაწილენი ყველანი დააპატიმრეს და რუსეთს უკრეს თავი. დაპატიმრებულთა შორის იყვნენ ჩვენი პოეტები ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და სხვები. სასჯელის მოხდის შემდეგ შეთქმულების მონაწილენი სამშობლოში დაუბრუნეს და სამსახურშიაც გაამწესეს. ალ. ჭავჭავაძის და გრ. ორბელიანის პოეზიაში ისევე, როგორც ნიკ. ბარათაშვილისაში გამოკრთის გრძნობა პესიმიზმისა, მაგრამ ცარიზმის რეჟიმს მალე შეეგუვნენ სამნივე. მათი ჭნარი საზოგადოებრივი ცხოვრების ავკარგს არ ეხებოდა. ცხოვრების შესწავლა იწყება გ. ერისთაეის კომედიებით, რომელთაც მიზნად ჰქონდათ ზნეჩვეულების სიმრუდესთან ბრძოლა მისი დაცინვით. ბატონყმობა, რომელიც იმ დროს მძვინვარებდა, ნაკლებად აინტერესებდათ. ბატონებს გლეხობა ეგონათ გაჩენილი მათი საჭიროების

დასაკმაყოფილებლად (გაყრა). დ. ჯონქაძემ კი თავისი სურამის ციხით პირველმა ამოიღო პროტესტის ძლიერი ხმა ბატონყმობის წინააღმდეგ. სამოციანი წლებიდან როცა ი. ჭავჭავაძე თავისი სკოლით გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე. დიდი ყურადღება მიაქცია ქართველი ხალხის სოციალპოლიტიკური ცხოვრების შესწავლას ასე, რომ მაშინდელი ცენზურის ფარგლებში ყოველ სამწერლო ღონეს ჰხმარობდნენ ქართველი ხალხისთვის ჩაეგონებინათ, რომ იგი იყო ყოველგვარ უფლება აყრილი, მშრომელი ხალხი ბატონყმობის დროსაც და მის შემდეგაც ჯოჯოხეთურ ცხოვრებაში იყო პატრონებისაგან, როგორც მცხოვრები მათ მამულში და მათი მამულის მოსარგებლე. ბატონყმობის დროინდელ ცხოვრებას ი. ჭავჭავაძე, ხოლო მერმენდელს სწავლობდნენ იგივე ჭავჭავაძე და გ. წერეთელი, რომელიც საზოგადოებრივ კლასთა ცხოვრებას ისე აგეიწერდა, როგორც მიმდინარეობდა მაშინ, როცა ი. ჭავჭავაძე მათ შორის თანამშრომლობას ეძებდა (ოთარაანთ ქვრივი). სამოცდაათიანი წლებიდან დაიწყო მუშათა მოძრაობა, რომლისაც სულის ჩამდგმელი იყო ჩვენი ბელეტრისტი ე. ნინოშვილი. მოძრაობას მიეცა ორგანიზაციონური ხასიათი და რუსეთის პროლეტარიატთან ერთად გამოდიოდა ცარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეკონომიური მატერიალიზმის სკოლას, რომელიც იწყება იმავ ნინოშვილის სამწერლო მოღვაწეობით, მოჰყვა რევოლუციის გამარჯვება და კაპიტალის დამარცხება. შრომა და გარჯა შეიქმნა უდიდესი პრინციპი ხალხის ცხოვრების გასაუმჯობესებლად, ხოლო გაურჯელობა დაგმობილ, მისი მიმდევარი კიდევ პარაზიტად მიჩნეულ იქმნა. მწერლობამაც აღიარა ეს პრინციპი და იდეალად დაისახა ქალაქის და სოფლის მუშა ხალხის ბედნიერებისთვის თავგამოდებული სამსახური. სოციალისტური კულტურის განსავითარებლად დაარსდა პროლეტარ მწერალთა კავშირი, რომლისაც უნიპიერესი წარმომადგენელია რევოლუციონერი პოეტი ალიო ბუმერანგი — მაშაშვილი.

დასასრული

ტფილისს 1926 წ. მარტის 26.

—— : ——

ს ა რ ჩ ე ვ ი.

33.

თავი I. ქართველი ერის გვარტომობა. — ქართველი თემები და მათი კილოები. — ზეპირსიტყვაობა. — პერიოდები ქართველი ხალხის კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრებისა. — ქართული ანბანის შემოღება და საკულტურო მოღვაწეობის ცენტრები შინ და გარეთ მეთერთმეტე საუკუნემდე. — ბუნება ქართული ენისა. . . . . 4 — 15

თავი II. ქრიატიანი ბერძნების და ცეცხლის თაყვანისმკემელი სპარსელების მოცილეობა ივერიაში თაეისი კულტის და იმის სახელით თაეისი გავლენის გასაერცელებლად. — დასაწყისი საერო მწერლობისა. — აგიოგრაფიული, იერიდიული და ისტორიული ძეგლები. — ქართული წელთა აღრიცხვა . 16 — 25

თავი III. ხელოვნება და მწერლობა მეათე საუკუნეში. — საკულტურო მოღვაწეობის ცენტრები საქართველოს გარეთ მეთერთმეტე საუკუნეში. — მუშაობა ბერძნული კულტურის გავრცელებისათვის. — **იოანე პეტრიწი, ექვთიმე** და **გიორგი მთაწმინდელები** 25 — 31

თავი IV. სოტბითი პოეზიის სოციალ-პოლიტიკური მნიშვნელობა. მეხოტბე **პოეტები იოანე შავთელი** და **ჩახრუხაძე. — მოსე ხონელი,** როგორც პიონერი თავისუფალი სახელოვნო საერო პროზისა. — **ამირან დარეჯანიანი** და ხალხური თქმულება **ამირანისა.** — **ვეფხისტყაოსანი,** როგორც საგმირო პოემა. — წინასიტყვაობის საგნები. — გმირთა სულისკვეთება და მაამოძრავებელი იდეალები. — სხვა და სხვა ელემენტი **ვეფხისტყაოსნისა:** ბედისწერა, სიბრძნე.

	გვ.
ფანტასტიური ქვეყანა მდევების და ქაჯებისა, ისტორიული ანალოგიის და საზოგადოებრივი მოტივი. — ამირან დარეჯანიანის და ვეფხის ტყაოსნის მსგავსება და ვანსხვავება	31 — 51
თავი V. სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების სიდუხჭირე. მისი მავნებელი გავლენა მწერლობაზე. — ახალი გეზის პოვნა პოლიტიკაში და ზრუნვა მწერლობის აღორძინებისათვის. თეიმურაზ პირველის, არჩილ მეორის და იოსებ თბილელის პოეტიური მოღვაწეობა. — ეროვნულ ისტორიული კილო მეჩვიდმეტე საუკუნის პოეზიაში	51 — 65
თავი VI. პოლიტიკური ტრაგიზმი ქართველი ხალხისა მეთერამეტე საუკუნეში. — უკანასკნელი მოხედვა პოლიტიკურად მომაკვდავი ქართველობისა საკულტურო და საპოლიტიკო ფრონტზე. — დავით გურამიშვილი, როგორც მემატიანე ქართლის ჭირისა. — მისი პოეზიის მოტივები. სპარსული ლირიკის გავლენა ქართულ პოეზიაზე. — ბესიკის ლირიკა. — მისი პოეზიის ისტორიული და სატირიული მოტივი. — ხაბა სულხან ორბელიანი, როგორც ხელოვანი მწერალი. — მისი სიბრძნე სიცრუის წიგნის მოძღვრებითი მხარე. — პეტრე ლარაძე, როგორც აღმადგენელი სარგის თმოგველის საგმირო მოთხრობის დილარგეთისა	61 — 82
თავი VII. უცხოეთის მწერლობის თარგმნილი შედევრები: სიბრძნე ბალვარისა, ვისრამიანი, ლეილ-მეჯნუნიანი, როსტომიანი, ქილილ და დამანა, ყარამანიანი.—საკვლევ გასართობი.—დაარსება ქართული თეატრისა 1791 წ. — სახალხო თეატრი. — სამეცნიერო მოღვაწეობა, მისი თანამშრომლობა ევროპული სკოლის დასამყარებლად საქართველოში. მკვლევრმეტყველება	82 — 91

ᲒᲑ·

თავი VIII. მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს დიდი გარდატეხა სოციალ-პოლიტიკურ ცხოვრებაში. — საზოგადოების განწყობილება გარდატეხისადმი. — გულისნადები ა. ჭავჭავაძისა, პატიმრობის დროს განცდილი. — მისი პესიმიზმი. — პესიმიზმის საგანი და გამომწვეევი გარემოება. — ეროტიზმი და მისი დებულება. — სატირიული ელემენტი. — აღწერის შნო. — გავლენა კლასიკური პოეზიისა. — **გრ.** გულისნადები ა. ჭავჭავაძისა, პატიმრობის დროს განცდილი. — ისტორიული პესიმიზმი. — ჰუმანიური იდეები მისი პოეზიისა. რომანტიზმი. — სოციალი მოტივი პოეზიისა. — მამებსა და შვილებ შორის კამათი. — **ნიკ. ბარათაშვილის** სულიერი მღელვარება. — პესიმიზმი, რომანტიზმი მის პოეზიაში. — ისტორიული კილო . . . . . 91 — 116

თავი IX. სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობა ქართველი ხალხისა **გიორგი ერისთავის** დროს. — რუსთხელმწიფის მოადგილის მიხ. სვიმონის ძის ეორონცოვის პოლიტიკა და მფარველობა ქართული ხელოვნებისა და მწერლობისა. — თეატრი გ. ერისთავამდე. — **გიორგი ავალიშვილის** თეიმურაზ მეფე, როგორც პირველი ქართული ორიგინალი დრამა. — გ. ერისთავის კომედიები გაყრა და დავა და პოემა **შეშლილი.** — საზოგადოებრივი ჯგუფები ზემოხსენებული დრამატიული ნაწერებისა. — თერგდალეულები და მათი რომანტიზმი. — **დანიელ ჭონქაძის** ისტორიული მოთხრობის სურამის ციხის ელემენტები: საზოგადოებრივი, მითოლოგიური და ისტორიული. — ბატონთა და ყმათა შორის ურთიერთობა. — ვარდუას ტიპი და მისი ეითარება. — ლავრენტი **არდაზიანის ხოლომონ მეჯღანუაშვილის** მოღვაწეობა, როგორც დასაწყისი აღმოსავლეთ საქართველოს ბურეუაზიის ისტორიისა. — მეჯღანუაშვილის ტიპი და მისი ეითარება . . . . . 116 — 133

თავი X. სოციალ-პოლიტიკური ცხოვრების მიმოხილვა. — ილია ჭავჭავაძე და იმისი სამწერლო სკოლა. — ბატონ-ყმობის დროს მშრომელი ხალხის ყოფა-ცხოვრება ი. ჭავჭავაძის წვრილი ლექსების, **გლახის ნაამბობის, კაცია-ადამიანის, აჩრდილის** მიხედვით. — ნაბატონართ და ნაყმევეთ ურთიერთობა **ოთარაანთ ქვრივის** მიხედვით. — ი. ჭავჭავაძე, როგორც წმინდა ,ხელოვანი. — მისი **განდეგილი,** როგორც გამოხატულება ხორციელი უცოდველობის შეუძლებლობისა. — პოეტის იდეალი და პოეზიის დანიშნულება. — სატრფოს მოტივი აკაკი წერეთლის პოეზიაში. — ბატონ-ყმობის და მის მერმინდელი ცხოვრება მისი წვრილი ლექსებით. — პოეტის იდეალი და პოეზიის დანიშნულება. — **ბოდვა,** როგორც სატირა. — ისტორიული მოტივი და პოეტური შემოქმედების სურათები **თორნიკე ერისთავი** და **ნათელა** პოემებისა. — აკაკი. როგორც დრამატურგი. — **ვახტანგ ორბელიანის** პოეზიის საერთო ხასიათი. — ფეოდალთ ბედოვლათობა და ბოქაულ - ადვოკატ - ჩარჩების თარეშობა მშრომელი ხალხის ზურგზე. — **პოემა მთის ქალი** და **მოგზაური,** როგორც მამულის კულტურული სიყვარულის გამომხატველი. — **დედოფალი** პოემის სამოქალაქო მოტივი. — შეხედულება ვ. ორბელიანისა პოეზიის კილოზე. — **გიორგი წერეთელი,** როგორც საზოგადოებრივი ცხოვრების მემატიანე. — წვრილ მემამულე ნაბატონართ ცხოვრება და მათი ურთიერთობა მშრომელ ხალხთან **მამიდა ასმათის** და **რუხი მგლის** მიხედვით. — მშრომელი გლეხის მიერ პირველი ნაბიჯის გადადგმა კაპიტალის შესაძენად **პირველი ნაბიჯის** მიხედვით. — ბახვა ფულავას მოღვაწეობა, როგორც დასაწყისი დასავლეთ საქართველოს ბურჟუაზიის ისტორიისა. — **რაფაელ ერისთავის** გლეხური ლირიკა. — დროებითი ეალდებულება გლეხთა და მათი უმწეო მდგო-

83.

მარეობა. — პირველყოფილი სოციალიზმის ნაშთი მშრომელი ხალხის ცხოვრებაში და მამითადი მისი მაჩვენებელი . . . . . 133 — 179

თავი XI. უკუღმართი შეხედულება საქართველოს მთის ხალხზე, როგორც შედეგი პოლიციურ-ბიუროკრატიული რეჟიმის შემოღებისა მთაში. — ალექსანდრე ყაზბეგის მოღვაწეობა. — მთის ხალხის ყოფა-ცხოვრება ელისოს, მოძღვრის და ხევის ბერი გოჩას მიხედვით. — ვაჟა-ფშაველას ნაწერების სიმბოლიზმი. — მშვლის ნუკრის ნაამბობი, როგორც ალფონს დოდეს კაკბის ნაამბობის გავლენის ნაყოფი. ფალავნები და ხევის ბერები გოგოთურ და აფშინა, ალუდა ქეთელაური და ბახტრიონი პოემების მიხედვით . . . . . 179 — 190

თავი XII. მუშათა მოძრაობის დასაწყისი. — ეგნატე ნინოშვილის მოღვაწეობა ამ დარგში. — ეურნალი „ კვალი“ და მესამე დასი. — საზოგადოებრივი ცხოვრება ჩვენი ქვეყნის რაინდის, მოსე მწერლის, პალიასტომის ტბის და ქრისტინეს მიხედვით. — ფეულის მნიშვნელობა გლეხის ცხოვრებაში და ქალაქის დამღუპველი გავლენა სოფელზე. — ახალი ტიპები. შიო არაგვისპირელის შემოქმედების ხასიათი.— ნაბატონართა კლასის ზნეობრივი გათახსირება: ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო, მერმე რითიღა იცხოვროს და ღმერთო, დაილოცოს შენი სამართალი. — მშრომელი ხალხის ყველეფა მათ და ჩარჩების მიერ. დავით კლდიაშვილის ნაწერების კომიზმი. — ნაბატონართა იოლი საქმიანობა — მაკანკლობა სოლომონ მორბელაძის და სამანიშვილის დედინაცვლის მიხედვით. ი. გრიშაშვილის პოეზიის საფუძველი მშვენების ტრფობა, მზეური ღამილი და სიცოცხლის სიხარული. — ფორმის ჰაეროვნება და დედაქალაქელობა. — ძველი ქალაქის მოტი-

83-
ვი — გაუგებრობა ი. გრიშაშვილისა და არა დედა-
ქალაქელ პოეტებ შორის. — სამოქალაქო მოტივი
მის პოეზიაში . . . . . 190 — 202

თავი XIII. შრომის, ცხოვრების სიმწარესთან ბრძოლის ელემენტი კლასიკურ პოეზიაში. — ქალაქელი მუშა ხალხი. — მისი გაცნობიერება. **იოსებ** დავითაშვილის პოეზიაზე გავლენა დ. გურამიშვილისა. — მუშა და ადამიანი, როგორც უმთავრესი მოტივი დავითაშვილის პოეზიისა. **გიორგი ქუჩიშვილის** პოეზიის უმთავრესი მოტივი მუშის იდეალი და თავისუფლება. — მუშის გამხნევება საბრძოლველად მტარვალობის წინააღმდეგ. — ბრბო — მესია — მუშის სიყვარულის კულტი. **იროდიონ ევდოშვილის** მოწოდება ერთგული მეგობრებისადმი მაშვრალთ დასახმარებლად. — სხვადასხვა გაპირვება მაშვრალი ხალხისა. — ქვეყნის უსამართლობა **ჩვენება** პოემის მიხედვით. გავლენა ე. ორბელიანის და მ. გურიელის პოეზიისა. — **ალიო ბუმერანგის** პოეზიაში მომაელის ქანდაკება. — სოციალისტური კულტურა და კომუნა. — დარბაზებში მუქთა-ხორების ღრეობა, ძირს ბნელაში კი შრომის შვილის ქვითინი. — რევოლიუციის მოელინება ოკტომბრის რისხვითა. — წითელი მეზღვაურის თანამშრომლობა შრომის სადგურისკენ გზის გასაკაფავად მძლავრის ყუმბარებით. — სიყვარულის და კოცნის პოეზიის გმობა. — უსახლკაროთა კარვებთან სტუმრობა. — მზის მოედნისაკენ მისწრაფება წითელი მხედრისა ინდოეთის გასაწითლებლად. — სისხლის და ცეცხლის სიყვარულის კულტი. — ქალაქის შრომის და აღშფოთების ეპოქის მიმზიდველობა. — ჩაქუჩის და ნამგლის პრიმიტიობა მოტორის წინაშე. — თეატრის სიძულვილი, კინოს სიყვარული. — რჩევა ქართველი პოეტებისადმი. — კომუნისა და შრომის სუფევის შემოსელა. — სისხლით და ცეცხლით ნა-

ბ3·

ზავი რევოლუციონური აღტყინება ბუმერანგის პოეზიაში . . . . . 202—215

თავი XIV. დაარსება ქართული დრამატიული საზოგადოებისა სამოცდაათიან წლებში. — ქართული თეატრი, როგორც ერთად ერთი დაწესებულება ქართული ენის კულტურისთვის ძველი რეჟიმის დროს. — კლასიკური პერიოდი ქართული დრამისა ოთხმოციან წლებში. — ქართული დრამის განვითარება მეოცე საუკუნეში სახელმწიფოს საფარველ ქვეშ. — ნაკლი ქართული დრამისა. — ქართული ოპერის გაჩენა თარგმნილის და ორიგინალისა. — კინოშრეწველობის შემოღება. — მოკლე განმარტება ქართული სიტყვიერების პერიოდებისა სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობის მიხედვით . . . . 215—220

ამ განარკვის შესადგენად ვისარგებლე დ. ჩუბინაშვილის, მარი ბროსეს, ნიკო მარის, ალ. ხახანაშვილის, ივ. ჯავახიშვილის, ვახტ. კოტეტიშვილის, კ. კეკელიძის და ს. გორგაძის ნაწერები.

პ. მირიანიშვილი.

შეცდომის გასწორება

გვ.	დაბეჭდილია	უნდა იყოს	ზემოთ	ქვემოთ
6	ებძოდა	ებრძოდა	—	9
79	გამჭვალური	გამჭვალული	2	—
80	აქევებლი	აქეველი	—	14
82	ხახანიშვილი	ხახანაშვილი	11	—
86	ჰქონდეს	ჰქონოდეს	—	14
99	მხედრის	მხეედრის	12	—
131	ეტლის	ეტლი	—	17
134	მქადაგებელნი	მქადაგებელი	—	4
139	ვორონკივის	ეორონკოვის	—	15
146	ენას,	ენა,	—	4

151 გვ. ქვემოდან მე-10 სტრიქონი უნდა იკითხებოდეს ასე: გაუტეხათ სურვილით საესე გული. მაშინ ჩაითრია ცხოვრებამ და

სარჩევის მე-III გვ. ზემოდან მე-9 სტრიქ. უნდა იკითხებოდეს ასე: გრ. ორბელიანის გულის ნადები პატიმრობის დროს

—— : ——